

119 /
1981 / 3

ISSN 0132-599 X



საქართველო



1981



ენათობი



საქართველოს მწიგნობართა-მხატვართა
და საზოგადოებრივ-კულტურული შუროსი

წელიწადი 58-0

№ 11

ნოემბერი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრების კავშირის ორგანო

შინაარსი

წინასწარ ჩარკვიანი — ლექსები	3
ხუთა ბაბუა — ლექსები	6
თენგიზ ხალაუაძე — ნაცრისფერკალტრიანი კაცი, მოთხრობა	11
მეზარ კვიციანი — ლექსები	23
ოთარ მამფორია — ლექსები	27
ლადო სულაბერიძე — ეპიტაფიები	30
დავით გომეზური — მამულას მამალი, მოთხრობა	33
აკაკი ვეფხველიძე — ლექსები	50
სიმონ ხალაბაძე — ლექსები	54
გიორგი ზაბიძე — ბატონილი ხიფი, რომანი	56
სულიკო დიასაშვილი — კახეთის შემოღობვა, ლექსი	82
იოსებ აფხიაშვილი — ლექსები	83
გომთე — შაშხი, გერმანულიდან თარგმნა გ. ჯორჯანელი, გაგრძელება	85

ნაკვეთი

გიორგი ხარკვიანი — ხუთასი კოვასი მხარეში, დანახარული	95
--	----

წინასწარ ჩარკვიანი—50

მუკამ გვერდითელი — „საქართველოში იწყება დღი...“	109
---	-----

კრიტიკა და კულტივისტიკა

ალექსანდრე კუთათელი — გიორგი ლომიძის ეპიტომაჟული	122
თამარ გომეზაძე — მარტოსულთა გოდის პროზაზე	130
ზაზუნ მთელიძე — ჩვენი საბავშვო მწიგნობარი	136
ნათელა წიკითელი — ნ. ბარათაშვილი და თერგდალეულები	139
გიორგი ავალიანი — ს. მგალობლიშვილის ერთი მიუთხრობის „შეხვედრისათვის“	143

მეხსენება

რამაზ პატარიაძე — „ძიებაჲ ქართულურსა ენისაჲ“	146
მისიელ სპინიძე — თავმოკვეთილი ოსვალე	165



გიორგი ჯიბლაძე	169
ფოთა ნიჟინაძე	172
მეღვა კახიძე	175
დავით კვიციანი	177

შეჯამები, მოგონებანი

მარკ ზუბაძე — მშენებელი და მომხმარებელი	181
---	-----

ქიზნების მიმოხილვა

ავთანდილ კვიციანი — წიგნი ზნეობაზე	184
მეღვა კახიძე — „დასაწყისი“	189
თ. ქადაგიძე — ფსალმანი დაბრუნება	189

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრებულო კომისია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლაძე, თ. გიგინეიშვილი, ა. გომიშვილი, კ. კალაძე, მ. ლეგანიძე,
ლ. მრავალშვილი, ა. სულაგაძე, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკერი,
ვ. წულუკიძე, თ. ბილაძე, ბ. ხარაბაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნაპოლეონ

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ბალეზონები:

რედაქტორის — 98-55-11. უფ. 08768. ტირაჟი 22.000. შეკვ. 2583
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფილ. საჭ. კ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა,
ლუბების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

გადაეცა ასაწყობად 14. 10. 81 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 30. 10. 81 წ., ასაწყობის ზომა
7¹/₄X12. ქალაქის ფორმატი 70X108¹/₁₆.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

17130

ვადიდებდეთ

სულის შენის ქვაკუთხედი
არ ეღირსოს შერისხვასა,
ვაქებდეთ და ვაყურთხევედეთ,
ვადიდებდეთ ერის ხმასა.
ხმა ღვთისა და ხმა ერისა
ცოსაგან და მიწისაგან,
გასწმენდს სულსა ქართველისა
ყოველისაგან ბიწისაგან.

ქ ღ ს კ რ მ ბ კ

ვერსად გპოვე, ვერსად გნახე,
ვერც ტყვილით შემოევარდი,
მერე თვითონ გამოვჩარხე,
ჩემი რჩული, ჩემი ხატი.

არცა ხილვა ლილისფერი,
არცა ლურჯი ანველოსი,...
ვიყავ ერთი თბილისელი
ვით სიჩუმე გარემოსი.

არც შალაშო, არც წამალი,
მერწის ფლოქვი მკერდში მცემდა,
ვიყავ მთეარის ნატამალი
და პირველი ლექსის სევდა.

პაპის პაპის, პაპის ღვაწლი
არ ჩავეგდებ მუხანათთა,
დარდი მქონდა ცოდვა კაცის,
ვისაც შეიღმა უღალატა.

ქ- მარტოის საბ. საქ. სსრ

სიცილ-სიცილ მოვიცილე
 დღე იყო თუ ღამე იყო.
 მიხაროდა, რომ სიცილი
 ბევრჯერ ცრემლზე მწარე იყო.

მიხაროდა, ტანჯვა სულის
 არც არავის შეუტყვია,
 აწი რაა, გარდავსულვარ —
 ჩემი შუბლი, შენი ტყვია.

ილიას გამო და სხვათა...

კაცნი სიყვარულის შემდგომ
 მძულვარებას სწავლობენ,
 შენი ეშინიათ, ღმერთო,
 კლავენ, მაგრამ ნანობენ,

სიზმრად მკვდრები ჩამოსდიან
 სიკვდილის ეამს წვალობენ,
 კვლავ მოდიან ახლები და
 იმ ძველ ცოდვებს სწავლობენ.

უგაყოფილო კაცის კმბაკვი

ერთ დღეს, ისე მოხდა რომ —
 არაფერი არ მოხდა,
 არ მოხდაო?
 გაგიქდა —
 აივნიდან გადმოხტა.

ირინოლა ჩარკვიანი

ქება მითქვამს ტყის ტყითა,
 ქება მითქვამს მზის მზითა,
 წლის წლითა და, დღის დღითა,
 ხის ხითა და ხმლის ხმლითა,

ირინოლა ჩარკვიანო,
 ირინოლა ხითხითა,
 ასე რატომ მენატრები
 ერთხელ რად არ იკითხავ.

სამშობლოს სიყვარული

ჩემთვის, გულახიდან მოვეციალებ,
თან ერთი პოეტის გულდაგულ მწყინს,
— სამშობლო მიყვარსო, რომ ღრიალებ —
მითხარი, სამშობლო არ უყვარს ვის?!

გალაკტიონის გამო

რასაც ბევრის გული გაუთბია,
იარაღში ვტენი ახალ ვაზნებს,
ვისაც ჩემი დარდი დაუთვლია,
ვარსკვლავები დაუთვლია ცაზე.
რა ლამაზი კუბო გაუთლიათ,
მოვა ქარი და სიმღერას წაშლის,
ვისაც ჩემი დარდი დაუთვლია,
ქვირითები დაუთვლია წყალში.
მოკვდა მეფე, პოეზიის მეფე,
მეფე მაინც მეფე არის — მკვდარიც,
მაინც უნდა შეუძახო — ეჭეე...
მაინც უნდა შეუძახო, მაინც.

ი მ ე დ ი

თუ პური არა გვაქვს ძამია,
ჩვენ მაინც ვრჩებით ძმები ძმებად,
იმედი პურივით რამეა,
იმედის ჭაბა შეიძლება.

თუ ღვინო არა გვაქვს ძამია,
ჩვენ მაინც ვრჩებით ძმები ძმებად,
იმედი ღვინოსებრ რამეა —
იმედის დაღვევა შეიძლება.

სატრფო თუ არა გყავს ძამია,
ისიც კი იმედით შეიცვლება,
იმედი სატრფოსებრ რამეა —
იმედის შეყვარება შეიძლება.

მაგრამ თუ არა გაქვს იმედი,
გულდა და ნაბადი აიკარი,
იხმე ნებისყოფა მცირედი,
ტყვია საფეთქელში დაიკარი.



სუბა გავა

სალექსო პნა

რაც მოიტანა —
ოქრო, ვერცხლი, ფირუზი, ქარვა —
სუველაფერი
ისევ უკან წაიღო ქარმა,
სალექსო ენა

ერთადერთი შემრჩა — ქართული,
მე სხვა სიმდიდრის,
სხვა ქონების მფლობელი არ ვარ.

თანაგრძნობისთვის
უდიდესი მადლობა სტუმარს,
ვისი თვალებიც
სუფრის თავში ცისფერად სდუმან,
ოლონდ — სხვა განძი,
სხვა ქონება, ვიდრე ეს არის.
თუ მწუხრებია,
ფეხქვეშ მიწა გამისკდეს უმაღ.

პოი, სტუმარო,
დალოცვილო, ხომ ზედები ახლა —
სატყვიარს ჩემსას
არ ვაყენებ სხვისაზე მაღლა.

უბრალოდ იგი
სხვა ენაზე ასე ადვილად
არ ითარგმნება,
უძირთა — ქართული გახლავს.

მაგრამ, ვითარცა
ვერ იქცევა მღილი ტიტანად —
მთაზეც ალოლდეს
და თამაში ფიქრით გაერთოს, —
რა სატყვიარი? —
არ ყოფილა იგი საერთოდ,
ქართველმა კაცმა
თუკი გულთან არ მიიტანა.

რამხელა ნიჭი
უნდა ჰქონდეს, რამხელა ალღო,
რამხელა სითბო,
რომ იანვრის ყინული ალღოს
და შენი გულის
ნამინდვრალზე ყაყაჩოები
აღმოაცენოს
ქემან შენმა, მშობელო ხალხო!

ორი მგზავრის ლექსი

ნახირს შხელი
აფრთხობდა სახრის,
შორს, მთების მიღმა, ხმობდა მამალი.
როცა ჯერ კიდევ მხნედ მიმავალი
წამოეწია
გზებისგან დაღლილს.

— რად იხედები
მალიმალ უკან,
გულდასაწყვეტი რა დაგრჩა, მგზავრო?
მომივა ჯავრი? მე ვხედავ — ჯავრობ
აღმათ ბავშვობის
გესიზმრა შუკა.

— პაპისეული
მესიზმრა სახლი, —
ცრემლმორეული ვდგავარ, ვიციანი...
— შემოგეგებოს კულის ქიციინით,
არ მეგულემა იქ
ერთი ძაღლიც.

— კიდევ მესიზმრა...
— შენი რჩეული
იმ უბეირომ, სულთანის მსგავსად,
დიდხანია, დაისვა ხასად.
ახლა სხვა უზის...
— იყავ წყეულომც!..

კიდევ მესიზმრა...
— თანაც გულჩვილი
და მიამიტი ყოფილხარ ბავშვი.
მტერი ჩავარდა დუნის ყბაში —
ცარიელია
შენი ხურჭინი.

— დე ფურთხის ღირსი
გამხადოს ყველამ,
ოლონდ მე, მათი სისხლი და ხორცი,
ვიტყვი, რომ მამის საფლავის ბორცვი
სხვაა — მოსჯილი
სამშობლოს ხელა.

წადი, საბრალოვ,
გწყალობდეს ღმერთი.
ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი. —
...ამოუხსნელი ფიქრის ნაყოფი —
ჩიბუხის კვამლი
ცის ტატნობს ერთვის.

ცაში თანდათან
სულს ლაფავს ბოლი,
ფერდობზე აღის დაღლილი მგზავრი...
და რეკავს, რეკავს სამრეკლოს ზარი,
ტაძრის გარშემო
ხასხასებს მოლი.

აგერ საფლავიც! —
და იფშენეტს თვალებს,
აზრის გაწყვეტილ ძაფს ვერ პოულობს,
და ეჩვენება, რომ ერთდროულად
ამოდის მზე და
ამოდის მთვარე.

ერთს გევედრები,
უფალო, მხოლოდ,
ქართველს რა უნდა მინდოდეს მეტი:
ჩამქოლე — დღესვე მომილე ბოლო,
ოლონდ ნუ დამსჯი
იმ ორის ბედით.

გამოთხოვნა

ცოცლიდან „იტალიური მოზაიკა“

უცებ გაირღვა
ღრუბლები სისქე
და გაიზლიჩა ღამე უკუნი —
ყურისწამლები მძლავრი გუგუნით
თეთრი ზომალდი
აიჭრა ცისკენ.

ჭერ კიდევ მაინც
თავს ვიმზნევებდი —
ჭერ კიდევ ვგრძნობდი მიწასთან
კავშირს.
მაგრამ — ერთბაშად! — წყვილიადის
ზღვაში

დაიძირა და
გაქრა ხმელეთი.

ძირს დარჩა შუბლზე
ღმერთის ამბორით,
გულში მწვეთავი შხამით და თაფლით —
ო სოლე მია! — სორენტო, კაპრი,
რომი, მილანი
და ნეაპოლი.

და, აი, მყუდრო
სამეფო მთვარის
მიახლოვდება — ეუახლოვდები,

თუმცა მკიდა ფეხზე ლოდები
 და კვლავ მიწისკენ
 მიჭირავს თვალი,

სადაც ვამიყამ
 სინათლის ხვავი
 აღმოცენდება და — ფხიზლად მთვლეში
 წყვედიადის ზღვაში ძვირფასი თვლების

აურაცხელი
 კუნძული ჰყვავის.

ეს წუთიერი,
 ძვირფასო, შვეება
 მწარე ტკივილით იცვლება ისევ —
 მთლად ამოგლეჯილს მიწიდან ხისებრ
 თითქოს იქ, სადაც,
 ფესვები მრჩება.

ნ ი შ კ რ კ

განთიადისას კლდეს მიენარცხა
 შეურიგალი და პირდაპირი,
 შუბლიდან სისხლი გადმოსკდა ღვარად
 და შეიღება წითლად ნაპირი.

კვლავ დაუბრუნდა როცა კალაპოტს,
 გზად თავისივე წაშალა კვალი
 და დაშოშმინდა, თითქოს ლოგინზე
 პირქვე დალილი დაემხო ქალი.

კლდე ისე იდგა ამპარტავნულად
 და ამოკლებდა ზეცისკენ მანძილს,
 რომ გავიფიქრე: თავშეკავება
 სჯობია-მეთქი, ზღვა ხარ თუ კაცი.

ათიათასჯერ შეუბღაჩეხილმა,
 ვაი, რომ დღემდის არ დაიშალა.
 და... სახტად დავრჩი: ჩემსავე თვალწინ
 გამოირიყული ეგდო ნიყარა.

მე ის ნიყარა წინ მიდევს ახლა
 და ზღვის გუგუნით ივსება სახლი:
 გულით ვასკდები კლდეს უხვიეროს,
 რომელიც ზოგჯერ დამყურებს
 მალლით...

ეგრე, პოეტო! თუ აღელდები,
 ზღვასავით ურჩი და უშიშარი,
 ისე აღელდი, რომ შენმა მოძმემ
 დაგიმახსოვროს ლექსით — ნიყარით.

• • •

შენ გაგეღვიძა
 და გაგიკვირდა:
 აღარ გაშინებს, რომ ისევ ბნელა
 და სიბნელეში მელანდება ნელა
 რაღაც სიცოცხლის
 საზღვრებს იქითა.

და გულიც აღარ
 სცემს გამაღებით,
 თუმც იჭყიტება შენს ფანჯარაში
 ლუსკუმი ღამე — ზანგი დარაჯი:
 სახე არ უჩანს,
 მხოლოდ თვალები.

და, აი — ფიქვის
 ამხელს მწვერვალი,
 რომ სადაც ბეუტავს მთვარე ბებერი,
 და ერთდროულად დგას დეკემბერი,
 დგას იანვარი
 და თებერვალი.

წელანდელ სურათს
 შენ ისევ ხედავ —
 მკირეოდენი იმ განსხვავებით,
 რომ უკვე აღარ ფრენენ ყვავები,
 ყვავები შიშველ
 ტოტებზე სხედან.

და თუ გაფრთხობდნენ
ჭერ კიდეც გუშინ,
ახლა მზადა ხარ, მხრებზე დაისვა.

თეთრად თენდება და დედამისი
გადარჩენილი —
იბუღებს გულში.

• • •

ხმა მომწვდა შორით — და უცარი
წარმოვიდგინე შენი ლალატი,
გულსამრევი,
როგორც მეძავის
შიშველ სხეულზე მინი-ხალათი.

ჩემი ძარღვები სავსეა შხამით —
თითქოს ასპიტი, სლიპი და სველი,
გვერდით მეწვინა
და ყოველ ღამით
მკერდში ვიკრავდი — თვრამეტი წელი.

თვრამეტი წელი!
რა დაგრჩა კიდეც?
ან ამ ტყვილით როდემდე გასტან
მდგარი სამყაროს უფსკრულის კიდეც?!
დაირტყი შუბლში ტყვია და — ბასტა!

მაგრამ — სამრეკლოს ზარები რეკენ —
გესმის?!
ეს მე ვარ, ვინც ჭვარზე გაცეა,
რომ შენი მკერდის რძენაწოვ ლეკვებს
არ შეუგინოს გამზრდელი კაცმა...

დაკრძალვის დღესვე გათავდა კაცი

განგების ნებას
ვემორჩილები —
მე გული როდი მიმიწვეს იქით,
სადაც მდუმარებს ხეების რიგი
და რკინის ლობეს
ჰკვეთენ ჩრდილები.

თუ შეუხვევენ,
შემთხვევით თითქოს —
არ ყოვნდებიან იქ პოეტები:
იქ — დავიწყების მიიშვებ ბელტებით
მკერდჩანგრეული
შენდობას ითხოვს.

შენდობას ითხოვს,
ათოვს თუ აწვიმს,
ან — სულ ერთია — ცივა თუ ცხელა.
სუველაფერი გადაწყდა ხელად —
დაკრძალვის დღესვე
გათავდა კაცი.

პირველ ქარშივე
ჩამქრალი კვარი —
თაროზე დარჩა ლექსების წიგნი.

არ იხედება არავინ შიგნით —
ყდაზეა ფოტოც,
სახელიც, გვარიც.

არც მიწის იყო,
მეც ვიცი, არც ცის,
მაინც მძიმეა და შემზარავი:
სანთლის დამნთები დარჩა არავინ —
დაკრძალვის დღესვე
გათავდა კაცი.

ბუნებრივია! —
ბრძანებს მრავალი, —
ბრმად მისდევდაო გზას საცოდავი.
სამწუხაროა, — ვიტყვით ცოტანი, —
დღესაც ბევრია
ბრმად მიმავალი.

მაგრამ ჩვენ ერთი
გვწვავს აგონია,
რას იტყვის ერთდროს მემატთანე,
და კარუსელის წრეში ვტრიალებთ
თვალახელილნიც,
როგორც გვეგონია.

გამზადებულნი
შორს გასაქცევად
მკერდით ვასკდებით რკინა-ბეტონებს

და მაინც ვცდილობთ და ვიმედოვნებთ
მოჭადოებულ
წრიდან ვალწევას.

რაც ტანჯვისაა —
რწმენის რაც არი,
უხერხულია ხმამალა გიქონ.
აგურ და აგურ — სტრიქონ და სტრიქონ
მკვიდრად აშენე
ლექსი — ტაძარი.

ორივე თვალის
ამხელი აზრი —
ის მიიზიდავს ისედაც ყველას,

როგორც იზიდავს სხივებს და ელვას
მოოქროვილი
გუმბათი ტაძრის.

თანაგრძნობაა
და არა ზიზღი,
რაც სულში ასე აკიელებს ზარებს:
შენი ტყვილი — მწველი და მწარე —
ქრისტეს ტანიდან
დაღვრილი სისხლი.

ე კ ი ლ ო ბ ი

ვინ იცის, იქნებ არც გრძნობენ
ტყაცუნა აღს უხორციონი...
მე წუხელს აქეთ ვანთივარ,
როგორც წყლის პირას კოცონი.

ჩემი სხეულის ფერფლია,
ზოგს რომ ფანტელი ჰგონია,
და ვიცი, რით დამთავრდება
ეს წვა და ეს აგონია.

უფალო, ვიდრე დარჩება
ჩემგან კვამლი და ნაცარი,
შენ მაინც ნუ მომეჭკევი,
როგორც გერს დედინაცვალი.

არა, გამჩენო, არა გთხოვ
ანკარა წყალს უკვდავების, —
უკანასკნელად მაღირსე
ორიოდ ყლუბი ტაუბი.

ორივეს შენვე გიბოძებ,
რომ წყვილ ენძელად აყვავდეს
მიწაზე, რომლის წიაღში
გაჩენის ღირსი გამზადე.

რომელზეც მკვიდრად ვაშენე
რწმენის მაღალი ტაძარი,
და — მუჟაკ არ დააყელი
ჩემი კვამლი და ნაცარი.



ნაცრისფერპალტოიანი კაცი

მოთხრობა

ბოლოს და ბოლოს, რატომ სჩადიოდა ის კაცი ასეთ სარისკო საქმეს და ისიც ყოველგვარი გასამრჩელოს გარეშე, ვერავინ დაადგინა.

ბეწვის ხილზე თვალემახვეული შლეგის გავლას უფრო ჰგავდა მისი ყოველდღიური საქციელი. ვიდრე ნორმალური ადამიანის მოქმედებას და არათუ ბრძენი და გულთამბილველი, ყოვლისმცოდნე ეშმაკიც ვერ მოუნახავდა ამგვარი თავზეხელაღებულობის მიზეზს.

პალტოს გარდა სხვაც, თუ რამ ებადა და ემოსა, ნაცრისფერი ჰქონდა, კაშნეტ, შარვალიც და ილიამში გამუდმებით ამოჩრილი პორტფელიც. ეგ კი არა, როგორც ქალაქში დაბერებულ ტანთხელ ადამიანთა უმეტესობას, სახეზეც გარეცხილი მიწისფერი ედო.

იქამდისაც, ვიდრე კაბინეტში მიჰგვრიდნენ და შემდგომაც, წინ რომ გამოუჩვიეს, „დაბადებით ჰელანტისტი, ანდა შიზოფრენიით შეპყრობილია ვერ ვიტყვი, მაგრამ გვარიანად რომ უფშტვენს და უკაუნებს, ამას ხომ მტკიცებაც არ სჭირდებაო“ — ასე გაიფიქრა შებღმურებულმა უფროსმა.

ის წესრიგის დამცველი კი ამგვარ საქმეებში დიდად გაწაფული ვინმე გახლდათ და, ამასთანავე, ბოროტმოქმე-

დის პირველ შეხედვისთანავე განმკურნალ-ამომცნობიც და ამას ყოველივეს ჭერ კიდევ მაშინ მიხვდა, სამორიგეოში თანამშრომლებისაყენ ზურგშეკცევით მდგომი და კედელზე ცხვირმიბჭენილი კაცი რომ შენიშნა.

ერთ ხანს შორიდან უცქირა, შემდეგ კუკუმალობანას მოთამაშესავით ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თითქმის მიეპარა და საგულდაგულოდ აათვალიერა აათვალიერა.

— ეს ვაებატონი ხომ არ არის? — ჩურჩულითა და თვალების გადატრიალებით ჰკითხა იქვე მდგომ მიმყვანს.

იმანაც, სარგადაყლაპულივით გაჭვამულმა და ორბისებრ მომზირალმა, ომახიანად მოახსენა.

— სწორედ ეს გახლავთ, მცდელობისას დავაკავეთ!

დამნაშავემ კი, ანდა რაც გენებოთ ის დაარქვით, იმის რიხიან შემახილზე ყურიც არ გააპარტყუნა, კეფაც არ მოიქეჭა. ვითომც ეგ თქვენი პატაკობანა არც მეხება და არც ზუჭაშნიკებაო, რადგან იმ დროს სტენდებზე გამოკრული რეციდივისტების პორტრეტების შესწავლით იყო გართული და, ამასთანავე, იმ კაცისთავისმკენეტელებს ისეთი სათნო ღიმილითა და დამკვირვებლური

ინტერესით შესცქეროდა, როგორც მგალობელ ფრინველთა კონკურსზე საპატრიო სტუმრად მიწვეული ორნითოლოგის პროფესორი.

ჯერ კარგა ხანს კაბინეტის კართან ალოდინა, შემდეგ ზარის ღილაკს თითი მიაბჯინა და ქეჩოში ხელჩაკიდებული რომ შეუტუსტუსეს, თვალი თვალში შანთივით გაუყარა და მერეღა კითხვა:

— თუ არ შეწუხდებით, ერთი ეს მომახსენეთ, რატომ არღვევთ საზოგადოებრივ წესრიგს?

ოთახის შუაგულში გაღურსულად მდგომმა იმ ჩანჩურამ, ამ შეკითხვაზე ბაყაყისკერია ყანჩასავით ჩაიდრია ქედი და ფეხსაცმლის ჭეინტებს ჩააცქერადა.

— აბა რა ვიცი... — მორიდებით ჩაიღულღულა და ამ ბრიყვეული არგუმენტით თავის მართლებაც სცადა.

— რაო, რაო? — გაიოცა წესრიგის დამცველთა უფროსმა და აქეთ-იქით ისე გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ნაფიცი მსაჯულები სხდომოდნენ გვერდით. ბოლოს მაინც კარებთან აყუდებულ მორიგეს მიაპყრო მზერა.

— რას ბლუყუნებს ეს უღლეური? — იმას დაეკითხა მოღუშვით.

მორიგემ დამორცხვებულ ქალწულოვით მიიფარა ხელისგული პირზე, დაიფხტუნა. ქვეშ-ქვეშ გამოჰხედა და ადგილზე ცმუკვას მოჰყვა.

— არ სცოდნია... — მრავლისმეტყველი ღიმილით შეჰკადრა პატრონს, შემდეგ თითისწვერებზე შემდგარი გამოცუნცულდა, გარინდებით მდგომ მსყვეყნს ფერღში საათითი მუჭლუგენი უთავაზა და ტუჩებმოღრეცილმა გადაუღულღუნა:

— ეხლავე უპასუხე თორემ... მე ვიცი შენი!

ნაცრისფერპალტოიანი თითქოს ძილბურანიდან გამოერკვა.

— ერთხელ ხომ მოგახსენეთ, არ ვიცი-მეთქი, — ჭიუტად გაიმეორა, — თუ ვნებათ იმასაც ვანგიმარტავთ, რომ საკუთარ ქმედებაში ბოლომდის გათ-

ვითცნობიერებული თავად...
ლავართ.

ასე ჩამოარაჯა და რალა ახსნა-განმარტება სჭირდება, ამდაგვარ პასუხს მთლად დალაგებული გონებისა რომ ვერ ეტყოდა.

უყურა მაშინ სავარძელში მჯდომარე უფროსმა იმ ბოთეს, გამჟოლად უპვირიტა და რადგან ვერც თვალები ჩაახრევინა და ველარც დანაშაული შეაგრძნობინა, ბუზებისაგან გაბეზრებულ ხბოსავით გაიქნია თავი.

— გნებავთო... განგიმარტავთო... ქმედებაში — გათვითცნობიერებულო... გამოჩაგრებით ჩამოუთვალა და კვლავ მორიგეს შეაცქერდა გაურკვეველად.

იმანაც ცერა თითი საფეთქელზე მიიბჯინა, დანარჩენები გაფარჩხა, ხრახნივით დაატრიალა და ამით მიანიშნა, „ხომ ამჩნევთ როგორ ორპირად უჭრილსო“.

უფროსმა ცაიტნოტში მოხვედრილოვით შემოიწყაო შუბლზე ხელისგულე-ბი, „ამ ინტრიგანს ვის გადავეყარო“ — გაიფიქრა და გატანჯული ხმით იკითხა:

— ნეტავ რამდენჯერ გეყოლებათ დაცარიებულნი?

მორიგემ უპირველესად ჰერს აპხედა, დაიანგარიშა:

— მაგის დადგენას ფინანსთა სამინისტროც ვერ შეიძლებს. — ზედმიწევნითი სიზუსტით მოახსენა და უცებ ახლადდარწყულებული ულაყივით დაიფრუტუნა. — რადგან ასეა. — უთხრა უფროსმა, — მაგას გახვერტილი შაურიანიც აღარ ეგდება ჭიბეში, ამოკარით და გააბანძურეთ, ისემც უქნია თავისივე ფეხით მითრეულა მორგში.

მორიგემ უფროსის ნაბრძანების უგულველყოფის გამო კი არა, უბრალოდ კეთილადამიანური თვისებების წარმოსაჩენად, უმცირესი, ნახევარი საათი მაინც უკითხა მორალი იმ ტვინქონიანს: საიდან აღარ მიდგა: ეს საზოგადოების აბუჩად აგდებაო, იქით კანონის უპატოვემულობაო, და ვინ მოსთვლის რა აღარ ჩამოუთვალა, მაგრამ შეაყა-



რეთ ედელს ცერცვი: იმ ბენტერამ — „ცნობას თუ მომცემ, სამსახურში რომ მაგვიანებთო?“ — ისე მიაშიტად ჰკითხა, რომ იმგვარ კეთილ საქმეზე, როგორც გზასაცდენილის შემობრუნებაა, ხელი ჩააქნევინა. მთელი ღამის უძილო და მოთენთილ კაცსაც მეტი რაღა მოეთხოვებოდა, რიგითს გამოუძახა, ჩააბარა და „სად წავიყვანო?“ — არც აკითხვინა, — „ჯანდაბალ იქით გააცილე და გაუშვიო!“ — უბრძანა და ამით ხელეზიკ კარგ დასტაქარივით იდაყვებამდის დაიბანა.

ნაცრისფერპალტოიანი რომ შენობიდან გამოვიდა, საქმიანი უსაქმურები ევლავ კარებთან ელოდებოდნენ და რა წამს შენიშნეს, ისეთი ევიღღ-ხვილითა და ყიფინით შეხვდნენ, როგორც უპატრონო ბავშვები ტაბილეულით დატვირთულ ქველმოქმედ შინაბერათა დღეღაცეისა ორადაც ისე გაიყენენ და იმგვარად დაუთმეს გზა, თითქოს იმათი პარლამენტის კენტიად დარჩენილი ლიდერი შეენიშნოთ. იქნებ იყო კიდევ, მაგრამ სულ დიდი, დღეში ათი, ანდა თხუთმეტი წუთი, თუმცა გამართობისა და ტაქიმასხარის ჩაჩი უფრო მოერგებოდა, ვიდრე წინამძღოლისა და მთავარსარდლის ტიტული.

ახლა, ის ქერქეტაც როგორ დარბაისლურად მოიქცა, გამოსვლისთანავე დამხედურები და მომლოდინენი ერთი თვალისგადავლებით შეათვალიერა, მერე პალტოს საყელოში შეიფუტა და ადევნებულ ჯგროს ისე წარუძღვა, როგორც ზურგზე ხელეზღაწყობილი ნაპოლეონი ვატერლოდან მომავალ, დამარცხებულ, მაგრამ არდაზოცილ გვარდას.

ილიაში პორტფელგაჩრილი და ცალმხარჩამოვარდნილი, ფრთამოტეხილი სვავივით მიაბრუნებდა, თვალბსაც იმგვარად აფახულებდა და კისერიც ისე წინგადახრილად ეკიბა, თითქოს ზურგსუანიდან ვიღაცის ჩანისკარტებს ელოდა.

ის ოტროველებიც, მომავალი სერიის ცქერას რომ ესწრაფოდნენ, ჭგუფ-ჭგუფად აეტორღიანდნენ. შორიახლოს,

დისტანციის დაცვით გაჰყენენ, მაგრამ სამგლოვიარო პროცესიის მონაწილენი დიდად პატივსაცემ ნეშტს, მაგრამ ამას რიგითისადმი მოწიწების გამო ეი არ სჩადიოდნენ, უბრალოდ ასე ჰქონდათ დათქმული, უფრო სწორად განუსჯელად, ქვეშევსნეულად მოქმედებდნენ, რალაც აუხსნელია გამო ერიდებოდათ იმ ჩიტირეკია კაცისა, ვერც აბუჩად აგდებდას უბედავდნენ და ვერც გაბაიბურებდას, თუმცა ადათითა და წესით, მეტიც უნდა მოემოქმედათ, პალტოს კალთებიდანაც დაეთრიათ და ქუდწართმეულიც ეპამბულავებინათ, მაგრამ რატომაც თავს იკავებდნენ და ისეთი გასუსულები მიაცილებდნენ, როგორც საყდრის ბიჭბუტების ქორო სააღდგომო წირვაზე გამოსულ დეკანოზს.

პროსპექტის ცენტრალურ ნაწილს რომ მიაღწია, სადაც თანამედროვე ენით, ქალაქის პულის ისინჯება, ნაცრისფერპალტოიანი შედგა და მოიხედა, როგორც ჩანს, მიჩენილ ყარაულს ამოწმებდა, მომდევს თუ არაო, იმან ეი დასაწყისშივე უშველა თავს. ჯანდაბას გაცილებულად ჩათვალა, ახლადმიწებჩასმულ სასადილოში უგანა და ახლა ვიტრინის იქითა მხრიდან უთვალთვალებდა იმის საქმიანობასა და ოინბაზობას.

მიწისქვეშა გადასასვლელის ყელთან, მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც, ცნობისმოყვარენი გუნდ-გუნდად შეკრებილიყვნენ. ნაცრისფერპალტოიანს ელოდნენ და საქმიან უსაქმურობას თამაშობდნენ.

საპარიკმახეროს წინკარში დალაქები გამოუფენილიყვნენ, ფარდებს იქედანაც წვერგაქაფული კლოენტები იყურებოდნენ. იმ ხანად, უკვე მთელმა რაიონმა იცოდა მარტოხელი ყინის ბერიკაკობის ამბავი და მთავარი მაინც ის იყო. ეს რეტიანი რომ წესრიგის ყოვლისა შემძლე დამცველებს აბაიბურებდა, უფრო უპრიანი იქნება, „სისხლს უშრობდაო“. რომ ვთქვათ და სწორედ ამაში იყო იმისი დიდი სახელმოხვეჭილობის საიდუმლოება, და ამგვარი საქ-

მე, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ ქვეყანაში იზიდავს ხალხს, თუნდაც წესრიგისა და კანონის დამცველებად თვით მამა ღმერთის მიერ არჩეული ანგელოზები დააყენონ.

მართლაც, ზემოთაა საქმე ზომ არ იყო, ეს გამოთავყვანებული ბებერი თავის ზუსტურზე რომ ათამაშებდა წესრიგის დამცველებს, სიცოცხლეს უშხამავდა და ყველაზე სასიერო მაინც ის გახლდათ, საბოლოოდ მაინც შეპყრობილ, თვალებს რომ დაუბრიალებდნენ. მკვებე-მკვებებისას ეტყოდნენ და ეს ენაგატლელი კი იმ დროს ვთიკის უპირველეს კანონებს უხსნიდათ და უმარტავდათ.

სწორედაც რომ სასაცილო გახლდათ, ამაზე შეტად სამხიარტლო და ჩასაბეირებელი რალა უნდა ყოფილიყო.

პირადად ჩემი შეხედულებით, ის გაცივინტული, დაახლოებით იმგვარად იქცეოდა, როგორც პირში ქთამგარბილი, ხანდაზმული და მრავლისშემსწრე მელია, კომბლიანი პატრონები რომ გამოენთებინან, ქანცს გააცლიან, ხოლო ქურდბაცაცა იმ აკრიახებულ დედალს გზაშივე გამოუყვანს წირვას, კისერს მოუტრებს, ჩააჩუმებს, ბუჩქთან შიავდებს და მერე საკუთარ ნაკვალევს ისე აურევს, რომ ენაგადმოგდებული მდეკრები ერთშიეორეს ცხვირებით შეეხლებიან.

ამასობაში აქოშინებული გაიძერაც სულს მოითქვამს, დამშვიდდება, დაწყნარდება, შიაყურადებს და როცა გნისი შეწყდება, თავისსავე ნაფეხურებს გაპყვება, გატუსტუსდება და იმ ჭერხანობით თბილ დედალს ხელშეორედ წასწვდება და სოროში წააცუნცულებს.

ნაცრისფერპალტოიანი კაცის მოქმედბაც, დაახლოებით ამ საქათმისდამქცევის საქციელს ჰგავდა, არც ქანცის გაცლას ჩიოდა, აღარც გულისხეთქვას, ხოლო აკიატებულს ჩვეული გულმოდგინებით აკრებლებდა, თითქოს იმის გარეშე ერთ დღესაც ვერ გაძლებდა და ვერ ისულდგმებლებდა.

პირველ ხანებში, დიდსა თუ პატარას,

თალბლივ ყველას, შეაკრავად მყოფი კაცი ეგონბათ, მაგრამ როდესაც კარგა ხნის მიკითხვ-მიკითხვის შემდგომ დაადგინეს, რომ რომელიც დაწესებულების მთავარი ბულალტერი გახლდათ, აზრი შეიცვალეს: ბულალტერი და ისიც მთავარი, ბრიყვი და ტუტუცი რა სახსენებელია, უბრლოდ ჰქუასუსტიკი არასოდეს გაეგონათ და რალა მტყიცება სჭირდება, არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჰოდა, ის საქმეგამოღეული ხალხი დასაწყისიდანვე დიდხანს ბჭობდა და დაობდა, ჭერ იმის შესახებ, თუ როდის, რომელ დღესა და რიცხვში ჩაატარათავისი პირველი თითლიბაზური ოინი და საქვეყნოდ გამოსვლა ნაცრისფერპალტოიანმა კაცმა და შემდეგ, რა აიბულებდა ყოველივე ამის ჩადენასა და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას.

ზოგმა თქვა, ხარაზ ელიშას ცოლი რომ „დედალოსმა“ ააბურთავა მაშინო, ზოგმაც ბავშვთა დაცვის კვირეულის გახსნის დღესასწაულზეო, სხვებმა კიდევ სხვა, მაგრამ საბოლოოდ დალაქმა ხამფომ დაუდგინათ, ეგ ყველაფერი პროსპექტი რომ თეჭირებით გადატიხრეს, სწორედ იმ დღეს მოხდა და აღბათ თქვენც კარგად გახსოვთ, მაგრამ თავის გაქნევა, ანუ მხრებზე დადგმული ღამის ჰურჭლის გალაცლაცება გეზარებათო.

იმათ კი, მაინც დიდხანს იდავეს ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ რომ უფრო სრულად, კარგად და საქმიანად გავერაკეთ, ზოგ-ზოგი რამ იმ ქალაქის უახლესი წარსულიდანაც უნდა გავიხსენოთ.

აღწერილ ამბებამდე სამიოდე წლით ადრე, გაზაფხულის ქუჩას რომ სახელი შეუცვალეს და პრიგრესის პროსპექტად მონათლეს, აზრი სხვადასხვა გამოითქვა. ზოგმა „ბავშვი არ დაბადებულოყო და აბრამს არქმევდნენო“, — იქით კიდევ — „ააფრინე ალალიო...“ — მაგრამ ყველაზე სალად, მაინც ქალაქის მესვეურები მსჯელობდნენ და ისინი — „აღდგომა და ხვალეო“, — ფიქრობდნენ და სწორედაც საზღერავ-

დნენ, რადგან ერთის მხრივ მოსახლეობა ხომ მატულობდა და მრავლდებოდა, მეორეს მხრივ, ადგილმდებარეობის მეოხებით, ქალაქი სუროს ჩითილივით გამუდმებით ცალ მხარეს მიიწევდა, იწელებოდა, იზრდებოდა და უნდოდათ თუ არა, მოკლე ხანში გაზაფხულის ქუჩა პროსპექტად უნდა ქცეულიყო.

ასეც მოხდა ერთ მშვენიერ დღეს, იმ ქიზო-მახო სახლებს, წინ რომ პატარა-პატარა ბალები ჰქონდათ მიტმანული, მძლავრი ბუღდოზერები მიუსიეს და რიგში ჩაყენებულ, წყიპურტგაართულ დომინოს ქეებივით მიიწვიენეს, ტროტუარების გასწვრივ მდგომი ბებერი ხეებიც დასხიპეს, დაჭრეს და ამოძირკვეს, მერე ყოველი მხრიდან შეესივნენ და იმ ნამოსახლარზე, მოზრდილი მდინარის სიგანე გამოზირი გაკიემეს, მრავალსართულიანი ცათამბჯენებით, ალვის ხის სიმაღლის ნეონისნათურიანი ბოძებით, შუქნიშნებით, ფირნიშებითა და მიწისქვეშა გადასასვლელებით.

პირველ ხანებში, ყოველივე განზრახული გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ მანქანების რაოდენობა რომ გაორმაგდა და გაოთხმაგდა, ფეხით მოსიარულეებმა ნაბიჯს მოუშატეს, და უშმაკის მოციქულებმა კიდევ სიჩქარეს, და ბოლოს მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო, ერთ-ერთი ენაჭარტალას თქმისა არ იყოს, ხარაზ ელიშას ცოლი „დედალომა“ ააბურთავა.

თავისთავად ეს ფაქტი, ქალაქში დიდ გამოხმაურებას არც გამოიწვევდა, მითუმეტეს, რომ მაინცდამაინც არც თვით ელიშა იკლავდა თავს, პირიქით — „ილიეს ამოყიუნთქე და დაეისვენო“ — გაჰყვიროდა, მაგრამ იმავე მონაკვეთზე, ერთი კვირის თავზე, უფრო დიდი ცოდვიკითხვა და უბედურება დატრიალდა.

სკოლიდან შინმიმავალმა ტუუჰმა დაბნა, „ბავშვთა სამყაროში“. საუბმიდან დანაზოგი ფულით, ფერადი ბუშტები იყადეს, კარებთანვე გაბურეს, გატიკნეს, კოჭისძაფით გააკოჭეს და ის იყო,

ხელიხელჩაკიდებულები გვერტებზე აპირებდნენ შეხვევას, რომ ერთ-ერთს, რომელიღაც ბოროტი ჩადოქრისაგან მოვლენილმა ქარმა, ყველაზე დიდი და ლამაზი ბუშტი გამოსტაცა, ააფარფატა და მძლავრი დაქროლვით პირდაპირ პროსპექტზე გააქანა. პატარაც, რალა თქმა უნდა, იმწამსვე გაეციდა გატაცებულს, მეორეც, როგორი ტუუჰისცალი იქნებოდა, თვალის დახამხამებაში რომ არ მიჰყოლოდა და ორთავე გოგონა თვალწყვეტილ ავტომანქანების ნაკადში ისე მოუფრიდებლად შეუტყუელდა, თითქოს უკაცრიელ მდელოზე პეპლებს მისდევდნენ დასაჭერად.

ტროტუარზე მდგომი ნაცრისფერ-პალტოიანი, შიშადქცეული თვალებით უცქეროდა, როგორ დაუდევრად გადაბროდა ორი პატარა, თეთრბაფთიანი და კანკებწვერილი გოგო რვა რიგად მიმჭროლავ მანქანებს შორის, მათ წინ კი ზიგზაგებითა და ჰეროუანი ხტუნვა-ხტუნვით ცისფერი ბუშტი მიფარფატებდა. შემდეგ კაცმა შენიშნა, როგორ ერთდროულად წასწვდნენ პატარები გატაცებულს, აღტაცების ღიმილმა რა-რიც გაუცისკროვნა და გაუნათა ორთავეს სახე და შემდგომ, როგორ აიტყო-რცნა მათი ციკქნა და მსუბუქი სხეულები პაერში, რა ქაოსური ტრიალით გაფრინდნენ ისინი, როგორ ბუღდიდან გადმოკვენილ ბარტყებივით დაასკდნენ მკეროესა და მყარ ასფალტს, და ქშენით მომავალმა ათტონიანმა ურჩხულმა, რა საოცარი დაუნდობლობით დაამსხვრია და გასრისა მათი სუსტი სხეულები...

მაგრამ „საგზაო შემთხვევა“ ამით არ დამთავრებულა მანქანის მძღოლმა თუმცა შეგვიანებით, მაინც მოახერხა საჭილ ბოლომდის გადატრიალება და ბეტონით დატვირთული ლევიათანი ტროტუარზე ახტა, გზად შემხვედრი რამდენიმე სული ადგილზევე გადათელა, კიტრინები შელუწა და ხალხით გაქედნილ სასადილოში დაბარებულ სიყვდილივით შეიჭრა.

ესოდენ ქარბი და მოულოდნელი

სისხლისღერა იმ ქალაქის არსებობის ისტორიაში არასოდეს მომხდარა.

ჯერ სახენდასერილი, დაჩეხილი და გაფითრებული ხალხი გამობრბოდა სასადილოდან, შემდეგ სასწრაფო დახმარების სანიტრებს ერთიმეორის მიყოლებით გამოჰქონდათ საცოდავად გალურჯებული გვამები, ბოლოს, ყოველივეს დამთავრების შემდეგ, დაგვიანებით გამოცხადებულმა სახანძრო რაზმელებმა, წყლის მძლავრი ქველით გარეცხეს და გააკრიალეს ბავშვების სისხლით მორწყული ქუჩა და ნაცრისფერპალტოიანმა კაცმა ისიც გარკვევით შენიშნა, რომელიღაც დის ოდესღაც თეთრი ბაფთა, როგორ აიტაცა ტალახიანი წყლის ნიაღვარმა და პროსპექტის სავალი ნაწილის კიდეში ჩატანებული გვირაბით სამარადემოდ ჩაჰკარგა ქვესენელში.

ყველაზე დიდ და ძნელად აღსაქმელ ფაქტად მიიჩნეოდა ის დარჩა, რომ როდესაც ბავშვების ჯერაც მოფართხალე სხეულები გამზირზე ეყარა, როცა თეთრ ხაზზე ღრიალით ვადარბოდა მაქაში მტევანწაყლილი ზონზროხა კაცი, ავტომანქანები მხოლოდ წამიერად ანელებდნენ სრბოლას, თითქოს მუხრუჭების ხრჭილით ეკითხებოდნენ ერთერთს მომხდარი ფაქტის შესახებ, შემდეგ საბურავების ზუზუნით კრეფდნენ სიჩქარეს და საყვირების ყვირით გაბმით გაკიოლდნენ — „მოსახდენი მომხდარია... ნუ შეჩერდებით... წინ, წინ, წინ!“.

იმ დღეს, შესვენებაზე გასული მთავარი ბულაღტერი სამსახურში აღარ დაბრუნებულა. ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, ეს პირველი უმიზეზო გაცდენა იყო და თქვენ რაც გენებოთ ის დაარქვით, ნამდვილად არასაპატიო თქმის; თუმცა იქნებ მიბრუნებულყო კიდევ, მაგრამ გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როდესაც ქალაქში განათება ჩართეს და პროსპექტები ნაირ-ფერმა შეტკრეკლამებმა გააჩახჩახა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მათგანზე გამუდმებით ინთებოდა და ჰქრებოდა უჩვეულო

წარწერა — „გაუფრთხილდნენ ქვესენელებს — სამყაროს მომავალს!“.

დაბინდებამდის სად იყო და რას აკეთებდა, ნაცრისფერპალტოიანს ამის გახსენება, არც მაშინ უცდია და არც შემდგომ, იქნებ სულაც ერთ ადგილზე იდგა და ამოჩემებულ წერტილს მისჩერებოდა, იმისი უქულმართი გონებისაგან ესეც მოსალოდნელი გახლდათ.

ასე იყო, თუ ისე, რიყრაცაც და განთიადსაც თავის პატარა ბაღში შეხვდა, ჭირკოზე ჩამოძვარა და ცას შემაცქერალო ცოლი რომ ჰყოლოდა, ანდა შეილები, მითუმეტეს ქალიშვილები, იქნებ დროულად გამოჰკვებოდნენ, სახლში შეეყვანათ. თბილ წყალში ფეხები ჩაყრევივინებინათ, პირამწდონი და ჩაიდაეღვივინებინათ და ჩათბუნებული დაეძინებინათ, მაგრამ ასე არ მოხდა, და ახლა დანამდვილებით შემოძლია დაგიდასტუროთ, რომ გამთენიისას კვლავ შეტირბლულ ბაღში იჯდა და ახალი დღის დაბადებას იჭ შეხვდა. თუმცა მთელი ღამე რაზე ფიქრობდა და მსჯელობდა, ამაზე დაბეჭოთებით ვერაფერს მოგახსენებთ.

დილით, როგორც სჩვეოდა, აუჩქარებლად გამოიტანა სარწყულბეღლი, ჯერ პატარა ქოთნებში შეშინებულ ზღარბებივით გატრუნული კაკტუსები დაარწყულა. შემდეგ თაროებზე გამწკრივებული ნაირნაირი ყვავილებიც სათითაოდ მოინახულა, როდესაც მათ ელაციცებოდა გაბმით და ხრინწიანად ახველებდა და წესით ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, ხანდაზმული აღამიანისთვის ღია ცის ქვეშ ღამის თევზა, იშვიათად თუ ჩაივლის გაუმიზეზებლად.

ბოლოს, თითქოს ყველაფერი გადაივიწყაო, საუზმეც გემოვნებისამებრ მოიშადა, ერბო-ვერცხი არც დანით აურევიდა და არც ჩანგლით. ყავაც ქაფმომდგარი მოხარშა და დროულად გადმოდგა. მოკლედ ისე იქცეოდა, როგორც ყოველთვის. მხოლოდ ეგ იყო წვერის გაპარსვა დაავიწყდა და ისიც მხოლოდ იმის გამო, რომ მთელი ღამე კოტივით



იჭდა და ალბათ ის დღევ წინამორბედის გაგრელებად მიიჩნია.

იმ დილით, გაუწაფავი რეპორტიორის ენით რომ ეთქვათ, მშვენიერი ამინდი იდგა, სუსტი ქვევა ქარი, რომელსაც ახლადგაღვიძებული ბალახისა და გამთბარ-გაფუებული მიწის შორეული სურნელი მოჰქონდა, უწყინარად ჰქროდა, მაგრამ ზევით, ცაში, ძლიერი გრიგალი მშინევარებდა და ამის მისახვედრად სრულებითაც არ იყო საჭირო კისრის აღერა და მაღლა ყურება, რადგან ხანგამოშვებით შორეული ღრუბლის ჩრდილი ისეთი სისწრაფით გადაუფრენდა ქალაქს, რომ ავტოსტრადაზე დიდი სიჩქარით მიმავალ მანქანებსაც უსწრებდა.

ნაცრისფერპალტოიანი კაცი აუჩქარებლად მიუყვებოდა რიყის ქვით მოკირწყლულ შუას, განუყრელი პორტფელი ილღაში ჰქონდა ამოჩრილი და ხანგამოშვებით ქალაქის დასავლეთით გაწოლილ, ამომავალი მზის სხივებით გასხივოსნებულ მთის კალთებზე გასცქეროდა, რომელთაც უკვე მკრთალი და ხასხასა მოლისფერი დაჰკრავდა.

ასე უწყინრად და დინჯად მიდიოდა, შედგებოდა, გაჰხედავდა მთებს, ჩაფიქრდებოდა წამით და კვლავ აგრძელებდა გაზს, იმ დროს ათასი ფსიქიატრიც რომ შეგეხვედრებინათ და იმათში თითო-ორი ბოზოლა მეცნიერიც გაგერიათ, ხელალებით ერთიკ ვერ იტყოდა ამ კაცს რაღაც ვერა აქვს რიგზეო. ეგ კი არა, „მსუბუქად უფშტენო“. მაგ დიაგნოზსაც ვერავის დაადგენინებდით, იმდენად მშვიდი და აუღელვებელი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა ლამენატები გახლდათ და წინა დღითაც რაღაც-რაღაცეები ჰქონდა განცდილი.

ისე, ქაგარისზე შეზობლებული ზღარბისა არ იყოს, აღქმის პირველი შთაბეჭდილება ხშირად მაცდურია, და თუ კარგად და გულმოდგინედ დააყვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ იშვიათად იმგვარად გააქანქარებდა თავს, თითქოს ყურებში კრაზანები ესხდნენ და იმათ მოშორებას ეძლიებოდა.

ყოველივეს რომ სქოლიომტყუპს ვყვეთ და ჩავეძიოთ, განა იმის გარეტრებებულ ტყინზე და არეულ გონებაზე ისიც არ მიგვანიშნებს, შუკის ჩამოვლამოთავება და შემდეგი ჭეჭრის გავლაც, ყოველთვის ნელი ნაბიჯით რომ იცოდა და საერთოდ, სამახურამდის ფეხით ამჯობინებდა მიჩანჩალებას, და ეს როდის? ჩვენს დროში, ამ საუკუნეში, როდესაც ინგლისელების, ამერიკელებისა და ესკიმოსების თქმისა არ იყოს — წუთი მილიონი ღირს.

ახლა უნდა გენახათ, იმ საამაყო პროსპექტს რომ მიადგებოდა, როგორ შეიკმუნინდა შებლს და დატუქსულ სპანიელივით უქმყოფილოდ აიპრებდა ცხვირს, ღმერთმანი, ვინმეს რომ ეცოთხა, ის ძველი ერთსართულიანი სახლები და მოცუქსული ბაღ-ბაღჩეები ხომ არ გერჩივნა. ამ ზღაპარსა და საოცრებასო, იქნებ თავიც დაეკანტურებინა და — „სწორედაცო“ — ეთქვა, დაუქრებელია, მაგრამ იმისაგან ასეთი პასუხი მაინც დასაშვებად მიმაჩნია, იმდენად უცნაური და ახირებულო ვინე ჩანდა.

ჰოდა, იმ დილით, როგორც კი ახალ პროსპექტს მიალწია, თითქოს მოსახლელ მტერს შეეჩეხაო, ისე აუღელვარდა თვალები, ნაბიჯსაც აუჩქარა და ჩვეულებისამებრ დააპირა მისი გადაჭრა, მაგრამ ნურას უკაცრავად, სწორედ აქ ჩაუვარდა კოჭი ნაცარში.

პროსპექტი თავიდან ბოლომდის, მთელ სიგრძეზე, ფოლადის მსხვილი მილებით იყო გადატვირთული და იმ ფორსიფეციას მთიმე ტანციც რომ დასტავებოდა ძვრასაც ვერ უზამდა, ისე იყო გამაგრებული, და ეს ყოველივე იმ ქალაქის ბეროს დამსახურება და წინა დღით მომხდარ უბედურ შემთხვევაზე, მისივე ხელკვეითების ოპერატული რეაგირების შედეგი გახლდათ, სხვა რაღა ელონათ, ხალხს ხომ არ დააბღვევიინებდნენ მანქანებს, ანდა პირიქით, მანქანებს ხომ არ დაასრესინებდნენ მოქალაქეებს.

ნაცრისფერპალტოიანს ჰიროს დღესაც ვით სძულდა მიწისქვეშა გადასასვლე-

1130

ლები: ჯერჯერობით ხომ არსებობენ ისეთი ახირებული პიროვნებები, რომლებსაც არ სურთ საკუთარი ფეხით და სურვილით იქ ჩასვლა, სადაც ადრე თუ გვიან, სხვათა დახმარებით და მეცადინეობით უნდა მოხდნენ, ამიტომაც თითქმის დაუფიქრებლად (რამდენჯერ ავლნიშნეთ ყუყუჩი იყო-მეთქი), ქვედა მილზე მარცხენა ფეხი შედგა, თავისუფალი ხელით ზედა მილს ჩაეჭიდა, შემდეგ მარჯვენა ფეხიც გადაატარა და დაიჭრებო? — ამ ხნის აკვირ თეჯირზე გადაბობლდა. აი, როდის ღირდა მისი ნახვა და ყურება, როსინანტზე ამხედრებულ მკმუნვარე სახის რაინდს ჰგავდა, მხოლოდ იმასავით მალლა-მალლა კი არ იცქირებოდა, დაბლა, თითქოს უზანგებს ჩასჩურებოდა და თვალბიკ უცნაურად ამღვრეული და ჩაწითლებული ჰქონდა, მაგრამ მსოფლიო სევდის გამო კი არა, უბრალოდ მანქანების ძრავების გამონაბოლქვების მეოხებით, ჩვენ რომ სმოგს ვუწოდებთ ხანდახან, და რადგან არც რაიმეს დანახვა შეეძლო, იქნებ სურვილიც არ გაჩნდა, ადგა და ასე, ნისკარტით მკერდისკეპია ბატივით თავჩაქინდრულმა დაიწყო პროსპექტზე გადასვლა.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრასის იმ მონაკვეთზე სამოცდაათი კილომეტრი სიჩქარე მინიმალურად ითვლებოდა და ხომ წარმოგიდგენიათ რა აერიოტაქიცი იქ ატყდებოდა.

პატიოსანი პროკურორი რომ ქურდების საკანში შეაგდო, ანდა პირიქით, ანგელოზი რომ ჯოჯოხეთში შეაფრიონოთ, ისეთი ღრვიანელო, ჭყვილი, ხრკილი, ლანიღვა და ვაი-უბედურება ატყდა. „დედა შეიღს არ აიყვანსო“ — რომ იტყვიან. დაახლოებით იმდაგვარი.

დოღზე რომ ფალსტარტი მოხდებოდა და მხედრები ასლეტელ მერნებს ორორი ხელით აღვირებიდან დაჰქაჩავენ, ისინი კიდევ, ვიდრე ლაგამით ლაშებს არ აიხვევენ და საკუთარი სისხლის გემოს არ შეიგრძნობენ, რომ ვერ დაოკდებიან და შემობრუნდებიან. იმის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა და ვგონებ უარე-

სიც, რადგან იქ სტარტია და მანქანები ბელოა, აქ კიდევ შუა გზაზე ხდებოდა ყოველივე, ერთიმეორეს გაჭიბრებულ, გაჭიკებულ და თავაწყვეტელ ავტომანქანებს შორის.

იყო ერთი შეხლა-შემოხლა, საყვირების გაანჩხლებული გადაძახილ-გადმოძახილი და მძღოლების გაფითრებული, დაკომული სახეები: ზოგი აქეთ და ზოგიც იქით, რომ ატრიალებდა საჭეს, და ის მანქანებიც, უხედნ ხარებივით ურჩობდნენ და გვერდულად მაინც ნაცრისფერპალტოიანისაყენ მიიწევდნენ ბლულით, მაგრამ იმ ანდაზისა არ იყოს, „ბედი მომეც და თუნდაც დენითთ სავსე კასრში გავაფულიებ ყალიონსო“, მასზედ ყოფილა ნათქვამი. ისე გულარზეინად მილაჯებდა, თითქოს მიქელ გაბრიელის მიერ ხელმოწერილი ხელშეუხებლობის საგარანტიო ქალაღდი ჭიბეში სდებოდა.

ახლა, ზემოთა მხრიდან „ტრუ-ტრუს“ სტვენითა და ჩექმების ბრახა-ბრუხით წესრიგისდამცველი გამობოდა, ცალი ხელით ქუდა იკავებდა თავზე და ყოველ ნაბიჯზე მეტრიან ნახტომებს აკეთებდა. მიიმე ჩექმას რომ ხელი არ შეეშალა, იქნებ ოცი სანტიმეტრით მეტიც მოეხერხებინა.

იმ აუაღმაყალზე, მეზრტეების ჭრიალზე და გამაყრუებელ ჭყვიტინზე, რაც კი ახლომახლო დაწესებულებები იყო, ყველას სარკმელები გამოიღო და თითოეულში, სულ მცირე, ოთხ-ოთხი თანამშრომლის თავი მაინც გამოშვურდა, უფროსებსაც და ხელქვეითებსაც ის აინტერესებდათ, რაიმე ახალი ხომ არ მოხდა: წინა დღის ორომტრიალი ჯერ კიდევ ახსოვდათ, ანდა სანახევროდ დაევიწყებინათ, დიდ-დიდ ქალაქებში, ზომ ამდაგვარი შემთხვევების მრავალფეროვნებით ხალხი გააზიზიბებულია და ყოველდღიურად ნაირნაირ სანახაობას მოეღიან.

ამიტომ, სერიის მაკქერალთაგან უმეტესობას, თუმცა შეუგნებლად, მაგრამ მაინც, გული დაწყდა ნაცრისფერპალტოიანმა მეორე ნაპირს რომ უფნებლად

მაღლია. ერთმა — „ამ ყვინცლიანს კი არ გასარესენ ეს ოხრებიო“; მეორემ — „იმ ბავშვების ნაცვლად ნეტავ ეს დავეხვილი გადაეთქვათო“; სხვამ — „მწიფეს ესვრიან და მკვახე ცვივაო...“ — მოკლედ გადატყავებამდის მოიქავეს ენები, თავიანთი სიყუთე და სათნოებაც, ფარშავანგის კუდივით, ერთხელაც აუფრიალეს ერთიმეორეს თვალიწინ და რაც მთავარია სამუშაო დღე თხუთმეტი წუთით შეამოკლეს.

იქნებ სამი ან ხუთი წუთიც ემყოფინებინათ, მაგრამ ის მოხუცი აყვია, რომ წესრიგის დამცველმა გაქაჩა, აბა იმ დროს ფანჯრის მიმკეტველი და უკან შემბრუნებელი ვინღა იქნებოდა, ეგ რაა, დელეგატებიც კი წარგზავნეს იმათი დიალოგის სტენოგრაფიული ჩანაწერისა და დამახსოვრებისათვის.

— „შენა, შენ ბატონტყინავ, სიცოცხლე ხომ არ მოგებურდა?“ — უპირველესად ეს უკითხავს შემპყრობელს და შემდეგ — „ეხლავე ამოღერღე რომელი საგიჟეთიდანა ხარ გამოქცეულიო?“.

ნაცრისფერპალტოიანს კი ყურადღების ღირსადაც არ მიუჩნევია, ვითომც იმის ადგილზე კალოზე გამოდგმული ბელურის საფრთხობელა მდგარიყოს, რადგან იმ დროს გრანდიოზული და თვალებგადმოცენილი ასფალტში ჩატანებულ სანიაღვრე ხერგულს მისჩერებოდა, თითქოს დიდად საინტერესო რამ შეემჩნისო იქ, და ასე გამოლენჩებულს, პასუხის გაცემა მაინც მოუხერხებია — „სიტყვას პატივი ეციოთ და მიმართვის სხვაგვარი ფორმა შეარჩიეთო“.

აქეთ წესრიგის დამცველი გადარეულა და შეტეხილი ხალხისათვის შეუჩივლია — „რას მლანძღავს ეს ოხერი, ჩვენს ფორმასა და ჩაცმა-დახურვას მე ვინ მეკითხება, მთავრობის მიერ არისო დადგენილი“.

ერთმა ყრუმ რომ მეორეს კითხა — „სოფელში ხომ არ მიდინარო?“ იმან — „არა ეკო, სოფელში ეპირებო“... ჰი-

რველმაც — „ჰო... ო... მე ვერც ვხედავ ველში თუ მიდიოდო“...

დაახლოებით იმათაც ასე დალაგებით უსაუბრიათ და ბოლოს წესრიგის დამცველსაც მეტი რა საშველი ჰქონდა, ზიბიდან ქვითარი უშიშვლებია და რიგისანი ჭარბმაც მიუტყუებია.

აი, ასეთი გახლავთ ნაცრისფერპალტოიანის დებიუტი პროგრესის პროსპექტზე და, როგორც ჩანს, დასაწყისიდანვე მოსწონებია საკუთარი მოხერხებულობაც, კასკადრობაც და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნაც, რადგან იმ დღიდან მოყოლებული, არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან, არც დილით სამსახურში მიმავალს, არც უკან მობრუნებულს და ხშირად შესვენებისათვის განკუთვნილი დროც ამ მიზნით გამოუყენებია.

ჩვენი ახალი ცენტურიონებიც, რა ბიჭები იქნებოდნენ და თავისუფლად აპარპაშებდნენ ამისთანა დარეხვილს: ერთი რომ ეერაფერს გამხდარა, მეორეც მოუშველებია, ეგ უკვე რამდენიმე დღის შემდგომ, იმიტომ, რომ აქეთა მხრიდან თუ გადაასწრებდა, გინდაც აქერონტზე ფეხმშრალად გასულად და ბეწვის ხიდზე გავლილ-გადასწრებულად ჩათვლებოდა და შემდეგ ხუთეულშულასავით შეეძლო გამოეძახა — „გაგასწარ და დედაც გიტყვიო“!

იქ კი, სიკვდილის მოციქულებით აფუთფუთებულ ტრასაზე, მხოლოდ მასავით ქუთამხიარული და ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული თუ გაბედავდა გამოკიდებასა და გადაყოლას, წესრიგის დამცველთაგან კი სიცოცხლე არავის ჰქონდა მობეზრებული და ამიტომაც იყო, კვირის თავზე რომ ორნი იდგნენ, ერთი ვალმა და მეორე გამოლმა მხარეს და ეჭვს ვარეშეა დაამარცხებდნენ კიდევ, ამ მეტოქეობაში საქმიანი უსაქმურები რომ არ ჩარეულიყვნენ, ისინი კი მხოლოდ გართობის მომხრენი იყვნენ, ამიტომაც რამდენიმე ადგილზე ჩგუფებად ქუჩდებოდნენ, ნაცრისფერპალტოიანს ბუნებრივ შირმას უქმნიდ-

ნენ და ეს ატროკებული ბერიკაცი, ხან ერთგან გადაბობლდებოდა თეჯირზე და ხანაც მერრგვან. სეირის მაქცერალნი ეი გამამხნევებელი შეფაბილებით ავუღიანებდნენ და ისედაც გაალმასებულ წესრიგისდამცველებს თავებდს აწყველინებდნენ.

სხვათა შორის, ასეც ხშირად მომხდარა, აქეთ ხომ დაუჭარიმებით და უკანეუვად მოუბრძანებით, მაგრამ ჭიუტების ჭიუტს, იმ გაიძვერა მელაკუდასავით მაინც აურეგია გზა-კვალი, ხელმეორედ გადაფოფებულა და ახლა იქითა მხარეს უტაცნიათ ხელი და იქაც გაუფერიათ ტყავი, მაგრამ რად გინდა, გამარჯვებულად მაინც ის მიუჩნევიათ, რადგან არბიტრებს ფონს გასულად და ხელაწეულად ჩაუთვლიათ.

შემდეგ, საჩივრები სტადიონზე გოლის გატანის დროს გადმოყრილი ქალღმერთებით რომ წამოვიდა და აფრიალდა, რაღა განმარტება სჭირდება, იმ სვეგამწარებული მძლოლებსაგან და ქალაქის ყველა სათანადო ინსტანცია ააფორიაქა. მაშინ ეი იკადრეს, ვისაც ეს ყოველივე უშუალოდ ეხებოდა და სერიოზულად ჩაფიქრდნენ. უპირველესად „ნეტავ რატომ სჩადისო?“ — დაინტერესდნენ, ტვინიც ანთხიეს და პასუხი რომ ვერ მოუძებნეს, სტაცეს ხელი და ის მეამბოხე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიბრძანეს, მაგრამ დალაგებული გონების პატრონები, როგორც ჩანს, არც იქ დახვედრიან, ჰოდა, ნახევარ საათში უკანვე გამოუბრძანებით „ნორმალურის“ ეტიკეტით, ესეც წამოსულა და „გამდის და ეტირის“ მიქმელი ბალაოვით მოქცეულა და ყველაფერი ძველებურადვე გაუგრძელებია. ბოლოს ეი ის მომხდარა, რომ ორ რიგითს განცხადებები შეუტანიათ უფროსთან, სამსახურიდან გაგვანათავისუფლეთ, მავ შერეკილთან ძიძგილობა აღარ შეგვიძლიაო!

აბა, საქმიან უსაქმურებს გაუგებარი რა დარჩენიათ, ეს რომ ვერ დაედგინათ და გულოთაც გაუხარიათ, ლამის ვაკადაყ

აურჩევიათ ის „ნორმალურბრძანებნიანი“ მალური.

ბოლოს ისე გახმაურდა ამ ზრდასარული ხალხის ეუუ-დამალობანას თამაში, რომ წესრიგის დამცველებს თათბირიც მოუწყვიათ, მაგრამ ერთსულოვნება ვერ გამოუჩენიათ, რადგან იშვიათად ასეც ხდება, რომ კანონი წესრიგის დამრღვევის მხარესაა, ანდა ზედმეტად ლობიერია და ამიტომაც ნაცრისფერპალტოიანი ქარაფშუტასათვის ვერაფერი უხიზანიათ, და ვერც ბუზი აუფრენიათ. ასე რომ ყოველივე წინანდებურადვე დარჩენილა.

ამ ხანობაში ეი, და ეს ზამთრის მიწურულიდან გაზაფხულის დახანებამდის გაგრძელდა, ნაცრისფერპალტოიანი კაცი სიჯიუტით განაგრძობდა აკვიტებულს და ამ სამი თვის განმავლობაში, არავინ უწყის, მისი შემწეობით რამდენ მანქანას შეექყლიტა გვერდი, რამდენს მოეგრიბა ცხვირი და კარებგახეხილსა და მინებჩაღეწილს ხომ სათვალავიც დაეკარგა. დასასრულს, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ იმ დაწყველილ მონაკვეთზე, სადაც ის სიცოცხლემოძულეული უფასო წარმოდგენებს მართავდა, უკლებლივ ყველამ გაათკეცებული სიფრთხილითა და ყურადღებით იწყო სვლა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ ოინზაზის დამსახურება ეი არ გახლდათ. აქ ერთი საოცრებაც მოხდა, რომელიც ყველა მძლოლმა ცალ-ცალკე შენიშნა, მაგრამ არც სხვებთან და არც ერთმანეთთან კრინტიკი არავის დაცდენია და უდაოდ იმის შიშით, ჩვენც შლეგებად და გონება-არეულებად არ ჩავვთვალონო.

თუმცა, როგორც ჩანს, ყველაზე ადრე ამას თვით ნაცრისფერპალტოიანი მიხვდა, მაგრამ რაღაც აკვიტებულ მოთხოვნილებებისა თუ იმ საოცარი სიჯიუტის გამო, მხოლოდ გაჭირსახედრებსა და მარტოხელა შინაყულებს რომ ახასიათებთ, დაწყებულს კუდის რიკამდის მიჰყევა და ამასთანავე. მართლაც დენთის კასრში მჭდომისა და ყალიონგაჩალებულის ბედი აღმოაჩნდა, სხვაგ-

ვარად როგორ ავხსნათ, რომ იმ თათრული ნარდის ქვებივით გამწვრივებულ და ერთიმეორეზე გადაბმულ მანქანებს შორის, ასე უვნებლად ახერხებდა გასხლტომასა და გაძვრომას.

მხოლოდ ერთხელ მოხდა, კვერცხისმდებელ დედალივით აკანკალებულმა მოტოციკლმა რომ გადაფრბინა ფეხსაცმლის კვინტზე და ცერა თითი ისე დაუყევა და მიუჭყლიტა, მთელი ორი კვირა ახლად ნალებდაჭედნილ ჭორივით დაბონდრიკობდა, მაგრამ ამ ფათერაკზე მეტად საინტერესო, იმისი და გახეხილ-ჩინისიანი ბიჭის საუბარი გახლდათ.

— „გეფიცებით, ჩემდაუნებურად მოხდა ყველაფერი...“ — თან ებოდინებოდა ის ახალგაზრდა და ამასთანავე, ჩაცუქულ-ჩამჭდარი დაზარალებულის თანამის შეხსნასა და ფეხსაცმლის გახდას ცდილობდა. ეს აკენესებული ბოთე კი ეწინააღმდეგებოდა, ნებას არ რთავდა.

— „ვიცი, დარწმუნებული ვარ, თქვენ არაფერ შუაში ხართ...“ — იმდაგვარი დაჭერებით ამწვიდებდა, თითქოს ის ორთელიანი ჭინკა თავისით მოთხარკობდა და ეს ყმაწვილიც ზურგზე სახრეგადებული სტევენა-სტევენით მოაცილებდა.

ჯამში მაინც ის გამოვიდა, რომ რევერანსიც იქეთ გაუყეფა. გულისხმიერებისათვის მადლობაც გადაუხადა და ოსაბიჩრებისათვის კომპენსაცია რა სათქმელია, წამლის ფულის წალღუტაც არ გახსენებია, ისე გაუშვა და გაშორდა.

აღბათ ყველას ახსოვს ერთი გონიერული ანდაზა — „ყოველი წყალზედ უნდა გატყდეს...“ და მე რომ არ დამესწრო, თავადაც მშვენივრად მიხვდებოდით, როგორც უნდა დასრულებულიყო ყოველივე.

პარასკევე დღეს, აპრილის ოცდაცხრამე და არა ორშაბათს და ცამეტ რიცხვში, ნაცრისფერაკალტოიანი კაცი დილაადრიან მიადგა პროგრესის პროსპექტს და პირველად ამ ხნის განმავლობაში ცნობისმოყვარეობითა და გულისყურით შეათვალაერა მიწისქვეშა გადასასვლელთან სკიპის საყურებლად შეუ-

რილი ხალხი, ისეთი დამკვირვებელი და ამომცნობი მზერით უცქერდა, როგორც გამოცდილი გამომძიებელი ეპემიტანილ. მაგრამ უტყუარ აღიბიან, ნაცად ბოროტმოქმედს. ასეა თუ ისე, საბოლოოდ მაინც გადააბოტა იმ ყვითლადშეღებულ რკინის გოლგოთას, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც ყველამ თავი ჩააპარა და მზერა აარიდა.

აპრილის დამლევს ის დილა, მართლაც დიდებული რამ იყო, შეყვარებული ქალწულის თვალბივით გაცისკროვნებულსა და მოლივილვე ცაზე, ღრუბელი კი არა, ნისლის უმცირესი ფთილაც არსად მოიძევებოდა და პეკრშიც პირველი, გაუბედავი ამბოხის სითბო ტრიალებდა. რაღაც დიდი, თითქოს მრავალჯერ განცდილი, მაგრამ არა განახლებული, არამედ ახლად დაბადებული ილვიებდა, ყოველივეს ალაგზნებდა, ამასთანავე სთენთავდა. ცივ წყალში დგაფუნსა და სარეცელში ნებივრობდა ანატრებდა, სიცილსა და ტორილს ერთდროულად ანდომებდა და ბედნიერების სეედას, თუ სეედის ბედნიერებას განაცდევინებდა. დაგვიანებული გაზაფხული სრული აალოთ მოდიოდა, ერთანტელის მომგვრელად მოფარფატებდა, მოყდურტულობდა, მაგრამ პროგრესის ნაცრისფერ პროსპექტზე ადამიანები ამას არსით კი არა, გუმანიტაც ვერ გრძნობდნენ, გინდაც თანდაყოლილი ინსტინქტით, რადგან არც ხის, აღარც ყვავილის და ვერც მიწის სურნელი იქამდის ვერ აღწევდა.

ბოლოს და ბოლოს, ნაცრისფერაკალტოიანმა მაინც გადაიარა ბარიერზე, თუმცა ამჯერად თითქმის გადახტა, მსუბუქად გადაეცლო და როგორც სჩეოოდა, ისე თავჩაბრილმა კი არა, მხრებში ლალად გაშლილმა, თავაღრილმა და ზეცის მაკტერალმა იწყო სვლა.

მიდიოდა მშვიდად, გამიზნულად და შინაგანად დაჭერებულად, როგორც ბობოქარ ტალღებზე მოარული ღვთისშვილი.

და აქ მოხდა საოცარი, დაუჭერებ-

ლი რამ. რასაც უდაოა, ვერც ერთი იქ მყოფთაგანი ველარასოდეს დაივიწყებს.

ერთის შეხედვით თვინიერად და მორჩილად მომავალი ავტომანქანები უცერად გაჩივდნენ. აირიენენ. თითქოს ტარტაროზმა ერთგულ ურჩხულებს ჯადოსნურ კვერთხის შემართვით თავდასხმის ნიშანი მისცა.

გაგულისებით აღრიალდნენ ძრავები, ლილვებმა თვითნებურად უმატეს ბრუნვას. მანქანებმა სიჩქარეს და გახველებლმა, გაშმაგებულმა რკინის მასამ პროსპექტზე მიმავალი ადამიანი ისე ამოიღო მიზანში. როგორც დაგვიღამა მწვევართა ჯგრომ ბუჩქიდან გამოიბტარი კურდღელი.

ამ საშინელო მეტამორფოზით დამფრთხალმა მძღოლებმა, თუმცა ტერფები მოადუნეს, ექსპლატორები განათავისუფლეს, საქვებიც შეატრიალეს და ყოველი ღონე რხმარეს განწირული თანამოძმის სახსნელად და გადასარჩენად. მაგრამ უმეტესად მძღავრმა სძლია სუსტს და საბოლოოდ იმის დადგენაც შეუძლებელია. თუ პირველი რომელი ეძგება უბედურს. მსუბუქი, განიერი თუ მძიმე.

რკინისცხვირიანმა კენტავრებმა ძვლებდალწილი სულდგმელის სხეული ნეილონის ჩლიქებიანებს გადაუგდეს. იმათ კი ისე დაუბრუნეს უან, რომ მიწასაც არ გააყარეს და ბოლოს, რომელიღაც მათგანმა იმგვარი გაგულისებით ამოჰკრა უდრეკი მეკრდი, რომ ნახევრად ცოცხალ-მკვდარი, პარალელურად მიმავალ თეთრ ხაზებს შორის გადაისროლა. ხოლო იქ, სამყაროს მომავალ მეუფეთ. ჭერ კიდევ ეკრძალებოდათ შესვლა, და შეზღუდვის ეს კანონი რომ არა, უკვე სულთმობრძავის სხეულს ნაჭერ-ნაჭერ დაფლეთვა არ ასცდებოდა.

იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როდესაც აღწერილი ლინჩი მიმდინარეობდა, არც ერთ ავტომანქანას კრი-

ტიც არ დასცდენია, თუმცა მძღავრებმა ბი მთელი ძალით აწვებოდნენ საყვირებს და როგორც კი ნაცრისფერბალტოიან თავხედს საკადრისი მიუზღეს, გამარჯვებული ერთბაშადიანები ერთდროულად ახმინდნენ. აღრიალდნენ, აკვიბინდნენ და უძლეველობის ჰიშნი ხმაშეწყობილად დააგუგუნეს — „წინ... წინ... ჩვენ გაემარჯვეთ, მოსახლენი მომხდარია... დრო, დრო, დრო!“.

პარალელურად მიმავალ ორ თეთრ ხაზს შუა კი, გულაღმა ეგდო ნაცრისფერბალტოშემობდენილი ბერიკაცი, რომელიც ბინდგადაკრული და უკვე სიცივეშეპარული თვალებით, რატომღაც მშვიდად იყურებოდა მარბიული სამყოფელისაკენ და იქნებ უფრო შორსაც, იმ სიღრმეებშიც, სადაც მხოლოდ გონებითა შეეძლო შეღწევა.

და იქ, განჭვრეტულ შორეთში, იგი უმზერდა ნაცრისფერ ქალაქებს, უსასრულობას შერწყმულ ეამისფერ შენობებს, ასფალტისა და ბეტონის გარსში ჩამჭდარ პატოვარული მიწას, სადაც არათუ სულდგმული, ერთი მუჭი ბალახიც ვერ ხარობდა, ციკქნა ყვავილიც არ ჰყვავოდა და ყველაფერს ამას ტყვიის გუმბათად შეკრული, სმოგითა და რადიაციით გაუღენთილი, მოქუფრული ცა ეხურა, რომელსაც ვარსკვლავთა და მნათობთა სხივიც ვერ ჰკრიდა და სადაც ფრინველები ფრთისგაქნევისა და ჩასუნთქვისთანავე იგულებოდნენ და დასეტყვილებივით ცვიოდნენ ძირს.

ამასთან ერთად, იგი ხედავდა ადამიანებს, რომლებიც დედამიწის სიღრმეებში ცხოვრობდნენ, კონდენციურბული ჰაერით სულდგმულობდნენ, არსებობდნენ ხელოვნური საკვებით და ოცნებასაც ვერ ბედავდნენ დედა-ბუნემისგან ნაბოძებ ძველ სამყოფელში დაბრუნებაზე, რადგან იქ აღარ არსებობდა არც მზე, არც ჰაერი, აღარც წყალი და იყო მხოლოდ მანქანები... მანქანები... და კიდევ მანქანები...

მეზარ კვიციანი

რთველი გურჯაანში

იოსებ ნონეშვილის ხსოვნას

ამას ამბობდა თვალები, სახე:
ხარობდეს შენი მთაც და მდელოცო...
დახვდა მამული — ფერსაცხე; სალი,
მოვიდა, რთველი რომ დაელოცა.

შემღვრეულიყო წითლად ბადაგი,
ზნექავდა ჩიქნებს ვაზი ხვიარა;
იყოლა — მიწა ნაწვევ-ნადაგი,
რა ოფლმაც მორწყო, გააფხვიერა.

იტყოდა ასე: „რა ცა გვაქვს, რა მთა“...
კაცი, ამობაში ხიდის გამდები —
„არ დაგედგომოდეს სიავე ეამთა,
რა კი დღე ხარ, ნუ დაღამდები“.

„მედამ სიკეთე უნდა აკეთო,
არეინ მიხსენოთ სიტყვით მკვახეთი,
სტუმრებს მიმირთვით თითო აკიდო,
მასპინძელა ჩემი კახეთი.“

ყველა სულიერს უნდა ფერება,
მოყვარეს მხარი უნდა აუბა...
სულ სიჭაბუკე,
არდაბერება,
ჭიდილი, ფეთქვა და მოძრაობა...

ტოლს ნუ დავუდებთ გლეხებს
ნაქაფარს,
ოქროს ზოდები რისთვის გვიწვევია“...
ღიმილით, გულით ყველას გვაჯობა,
მერე ლექსებშიც გამოგვიწვია.

ზერებს ეღერებოდა ხმა მოლაღურთა
და თუბთუბებდა ქვაბში თათარა,
ლზინი კახური უფრო გახურდა,
თამადამ ჩამი შემოატარა.

გაუდიოდა სიმწიფის ყავლი,
თავთუხს ჩაწნოდა სიმინდის ფოჩი;
ყელგამოჭრილი და ჩატყაული,
კოპიტზე შავი ეკიდა ყოჩი.

ვ ვ დ რ ე ბ კ

ტირიან შენი შეილები:
„შენ, დედამოწავ, უცყეთო,
გულმუცელდაფატრულები
შენს გარდა კის ჩაუწყეთო!“

მატირებელი, მტირალი,
თვალეზდათხრილი გლოვითო,
ოქვი, შენი დამყარგავები,
უკეთესს რას ვიპოვითო!

წუთისოფელი ქვესენელში
ჩაყიდებული კიბეა:
რქადაგრებული საკლავი —
კიბესთან ვერძი გიბია“.
დაგჩერებთან, მოთქვამენ:
„დამბალო ჩვენი სისხლითო,

თავდაღმა მოგვექანებით
უბიდან არ მოგვისხლიტო.
ვერ აშორდები ამ ტალახს,
ამ ორმოს, რაგინდ ეცადო,
ენა დაღუშდა და ფრთებიც
იწვევენ დასაკეცადო“.

• • •

ვითარე ბეცურად...
რა ვქნა, რა ვიღონო,
ჩემო იარაღი.
ეაში მიმეწურა,
ნაკლებ და ნაკლებ
ვიქნები მხიარული.

წინ ვიწრო ზოლია,
ორიოდ ცოდვა
კიდევ დამედება,
შეღევა ნათელი,
ახლა იოლია
თავის გამეტება.

გულს მტკივანს, გათქერილს,
ვაითუ ამაოდ,
წამლად ვენაუები,
გადასხეპილია,
ალარ ამოიყრის,
ჩემი ვენახები.

ალარ მელანდება
წმინდა ნაწილები,
არც ნაიარალი...
მე სხვა ნაღველი მკლავს,
მშიმე გაცილებით,
ჩემო იარაღი.

დილა მყნათში

(ვიხსენებ დღეს, პროზექტურის კარებთან
დეიდაჩემის ცხედარს რომ ევლოდებოდი)

ფიქვის ტყემ ნაბდიანმა
მთელი ღამე აბოდა.
ზიხარ, სადაც წუხელი
მთვარე იჭდა ნაფოტა.

უცებ გაგვიცურდება,
დრო სრიალა გველია...
მოდის და გაიხსენე —
როდის გამოგველია.

შენდა ლოცვად მოცლილი,
გული ფრთხილობს, შინდება...
სადღაც კრიან სუდარას,
კუბო შალაშინდება.

რომელ ერთს გვეამება,
გვამის გვემა, გაკვეთა...
უგვეანოდ იგვიანებს
ზარის ხმა შენაგვეთა.

ამ ორგებულ კედლებში
ვისი ბარგი აბია...
მორგის კარს მორგებულ
აგურის გვირახია.

წვით და დაგვით ნაწრთობი,
შენც იქ გაიწვართები
და სულის შემხუთველი
დაგვეურება ვარდები.

სასაფლაო ზამთარში

აქ მოხვალ, რაგინდ სიკეთე შეავი
(არ დაილევი, სევდის მარაგო):
გათოვლილ მავთულს დააჯდა ყვავი.
რა ეუთხრა, რაზე ველაპარაკო.

ბნელს ვერ წაუხვალ კერსად,
ვერაფრით,
მიწაზეც ვერვის ნახავ დარჩენილს:
მოაქვს ბოგანოს ბარი, წერაქვი, —
საბოლოოა ეს განაჩენი.

ორშაბათი

„ორშაბათი დასვენების დღეა“
წარწერა სასაფლაოს კიშკარზე.

რისი აღიარება
ან ოისი უკუგდება,
აქ სხვა კანონებია,
მზე ბნელს დამონებია,
პორციონტი შექდება,
სასაფლაოს ბალახით,
ნარწყავით და ნალაღით,
ჭრელი ძროხა სუქდება...
სისხლმა ღება ლაყუჩი,
პირს არ იკრავს, ვაწამებს
ჭრილობა შეწამული, —
ვერაფრით გააყუჩო,
ვერც უპოვო წამალი

გარუჯულებს — ქალს და კაცს —
ცეცხლის ფაშად ნაშოენი,
აბარია ქვა-ლოდი,
კოლ-ქმარს, ამქვეყნიური,
არ ლაღატობს გემანი,
თუკი არ დაეხარათ,
დაუელიან კიდევს
გაპოხილი ქვალოთი,
ნაღდს ითხოვენ, ნისია,
აბა, რის მაქნისია,
მოელას, თითო საფლავის,
მოაქვს თითო თუმანი.

მთვარის დღეა, ისვენებს,
ღღეს, დაეანგულ ალაყაფს
არ გააღებს ქარონი:
ნაერს ფსევრი, ტორტმანა,
სახვალიოდ გაფისა,
წყლოთ ივსება ბაღია,
ღღეს ხომ ორშაბათია...
ფარდაგებზე, ნოხებზე
წუანან მიცვალებულნი,
ყოვლად უანგარონი,
ვედელს სცემს ნაფლეთები
აქრონის ქაყისა...

თეთრ გაღავანს მიყვები
ნაჯირითალ-ნაჭაფი,
მტრისას, დარბაისელნი,
აქ რომ კანონებია:
ვული რამდენს უნგრაია,
დაამტვრია მაჯები,
ციე მიწაში რამდენი
ჩაადო ჩვენისთანანი
(არასდროს დაეკრებით
წვეთი ციურ მანანის),
სუხტქვა, ღღე გაჩენისა
რამდენს ანანებია.

ჩემს გოგოს ბედმა არგუნა
 ცალკა. მოკვეთილი ძახილი:
 მამა!..
 რა უნდა მოხდეს...

ამ ძახილს რომ არ მოეყუე
 და სასთუმალთან არ დაეუდგე,
 მონასაყით წელში მოხრილი,
 გაღიმებული.

მიწურული

ვერ ზიდავს ზურგი, რაც გამოვცადე,
 უარესია ბევრად, რაც მელის:
 დარჩენილია წელი ოცამდე,
 ჭარბხალი ტანის, ჭვარზე საცმელის.

რა შევაგებო ბოროტ აქციას. —
 დამფლითა, ლაფში დამფლა ყელამდე,
 უბრალოდ, ვეტყვი, იმად მაქცოს,
 რაც ვიყავ თვალის გამოხელამდე

რას მარგებს...

დამებნო სქენა და საწერელი.
 დედ-მამა ფიქრობს, რომ ეწხარაღე,
 ვარ უველაფერში ეფხვი, ზერეღე,
 სხვების გასმის ქვეყნად „პარაღე“.

გაქმლებს ეაცი თურმე რას არა —
 აუფებელი ძალი ბასარა —
 ეანგმა სოფლისამ სული დასერა,
 დღე გაჩენისა მან შემაზარა.

ველარ ეფთხარი ეშმას „არელი“.
 იქ დაგეშა შეხი, საცა არ ელი,
 ექმად მოხეტე და მოარღლი,
 ვერა ვარ მარჯვე, დაეზარელი.

რას მარგებს ბედის ლოცვა, დაგმობა,
 კია-მქამელი მიზის არუაში;
 ბილოს მომილებს, აელიაგმები,
 მალე შეწყდება ჩემი პარზაში.

შეგრნება

რისთვის გიგია ცოდვის ლოგინი,
 სახეზე სიმწირის გადაგდის ქაფი...
 შეყარი, დიდხანს არ აბოგინო
 ბოროტი, შენზე მოიარაე, ცქაფი.

არ უნდა მისცე სარბენი ვირთხას,
 ამოექოლე სორო და ჩიხი...
 ვრძელ მაგიდაზე ვერ უნდა გარტყას
 პატარა ეაცმა პაწია მყილი.

სამძივარი

დასტირიან — ეოლი, შეილი...
 ის გამჭრალა ეფენია...
 სამი დოეა წვეილ ნესტოდან
 პაერს აღარ ეფენია.

სული მისი ამოტყლებულ
 ჯოჯობეთში ნამყოფია.

ის არც კედლის ამომყვანი
 და არც კობის გამოობია,

იყო, აღარ არი ეაცი,
 ევეე მოხდა, რაც ინება
 ყოვლის შემძღვე, ერგო საწყალს
 სამედამო დაძინება.

შახბურთი და გემფჳანილა

ლურჯ ფერებად დაადნა
 თბილისს ცისკრის ხანძარი,
 ნაირფერად ანთია
 საბურთალოს ბაზარი.
 ხილუღმა, ხორაგმა
 კართან ერთად იხუტლეს.
 და სიუხვე მოაწყდა
 დახლებსა და ჩიხურებს.
 ბოლოც მიწის სითბო აქვს.
 წიწმაცს ფიფქის საბანის,
 ძველი ეშხით გაჩაღდა
 თბილისური ყაყანი.
 მოჩანს ზღაპრულ დევივით
 გლეხი სახემწითური,
 წვერ-ულვაში უბზინავს
 ოდნავ ჩამოკირბლულს.
 მებლისთავს დატოლებულ
 უგრძეს მარჯვენს გადაშლილს,
 ბაეის ქეთარს გარკობს
 ჭარისკაცურ კამარში.
 ხელებს, შრომით დაკორძილს,
 ასდის ორთქლის ღრუბელი,
 — გეგუთელი იქნებით,
 ანდა ბაეისუბნელი! —
 ეუთხარი და შეშლიმა,
 ოდნავ თავი დახარა,
 — კაცის ცნობა გკოდნიათ,
 გეგუთელი გახლავარ!
 მთელი ღამე გზაში ვარ.
 მოლოდინით სულს ელაფავ.
 ეკ. „დინამომ“ ნეტავი
 წუხელ რა ქნა, თუ ქმა ხარ?
 თუ წაავო, არ მოთხრათ.

ვითომ არც თქვენ არ იცით.
 დღეს მკვდარივით ვიქნები.
 შავას ისე განვიცდი.
 გავუწოდე გაზეთი
 და სხარულს დანებდა.
 ყმაწვილივით აცეკვდა
 გლეხი ხარისთვალემა:
 — მე ამ მწუვანილს არ ვეიდი,
 არა, არ შემოიძლია,
 ვისაც უნდა, წაილოს,
 ისე, მუქთად, წესიად.
 აა, მიირთვი, კირიძე,
 ჩემო კარგო იმანო.
 ღმერთმა თქვენ გაგახარათ,
 როგორაც მე — „დინამომ“
 ამხანაგი გაჩავერდა:
 — ეკავო, რას ლაპარაკობ.
 „დინამომ“ თუ მოივო.
 შენ რად უნდა წაავო?
 — ჩემია და სულ გავეცემ.
 სხვისგან ხომ არ ვისესხე!
 თან გაზეთი გაშალა
 მწუვანილიან ფიცრებზე.
 — გაბელიამ დაგვიხსნა,
 აუშენდა კერია,
 კაცო, ბურთი ეი არა,
 ტუვია დაუქვარია.
 თქვენ ისარეთ, ბიკებო.
 მუდამ თქვენთან მიგულეთ.
 მწუვანილს მუქთად ვარჩებ.
 და სოყვარულს გიბრუნებო.
 გეგუთს მოვალ გულსავეს.
 ბედნიერი კაცი ვარ.
 თითქოს ღვინო დავლეო,
 თქვენი თქროს თასიდან!

სიტყვათა კხნა

გადავხადე სათქმელს ბინდი,
რომ სიპართლე მომეპოვა,
საქართველოს დიდი წიგნის
მეტომ დაედექ კორექტორად.
მისი ღვაწლი. მისი ხვედრი
შეეადარე ხალხის დედანს.
და ყოფილა კიდევ მეტი
ჩემი მიწის სადიდებლად.
ვიკითხე და ვაჭაშნიკე.
დაეღაგე ას ტომებად.
და ბილიში არ დასქირდა
„შეცდომების გასწორება“.
ვიწყო ლექსთა აღმაფრენით.
ამიყვავდა ერთი ასად.
მერე გავხდი შემდგენელი
და დაეუბრეთ — „სიტყვათ ახსნა“:
სადაც უჭრობ მზის ერთობაა.
სადაც არის სიტყვა ბრძენის.
სადაც მარადისობა
არის შოთა რუსთაველი.
გადუშლია წიგნი ნიავს.
ვიქტებს მისი ურვა მიშლოს.

ქართულ ლექსის გვირგვინია —
ასე ემართავ გუბამიშვილს.
მამულს მტლად რომ დასდებია,
შუბლი ტყვიამ ვერ დაღარა,
სადაც ილია სწერია —
ეს კი ნიშნავს — ერის მამას.
რა შეეკადრო ნიკს ზეგარდმოს.
ეით განემართო, აბა, ტატო,
„მერანს“ ისე მიაქროლებს —
მისი ახსნა ეს მივანდო?
ბლუჯავს კალამს ვითარ ხანჯალს.
მამულსთვის ცრემლი მოსდის.
შთაგონებოს ზღუაა ვეცა.
ანუ დიდი გენიოსი.
სალამურის ტებლი ნანა.
საქართველო შიგ ჩაწულელი.
სად აკაკის ხსენებაა —
იგულისხმე იქ ბელბული.
აბა, სიტყვათ განმარტება
ერთ გვერდზე ეით დაეუბრო.
როგორ ავხსნათ უყვადებია?
იგი წაყვეა გალაკტიონს.

სამკაფუხულო

შემობრიალდა აპრილი,
სიციცხლის თეთრი ფრთებითა,
ირემი ირემს გასკვირის
მწიანით დაბურულ მთებიდან.
ლავეარდი ციდან მომწყვდარა
ვარდ-ყვავილებს ზევეებად,
ნუშს გაუღიმა მოცხეარმა,
პირველ სიყვარულს დანებდა.
მკერდს დამაფრინდა მერცხალი
და სხარული მომგვარა,
ლექსების დასათესავად
ჩხუვლა რითმის ხორბალმა.
მამოერებს დედა-ბუნება,
ზეცა მადნება აღურსად.
კისკარი შეფათქუნება,
როგორაც ჩასულ მთვარესა.
კვირტში აფეთქელ ნარინგებს.

სხივი მოცვივა ფარფაბა,
იმ სხივს ფუნჯივით დაევიკერ
აქარის დასახატავად.
მიმაჯიროთებს აფხაზეთს
აპრილის თეთრი მერანი
და ამ სიყვარულს გადაეწერ
რიწას ტბის ლურჯი მელანით.
ნურც გამოთენდეს ულექსოდ
ეს დილა ნასათუთარო.
გული რად მიხდა უცეცხლო.
ან უნაკვერჩხლო ბუხარო.
შუქი ვარ თვალის მომჭრელი.
გომბორზე დაეცემ კარავსა.
იქიდან ავექორბე
წამოღიდებულ ალაზანს.
ფშაე-ხევესურეთში ვხშიანებ,
თუშეთი მისკენ მეწევა.

ლამე ვათიე თრიალეთს,
პური გავტეხე მწყემსებთან.
აჰა, კახეთის ვაზებში
რქაწითლის ფერად თენდება,
მოხნულ მიწიდან ხმა მესმის

დათესილ მარცვლის ვედრებზე
ეს არის ჩემი წადილიც,
მამული იყოს დღეგრძელად,
და გაზაფხულის ამ დილით
თავზე დავადნე ლექსებად.

ლახარეთის სარკმლიდან

ლამის თეთრი მოსასხამი
გდია თბილის-ქალაქში,
და ტარცილა მთვარის შუქზე
ფხიზლობს ლამის დარაჯი.
ქართლის დედავ, დაშლილ თმაში
გწვეთავს ძველი ვარამი,
უკვდავებად გაწვდილ თასში
ღვინოა თუ წამალი?!
ის მუხრანის ხიდი არი,
თუ მახათას გზა მიხმობს,
საით მიდის, ო. ის ქალი,
ასე გვიან სად იყო?

გავცქერ მას და ცა გამეხსნა,
მიდის მლიმარ ბაგითა,
რა ტებილია, რა მწარეა
ამ დაბინდულ სარკმლიდან...
აკიმციმდა შუქი ლურჯად
ლამე ისე გაკვალა —
ნეტავ რატომ დამუხრუჭდა
ლაზარეთთან მანქანა.
თენდება და მოჭრის ქარიც
გაცუნდ თბილის-ქალაქში,
და ჩაბეუტულ მთვარის შუქზე
ყვინთავს ლამის დარაჯი...



ლადო სულაბერიძე

ეპიტაფიები

ფოთოლი

ჩემი ხე ვახარე, ვზარდე,
მიწის წვესს მაწვდიდა ფესვით.
ვეფერე ჩიტების ბლარტებს,
ციურ ცვარს ვასმევდი პეშვით.

ვალი მოვიხადე ამ წლის,
ქარს ნუ შემატოვებთ, — დამფლეთს.
თუ დამწვავთ,
ჩემივე ხის ძირთან დამწვით,
თუ დამფლავთ,
ჩემივე ხის ძირთან დამფალთ.

ჩიტი

ცის ჭვარზე ვიყავ ფრთებით გაკრული,
მიწა მკვებავდა პურის ნამცეცით.
ღრუბლის ფთილებში ამოგანგლული
ბოლოსდა მაინც მიწის ჭვარს ვეცვი...
მშვიდობით, ცაო!

მაყვლის ძირს მიწა მწვავს ცხელ
კეცივით,
ეკლებსლა შევრჩი და ვიჩხვლიტები.
რალა ჩიტი ვარ ფრთადაკეცილი...
მომიგონებსლა გუნდი ჩიტების?!
მშვიდობით, ცაო!

უსახლკარო

მიწამ გამიღო კარი
 უსახლკაროსა...
 მიწეწავს ახლა ქარი
 ნისლის გაროზსაც.

მიწას ვერარა ვარგე,
 ვთელე წალამი,
 მუღამ რალაცა ვკარგე.
 ვპოვე წვეარამი.

არ დამრჩა აღარც გვარი
 ამ ქვის ფაროსანს...
 მიწამ გამიღო კარი
 უსახლკაროსა.

კლდეზე გადარჩეული ჰიხვი

გავექეც მონადირეს... ეს იყო ჩემი
 ულამაზესი ნახტომი.
 მე რე რა, კლდეთა ნაპრალში ვრჩები,
 აქ არის ჰიხეთა გვარტომი.
 ამგვარ სიკვდილისკენ კვლავ
 მიგიხაროდეთ
 ჰიხვებო, აკრულნო ტატნობს.

არ დაივიწყებენ კლდეები აროდეს
 ჩემს ლამაზ ნახტომს.

დამშრალი მდინარე

ამ ხეობაში დავშრი...
 ჩემო ამაო და დავ
 მშობელი მიწის ქვეშეთის
 ვარ ჩაწრეტილი ნავში.
 ედულდი.
 ელელავდი.
 კვენესდი...
 ვიყავ სულ საზრუნავში.
 აქ სული მიწებს, კვესკნელის

შავი ტბორების ნავში.
 ვინ დამაბრუნებს, ვინლა,
 ხეობის ქვეყანავ, შინ?!
 როდემდე ვიტორტმანო
 ამ მარადიულ ნავში?!
 ვჩქედდი ხან ქარის ფაფრით,
 ხან ნაწეწ ნისლის თავშლით.

ამ ხეობაში გავჩნდი და
 ამ ხეობაში დავშრი.

მესვლაკე

ვთხარე სამარენი.
 ეს იყო ჩემი პროფესია.
 ცრემლის ქვამარილი
 ელოკე ჩემს წუთისოფელშია.
 ვზარდე შეგირდიცა...
 მა რა?! გრძელდება ქამი კაცთა.
 ჩვენს მრევლს შეგვინდე; ცაე,
 ხვედრი საწუთრომ გაგვიმკაცრა.

ვარ მონათარები
 ბორცვთან, როგორც სახუნდართან.
 ვთხარე საფლავები,
 ვერ გავჭერ ჩემი საყუდარი.
 ჩემივ მგზნებარებით,
 ჰა, სხვაც მოვიდა მესაფლავე.
 ახლა ვეფარები
 ამ საუკუნო შესაფარელს.

ღ ა ნ დ ი

ჩემს ბატონ-პატრონს ვერსად გავცდი,
 ქორი მოგვდევდა ფრთების სავსავით.
 ვეკიდე მკლავს, მთვარისკენ გაწვდილს,
 ჩაილდ-პაროლდის მანტიასავით.

ყველა მანდ დარჩით...
 მე კი — არა...
 რაკი ეგ ლოდი მკერდზე შეიბა,
 ამ ლოდქვეშ ვუთბობ მუდმივ კარავს,
 ახლა ვუგვივარ ლეიბად.

შვილის სავლაკვეა შასაშარი

დამიწერეო ეპიტაფია...

ვაი, ჩემს მოსწრებას!

მთხოვა ძაძებით მოსილმა დედამ, —
 პირბადიანმა

მწუხარების შავმა ქანდაკმა.
 მე დავაჩერდი ლოდს საფლავისა.
 რად გინდა-მეთქი ჩემი სიტყვები?!
 ამაზე მწარე რა დავიწერო,
 შენივე მდულარ ცრემლებით როა
 ამ ლოდზე, დედა, ამოშანთული?!

არაბების შემოსევის დროს დაკარგული ლექსი

არაბულას უნავირზე ვარ დაწერილი,
 ჯიბეში ჩავრჩი ჩემ საწყალ მგოსანს.
 განგმირეს მგოსანი,
 შუბის წვერივით
 სტრიქონი ჩაერჭო ამ ბორცვს თუ
 გორსა.

და რომ მიმეღწია ქართველის გულამდე,
 მეც მექნებოდა ლექსებთან ჯიბრი...
 ჩემს საწყალ მგოსანს აქ ბნელს
 ვუნათებ,
 ბნელ მარადისობაში მიმათრევენ ჯიბით.



მამულას მამალი

მოთხრობა

შებიღნდებისას თბილისის ახალ უბანში დაეხეტებოდა მოხუცებული მთიელი და გამვლელ-გამომვლელს შვილის მისამართს ეკითხებოდა.

ქალაქლებმა ზოგმა ქართული არ იცოდა, ზოგმა კი — საით იყო ის ქუჩა, მოხუცი რომ დაეძებდა.

მოხუცი ისე იყო დაბარგული, რომ ვეებერთელა, გაბერილი ხურჩინის ქვეშ ძლივსლა ჩანდა. ხელშიც პირმოკრული კალათი და ფუთა ეჭირა.

დაღლილ ფეხებს ძლივს მიათრევდა. დანაოქებულ შუბლზე ოფლი მოსძაღებოდა და ქალაქის მღვრიე ჰაერს მძიმედ სუნთქავდა.

ერთხელ კიდევ გაუწოდა გამვლელს დამონძილი კონვერტი, რომელზეც შვილის მისამართი ეწერა.

— თქვენ, ბიძია, ალექსის მამა ბრძანდებით? — გაუღიმა ახალგაზრდა მამაკაცმა, — მე მისი მეზობელი ვახლავართ, ერთ შენობაში ვცხოვრობთ, — უთხრა და სცადა მამულასთვის ტვირთი შეემსუბუქებინა, ფუთას და კალათს წაეპოტინა, მაგრამ მოხუცმა უცნობს ბარგი არ დაანება — თქვენ სახლი მასწავლეთ და ამას თვითონ წამოვიღებო.

— ჩანს, პირველად ახლა მობრძანდები.

ბით თქვენებთან? — იკითხა ქალაქელმა.

— ჰო, მანამ სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობდა, ხშირად ვაკითხავდი და გზაც ვიცოდი. მაშინ შემეძლო კიდევ, თვალი მიჭრიდა და ჭანიც მომდევდა, მერე კი, რაც დაოჯახდა და აქ დასახლდა, ველარ მომიხერხდა ჩამოსვლა — თითქოს იბოდიშებო, ისე თქვა მოხუცმა.

— რატომ მანქანით არ ჩამოგიყვანათ ალიკა მამულიჩმა, გეცოდინებათ ალბათ. კარგა ხანია, რაც ახალთახლო „ვოლგა“ იყიდა.

მამულამ არც ავტომობილის ყიდვა იცოდა და არც ის, თუ შვილმა რატომ არ ჩამოიყვანა. ამიტომაც პასუხის ნაცვლად ვინაობა ჰკითხა ქალაქელს.

— ბევრი შვილისა და ცოტა ხელფასის პატრონი ვახლავართ. დროდადრო ლექსებსაც ვებუჯავ, ზახას მეძახიან.

— თქვა ქალაქელმა და მერე დაუმატა — თქვენს შვილს ბედმა გაუმართლა, ნათესავეებიანი და შეძლებული ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი შეერთო. მერე კი თვითონაც აართვა ალლო ცხოვრებას და კარგადაც მოეწყო.

მოხუცს არც ახლა უთქვამს რამე.

წუთით შედგა, მიიმე ხურჯინი შეისწორა და ნაჭაფი ხარკით ამოიქშინა.

ბინის კარი დაბალმა, მწითურმა დედაკაცმა გაუღო და კარებზე მომდგარი, დაბარგული უცხო მოხუცი რომ დაინახა, შეცბა, უკან დაიხია და — ალიკ, გამოიხედეთ — დაუძახა ვილაცას. სინათლეზე ახლა ღობიან-ღაბაბიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა ფლოსტების ფლათუნით.

მოხუცმა შვილს რომ მოჰყარა თვალი, მხოლოდ მაშინ გაიღიმა, მიიმე ტვირთი მოიხსნა, ალიკა გადაკოცნა და ფეხსაცმლის გახდა დაიწყო.

— შემოდი, შემოდი და შინ გაიხადე, — უთხრა შვილმა და მამის მთელი ბარგი-ბარხანა ხელის ერთი მოსმით შემოიზიდა.

მწითური დედაკაცი გუმანით მიხვდა, რომ ჭერუნახავი მიძახალი სწევოდა. გამზღარ, სიბერისგან მოტეხილ მოხუცს ერთი კი შეავლო თვალი, მერე ცხვირპირი აიბზუა და გვერდზე მიდგა.

— დედა, გაიკანით, მამაჩემია, — უთხრა იმ დედაკაცს ალიკამ.

მოხუცმა დიასახლისს ზრდილობიანად დაუყრა თავი და მუხის კუნძივით დაკოჭრილი მარჯვენა ცომივით რბილსა და კოტიტა ხელში ჩაუღო.

შვილი მამას ფართო კორიდორით შეუძღვა ბინაში.

სარკესავით მოლაპლაპე პარკეტზე მამულა ისე ფრთხილად მიდიოდა, როგორც ბრმა მოყინულზე, — ეშინოდა, არ მოცუტრებელიყო და ცხვირპირი არ დაემტვრია.

დიდი დარბაზის ღია კარებს ჩაუარეს.

მოხუცს თვალი მოსტაცა დარბაზის ჭერზე ათასფრად მოელვარე ბროლის ჭაღმა, მოეჩვენა, რომ იქ ყველაფერი ბღღერიალებდა და ანათებდა. ელავდნენ დიდი სურათების ჩარჩოები, ლაპლაპებდნენ უცნაური კარადები, კრიალებდა და ბრჭყვიანებდა მათ თაროებზე გამოლაგებული ბროლისა თუ ზარნიშინი ვერცხლის ჭურჭელი, უშველელი სავარძლების გასწვრივ თამთამე-

ბდა ყორანივით შავი როლიდასწვრივ თელა იატაკზე. კედლიდან კედლამდე გართმებულიყო სპარსული ნოხი.

მამა-შვილმა გაიარეს ღია თუ მოხუცრულ კარებიანი ოთახები, ვეებერთელა სამზარეულო და ფართო შემაბანდში გავიდნენ.

ლიკა და პატარა გია სავარძლებში ჩაძირულიყვნენ და ფერად ტელევიზორში ულტრამოდერნ მომღერალ ჭალს უსმენდნენ.

— ესენი კი ჩემი მეუღლე და შვილი არიან — განაგროო ოჯახის გაცნობა ალიკამ.

ფეროვანმა, მკერდსავე ახალგაზრდა ჭაღმა სავარძლიდან ოდნავ ასწია ფართო თქოები და მოხუცს ისე ჩამოართვა ხელი, რომ თვალი ტელევიზორისთვის არ მოუცილებია.

უცხო კაცის დანახვაზე ხავერდის ბალიშიდან ისეუბა კატისხელა არსებამ და ყეფა-წიკაწიკავით გაეჭანა მამულასაკენ.

რაკილა სხვა სკამი არ იყო, მამულა თავის სიციცხლეში პირველად ჩაჭდა „ბუმბულის სკამში“ და თვალი მდიდრული ნივთებით გამოჩურთულ შემაბანდს შემოავლო.

— აბა, როგორა ხარ, მამაჩემო, რა უქენი ცხვარ-ძროხას, — მოიკითხა შვილმა და თან ტელევიზორი გამოართო, რომ მამას მისი ლაპარაკი კარგად გაეგონა.

იმ წუთასვე აწივლდა გია, აყვა ბებია ღიზატ და რძალმა ტელევიზორი ისევ ჩართო, ოღონდ ცოტა ჩაუწია.

— აბა რალა როგორა ვარ, შვილო, ხელ-მუხლი დამიდგა და საქმის გაკეთება აღარ შემიძლიან. ცელს და ცულს ველარ ვხმარობ. ის იმოდენა ეზო-კარი და მთა-ბარი კიდევ პატრონს უყვივის. ოხრდებდა ყველაფერი უპატრონობითა და პატრონი კაცი კი აღარსად არის, — გამოეონა დიდი ხნის დაგროვილმა ბოლმამ მამულას პირიდან.

მამულა ამ ბოლო დროს მართლაც, საოცრად მოტეხილიყო და დამკვანარიყო; მკერდი ჩავარდნოდა და მხრებში

მობხრილიყო, შუბლსა და ყვრიმალეზე სიბერის ლაქები მოსდებოდა, კატასავით ენაოდა, საღლა იყო ის მგრგვინავი ხმა. სოფლიდან სოფელში რომ გააქუხებდა. იმ ახოვანი, ბრგე და ჭანმაგარი მთიელიდან ფელების გროვალა დარჩენილიყო.

— სულ ვერ მოთიბე ვერაფერი? აბა საქონელს რა ეშველება? — იკითხა ალიკამ.

— მოვთიბე ცოტა რალაც, ორი-სამი სულის საყმაო... ამოვალ, ამოვალო და აღარც შენ დამენახვე. ე ბალახნი კი წახდნენ და მერე ან შენ და ან სხვა რალას მიშველიდა. მეც ავდეგ და ფურდეკეულები სახორცეში ჩაებაბარე მთავრობას.

— ჩა-ა-ბა-რე? — დამარცვლა შეიღმა, — მერე და მე რატომ არ შემატუობინე.

— აბა, როგორ შეგატუობინებდი, რომ ეხლაც ძლივს მოგებლე. იქ კიდევარა ფოსტალიონები ჩვენ დაგვიდის. წელი ისე გავა, რომ ჩვენს ხეობაზე კაცი არ გაჭკანდება. სოფელში ოთხი-ხუთი კომლილა ვართ დარჩენილი და ისინიც ისეთი ბერ-ბურები, რომ ერთიმეორესთან მისვლა გვიკირს.

— ფული მოგაცეს? — შეაწყვეტინა მამას ალიკამ, რადგან სოფლის ამბავი ნაკლებად აინტერესებდა.

— მომცეს, — თქვა მოხუცმა და გაჭირვებით წამოდგა, თავისი ფუთა მოჩხრიკა და ჭუჭყიან ძონძში გამოკრული ფული კრიალა მაგიდაზე დადო.

ფულმა ყველაზე მეტად ღიზა-ბაბოს გაუბრწყინა თვალები. არ დააყოვნა, მივიდა და ჭუჭყიანი ჩვარი უმალ შემოხსნა. დედაკაცს კიდევ უფრო აუციმციმდა ხორცსავსე ქუთუთოებში ჩამბერალი მღვრიე თვალები, როცა წვრილი ფულის ნაცვლად იქ ოცდახუთ და ორმოცდაათმანეთიანების შეკვრები დაინახა. ბწყილებით დაჭერილი ჭუჭყიანი ჩვარი ზიზლით განზე გასწია, მერე ის ჩვარი სამზარეულოში გაიტანა და სანაგვე ურნაში ჩააგდო.

მამულას არ გამოპარვია მძახლის საქ-

ციელი. ის ხომ მარტო ცხოველები და რაც ცოლი მოუყვდა, თვითონ ირეცხავდა ტანსაცმელს, თვითონ იკერებდა ღილს და იკემსავდა შარვალს. ახლაც თბილისში რომ მოდიოდა, ყველაფერი დაირეცხა, დაიბანა და ისე წამოვიდა. ის ჩვარი კი, რომლითაც ფული ადრევე შეკრა, ძველი პერანგის ჩამონახები იყო და მისი გარეცხვა არც უფიქრია.

— ორი ძროხა და ხუთი ცხვარილა დავიტოვე, ყველა ქვრივ ქეთოს მიებაბარე და თივაც მიეცი. თუ ღმერთმა მომხედა და აეადმყოფობა დავჯახნე, გაზაფხულზე ნამატინანად დავიბრუნებ, თუ მოგვკვდი და იქ წასაღებად და დასამარხავად ისინიც მეყოფა, დანარჩენი საქონლის ფული კიდევ ემანდე. წამოგიღეთ. — თქვა მოხუცმა.

მამულამ გაზაფხული რომ ახსენა, შესთოთებულმა ღიზამ ქალიშვილს გახედა, მერე ორივემ თვალებით მოძებნეს ალიკა. იგი მამის გასწვრივ დივანზე იჯდა და დაფიქრებული მიშტერებოდა ბალიშზე მიძინებულ ცუგოს, რომელიც სიზმარში ვიღაცას უღრუნდა.

ალექსის არასოდეს უფიქრია იმაზე, რომ დადგებოდა დღე, როცა დაუძღვრებული მოხუცი მამა კარზე მიადგებოდა და შენახვასა და მოვლა-პატრონობას მოსთხოვდა. უფრო სწორად, ამაზე ფიქრს გაურბოდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც რაიონში წასვლას თავი აარიდა და სასიამაოროს დახმარებით თბილისში სარფიანი სამუშაო ჩაიგდო ხელში. მაშინ სად ეცალა ამაზე ფიქრისათვის, მით უმეტეს, რომ დედაც და მამაც კარგად ეგულეობდნენ და ერთიმეორისთვის მიხედვაც შეეძლოთ.

— იმეურნალე, საავადმყოფოში დაგაწვენ, — უთხრა შეიღმა და მამას ჩაყვივნილ თვალებში ჩახედა.

— არა, — თავი გაიქნია მამულამ, — საავადმყოფოში ვერ დაეწვები. რაიონის ექიმმა ქალაღლი მომცა, ქალაქში წადი და აბაზანებზე იარე — ის გარგებსო.

— და იარე შენც, ხვალე წაგყვან
— დაამედა შეილმა.

აქამდე ტელევიზორს შემორჩენილმა
გიამ მთვლემარე თვალები უცხად გააქ-
ყიტა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ბაბო, ნახე ბაბო, რამხელა მამა-
ლოა!

მამულას მოტანილი პირმოკრული
კალათიდან ვეებერთელა წითელ მა-
მალს ამოეყო თავი და გაკვირვებული
ათვლიერებდა იქაურობას. მერე, თით-
ქოს რაღაც არ მოეწონაო, გაჯავრდა, —
ყა-ყა-ყა-ყაო, — დატუქსა იქ მსხდომნი
და ისევ ჩაიმალა კალათში.

— ეგ რალამ გატარებინა, რად გინ-
დოდა, აქ რომ მოგყავდა, — უთხრა
შეილმა.

— რა ვქნა, ვერ გავიმეტე მოსაცი-
ლებლად, ეგ მათევიწებდა მარტოობის
გრძელ ღამეებს, ეგ რომ მყავდა, მეგო-
ნა. რომ სახლში მარტო არ ვიყავი და
ეგრეც არის, სადაც მამალი ყოვის. ის
სოფელი ისევ ცოცხლებში სწვრია...
აღამიანივით შევეჩვიე...

გიამ მანამ არ მოისვენა, ვიდრე მამუ-
ლა-პაპამ კალათას პირი არ მოხსნა და
ვეებერთელა, ალისფერი მამალი მთელი
ტანით არ წარადგინა ოჯახის წევრთა
წინაშე.

თავი რომ თავისუფლად იგრძნო, მა-
მალმა ფრთები შეიფერთხა, ამაყი თავი
მეომარივით ასწია მაღლა და ვარდის-
ფერი ბიბილოებით დამშვენებული ყე-
ლი მოიღერა. მისი გრძელი, ალისფერი
ბოლოები ჯერ მაღლა შემართულიყე-
ნენ, მერე წამგლებივით მოხრილიყვნენ
და კინალამ იატაკამდე სწვდებოდნენ.

— დედა, რამხელა ბრჭყალები აქვს!
— გაკვირვა გიამ, როცა მამლის მძლა-
ვრსა და სწორ ფეხებზე ყანწებივით
აპრებილი დეზები შენიშნა. მამალმა კი
განმეორებით მოავლო თვალი მისთვის
უცხო გარემოს, ისევ მოიცა გული და
— ყა-ყა-ყა-ყაო — ოღნავ ასწია მარჯ-
ვენა ფეხი.

სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდ-
ნელი რამ. ყა-ყა-ყა ეგრეც არ უნდაო და
ბალიშიდან ნაპერწკალივით წამოენთო

ოჯახის ცუგო, ჯიქურ გავერდნენ და
ქვეშ და ყეფით ეძგერა მამალს. მამალ-
მა დროზე უგანა და ცუგოს შემოტევა
მოიგერია. მერე მუშტივით შეიკრა,
ბრჭყალები წინ წაიმძღვარა და ბალნიან
ცხვირპირზე დააცხრა თავდამსხმელს.
იმ წამსვე განწირულის გაბმული წამუ-
ტნი აღმოხდა ცუგოს. მამალმა კი
იერიში გაიმეორა და ახლა ზურგზე
აღინა ბღღვირი გაქევეულ მეტოქეს.

— უი, მომიკვდეს თავი, — იკვლა
ლიზამ და დაფეთებული ცუგო ხელში
აიტაცა, თვალეებზე ჩამოფარებული ბა-
ლანი გადაუწია და კიდევ უფრო ავიშ-
ვიშდა:

— მიშველე, ოლიკო! — უყვირა ქა-
ლიშვილს, — იოდი გამოიტა, მთელი
სახე დაუმახინჯებია, მაგ უპატრონოს,
მგონია თვალეებიც სულ ამოუჩიჩქნია,
ამას მოუყვდეს ღიზა!

ლიზამ გულგახეთქილი ცუგო ლიკას
გადასცა და მამლის დასჯა გადაწვეიტა.
წაეტანა კიდევ დასაქერად, მაგრამ მა-
მალი ხელიდან დაუსხლტა. რაფაზე
შეხტა და ძვირფასი საყვავილე ძირს
ჩამოაგდო.

ლიზამ კოტიტა ხელები მთელი ძა-
ლთ გაილაწუნა ხორცსავეს ყბებზე,
ლოყები ჩამოიფხოვნა და ელდისაგან
თვალეები კინალამ გადმოუცვივდა:

— ვაი ჩემს თავს, ბიძინას მოტანილი
ჩეხური ბროლის ვაზა, მოკალი, ალიც,
მოკალი ეგ ოხერი, მაგას ამოუწყდა პა-
ტრონი! — წიოდა სახეშეშლილი ღიზა.
ფანჯრის რაფაზე მშფოთვარე მამალი
ჯერ თავის ენაზე გაეპასუხა გაეცეცლე-
ბულ ღიზას, მერე კი ფრთები გაშალა
და სწორედ მისკენ გამოქანდა.

— მიშველეთ! — იკვლა ღიზამ, წა-
ბარბაცდა, სკამს წამოედო და მუთაქასა-
ვით გაგორდა იატაკზე.

მამალს არც უფიქრია ღიზაზე თავ-
დასხმა, უბრალოდ თავზე გადაუფრინა
და კარადაზე დაჭდა. თავი რომ მაღლა
დაიგულა, უფრო მეტად განრისხდა.

— მიშველეთ, მოკალით! — კიოდა
გულგახეთქილი ღიზა და თან დაფეთე-
ბულ თვალეებს არ ამორებდა მამალს.

რომელიც სწორედ მისკენ იყო პირნიჭ-
ცული და სასტიკად იმუქრებოდა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხვეა
ერთიმეორეს, რომ მამულამ საქმეში ჩა-
რევა ვერ მოასწრო, მერე კი როცა ლი-
ზამ მამლის პატრონი დაწყველა, მოხუ-
ცი აიფაფრა:

— რა იყო, დედაეყო, რამ გადაგვრია
და რადა გუყვევლო, ჩიტი აო გინახავს-
თქვა. — და წყრობით შეკრა ჭალარა წა-
რბები, მერე წამოდგა, დაყოფრებული
ბებერი ხელები მამლისკენ გაიწოდა და
ჭუფი, ჭუფი დაუთახა. მანამდე ნიკორედ
შემართა ფრთები, გადმოხტა და მამუ-
ლას მხარზე დაეშვა. მამულა მოეფერა,
ზურგზე ხელი გადაუსვა, იერე წაიყვანა
და ისევ კალათში ჩამწყვედა.

სამწინელი მამლის შეპყრობის შემ-
დეგ წვილ-კვილი თმცა მიწყდა, მა-
გრამ მოულოდნელმა უსიამოვნებამ და-
ისადგურა. დაბებულმა ნერვებმა სიტყ-
ვებად ქცევა მოითხოვეს.

ლუკამ იატაკიდან საყვავილეს ნანსხ-
ვრკეები წამოკრიფა. ერთიმეორეს მია-
დო და თან ალიკას შეხედა.

აეც მომასწავებელი სიჩუმე გიამ
დაარღვია:

— პო და, ბაბო, შენცა, რა იყო, მა-
ნალო სულაც არ იკბინება, თუ არაფერს
დაუშავენ. მაგრამ თუ დაუშავენ? აუჰ,
შენი გულისა! რა მამალოა! ხომ ჩაგოგ-
დო ნოკაუტში შენი ნაქები ცუგო, ავე-
ლა ძაღლისა რომ ეშინიან და მარტო სა-
ხლშია უოჩალი, მამალოს კი არავისც
არ ეშინია. — თქვა და მამულას ველი
გამოეწია — ბიბია, ამოსვი რა კალა-
თიდან, ცოდოაო!

მამულას ბებერ სახეზე ცუდმა ფერ-
მა გადაუარა:

— ბიბია კი არა, მე პაპა ვარ შენი,
შენი ბაბუა. — უთხრა და დაყოფრე-
ბული ხელი მხარზე დაადო შვილი-
შვილს.

— მე პაპა აღარა მყავს, ბაბომა თქვა,
რომ ის მოკვდა და ეს სახლი მე დამი-
ტოვა, რომ მეუდამ მოვიგონო.

ისევ გაუყვითლდა სახე მამულას.

ბიჭს ახლა თავზე გადაუსვა **უკრინეშული
შენჯღიწიყიყა**
კეითხა:

— რა გვარისა ხარ შენ?

ბიჭი გაიკიბა და როზინად უთხრა:

— ფოცხვერაული გია!

პაპამ შებლზე აეყოა შვილიშვილს.

ახლა ლიზა წამოწითლდა, ზიზლით
დაქლანა მწითური სახე, რადგან ვერ
იტანდა ამ გვარის ხსენებას. რამდენჯერ
სცადა, მაგრამ ალიკასთან არც მოფე-
რებამ გასტრა და არც გაბლტვამ, ვერ
გამოაცვლევინა „ძველი საბუთები“ და
აი ისევ ფოცხვერაული და ფოცხვერა-
ული!

დედაეცმა ნერვების აფუტფუტება
ვერ დაფარა, წამოდგა, აკრუ-ტუნებელი
ცუგო გულში ჩაიხებდა და თავის საიი-
ნებელ ოთახში გავიდა.

— პაპა, ამოეწვი რა მამალო, გეხვე-
წები. — არ ეშვებოდა გია.

შვილიშვილმა რომ პაპა დაუძახა, მა-
მულა სიამოვნებისგან შეტოკდა, გულში
სითბო და იარღვებში ძალა იგრინო,
წუთით გადააიწყდა მომხდარი უსიამო-
ვნებაცა და ლიზას წყველაც. შვილი-
შვილს მხრებში წაავლო ხელები,
შეატოკა და კიდევ აეყოა:

— პაპა-მამულა ფოცხვერაული, თავის
შვილიშვილს — გია ფოცხვერაულს
ხეალ დილით მამალს სულ აჩუქებს. —
თქვა მამულამ ისე, რომ გვარი ფოცხ-
ვერაული ორჯერვე მკვეთრად და ხმა-
მალა წარმოთქვა.

ლუკამ ვახშამი გამოიტანა და მამა-
შვილი თითქმის უმარბხად მიუხსდნეს
მაგიდას. თითო-ორორი ჭიქა ღვინოც
დალიეს, თითქოს, სადღეგრძელოებიც
თქვეს, მაგრამ ყველაფერი ნამალადევი,
უფერტლი და უსიამოვნო იყო. სრუ-
ლიადაც არა ჭკავდა მამა-შვილურ თბი-
ლსა და ტყბილ სუფრას.

შეფარკით ათვალეგრებდა მამულა
შვილის გარეგნობას. იგი აღარაფრით
ჭკავდა ადრინდელ სნობტსა და კაფან-
დარა ალექ-ის, თავი უზომოდ გასიებო-
და და ეისერი საღლაც დაჰკარგოდა. ჩა-
წითლებულ-ჩაღაფლავებულ ლოყები
და ჩასკლებულ-ჩანაოკებულ ღაბაბი

ავლარეკლ ყასაბს მიუგავდა. მუცელი და თუძოებიც მასავით გასწორდა განზე. მარტო თვალები დარჩენოდა უცვლელი. თავლისფერი თვალები დედისა...

მამას ბევრი რამ დაჰგროვებოდა შვილისთვის სათქმელი, გასამხელი და გასაზიარებელი. ერთი ეგ იყო, დროს უცდიდა, რომ გუდისთვის პირი მოეხსნა და მერე კი წამოალაგებდა და წამოალაგებდა ყველაფერს. რაც მარტობასა და უძილო ღამეებში დაუგროვდა. და რაკილა მამაშვილი მარტო დარჩენ, აქი სცადა კიდევ. მაგრამ რაც კი თქვა, შვილმა ყველაფერზე ხელი გაუქნია. — არა, ეგრე არ არისო.

მამულა რისხვისგან აიღუწა და კინაღამ იყვირა — ვინ უბედავ სიტყვის შებრუნებას, შე არ გასაზრდელი, მაგრამ გულს მოერია, სათქმელი მემარისთვის გადადო. ბოლოს კი მგზავრობით დალილიმა მოხუცმა სულაც ჩასთვლინა და ქალარა თავს კანტური დააწყებინა.

აღიკამაც ამოავსო თავისი ტომარა და ვახშობა დაამთავრეს.

დალილიმა და შთაბეჭდილებებით დამიბებულმა ოჯახმა, როგორც იყო, ნაშუალამევის მისცა თავი ძილს.

ღამის მყუდროებაში მოულოდნელად ისეთი თავბეღური ტყალა-ტყალეში გაისმა, რომ ღიზა ფეთიანივით წამოვარდა ლოგინიდან. დედაკაცი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ მამულას მამალმა ფრთები შეებრტყა, რიბიანი ყიყლიყო შემოსახა და ქვეყანას ახალი დღის მოახლოება აუწყა.

ახლა კი ყველა ლოგინი შეტოვდა. ძლივს მოასწრეს იმის გააზრება, თუ რა ხდებოდა. რომ მამალმა თავისი მოვალეობის შესრულება განაგრძო და მეორედაც შეჰყივლა ცას.

— ეს რა უბედურებაა ჩემს ოჯახში, გაგონილა! — მოისმა სიბნელიდან ღიზას ნაძინარევი ხმა.

— რას შერება, ალიკ, ის ქათამი? — თვალაუხვლელად ჰკითხა ლიკამ ქმარს.

— ყივის! — უხეშად მიუგო ალიკამ, საბნიდან ზანტად გამოძერა და სინათ-

ლე ანთო, მერე თვალებისკენ მიმავალი. ერთი გვარიანად ჩასცხო თავში და თავის კალათიანად აიგანზე გაიტანა. ზედ ცარიელი ტომრები მიყარა და მოქნარებით დაუბრუნდა თავის ლოგინს.

ღიზას უბედურებას ამით არაფერი ეშველა. თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო, მამალმა არც ცემა-ტყუებას მიჰქცია ყურადღება და არც სახლიდან გაგდებას — ყიოდა და ყიოდა გათენებამდე.

დღლით ღიზამ მეზობლებს მოუბოდიშა — სოფლიდან წუხელ ჩამოგვიყვანეს და დღეს, ალბათ, დავკლავთო და თან დასტურის მომლოდინემ მამულას გადახედა.

— არა, არ დავკლავთ, — თქვა მამულამ ისე, რომ ღიზასთვის არც შეუხედავს.

ღიზა ამას არ იყო შეჩვეული, მისი სურვილი ოჯახში ყოველთვის სიტყვა-შეუბრუნებლად სრულდებოდა. ასეთი იყო ის ქმართანაც და ამასვე აგრობებდა სიძესთანაც. მან არ იცოდა რა იყო „არა“.

ღიზა წუთით შეჩერდა, სახეზე აღმოფრთება გამოეხატა. დაუფარავი ზიზღლით შეათვალეერა მოხუცი მამალს.

— მაშინ ბაზარზე გაიყვანე და გაყიდე. აბა ქალაქში მამალს რა ესაქმება. მაგის ნებას ვინ მოგვეცემს. ხალხია, მეზობლებია. — ბრძანებდა ღიზა.

— არა, არ გაყიდი, — თქვა მამულამ და ქალარა თავი მალლა ასწია. შებლმეკრულმა შეხედა დედაკაცს.

არც მამულას უბრუნებდნენ ოჯახში სიტყვას, მისი „არა“ ყოველთვის საბოლოო იყო, რადგან მამაკაცი ბრძანდება და რასაც იტყვოდა. ის უნდა გაკეთებულყო.

მძახალთა ნერვების აფაფრვა, ალბათ, კარგად არ დამთავრდებოდა. ვიარა რომ არ შემოსწრებოდათ, ბავშვი ლოგინიდან პირდაპირ ლოჯში გამოვარდა და მაშინვე მამალი იკითხა. მერე ღიზა ბაბოს მივარდა და ჩვეული ჭირვეულობით უთხრა:

— მამალს ხელსაც ვერ ახლებთ. იმიტომ, რომ ის ჩემია, პაპამ მე მაჩუქა. გადაწყდა, მამალი ღამლამობით სარდაფში დაემწყვდიათ, რომ ყვილით ოჯახები არ აეფორიაქებინა და მხოლოდ დღისით გამოეყვანათ ფეხზე ბაწარშებმული. ვინმეს თუ დაკორტინდა, ამაზე პასუხისმგებელი კი მამულა უნდა ყოფილიყო.

გიამ მთელი უბნის თანატოლები იმავე დღეს შემოიკრიბა და რაც იცოდა და არ იცოდა, მამლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ყველაფერი აუხსნა. მისი ყოვლისშემძლეობა წუხანდელი ამბითაც დაუსაბუთა და დაწვრილებით აღწერა თუ როგორ სძლია თავხედ ცუგოს.

საერთოდ ნებიერი და ჭირვეული ბავშვი ძალიან მალე დაუშეგობრდა მამალსა და მამულა-პაპას. მკურნალობიდან მობრუნდებოდა თუ არა მამულა-პაპა, მაშინვე გამოიყვანდნენ სარდაფიდან წითელ მამალს და მახლობელ პარკში გასწევდნენ სასეთროდ, რადგან მთელი ხალხი მათ და მათს მამალს უყურებდა, გიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მშობარა თანატოლებს სიამაყით უჩვენებდა თუ თავისი შრისხანე ნისკარტით როგორ ენჯავდა იგი სიმინდის მარცვლებს გიას ხელისგულიდან...

პარკის გასწვრივ, ფართო ქუჩაზე „ინტურისტის“ ვეებერთელა ავტობუსმა ჩამოიჭროლა და გაუსწორდა თუ არა პაპა-შვილიშვილს, თამამი ყვირილი გაისმა:

- Un coq!
- Un grand coq!
- Un coq rouge!*

და ავტობუსიდან თავპირისმტვრევით გადმოცვივდნენ უცხოურად ჩაცმული ახალგაზრდები თუ ქალაროსნები. მათ შავი წინგარდნიანი თეთრი ტილოს ქუდეები ეხურათ და ისე თამამად იქცეოდ-

ნენ, როგორც ტყეში, სადაც ამაყნი ნიჭიანი ხიზლინიქნიქნი დას.

მამულა და მისი მამალი უცხოელთა გარემოებაში აღმოჩნდნენ. საქმე მისწრებაზე მიდგა და ვინ მამალს ჩააფრინდა და ვინ მამულას ეალთებს, გასწიეს და გამოსწიეს, ვიდრე მოხუცი არ აყვირდა — ვინა ხართ და რა გინდათო.

— მამლის ყიდვა უნდათ. — უთარგმნა ტურისტების თანმხლებმა ქალმა.

— არა ვყიდი, — თქვა მამულამ და უცხოელს კალთიდან ხელი გააშვებინა.

— ორმაგ ფასს გაძლევენ, — განუმატა იმავე ქალმა.

— ფასი რასა ჰქვია, ასმაგიც რომ მომცენ, არა ვყიდიო, ვერ გაიგეს — დამცინავი ღიმილით გაუმეორა მამულამ.

ტურისტები კი მამალს მაინც არ ეშვებოდნენ. გარშემო უვლიდნენ და ფოტოაპარატებს ახეაქუნებდნენ. ყაყაინებდნენ და ხელებს იქნევდნენ. გაოცებულნი იყვნენ კავკასიური გზის მამლის სილამაზით. ერთმა მათგანმა მამულას ოქროს საათი შეაჩეჩა ხელში — გავცვალოთო.

— ჩემი დიდი ოქროს საათი ეგ მამალია, არც მოიშლება და არც მომართვა სჭირდება, ყოველდღით თავისდროზე აღვიძებს დიდსა და პატარას. — უთხრა მამულამ და უცხოელების წრე გაარღვია.

გაშლილი ნაბიჯებით ფეხდაფეხ გაყვა უცხო ხალხის თავხედობით აღშფოთებული მამალი.

— ხომ ვაჯობეთ იმათ, მამულა-პაპა — ძლივს დამშვიდდა გია.

რაც დრო გადიოდა, პაპა და შვილი-შვილი მით უფრო მეგობრდებოდნენ. მამულას საინტერესო თქმულებებისა და ზღაპრების მარაგი არ ელეოდა, ხოლო შვილიშვილს კი გველეშაპებისა და დევების მშუსრავი კოპალე ძილშიაც არ ასვენებდა. ბოლოს გიამ ისიც გაიგო, რომ მამულა პაპა სწორედ იქიდან მოსულიყო, სადაც თვალუწყდენი კოშკები დგას, ბევრი ჩანჩქერები, ჭიხვები და ყინულიანი მწვერვალებია. ყვე-

* — მამალი!

— დიდი მამალი!

— წითელი მამალი! (ფრანგ.)

ლაფერი ეს მას ასეზის ჰქონდა ტელევიზორში ნანახი და ძალიან უნდოდა ერთხელ მაინც ეხილა თავისი თვალით.

— წავიდეთ, პაპა გენაცვალოს, წავიდეთ, შენ იქ მამაშენისგან უპატრონოდ მიტოვებული საკუთარი კოშკი გაქვს, ავიდეთ იმაზე და გავხედოთ ფოცხვერაულთა თემის მთა-ბარს — აიმედებდა შვილიშვილს მამულა.

მამულას გია უადვილებდა უჩვეულო ცხოვრებას, ის უყურებდა ბედის უაუღმა შემოტრიალებით ატეხილ ტიკვილებს. მოხუცი ბავშვში თავისი ჭილაგის ნიშნებს ხედავდა. ამიტომაც მის ბებერ გულში თანდათან ღვივდებოდა იმედის მინავლული ნაკვერჩხალი. გიას მომავალზე ოცნებობდა, რადგან ისლა ეგულებოდა გვარის გამგრძელებლად და მამულის პატრონად. პაპა თავის ჰკუთხე გააწვრთნიდა და დაგეშავდა შვილიშვილს, ლილოდან გადმოუყვანდა განთქმული ჭიშის იაბოს, მხედრობასა და იარაღის ხმარებას ასწავლიდა. უამბობდა წინაპართა გმირობასა და კაიყ-მობის ძველისძველ ანდრეუბებს, გააგებინებდა, სად და რისთვის წირავდნენ სიციცხლეს მისი წინაპრები.

ამ დროს კი ლიზას მოთმინების ჰურჭელი პირთამდე ავსილიყო და ერთი პატარა შეტოკებულა აყლდა, რომ ბოლმა და ცოფი ღვართქაფად გადმოდენილიყო. საქმე ის გახლდათ, რომ ლიზას ღრმა რწმენით, გია მისი საკუთრება იყო და ამაში აქამომდე არც არავინ შესღავებია. გია უნდა გამოსულიყო ისეთივე მეოჯახე და შემომტანი, როგორც მისი ქმარი ბიძინა და სიძე ალიკა იყვნენ. მაგრამ ლიზა იმასაც კარგად ხედავდა, რომ მისი შვილიშვილი ამ კაცმა თანდათან გადაიბირა. ასე თუ გაგრძელდებოდა, ბავშვი ხელიდან წაუვიდოდა. საჭირო იყო რალაციის მოხერხება და ერთხელაც გადაწყვიტა, რომ მოვიდოდა თუ არა სამსახურიდან ალიკა, მამალი ოჯახისთვის მოეშორებიათ და ეს კაცი საავადმყოფოში წაეყვანათ.

ლიზას წესად ჰქონდა, რომ საოჯახო თათბირებს სადილობის დროს გამარ-

თავდა ხოლმე. ასე იყო, ^{გარეუბნულში} ^{საშობაობაში} ცოცხალი ჰყავდა მამიანაც და ასე გრძელდებოდა მისი სიყვდილის შემდეგაც. დედა და ქალიშვილი ყოველთვის ერთი სათქმელით გამოდიოდნენ და მხოლოდ ეგ იყო, რომ მონაცვლეობით ლაპარაკობდნენ ერთსა და იმავეს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი აზრი ყოველთვის გადიოდა თუნდაც იმ მარტივი უფლების ძალით, რომ ისინი ორნი იყვნენ ერთის წინააღმდეგ, ხოლო თუ საკმაო ესეც არ აღმოჩნდებოდა, მამინი ლიზა სიძესთან თათბირს სულაც შეწყვეტდა და რასაც ბრძანებდა, ის უნდა გაეთებელიყო.

ასე ჰქონდა აწყობილი ლიზას თავისი მყუდრო ოჯახი.

იმ დღესაც, მოუსხდნენ თუ არა საცხე მაგიდას, ლიზამ თავისი აზრი ჩამოუყალიბა სიძეს, არწმუნებდა, რომ მათ ოჯახში საშინელი უბედურება ხდებოდა, რომ დროზე თუ არ მიხედეს. ბავშვი იღუპება.

ალიკამ ბარაქიანი ლეკმა მადიანად გადაყლაპა და სიდედრისთვის არც შეუხებდავს ისე ჰკითხა:

— რა ვქნათ?

ლიზას გული გაუნათდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ზრდილობიანი სიძე როცა ასეთ პასუხს უბრუნებდა, მერე მისი ჭერი დგებოდა და გადამწყვეტი სიტყვაც მას ეკუთვნოდა.

— თუ გინდა, რომ ბავშვი ხელიდან არ წავიდეს, მამაშენი საავადმყოფოში უნდა დააწვინო, მაგ მამალს კი მერე მე თვითონ მოუველი, — თქვა ლიზამ და პასუხის მოლოდინში მღვრიე თვალები სიძის გაოფლილ სახეს მიაბჟინა.

ალიკამ ჩანგალი დადო და გვერდზე გაიხედა, გაუჭირდა სიდედრის სურვილის დაკმაყოფილება და მისი გულის მოღობობა სცადა:

— დედა, ხომ ნახე, რომ საავადმყოფოში არ დაწვა, ავადმყოფი კაცი როგორ გავაგდო სახლიდან. ის ხომ მამაჩემია!

— მამა თუ გყავდა, თან უნდა ჰყოლოდი, — გადმოყარა ღვარძლი ლიზამ

და ქალიშვილს გადახედა. — ახლა შენი ჭერიაო.

— ჩვენი პირობა ეგ არა ყოფილა, რომ ოჯახში შესანახებს შემომიყრიდი. მე მარტო შენ გიცნობდი და სხვას არავის. — დროზე გამოეხარხლა დედას ქალიშვილი.

— გეყოფათ ახლა! — თქვა ალიკამ და ხელი მაგადას დაპკრა.

ლიზა მოულოდნელობისგან გაშრა, ფერი დაეკარგა და ენა ჩაუფარდა. ათი წელი იყო მათ ოჯახში სიძე. მაგრამ ჭერ ამის მსგავსი რამ არაფერი გაებედა. კიდევ უნარეირ რომ არ მომხდარიყო, ნაცად ხერხს მიმართა და უმისამართოდ აბუზღუნდა:

— ერთი მყუდრო სახლი გქონდეს და იქაც არ მოგასვენონ. არა, ჩემი ლიკას სიცოცხლემ და ჩემი ქმრის სულის განათლებამ, ხელეც ფანჯრიდან გადავარდები. ხარის შემოგდებას უფრო ადვილად ავიტან, ვიდრე ამ კაცის ოჯახში ყოფნასა და ბავშვის წახედნას.

სამეტურნალოდან დაბრუნებულ მამულა-პაპას გია სადარბაზოს წინ დახვდა და ვიდრე ებებებს აათავებდნენ, ყველაფერი უამბო.

მამულამ შეილოშვილი დაამშვიდა, მერე საუბრისათვის შევიდა, თავისი ლოგინი წამოკრიფა. — მამალთან მინდა ვიყო — ესა თქვა და სარდაფში ჩაბარდა.

სარდაფი საკმაოდ დიდი და თანაც აკრავდ გამართული აღმოჩნდა. კედლებს თავიდან ბოლომდე ჰქონდა ჩაყოლებული ხილითა და ბოსტნეულით სავსე თახჩები და განჯინები. ჰერამდე აყვანილი თაროები ათასგვარი წვეწებითა და მურაბების ქილებით იყო გამოჩურთული. მარტო წიწყისა და ნივრის გალები აქ იმდენი იყო, რომ მთელ ქალაქს ეყოფოდა გასამწარებლად. კუთხეში ერბოთი სავსე კასრის გვერდით პირმოკრული ყველის გუდები წამოეგორებინათ. სარდაფის ბოლოში, დაბეტონებული იატაკიდან ორ ქვევრს ამოეყო ყელი, ქვევრებში რაც ვერ ჩატეულიყო, იმ ღვინით ვეებერთელა ბოცე-

ბი აევსოთ და სამარქაფოდ შეგუბუნდნენ ეტოვებინათ.

სოფლური სურსათის გარდა, სარდაფში უხვად შემოეზიდათ მალალხარის-ხოვანი ფქვილი და მაკარონი, კუთხეში ახლადპირმობხნილი, ბრინჯით სავსე ტომარა იდგა.

დიდძალი ცხვარ-ძროხა ჰყავდა თავის დროზე მამულას, მაგრამ ამდენი ქონი, ამდენი ყველი და ერბო შესაკმელად არასოდეს შემოუნახავს. შემოდგომაზე ყველაფერს მიყიდ-მოყიდდა და მხოლოდ იმდენს დაიტოვებდა, რაც გაზაფხულამდე გააღწევიანებდა.

მამულა გაოცებული ათვლიერებდა ვეებერთელა სარდაფს და ვერ წარმოედგინა, რამდენ ხანში უნდა შეექმნა ეს ყველაფერი მხოლოდ სამ ადამიანს?

მიუხედავად ამდენი ხორაგუელის შემოყრისა, სარდაფში მაინც საკმაოდ ადგილი იყო დარჩენილი იმისათვის, რომ მამულას საწოლი გაემართა.

ბერიკაცმა კიდევ უფრო იმით გაიხარა, რომ კუთხეში ონკანი აღმოაჩინა. სადაც წყლის დალევაც შეიძლებოდა და პირის დაბანაც. ოღონდ ეგ იყო ნივრის, ღვინის და კიდევ რალა-რალაცის სუნმა ცოტა გააბრუა, თორემ ლიზას ყურებს აქ ყოფნა ერიცხა.

საწოლი საგულდაგულად გამართა, მერე თავისუფლად წამოიწვა და თავი ფიქრს მისცა. მთაში ყოფნისას იგი შეილის ოჯახს სხვადასხვანაირად წარმოიდგენდა ხოლმე — ხან როგორც და ხან როგორც, როგორც ფიქრი უკარნახებდა, მაგრამ როგორც ნახა, ასეთად კი არასოდეს წარმოედგინა, და აი ახლა ამ მისთვის საკვირველ ოჯახზე ფიქრობდა.

მოულოდნელად სარდაფის ოკნის კარმა გაიჭრიალა და ღრქოში გიამ შემოყო ხტუტა თავი. სარდაფი მოათვალიერა და წამოწოლილ მამულას გაუცინა:

— მამულა-პაპა, ამირანისა და დევის ამბავი მომიყევი!

— მოდი, ბაბუჯა გენაცვალოს. — მიუთალერსა მამულამ და საწოლზე წამოჯდა. — აბა მომაგონე, სად გავჩერდით

და ახლავე დავიწყით — უთხრა და ხელით აჩვენა, მოდი აქ, გვერდით ჩამომიჯექო.

აივანზე ნებიერად წამომჯდარ ლიზას შეილოშვილი თვალისა და ყურისგან რომ გაუქრა, შეშფოთდა. ჭერ ადგილიდან ეძახოდა. მერე როგორც იყო, ჩაგორდა კიბეებზე და მთელი ეზო მისი ძებნით აივლო და ააქოთქოთა. გია კი არა და არ ჩანდა. ლიზას შიშის ელდა ეცა, წიოდა და ვიშ-ვიშებდა, მეზობლებს საშველად მოუხმობდა. ბოლოს ზემო სართულიდან მეზობლის გოგონამ გადმოსახა — გია და ვაჟა მამულა-პაპასთან წაივინდნენ საზღაპრაოდ.

აკანკალებული და ფერდაკარგული ლიზა აფთარივით შეიქრა სარდაფის კარებში.

მამულა და მისი მსმენელები ისე გაეტაცა ამირანის ბრძოლას დევებასა და ვეშაპებთან, რომ კარგახანს გონს ვერ მოვიდნენ, თუ რა რისხვა დაატყდათ თავს.

განჩხლებული დედაცაი წივილ-კივილითა და მუქარით დააცხრა შეილი-შვილს, კისერში სწვდა და კარისკენ დაითრია, მაგრამ გიამ იმარჯვა, ორივე ხელით კარის სახელურს ჩააფრინდა და ბებუის მოგერიების ჩვეულ ხერხს მიმართა, — განწირულივით აწივლდა.

მამულა ზეწამოვარდა და მრისხანედ იყვირა:

— რას სჩადი, დიაცო, შენ!

დიაცმა თავისი გაიტანა, ბავშვი კარებს მოგლიჯა და მუჭლუფუნებითა და ლანძღვა-გინებით გაიგდო წინ.

გაოგნებული მამულა კარგახანს იდგა შუა სარდაფში. ბებერი ხელები მოემუშტა და მარჯვლიანი თვალებით დაცარიელებულ კარებს მიშტერებოდა. მერე საწოლზე ჩამოჯდა. ჭალარა თავი დამქნარი ხელებით დაიჭირა და ვიდრე კარგად არ ჩამოალამდა, არ გატოკებულა.

მიიმე ფიქრებისგან მოქანცული და მოთენითილი გვიან წამოდგა, მამალი შემოიყვანა და კუთხეში თავისუფალი

ადგილი შეტურჩია. მერე ცხელი წყლით მონახა და ზედ ჩამოაბზო.

იმ ღამიდან მეზობლებს ძილი ნებისა ჰქონდათ. რადგან სქელმა კასრმა ყივილის ხმა ჩაახშო, მაგრამ მამალს მაინც ვერ შეურიგდნენ. ჭერ იყო და ეზოს დაბინძურება დასდეს ბრალად, მერე კი როცა ეს საშინელი არსება ფანჯრების წინ ჩაყოლებულ უვავილნარებშიც შეიქრა და უმოწყალოდ გადაქექა იქაურობა, მეზობლების აღშფოთებას საზღვარი აღარა ჰქონდა.

— წარმოგიდგენიათ, ეს რა უბედურებაა!

— პირუტყვის საცხოვრებელში რა უნდა, რწყილებს გააჩენს.

— აიყვანონ და სახლში ჰყავდეთ.

— ოღონდ უხმოდ აყივლონ, არა? — ახითხითდა შეზარხოშებული ზაზა პოეტო.

— რა არის აქ სასაცილო! — გაკაპასდა ვილაც დედაცაი. — სულ თქვენისთანების ბრალია, რომ ესენი, ეს ბრიყუთა მოდგმა. გაგვიბატონდნენ და თავზე დაგვასხდნენ. იქ, საერთო ნაკვეთში გარაჟი გამართეს, აქ კორპუსს ძირი გამოუთხარეს და სარდაფი მოაწყვეს, ნაშუალამევს „გოლგოთა“ მოგრიალდებდა და ისე აპიპინებს, რომ ბოდიშსაც არავის მოგვიხდის, კაცი ხმას არ იღებთ!

ზაზა პოეტმა გაზონებს გადღმა მეზობლებისგან შერისხული მამალი შენიშნა და მისკენ გაეშურა. ილიაში ამოჩრილ პურს ყუა მოატეხა, დაფხვნა და დაუყარა. მერე სკვერში განმარტოებით მჭდომარე მამულასთან მივიდა და უელი გამოუწია:

— მამულა ბიძია, ოღონდ მამალს კასრი ახადე, რომ თავისუფლად იყივლოს და ქოფაკ ლიზას თუ გინდა ამაღამვე დაგიბრჩობ.

* * *

მამულა დილ-დილობით უბოზე მიდიოდა აბაზანების მისაღებად. იქიდან ნაშუადღევს დაბრუნებული, დალილი და დასუსტებული მიწვებოდა თავის ქვეშაგებზე და ბერიკაცო ფიქრს მა-

ნამ ვეალეზბოდა, ვიდრე ლიზა არ ჩამოს-
დახებდა. — ამოდი, ისადილეო.

სადილზე მიწვეული მამულა ფეხთ
დაიხდიდა. ფოსტლებს მოიარებდა და
მისთვის მიჩენილი ადგილისკენ გასწევ-
და. ეს ადგილი კი დიდი სამზარეულოს
პატარა მაგიდა იყო, რომლის კუთხე-
შიც ლიზას უკვე გაეშალა შიანისთვის
სუფრა: დიდი ჭამით გუშინდელი წენი-
ანი, შემწრალი ხორცის ნაჭრები, წნი-
ლი და ოდნავ შემწკნარი მწვანელი ული.

ბერიკაცი მხოლოდ წვეწმი ჩაიყრი-
და პურის მოზრდილ ნატეხებს, მერე
დიდხანს უმადოდ ლოღნიდა და მისი
სადილობაც ამით მთავრდებოდა. დარ-
ჩენილ სანოვავეს კი ლიზა ერთი ხელის
მოსმით ჩაუთახებდა იქვე მდგარ სანაგ-
ვე ტრნაში. ამ დროს შეურაცხყოფისა-
გან მოხუცს თვალთ უბნელდებოდა —
გასვლა შინც მაცალოს, რომ თვალთ
არ დავინახოთ — გაივლებდა გულში.

მაგრამ რა ეჭნა მოხუცს, რომ არც წა-
სასვლელი ჰქონდა სადმე და აღარც —
ფული გააჩნდა. უკანასკნელ მანეთებს
მამლის საყვებისთვის იზოგავდა და ყო-
ველ კვირას პატარა პარკით მარცვლე-
ული მოჰქონდა მახლობელი ბაზრიდან.

მამულასთვის სადილზე უფრო აუტა-
ნელი ვაზში იყო, რადგან ამჯერად
უფრო მეტი სიყალბისა და თვალთმაქ-
ცობის მოწმე ხდებოდა, იგი ნათლად
ხედავდა თუ რა შორი-შორს იყვნენ
ერთიმეორისაგან ისა და ლიზას ოჯახი.

ისევ დაჭდებოდა სუფრის თავში ჩამ-
რგვალბული ალიკა, მარჯვნივ სიდედ-
რი მიუჭდებოდა, ხოლო მარცხნივ კი
გულის მზარზე, ადგილს მისი ღირსე-
ული მეორე ნახევარი, — ლიკა იკავებ-
და. მამულას შვილის პირისპირ უწევდა
ჯდომა. იწყებოდა მუსიკა. მამულა
იჭდა თავისთვის, ყბებს აუჩქარებლად
აკოდვილებდა და დანადგლიანებული
უსმენდა მათ მსჯელობას, მოხუცი იმა-
საც ხედებოდა, რომ ოჯახის წევრები
ზირად მინიშნებით ლაპარაკობდნენ,
რომ მას ვერაფერი გავგო, მაგრამ მა-
მულას ეს არ სჭირდებოდა და იმასღა

ნატრობდა, ნეტავ ისიც არ მტყუნებდა
რაც უკვე გაიგონა.

ალიკა დროდადრო საქმიან მსჯელო-
ბას შეწყვეტდა ხოლმე. ბროლის ჭი-
ქებს თავანჯარი ღვინით შეავსებდა და
დიდი გულისტკივილით მოიხსენიებდა
ოჯახის ფუძემდებელი სიმამრის სულს,
მოწინებით ადღეგრძელებდა სახლის
ბურჯსა და დედაბოძს — ლიზას, მერე
მამულას უსურვებდა გამოჩანმრთლე-
ბასა და დიდხანს სიცოცხლეს, მოთმი-
ნებასა და ახლებური ცხოვრების გაგე-
ბას, ამასთან ერთად, ალიკა ზოგჯერ
სინანულსაც გამოთქვამდა იმის გამო,
რომ მამამ „დაბლა სართულში“ დაბინა-
ვება ისურვა და შვილი კი ვალდებული
იყო მამის სურვილი დაეკმაყოფილე-
ბოდა.

მამულას წამებდა ექცა ასეთი ვაზშ-
მები, მით უმეტეს, რომ თითქმის ყო-
ველთვის გაიხსენებდნენ ანუზარ მა-
მალს და მის დაკვლას, გაყიდვას, ან
თუნდაც გასაჩქარებას მოითხოვდნენ.
თავმოებზრებულმა მოხუცმა ერთხელაც
გადაწყვეტილთ გამოუცხადა მათ: — ხა-
ლხნო, გაიგეთ, რომ ცოცხალი თავით
მაგ მამალს არავის დავანებებ, ვიდრე
პირში სული მიდგას, ის ჩემთან იქნება
და ამაზე ლაპარაკი გავათათოთ.

ლიზა ამას არ მოელოდა, იგი საბო-
ლოდ დარწმუნდა, რომ მის სახლში
შემოჭრილი ეს უცხო კაცი სრულიადაც
არ აპირებდა მის ნება-სურვილს დამო-
რჩილებოდა. დედაკაცი ბრახისგან აკან-
კალდა, აიფაფრა და სახეზე წამოლურ-
ჭდა. ის იყო მისთვის ჩვეული ისტერია
უნდა წამოეწყო, რომ მამულას ქვასა-
ვით მშვიდსა და უტებ თვალბს წააწ-
ყდა. მოხუცი მხრებში გასწორებულ-
ყო, ჭალარა თავი მალა აეწია და თით-
ქოს, ამბობდა, — აბა მოდი, რას წაი-
ლებოთ.

მეორე საღამოს მამულამ მუხლების
ტკივილი მოიმიზნა და სავახშმოდ
აღარ ამოვიდა.

ნავახშმევს თვითონ შვილმა მიაკითხა
სარდაფში. გალიმებულმა და დონიწმე-
მოყრილმა თავისი საწყობ-საიუკნაო ისე

მოათვალეოდა, თითქოს, იქაურობას პირველად ხედავდა. მერე გაჭირვებით დაიხარა და მამის საწოლის სირბილე ხელით მოსინჯა — არა უშვავს, კარგად მოწყობილობარო, — მოუწონა და გვერდით მოუჭდა.

საეცმა საწოლმა გაიჭრიალა და სიმძიმისგან იატაკამდე დაიხრჩია.

აღიკა საკმაოდ ნასვამი მოსულეიო სახლში და ნაძალადევი მხიარულ სახეს უჩვენებდა მამას, ცდილობდა, ამ ხერხით დაეყოლიებინა მოხუცი, დამთმობი და თვინიერი გავხადა იგი. მაგრამ მამას შვილის უღირსი საქციელი დამშვიდების ნაცვლად უფრო აღიზიანებდა.

— მესმის, მამაჩემო, რომ ძნელია, ის კი არა და ძალიან ძნელია ძველ ცხოვრებას შეჩვეულმა კაცმა ახალ რაიმე გაუგოს, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ძველი ახლით უნდა შეიცვალოს, — დაიწყო შვილმა მამის შეგონება.

— მაგრამ ახალი ძველზე უნდა მოდიოდეს. — შეაწყვეტინა მამამ და დასტურად ანდაზა მოიშველია: „განა რაიცა ძველია, სუყველა საწუნელია?“

— ამ სახლში შენი გასაკეთებელი არაფერია. — განაგრძო ალიკამ თავისი სათქმელი, — იყავ და მოსივენე, სასმელი არ მოგაკლდება და საჭმელი, ოღონდ რასაც გეტყვიან, გაუგონე!

მართალია, შვილი უღიმოდა, ალერსითა და დაყვავებით ელაპარაკებოდა. მაგრამ მამა ხედავდა, რომ ამ შემოთავაზებული პირობების მიღმა მისი კაცურკაცობის დამხობა იმალებოდა. აქამდე მამულას „კითხული კაცის“ სახელით იცნობდნენ და თემის თავკაცად მიაჩნდათ. მძიმე საქმეების გასარჩევად მასაც იწვევდნენ და აღიარებულ რჯულის კაცად ითვლებოდა. ახლა კი საკუთარი შვილი ურჩევდა: ღიზას მორჩილი კვებულა იყავი და რაც გითხრას, დაუჭერო.

— აი დედას მამულასასა, — თქვა მოხუცმა და ჭლარა თავი ორივე ხელით დაიჭირა, კარგახანს გაიჩინდა, გაქეპდა. მას არ ესმოდა, კიდევ რას სთავაზობდა საკუთარი ნაშიერი, საკმაო

იყო, რაც მოისმინა და ბოლომდე უველაფერი გაიხარა, თავი მაშინ ასწია. შვილს სასმელისგან შემღვრეულ, ჩასისხლიანებულ თვალებში მრისხანედ ჩააშტერდა.

აღიკა შეეკრთო მამის გამოხედვამ, რადგან ბავშვობა გაახსენდა, ასე მაკარად მამა მხოლოდ მაშინ იხედებოდა, როცა შვილს დანაშაულზე წაასწრებდა.

— შენ მეუბნებოდი, სასმელი და საჭმელი არ მოგაკლდებაო, — დაიწყო მოხუცმა ისეთი სიმტკიცით, თითქოს შვილს სიტყვებს კი არა, ქვეშებს ესროდა, — განა ღვთიშვილთ მარტო იმისთვის შეგვქმნეს, რომ სასმელ-საჭმელი არ მოვიკლოთ და რასაც ვინ გვეტყვის, ავასრულოთ. მაგისტვის ხომ პირუტყვები გააჩინა ღმერთმა და მეტს თუ არაფერს გავაკეთებდით, მაშინ ჩვენი გაჩენა რაღა საჭირო იყო?! ხომ ყველა ღორი ცდილობს, ბევრი და კარგი სათქმელევი დაისაკუთროს. ძლიერი ქოფაკი ღრენით მოიფრთხობს სუსტ ნაგაზებს, რომ რბილ თივაზე თვითონ დაწვეს. სალაფავისათვის ისინიც კარგად იბრძვიან, მაგრამ სინდის-ნამუსი და ადამიანობა არ გააჩნიათ. ღვთიშვილებს არ მოეწონათ პირუტყვთა ასეთი ჭილაგი და ადამიანს იმათგან განსხვავებული გონი და სინდის-ნამუსი დაუმატეს, კაცობა მისცეს, რომ სამზეო უფრო ღამაში ყოფილიყო.

მოხუცმა დინჯად მოაცილა მზერა შვილის შემკრთალ თვალებს, თავი დახარა და ჩაფიქრდა.

— თქვენ გინდათ, — განაგრძო წუთის შემდეგ, — ძველი ჭოანივით ნაგავს გამაყოლოთ, მე კი ჭერ ცოცხალი ვარ და მინდა მამა ვიყო, მე ღვთის-შვილებმა აქამდე იმიტომ მაკოცხლეს, რომ შვილიშვილს გადაეძაბრო ის, რაც მამა-პაპათ გადმომცეს. იმ ბაღმა კი აქამდე არ იცოდა, რომ პაპა ცოცხალი ჰყავს. არ იცის ვისი გვარისაა და როგორი წინაპრები ჰყავდნენ, ეგ კუდიანი დედაკაცი კი ჭილაგსა და ჩამომვალობას მართმევს, შვილიშვილს პაპასთან მისვლის ნებას არ აძლევს.

მამამ და შვილმა დიდხანს ილაპარაკეს. ხანგრძლივმა საუბარმა მხოლოდ ის გამოარკვია, რომ მამასა და შვილს სრულიად საპირისპირო შეხედულებები ჰქონდათ ცხოვრებაზე და არცერთს არ შეეძლო თავისი რწმენისთვის ელაღლა.

მოულოდნელად დახშული ყვირილი გაისმა კასრიდან და მამა-შვილი ამით მიხვდნენ, რომ დიდი დრო გასულიყო.

ალიკა წამოდგა და ხელი საყვედურით გაიშვირა წამოპირქვეებული კასრისკენ:

— აი, თუნდაც ეს, განა ამდენ დავი-დარაბად ღირს ერთი ქეციანი მამლაყინ-წა, რომ ვერ მოგაცილებინეთ და მთელი მეზობლები მტრებად გადაგვიყიდ.

— არა ღირს და დამანებეთ თავი, თქვენთვის ის ორიოდ კილო ქათმის ხორცია, ჩემთვის კი ძალიან ბევრი რამ არის, ხომ თავიდანვე ვითხარით, რომ მამალს არც გავყიდი და არც დავკლავ...

ალიკამ ხელი ჩაიქნია, გავიდა და ძლივს გაეცია იმ კარებში, საიდანაც სავსე ტომრები თავისუფლად შემოჰქონდათ.

* * *

მომდევნო დღეებში მამასა და შვილს შორის ურთიერთობა უფრო გაუარესდა და ალიკას გაუჭრა ის ნაყაღბევი დიმილიც, რასაც მამასთან შეხვედრისას აქამდე იჩენდა. იგი წუხდა და შფოთავდა, რადგან რაც უნდოდა, ის არ გამოუვიდა. მორჩილების მაგიერ მამამ იმ ღამეს ბებერი ვეფხვის კლანჭები დაანახვა და გარკვევით უთხრა: შენი ოჯახი ოჯახი არ არის და არც შენა ხარ კაცი.

თავის მცირე ცხოვრების მანძილზე ალიკას საკმაოდ ბევრი მზილება, გაეცხვა და, თუ გნებავთ, დამსახურებული ლანძღვა-გინებაც ჰქონდა მიღებული. მაგრამ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ასეთი რამეები ფეხებზეც არ ეკიდა. ახლა კი მამის სიტყვებმა გულის რომელიღაც კუნჭულში სევდა ჩაუგუბეს და მასვენება დააპარგინეს.

არც მამულას ედგა მზიანი ღამეები. შვილისგან სწყინდა, თორემ მძახალთან მას რა საქმე ჰქონდა. როგორ აყადრა შვილმა მამულა ფოცხვერალს — ჩემმა სიღედრმა და ცოლმა რაც ვითხრან, გაუგონეო. მაშ მამულა რალა ყოფილა?

მოხუცს სევდა და გულწაბრობა მოემატა, აღარაეის ეკარებოდა, კიდევ უფრო გაქსუვდა და განმარტოვდა.

ერთადერთი ზაზა პოეტი იყო, რომ მამულას ამ ქვეყანასთან აყავშირებდა. იგი თითქმის ყოველ საღამოს შეხსნიდა სარდაფის კარს და თავაზიანი მისალმების შემდეგ ყოველთვის ერთსა და იმავეს ემუდარებოდა.

— მამულა ბაბუა, თუ გიყვარდეთ, გამოიყვანეთ ეგ მამალი კასრიდან და მეზობლებს მე გავცემ პასუხს, ნუ უხშავთ მაგ არსებას იმ ნიქს, რაც ღმერთმა აჩუქა. მოეშვიტ, იყივლოს, რომ ლამაზი დილის მოახლოვება აუწყოს ქვეყნიერებას.

— მეც მაგას ვამბობ, შვილო, მაგრამ ჩემს ნათბარს არაეინ ყურობს. რას აღარ აყვირებენ ამოდენა ქალაქში. აყვირებენ ქარხნებსა და მატარებლებს, ავტომობილებს და ადამიანებს, აქ ყველა და ყველაფერი ყვირის, მაგრამ ჭერ არ გამოიგონია, რომ კაციშვილს ეთქვას, რაც ყვირის, დავკლათო: საევირველია, რა გაუხდათ ეს ერთი მამალი, ეგრე აქვს მაგ დალოცვილს შეთვლილი და ეგვეც ყვირის, მე ხომ არ მისწავლებია. გვალვიებდსო — ვის გაუგონია, ადამიანს გვალვიებისა ეშინოდეს. ქალაქისოდენა ღამეა და ამდენხანს ერთ ადგილზე ნადები ღეშიც აყროლდება და ამათ კი მაინც ვალვიებისა ეშინიათ ამ უბედურებს.

როცა პოეტი ესტუმრებოდა, იმ ღამეს ბერიკაცს მშვიდად ეთინა და სასიამოვნო სიზმრებს ნახულობდა. ისე კი ძალიან უჭირდა. ამდენი საგონებელი თავის თავსა და თავის ოჯახზე მას არასოდეს ჰქონია. კაცობა ისე გალია, რომ ყველაფერი მამაპაპურ კალაპოტში იყო ჩაყენებული და ნაკადულივით თავისი

გზით მირაკრავებდა. ახლა კი მოხუცმა აღარ იცოდა, რა ელონა, როგორ მოველო ან თავის თავისთვის, ან იმისთვის, რასაც ღიზა თავის ოჯახს ეძახდა. ყოველდღე უმტყიცდებოდა ის აზრი, რომ მისი შვილი არ იდგა სწორ გზაზე და არც პატრონი ჰყავდა, რომ შეეჩერებია და შემოეგბრუნებია. მას თავის მამობრივ მოვალეობად მიიჩნდა. გამოერკვია, საით მიექანებოდა მისი მემკვიდრე, მაგრამ მიუხედავად განუწყვეტელი ფიქრისა, წინ ვერაფერს ხედავდა, რადგან ამ ოჯახში ყველაფერი დამალული და დაფარული. ყველაფერი თვალგაუტარი ბურუსით დაბინდული იყო.

მძიმე ფიქრებით გათანგულ მამულას ჩაეძინებოდა თუ არა, მაშინვე გამოეცხადებოდა შემოჩვეული ავი სიზმარი: ადიდებული მღვრიე მდინარე ღრიალით მიექანებოდა თვალუწყდენელი უფსკრულიაკენ. შავი ზვირთები ნაფოტივით ატივტივებენ მის ალექსის, ხან ერთ ნაპირს მიახეთქებენ და ხან მეორეს, ის კი ხელსაც არ ანძრევს. თითქოს არცა ხერს ამოსვლა და თვალდახუჭული თავისი ნებით მიექანება ჭოჯოხეთური უფსკრულისაკენ.

იქ კი, იმ უფსკრულის ფსკერზე კუდიანთა შარულაა გამართული. აი მათ შორის მამულამ მალე დედიშობილად ტიტველი ღიზაც შენიშნა, იგი ცოცხზე ზის და გრძელი კუდი აბია, ცეკვავს და ალიკას თავისკენ ხელს უქნევს.

— შვილო ალექსი, თვალი გაახილე! — ყვირის მამულა და თავისი ხმა თვითონვე აღვიძებს.

კასრიდან ყრუდ ისმის მოხშირებული ყვირილი და მამულა ხედება. რომ გათენებულა, ეს ღამეც უძილობისა და ერთი აკვიატებული სიზმრის ამარა გაპარულა.

ლოგინიდან დგება, სინათლეს ანთებს და აჩქარებით იცვამს, რომ ბინიდან ჩამოსულ შვილს ვარაყის კარებთან დახედეს და აბაზანებზე წაყვანინოს, ღიზ, ასეა საჭირო, თორემ შვილს სამსახურში აკვიანდება და ერთი წუთითაც ვერ მოუცდის.

იმ დღით მამულამ შვილსა და მამულას ტანსაცმელი გადმოქექა. ისინი ერთი კვირის წინათ აჩუქა რძალმა, რადგან თავისები ძალიან შემოაცვდა. მთელი ტომარა იყო სავსე შარვლებითა და ხალათებით, ხიფთანებითა და პიჯაკებით, საცვლებითა და ფეხსაცმელებით. ყველაფერი სხვადასხვა ფერისა და ფორმისა, იმის მიხედვით შეკერილი, თუ როგორი იყო იმ წლის მოდა, მომდევნო წელს კი ალიკას სხვა შეეკრებინებინა და ეს მცირედ გაცვეთილი სამოსელი წლების მანძილზე თითქოს მამულას მოსვლას უცდიდა.

მოხუცმა გაუსინჯავად გვერდზე მიყარა უცხოური მაღალქუსლა ფეხსაცმელები, რადგან ქალამნებში გაბრტყელებულ, მის ნიჩბებივით ფეხებს ისინი ვერ მოერგებოდნენ. შავი შარვალი ამოარჩია, მაგრამ იმსიფართე უბე აღმოაჩნდა, რომ მასში სამი მამულა თავისუფლად ჩაეტეოდა, მაინც ჩაიცვა, ქამარი რომ მოიჭირა, წელი ქურთულ კაბასავით დაუნაოჭდა. ამასაც ეშველებოდა, რადგან ფიქრობდა, ხალათი ცოტად მაინც დაფარავდა ამ სიმახინჯეს, სამწუხაროდ, არც აქ აღმოაჩნდა ბედი მამულას, ტომარასავით განიერი ხალათის ბოლოები ჭიპამდის ძლივს დასწვდა ახოვან ბერიკაცს, აღარ გაიხადა. ხელი ჩაიჭინა და სარდაფიდან გავიდა.

ალიკას არც შეუხედავს მამისთვის, საჭესთან მიმჭდარი საკუთარ ფიქრებში იყო გართული.

მამამ მანქანის კარი გამოხსნა და უკანა სკამზე უხერხულად დაესუქდა.

ისინი ორთაჭალამდე ისე ჩავიდნენ, რომ ერთიმეორისათვის არაფერი უთქვამთ.

მამა ნალვლიანად დაჰყურებდა გაბერილსა და დამრგვალებულ შვილს, ღიპით საჭეს რომ მიხედავდა. უყურებდა მის უძარღვო, ფაფუკ ხელებს და რწმუნდებოდა, რომ ეს თითები ხმალს ვერასოდეს დაიჭერდნენ და არც ცელისა თუ ცულისთვის გამოდგებოდნენ.

მერე მანქანის საკვს შეავლო მოხუცმა თვალი. იქიდან მწითური ჩაყინელი-

ლებული, მაგრამ გატანჯული სახე იხედებოდა, რომელსაც სიხარულისა და ხალისის გამომხატველი არცერთი ნაკვეთი აღარ შერჩენოდა. დაღლილი თვალებიდან შიში და ეჭვი გამოსჭვივოდა.

მოხუცს უკვირდა, სად გაქრა, რამ შეკამა ასე უღროოდ მისი ვაჟის ახალგაზრდობა.

იმავე სარკეში ალიკა ხედავდა მამის დანაღვლიანებულ თვალებს, სიბერის ლაქებით მოჩითულ შუბლსა და ჩაცვენილ ლოყებს. უყურებდა შვილი და უნებლიედ აგონდებოდა ერთი კვირის წინანდელი საოჯახო საუბარი. მაშინ ლიზამ თქვა — მიცვალების შემდეგ მამულა თავის სოფელში წავიღოთ და იქ დავმარხოთ, რადგან, როგორც ლიზას სანდო წყაროებიდან დაეზუსტებია, მთაში ძვირფასი სასაფლაოების მოწყობა წესად არა აქვთო.

მისმა ქალიშვილმა ლიკამ კი დედის ნაფიქრალში მცირე დამატება შეიტანა: ცხადია, მამამთილი მთაში უნდა დაესაფლავებიათ, მაგრამ ქელეხი კი თბილისში უნდა გადაეხადათ, აბა, როგორ! მათ ოჯახს ნაცნობთა და ნათესავთა ქელეხებში ამდენი რომ ჰქონდათ გაცემული, როდის უნდა აენაზღაურებიათ ის ფული, თუ არა ახლა?

ალიკამ მანქანა სამკურნალო დაწესებულების წინ გააჩერა, შემობრუნდა და მამას ჰკითხა:

— როგორ მიდის შენი მკურნალობა, რას გეუბნებიან ექიმები?

— ექიმების თქმა რად მინდა, განათვითონ ვერ ვამჩნევ, რომ გამოვკეთდი, ადრე ტანსაცმლის ჩაცმა მიჭირდა, ამ დღით კი ისე ჩავიცვი, რომ წელსაც კი თუ როდისმე მქონდა, არ გამხსენებია — თქვა მოხუცმა იმ განზრახვითაც, რომ შვილს მისი ტანსაცმლისთვის შეეხედა, მერე კი მანქანიდან გადავიდა და სამკურნალოს შესასვლელისკენ გაემართა.

შვილისეულა შარვალ-ხალათში ცირკის მასხარას ჰგავდა ბერიკაცი. ხალათის სახელოები იდაყვებს ცოტათ იყო ჩაიკლებული. ზოლო შარვლის ეიწრო

ტოტები კი შუა წვივებამდრსწვდებოდა. დაძარღვეულ და დამკვანარ შიშველ კიდურებს წეროს კანჭებივით მიიქნევდა ბერიკაცი და მნახველთა ირონიულ ღიმილს იწვევდა.

იმ საღამოს შეიღმა ოცდახუთმანეთიანი მისცა და თან ისიც ასწავლა, თუ სად უნდა ეყიდა თავისი ზომის შარვალ-ხალათი, მაგრამ მამულას არც მერე დღეს და არც შემდეგ არაფერი უყიდა. ფულს ინახავდა და შვილს თავიდან იცილებდა — როცა საჩემოს მოვნახავ, მაშინ ვიყიდითო.

და დადიოდა ასე სასაცილოდ გამოწყობილი მოხუცი სარდაფიდან აბაზანებამდე და აბაზანებიდან სარდაფში. გარეთ იშვიათად გამოდიოდა და მეზობლებთან საერთო ენის გამონახვას კარგა ხანი იყო აღარა ცდილობდა, ბალში უსაქმურად მსხდარ მოხუცებს ვერ იტანდა.

მამულასთვის ერთადერთი სიხარული შვილიშვილი იყო. ბავშვი გაეშმაცდა, დაიგულებდა თუ არა ბებიას სახლიდან გასულს. მაშინვე სარდაფს ეცემოდა. რაც უფრო მკაცრად უკრძალავდა ლიზა სარდაფში ჩასვლას, მით უფრო ხშირად ეპარებოდა შვილიშვილი. იქ მამალთან ითამაშებდა, მერე მამულა-პაპას ზღაპრებსა და თქმულებებს მოაყოლებდა და როგორც ჩემად შემოიპარა, ისევე ჩემად გაიპარებოდა. მაგრამ თუ მამულა-პაპასთან ზაზა ძიაც დახვდებოდა, მაშინ კი უფრო დიდი გული მიეცემოდა, იცოდა, რომ ლიზა-ბაბოს ეშინოდა ზაზა-ძიასი.

ერთ შაბათ დღით გიამ სარდაფის კარი შეაღო და მამულა პაპას გაუცინა:

— მამამ — ამოვიდესო. — თქვა და კარებში გაჩერდა.

მამულა რომ ავიდა, მთელი ოჯახი საგარეოდ ჩაცმული და მორთულ-მოკაზმული დახვდა.

— ჩვენ ორი დღით ბორჯომში ნათესავებთან მივემგზავრებით, სახლს შენ გაბარებთ და ამ ხნის განმავლობაში დღეცა და ღამეც აქ უნდა იყო. ვინც

უნდა მოვიდეს, პასუხი არავის გასცე. შინ არ არიანო — უთხარი და მორჩა. სასმელ-საკმელი და ლოგინი სახლში გექნება და გარეთ გასვლა არაფრისთვის დაგჭირდება. თუ ქურდები მოვიდნენ, დაუყვირო და გაიქცევიან. აბა შენ იცი — გამოუცხადა შეილმა ისეთი კილოთი, თითქოს მამას კი არა, ხელქვეითს აძლევდა სამსახურებრივ განკარგულებას.

წამსვლელებმა კარი გარედან რამდენიმე საკეტით საგულდაგულოდ დაკეტეს და გაუჩინარდნენ.

ყველაფერი ეს ისე მოხდა, რომ მამულას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, პირი არ გაუხსნია არც „პოსა“ და არც „არას“ სათქმელად.

სახტად დარჩენილი ბერიკაცი თანდათან გონს მოდიოდა. ცხადია, სახლისადმი ყურადღებაზე უარს როგორ ეტყობდა, ორი ღამე რა არის. დაიდგამდა სკამს, დაჯდებოდა და გათენებამდე უდარაჯებდა, კაცი მთელ თემს დარაჯობდა ხოლმე და ერთი სახლის მოვლა რა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ადამიანის ძროხასავით შიგ გამომწყვეტვა და კარის გარედან დაკეტვა დღემდე არსად სმენოდა მამულას ყურებს.

ახლა ის მარტოდმარტო იჯდა რბილ დივანზე და შფოთავდა, რომ კიდევ ერთი დამპირება და შეურაცხყოფადროზე ვერ მოიგერიო. უკვირდა მოხუცს, ძალიან უკვირდა უფროს-უმცროსობის მამა-პაპუელი წესის ასე გაუფასურება, უხათრობა და უპატივცემლობა, იგონებდა თავის ქაბუჯობასა თუ დაკაცებას, ის უკვე ცოლშვილიანი კაციც კი, ლუქმის პირში ჩადებას როგორ გაბედავდა. ვიდრე მამა ტაბლას არ მოუჯდებოდა და პურს არ გატეხდა, როგორ შეიძლებოდა ფეხზე არ ამდგარიყო, როცა უფროსი სახლში შემოვიდოდა, მაგრამ მამულამ აქ ისიც ნახა, რომ ეს უბედურება მარტო მის თავს არ იყო. აქ უმცროსები მეტად უდიერად ეპყრობოდნენ მოხუცებულებს, მაგრამ რას აკეთებენ ახალგაზრდები ისეთს, რომ უფროსთა ჰკეკასა და გამო-

ციდილებას ასე განუკითხავდნენ და ზურგს აქცევენ.

დილით გაახსენდა მამულას, რომ მამალი კასრიდან გამოსაყვანი იყო, საკენკი და წყალი უნდოდა, მაგრამ რა ექნა მოხუცს, ოჯახს თავს ხომ ვერ მოსჭრიდა და ხალხს არ გააგებინებდა, რომ ის პირუტყვივით დაკეტილში ჰყავდათ გამოწყვედუელი და თავისი მამლის დარწყულება არ შეეძლო.

ვერა, ვერ გაბედა, რომ ფანჯარა გამოეღო და მეზობლებისთვის ეთქვა, მამალს მიმიხედეთო.

მესამე დღეს ნაშუაღამევს დაბრუნდნენ სახლის პატრონები. მამულას ხმა არავისთვის გაუცია. კარები გახსნეს თუ არა, იმ წუთსვე კიბეზე დაეშვა და სარდაფს მიაკითხა. დაპირქვავებული კასრი გადმოაბრუნა და გაშრა, გაქვავდა — მამალი გაგუდუელიყო.

კარგა ხანს მდუმარედ დაჰყურებდა მამლის გაფშეკილ ფრთებსა და ყვითლად გაფიჩხებულ ფეხებს. სიკვდილს დაელოა, დაეპატარავებინა მისი ამაყი მეგობარი, ვარდისფერი ბიბილოები გალურჯებოდა, ბრიალა, ჭილა თვალეზი ჩასცვენოდა. შუბივით მახელილი ნისკარტი, თითქოს ყვილს აპირებდო, ღიად დარჩენოდა.

უჩვეულო სიმარტოვე იგრძნო მამულამ, შეეშინდა და ბებერ ძარღვებში შეაერთოლა.

ვიდრე ოჯახი ჰქონდა, მშობლები და ცოლშვილი გარს ეხვია, მაშინ მისთვის მამალი მხოლოდ დილის მათწყებელი ქათამი იყო და მეტი არაფერი. ამ ბოლო დროს კი, თითქოს, ამ ერთ მამალში გაერთიანდა მთელი მისი გრძელი ცხოვრება. მამალმა დაიტოვა ყველაფერი ის. რაც მამულას წარსულთან აკავშირებდა და აი ეს მისი უკანასკნელი სალოლიავებელი არსება ახლა უსულოდ ეგდო ბეტონის იატაკზე.

მამულამ ბარი გაიყოლა და სარდაფიდან უხმაუროდ გავიდა. ეზოში, ნარგავებს შორის საიდუმლო ორმო მოთხარა და მამალი საკმაოდ ღრმად დამარხა, რომ მეზობლებს არ ეპოვნათ და

ნაგვის მანქანაზე არ მოქროლათ. რაკელა დარწმუნდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად მოიხადა, მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა საოდაფში, სინათლე ჩააქრო და ტანთგაუხდელი მიწვა ხმელ ტახტზე.

ჯერ ისევ ღამე იყო, რომ მამულამ სინათლე აანთო. საწოლქვეშიდან თავისი ხურჩინი გამოათრია და გახსნა. ბევრი ტანსაცმელი ამოალაგა, წინდა-პაკიჭებსა და ქალამნებში გამოეწყო, თასმები და საწვივეები შემოიჭირა და ისეთი შვება იგრანო, თითქოს, ჭეილაკობა და ჭან-ლონე დაუბრუნეს.

ტანსაცმელმა მეთლზე გაახსენა, რადგან ეს ყველაფერი ხომ მისი თითებით დართული და შეკერილი იყო.

ოო, რა გამრჩე დედააკი გახლდათ ლელა, დღისით ქმრის გვერდით ეწეოდა ცხოვრების ქაპანს. ღამით კი ხელსაქმეს მიუჯდებოდა და ატრიალებდა თითისტარს, ქსოვდა შალს, ქარგავდა პერანგებსა და სადიაკოებს — მთელ ოჯახს თავისი ხელით მოსავდა.

მოხუცმა რიგ-რიგობით შეატრიალა ხელში შვილის მიერ ნაჩუქარი შარვლები, ტომარის სიგანე უბეებითა და ერთი ცადა ტოტებით, მოკლე ხიფთანები და ქურთუკები, პალტოები, შუა ბარაყებამდე ძლივს რომ სწედებოდა ბერიკაცს.

ეს მოდაგადანული მონემები ნავთა-ლინის და კიდევ რალაცის სუნით ყარდა და მთელი ზამთარი კინჭარივით სუსხავდა მამულას. ამიტომაც ჯერო იმიტლა იყარა, რომ ფეხით მიაწვა და ისე მიაცურა ისინი ეედლის მხარეზე.

მერე მთელი საკუთარი ავლადიდება ხურჩინში ჩატენა და პირი მოაკრა. ტახტზე ჩამოჯდა და ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ლიზას ვეებერთელა სარდაფს. უნდოდა, დარწმუნებულყო, რომ ნამდვილად და სამუდამოდ ტოვებდა ამ სატუსალოს.

უბიდან წუხელის დაწერილი წერილი ამოიღო და ერთხელ კიდევ გადაავ-

ლო თვალი ბატისფეხური ასოქმედების დე სტრიკონებს:

„ბიჭო ალექსი! შინ წავედი, რომ ცერახზე ცეცხლი ისევ დავახთო და ამაჰპაპათა უპატრონო საფლავება მიუხედო. სანამ ისინი მამაკითხავენ, ამამავალ სულს კბილებით დავიჭერ და შვილიშვილი ამოზრდას დაველოდები. ის აუცილებლად მინახავს, რადგან ქმრის ყვილი ბოლოს თავის ადგილზე დააბრუნებს ყველას. მანამდე კი ისევ ავაყვებ მუყავება და ერთის მაგივრად ხუთ მამალს ვაყივებ, ფოცხერაფლთა სოფლის სიცოცხლის ხმას ცად ავადენ.“

შენ კი, შვილო, ავ-კარგის გამკითხავი ადრე თუ გვიან მოგადგება საწონსაწყაოთი და კარზე დაგიკაუნებს. ნაშინ მოიგონე, რომ ის მამულ-წყალი გელოდება, სადაც შენზე უფრო კაცური კაცობით ცხოვრობდნენ შენი მამა-პაპანი“.

წერილი გამალა და თვალსაჩინო ადგილას ლოგინზე დადო.

სხვა დროს არც თუ დიდად მორწმუნე მამულას უმწეობაჰა და უნეტავნობამ გაახსენა თავისი ხატი, კარგახანს ლოცულობდა დახოქლო, ცოდვითა შენდობას და გიას მფარველობას შესთხოვდა ადგილი. დედას, ბეტონის რუხ იატაკზე შავ ლაქებად ეცემოდნენ ცრემლის წვეთები.

გაბრუებული წამოდგა: გასწორდა, მხრებში გაიმართა და როგორც იქნა, მხნეობა მოიყრიბა, მერე ხურჩინს დაავლო ხელი და უკან მოუხედავად გაიხურა საოდაფის კარი.

გარეთ ჯერ კიდევ მნელოდა, ნათურები, მკრთალი სინათლის ტატნობზე ხეავრილად ცრიდა გაზაფხულის წვიმა. სველ ასფალტზე ჩემი შრიალით ხტოდნენ და ეცეკვდნენ წეროლი წვეთები.

ხურჩინიანი ლანდი მხნე ნაბიჯებით გასცდა თვალსაწიერს და მრავალსართულიანი კორპუსების ხეულებში გაუჭინარდა.

მიწავ, შენა ხარ...

მზეა სიციცხლის ხატის სანთელი,
 მზე სხივებს მიწის გვირგვინად გვიწნავს,
 არ დავივიწყოთ, რომ ყველაფერი,
 რომ ყველაფერი უჭირავს მიწას.
 მიწას უჭირავს ხე და ბალახი,
 ყანა-ვენახი, სოფელ-ქალაქი,
 ციხე-კოშკები, ზიდი და ოდა,
 მდინარე დიდი, კლდოვანი კბოდე,
 სასახლეები უზარმაზარი,
 საზამთროსავეით ქრელი ბაზარი
 და ჭირნახელი ზღვასავეით უხვი,
 გზათა ასფალტიც — მწუხრივით რუხი.

მიწითა მზეობს თვით მზის ნათელიც
 და როცა მზე გწვავს, მიწავე გვიცავს.
 არ დავივიწყოთ, რომ ყველაფერი,
 რომ ყველაფერი უჭირავს მიწას.

მიწა კი, მიწა უჭირავს ვილას?
 გლუხს — დაყოფრილი, გამრჩე ხელებით.
 მაშ, გაეუფრთხილდეთ გლუხს, როგორც მიწას,
 მეუფეს ჩვენი მთების, ველების,
 მიწას შეერწყა გლუხჯაცის ბედი,
 გლუხს მიწა მარად ეიმედება.
 მიწავე, შენა ხარ გლუხჯაცის ღმერთი,
 თუ ჩაიჩოქა, შენ გევედრება.
 უმიწისმადლოდ მზე დღეს გვიმოკლებს,
 გლუხი გვიციცხლებს მთებსა და ველებს,
 მაშ გაეუფრთხილდეთ, როგორც სიციცხლეს,
 გლუხის დაშაშრულ, მუყაით ხელებს!

სულში ირავა ერთად მზე-წვიმა

მობდება — სევდით ვუღიმიტ მნათობს,
ვერ გვიპოვია ლხინისთვის ბინა,
გვეწვევა დარდი, რომელიც გვაბობს,
გვეწვევა დარდი, რომელიც გვეყინავს.

ზოგჯერ ჯოჯოხეთს მიაგავს ღამე,
ზოგჯერაც — სანთელს, მზესავით უქრობს.
ცეცხლში იწვება მრავალი რამე,
მრავალი რამე იწრთობა უფრო.

ძველის შელევა ერთობ ძნელია,
გვწამს ძველებურად წყველა და ლოცვა:
ჩვენ გვეშინია, როცა გვეწყველიან
და გვსიამოვნებს, გვლოცავენ როცა.

რასაცა ვნატრობთ, გვეძლევა ძნელად,
ლოცვით შევყურებთ იდუმალ ხატებს.
ყველა დარდი და ტკივილი ყველა
თავს გვამახსოვრებს — ჭალარას გემატებს.

მობდება ხოლმე: მზეშიდაც გვაწვიმს,
სულში ირავა ერთად მზე-წვიმა...
რა სიცოცხლეა სიცოცხლე კაცის,
ხანდახან გული თუ არ ვეტყინა!

მზე მირჩენს იარაგს

მე მზეს დაედევდი მითაჟამიდან,
წინ მზის სხივები მელო ხიდებად.
აი, მზემ ახლაც თვალი ჩამიკრა,
მზე — უკვდავება მეარშოყება.

ვარ სიკვდილივით მუდამ მშვიერი,
სიცოცხლესავით გაუმადლარი,
ეს არის ჩემი მარად ძლიერი
და უხილავი სულის ტაძარი.

შავ-შავ ფერს ვადნობ ღამაშ ფერებად,
მსურს ავაყუევო ხრიოკი მწირი,

მიყვარს, როდესაც ბედნიერება
გაბრწყინებული თვალებით ტირის.

პა. უკან დამრჩა გზები, ხიდები,
მხნედ გამოვლილი ცხოვრება მკაცრი.
განა ებერდები, წლებით ვმდიდრდები,
ვმდიდრდები სულის ქეშმარიტ
განძით.

სულის მზე მირჩენს გულის იარაგს,
რათა ვაჭობო დრო-ვამის დაღლას,
რომ გადავკურო ცრემლის მდინარე
და სიხარული ვიპოვო გაღმა.

სამხსი კრახველი

საქართველოს მთა და ბარად სისხლი თითქოს ახლაც
 ეონავს,
 ჩვენი მზეც კი სისხლსა ღვრიდა, მაგრამ არვის დაემონა.
 ჩვენ ვისთვისაც სისხლი ვღვარეთ, სისხლი ესე ალაღ
 მისი.

საქართველოს დიდ სიციცხლეს მიემატა ჩვენი სისხლი.
 ჩვენი სულიც არა კვდება, არ კვდებიან ჩვენი დღენი,
 საქართველოს უკვდავებას მიემატა სული ჩვენი.

ის არასდროს ბერდება, სიციცხლის მზეც ელის სულ,
 ერის სულს ვინც შერჩება, ვინც შერჩება ერის სულს.

საქართველო — მთა-ბარი. მოხატული ვეფხვივით,
 ხან ნიავის პეპელა, ხან მჭეხარე მეზვიით,
 საქართველო — ვაზივით მიგრებილ-მოგრებილი,
 საქართველო — მზის შვილი, უკვდავების გადია,
 არის ჩემი სიციცხლე, ჩემი სიზმარ-ცხადია.

ჩავცქერი ქართლის ცხოვრების ნუსხას:
 წვიმს, გამუღმებით წვიმს,
 წვიმს სისხლი... სისხლი მთა და ბარს მუსრავს,
 სისხლი ჩვენი და მტრის...
 ერთი ქართველი — მტერი ათამდე,
 ქართველი დარჩა. მტრები გათავდნენ.

საქართველოს მიწადა წევს ჩვენი მამა-პაპა,
 მათი სუნთქვა აი ახლაც ურწევს ქართულ აკვანს.
 ვინც დაეცა სამშობლოსთვის, უკვდავება ჰპოვა,
 ყოველ, ყოველ გაზაფხულზე ხელმეორედ მოვა.

მცხეთური ზიქრი

ღმერთთა საუფლოა მიდამო მცხეთის.
 ჰე, გამოიცვალა რამდენი ღმერთი!
 მიწაში მარხია ღმერთები არმაზის,
 არმაზის ლამაზი მრავალი დარბაზი...
 და ასე — რამდენი დაამხო კერპი,
 რათა აღემართა ცხოველი სვეტი.

ჰა, ცად აზიდული ლოცულობს ჭვარი,
 ღრუბლებად ახვევია ათასი ჭავრი,
 მაგრამ მის ლოცვას დღეს უსმენს ვილა,
 დგას ჭვარი მხოლოდ მთის ლამაზ ჭილად.

ღმერთების საუფლოთი ვარ გარემოცული.
ღმერთებთან შერკინებით ზღვა სისხლი ვღვარე...
მე ახლა ადგილის დედაზე ვლოცულობ,
ზეციდან დამცქერის წარმართი მთვარე

ვებრძოდი ქაჭებს, ავსულებს, დევებს.
ვებრძოდი ღრუბლებს, მებსა და ელვას.
მე უქმნიდი ღმერთებს, ვამხოვდი მევე...
რა შემრჩა?

მხოლოდ ამაო დელვა...

ამქვეყნად თვისი ღმერთი ჰყავს ეველას.
საკუთარ უფალს დავეძებთ მუდამ:
მავანი შესთხოვს ქრისტე-ღმერთს შევლას,
მავანი — ალაჰს, მავანი — ბუდას...
მავრამ, გეთაყვათ, მითხარით ერთი,
ვინმემ ოდესმე იპოვა ღმერთი?
იხილა ღმერთი?



სიმონ ბალახაძე

მჭერა ფიციისა...

თეთრი ნისლები ცისკენ მიდიან,
ირმის ჭოგების სიღარბაისლით...
ლექსი მამულის ლოცვად მინთია,
როგორც მწვერვალებს ედღევაისი.

და მარადისად მჭერა ფიცისა,
მამულზე ფიქრით განატაცარის,
ცა გუმბათია დედამიწისა
და დედამიწა არის ტაძარი.

• • •

გერებო მარადისობის,
ამ ქვეყნად რისთვის მოხვედით...
ვის შერჩენია ნეტავი,
წუთისოფელი ოხერი!
ვის გაუწაღდავს გზა — შარა,
დარდიან ეკალ-ბარდების,
ბევრი ამაოდ დამშვრალა,
ეკლებს მოუკლავთ რამდენი...

შემოქნეული ხანჭალი,
გადამტვრევიათ ვადაში,
რა მაჯა ჰქონდათ, რა ჯანი,
რა ლალები და ბადაბში...
რომც გახდეთ რკინის მკვნეტელი
არ დაგიფინონ ნოხები...
ვის შერჩენია ნეტავი,
წუთისოფელი ოხერი!

• • •

წვიმის წვეთები ეცემა ქუჩებს,
ქუჩაბანდებში ქარი ქრის ურჩი,
ატმის ყვავილებს შევახებ ტუჩებს,
გამოზახებული იღვიძებს გულში...
მოენახავ ძველად დაწერილ ლექსებს
და წავიკითხავ ძველებურადვე.
და კვლავ დაუსტვენს სადღაც ტოროლა.
გულის — გულამდე.

* * *

ყოველდღე თითო რალაცას ეკარგავთ,
ყოველდღე თითო რალაცას ვიძენთ,
ჩვენ რომ დავწერთ და გვგონია

ეკარგად...

აუხსნელია ცხოვრების სიბრძნე,
შემოაქენებათ ფოთლები ხეებს,
ხავსს მოიკიდებს წყალშიც კი ლოდი,
ვივიწყებთ ხშირად იმ ძვირფას დღეებს,
რომელ დღეებსაც დიდხანს ველოდით!..

ჩახ კობახიძე ქალს მილიცა კოვიცხას

ჩეხეთში რომ ჰყვავის ია,
ჩემიც არის, შენიცა...
მილიცა, რას გაუყვია,
ჩემი ცა და შენი ცა,
თქვენებური მადონები,
ჩვენს გოგოებს მაგონებს,
შენი ქვეყნის მთა-გორები,
ჩემი ქვეყნის მთა-გორებს!

* * *

წვიმდა თუ
ვარსკვლავი ტიროდა,
ცის დასალიერზე
კენტად დარჩენილი?!
მაცილი მწარედ დამცინოდა, —
მაგ ვარსკვლავზე ხარო
გაჩენილი!..



ბიორგანიზაციის

გატყუნილი ხიდი

რომანი

ორიოდე სიტყვა წინასწარ

მე-18 საუკუნის დასაწყისამდე ახლანდელ წითელ ხიდს მდინარე ხრამზე „გატყუნილი ხიდი“ ეწოდებოდა. ცხადია, ავტორის მიერ რომანის სათურად ხიდის აღებას აქვს არა მარტო პირდაპირი, არამედ სიმბოლიური მნიშვნელობაც იგი გვიხატავს საქართველოს ტრაგედიას მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა თითქმის ყველა ციხე-სიმაგრე და ყველა ხიდი მტერმა გატეხა და ივაკაჟო. მან ვერ გატეხა მარტო ერთი რამ: ქართველთა სიმახადე და ქედმოუხრელობა.

1724 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის ქართლში ოსმალები გახატონდნენ. მეფე ვახტანგ VI დიდი ამალით წავიდა რუსეთს, რათა ეძებნა ქართლის ხსნის გზა. იმავე წლის ზაფხულში ქართლში იხადება ანტიოსმალური ომის იდეა; ამ ომის ერთ-ერთი მოთავე იყო გივი ამილახვარი, რომლის სახელსაც ამ რომანის ფურცლებზე არატრავის შეხედება მკითხველი.

ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ გივი ამილახვარის პატრიოტულ თაოსნობას და მის დასახურებას სამშობლოს წინაშე. „თუმცა გივი ოსმალოს სამსახურში იყო, მაგრამ ქართველობისათვის მას არ უღალატია“ — წერს დ. გვრიტიშვილი. („მიმოხილველი“, ტ. 8, გვ. 118). როცა თურქეთის სულთანმა გასცა ბრძანება თბილისის სიონი მეჩეთად გადაეკეთებინათ და ამით დაეწყეთ ქართველების გათავრება, გივი წინ აღუდგა ამ ბრძანებას და გადაარჩინა სიონი. შემდეგ ამილახვარმა გაანადგურა გორის ციხის ოსმალური გარნიზონი და ციხე საქართველოს დაუბრუნა.

ამ ისტორიული პიროვნების შესახებ არსებობს ნაწილობრივ განსხვავებული თვალსაზრისიც: „ეს იყო ზეაღი ფეოდალი, ქრისტიანობის კომავი, იმავე დროს, ავანტიურისტი, მარჯვე პოლიტიკოსი, ჭიუტი და ძალაუფლების მოყვარე — სანტერესო ნიშუში ძველი დროის ქართველი მაგნატისა“, — ასე ახასიათებდა გივი ამილახვარს ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

რომანის მოთავე პერსონაჟთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა თეიმურაზ ბატონიშვილი — ეს გახლავთ შიშველი კათალიკოსი ანტონ I. თბუთმეტი წლის რომ შეიქმნა, თეიმურაზი დაინიშნა გივი ამილახვარის ასულზე, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძირფეხიანად შესცვალა მისი ცხოვრების გზა — ნადირ-შაჰმა გივი ამილახვარს მოსთხოვა გაეგზავნა თავისი კალიშვილი, თეიმურაზის დანიშნული შვილი მარაშხანისათვის და უმწურო მამა იძულებული გახდა შეეტრულებინა ეს ბრძანება. ამ ამბავმა თეიმურაზს თავსარი დასცა, იგი ბერად ეყრთხა ანტონის საბელწოდებით. უკვე ერთკლე II-ის დროს მან დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის აღდგენას. 1772 წელს ერთკლე მეორემ ის გაგზავნა რუსეთში საგანგებო მისიით, რომელმაც მოამზადა 1788 წლის ცნობილი ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის.

ქვემოთ ვხედავთ გიორგი შედგინიძის „გატყუნილი ხიდის“ პირველი წიგნის საფურცელთა ვარიანტს.

ინსა მუჟის სიკვდილი

თბილისში, მტკვრის მარჯვენა კიდეზე, სი-
ონსა და ანჩისხატს შორის, იდგა როსტომ მე-
ფისიძელის სასახლე. სასახლეს ქვითკირის დი-
დი სახეგარი ერტყა ვარს, სამხრეთის მხრი-
დან ნაირ-ნაირ ჩუქურთმებით მორთული
განიერი და მალათალიანი ალაყაფის კარით.
კარებს შიგნით შესულს აქეთ-იქიდან ბალ-
ნალკოტებს შორის ჩამჯდარი ვეება ოთხკუ-
თხი მოედანი უნდა გადაეკვეთა, რომ სასახ-
ლემდე მივლნო. მოედნის შუაში ბუნებრივზე
უფრო მოზრდილი, დაღრენილი ღომის ორი
ქანდაკება იდგა, ღომების ხაზიდან წაგყისის
მთებიდან თიხის მკლებით გამოყვანილი
წყლის შადრევანი გადმოჩქეფდა.

სასახლის პირველი სართული მინაში იყო
ჩასმული, მისი ქერი კიბის ერთი საფეხურით
თუ სცდებოდა მინის პირს და საკნებად და-
ყოფილს საყინულე-საკუჭნაოებად იყენებდ-
ნენ. მეორე სართული ღაღად გაშლილი თაღ-
ბიანი დარბაზი იყო, აღმოსავლეთის მხარეს
მიცეული ფერადმინიანი სარკმლებით, კედ-
ლებსაც ნაირფერი ნიჭარები, ძვირფასი ქვი-
ბები კვეთილი ჩუქურთმები და სარკვეები ამ-
კობდა; იატაკი ნატიფად ნაქსოვი ხალიჩებით
ქტონდა მოგებული; იგი სადარბაზო-საქრებუ-
ლად იყო განკუთვნილი. ოთახებად დატიბ-
რული მესამე სართული კი, რომელსაც სამ-
მხრივ არცთუ ისე ვიწრო აივანი ერტყა და
ჩრდილოეთის მხარის სარკმლებით მტკვარს
გადაჰყურებდა, მეფე-დედოფლისა და ბატო-
ნიშვილების საცხოვრებელი იყო.

სასახლის წინ, მოედანზე, რამდენჯერ მოუ-
წყვათ ქართლის მეფებს — როსტომ ხანს,
ვახტანგ მეხუთეს, სპარსელები შაჰნავაზს
რომ ეძახდნენ, და სახელოვან გიორგი მეთ-
რთმეტს, თავიანთ დიდებულებთან საზეიმო
შეხვედრა. დიდ დარბაზში კი სამეფო თათბი-
რებს ინვეშენდა, აქვე მართავდნენ ღზინისა
თუ ჭირის სუფრობას.

ეს სასახლე ახლა მეფედნოდებულ იესეს ეკუ-
თვნოდა, ქართლში სპარსთა ბატონობის ეამს
ალი-ყული-ხანად, ხოლო თურქთა შემოსევის
შემდეგ მუსტაფა-ფაშად რომ იწოდებოდა.

შეჭირვებული იესე ლოგინში იწვა, მინაე-
ლებულს ხანდახან რაღაც ხაილის მსგავსი
ხმა აღმოხებებოდა, ხან კი ტურებს აცემკუ-
ნებდა. ხმას კი ვერ გამოსცემდა.

ბუხრის გასწვრივ დედოფალი ელენე თავ-
ჩაბრილი იჯდა და საგონებელს მისცემოდა.
კარების წინ აბდულ-ბეგად წოდებული ბატო-
ნიშვილი არჩილი დაღურეშილი იდგა და მამას
მისჩერებოდა. ავაღმყოფის სანოლის ახლოს
მეფის აქიმი დავით ყარაშვილი და კათოლი-

კე პატრი ჯუსტინე ისხდნენ. უკრძალველნი
ფეხებს უსინჯავდნენ ავაღმყოფს, მუხლზე სა-
ფენებს უცვლიდნენ. ოთახში შეიდი-რვა წლის
ბატონიშვილი თეიმურაზი ფრთხილი ნაბიჯით
შემოვიდა, დედასთან მივიდა.

— როგორ არის? — ჩურჩულთ შეეკითხა
დედოფალმა.

ელენემ თავი აიღო, ოდნავ გადაიხარა ყმა-
წვილისაყენ.

— რა ვიცი, შვილო, ისეე ისეა.

პატრმა ჯუსტინემ საბნის ქვეშ ხელი შეშ-
ყო, ფეხები გაუსინჯა ავაღმყოფს. სახეზე
ჩრდილმა გადაურა, ხმადაბლა რაღაც უთხ-
რა დავით ყარაშვილს. ახანაც გაუსინჯა ფე-
ხები, დედოფალს მიუახლოვდა. ვიფრე ელე-
ნეს რამეს ეტყოდა, თეიმურაზს მოუბრუნდა

— ბატონიშვილო, კარგად არის მამა-ბა-
ტონი, ნაბრძანდი გარეთ!

დედოფალი მიხვდა აქიმის მიერ თეიმურა-
ზის დათხოვნის მიზეზს. აიეს მომლოდინეს
ტანში გასცრა, აღელვებულმა შვილს უთხრა:

— წადი, თეიმურაზ, წადი!

თეიმურაზი უხალისოდ გავიდა ოთახიდან.
— ფეხები გაუცივდა, დედოფალი! — ხმადა-
ბლა უთხრა აქიმმა.

ელენე აქამდე კიდევ რაღაცა იმეღს ეჭიდე-
ბოდა. ახლა კი მთლად ჩაიფრებოდა. ბატონი-
შვილი არჩილი ახლოს მოდგა.

— როგორ არის? — გულის ფანცქალით
იკითხა მანაც.

— ცუდად, — მწუხარე ხმით გაუმიორა
ყარაშვილმა.

არჩილს მკერდამდე აზიდული მკლავი მო-
წყვეტილივით ჩამოუვარდა. ისეე კარებისაკენ
წავიდა.

მეორე სართულის დარბაზში დიდებულებს
მოუყარათ თავი. გრძელი მაგიდის თავში ქა-
ლარაშერეული, სახელაყდაჟა, გრძელულვაშე-
ბიანი იესე მუხრანბატონი იჯდა. მის მარჯ-
ვნივ საყარძლის საზურგეზე მინოლილი
ერასტი ყაფლანიშვილი ხმადაბლა რაღაცას
ეუბნებოდა მეფისწულის აღმზრდელს იოსებ
ფაღდანიშვილს. მეორე მაგიდის თავში
მჯდომი არაგვის ერისთავი პაპუნა გვერდზე
მსხდომ ელიზბარ ყაფლანიშვილსა და ლუარ-
საბ თარხნიშვილს ესაუბრებოდა. ბაგრატ ცი-
ციშვილი საყარძლის კიდეც დაჰყრდნობოდა
მარჯვენა ხელით და კედლის მორთულობას
ათვალიერებდა. ოსე იესეს ძე ბარათიშვილი
კუთხეში მიმდგარიყო. მან გვერდით მდგომ
დიმიტრი ავალიშვილს თავის გადაქნევით
წასჩურჩულა:

— ასეთ დროს მეფის სიკვდილი?

ავალიშვილს ქვედა ტურის კუთხეები ოდნავ
შეეზინქა, თითქოს გაიღიმაო, მერე ნაღვლი-
ანად თქვა:

საქართველო
საბჭოთა კავშირი

— ეჰ, ოსე ჩემო, მეფობაც არის და მეფობაც! აქ რეჯებ-ფაშა ყოველივეს ბატონ-პატრონი, ისაყ-ფაშა კიდევ ახალციხიდან მბრძანებლობს. ცარიელი სახელის ქონება რა ბედენაა, თორე...

— რაც გინდა იყოს, მაინც რიდი ჰქონდათ და რაღაცას ჰკითხავდნენ. ახლა კი... — სიტყვა აღარ დაამთავრა ბარათაშვილმა.

— მაგვარი იქნებ აბდულ-ბეგიც იყოს! — არ გატყდა ავალიშვილი.

— აბდულ-ბეგს ვინ იბატონებს, უკანონო შვილია იესესი, თეიმურაზი ჯერ ყმანვილია. ვახტანგი და მისი ძენი მოსკოვ-ქალაქს არიან... უპატრონოდ დარჩება ქვეყანა!

— მე რომ მკითხოს კაცმა, ცუდი პატრონის ყოლას უპატრონობა სჯობია. — მცირედ შეჩერდა, მერე დაძვინდა: — იქნებ უკეთესი პატრონი გამოჩნდეს!

მოსაუბრეებს ზაზა თუმანიშვილი მიუახლოვდა და იკითხა:

— შინზე ესნის ერისთავი ხომ არ გინახავთ მოსულნი?

— არა, არ მინახავს, — უპასუხა ავალიშვილმა.

— არც მე შემხვედრია, სხვებმაც ასე თქვეს, არ ყოფილაო — დაუდასტურა ბარათაშვილმა.

— შინზე ვახტანგისა და მისი შვილების ერთგულია, მას საძულს იესე, ქვეყნის გამყიდველიაო. სახალხოვ გაიძახის და ახლა აქ მოვიდოდა? — თქვა ავალიშვილმა.

— არც გვიც ამილახვარი გამოჩენილა მგონი, არა? — ისევ იკითხა თუმანიშვილმა.

ბარათაშვილმა თავი გადააქნია:

— არც გვიც მინახავს.

— ცოცხალს არ უდებდა თავს და მომაკვდავს მოაკითხავდა?! — კვლავ იესე და ამილახვარი გაკენწლა ავალიშვილმა.

ამ დროს დარბაზის კარი გაიღო, შუა ტანის ჩასხმული კაცი შემოვიდა, თავის დაქუროთ მივსალმა დამხვდურთ.

ფეხზე ნამოდგომით უპასუხეს საღამოზე. იესე მუხრანბატონმა თავის გვერდით მდგარი თათისუფალი სავარძელი შესთავაზა.

— მობრძანდით, ბატონო გივი!

გივი ამილახვარი მუხრანბატონისაკენ გაემართა.

— როგორ არის ავადმყოფი? — იკითხა გივი.

იესემ მხრები აიჭრია.

— ამ ცოტა ხნის წინ, მეტად შეუძლოდ გახლდათ.

დარბაზში ზედა სართულიდან ჩამოსული მეფისწულის მეორე მხარედელ ნოდარ ხერხეულიძე შემოვიდა:

— როგორ ბრძანდება? — ახლა მას ჰკითხო-

ნოდარმა ჯერ თავი გადააქნია და შემოვიდა. — დედოფალი ძლიერ შემოთხუბული გამოვიდა მეფის სანოლი ოთახიდან. ჩანს, ცუდად არის!

იესე ბარათაშვილი, დიმიტრი ავალიშვილი და ზაზა თუმანიშვილი ისევ კუთხეში იდგნენ.

— სად დაიკრძალება მეფე? — იკითხა ბარათაშვილმა.

— ალბათ მცხეთაში, მეფეთა სამარხში — დამცინავი ხმით თქვა ავალიშვილმა.

— "მეფე მამამადიანი რომ არის, იქ როგორ დაამარხებენ?! — გაიკვირვა თუმანიშვილმა.

— თურქებიც არ დაანებებენ თავიანთ სჯულზე მიქცეულს. — შეექვდა ბარათაშვილიც.

ამ დროს ზედა სართულის აივნიდან ქალის შეცხადების ხმა გაისმა, მას რამდენიმე სხვაც შეუერთდა. ყველანი ნამოდგნენ.

— გათავდა საბრალო! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ცოტა ხნის შემდეგ სიონის ზარი ნაღვლიანად აბუხუნდა. მის სამგლოვიარო ფერის ბანი მისცეს აწრისხატის, ავღაბრის სომეხთა ანა კოსა კათოლიკეთა ეკლესიებმა. სასახლის დასავლეთით, მეჩეთის მიწაერთზე გადმომდგარი მუქძინის ხმაც შეუერთდა ზარების რევას და გლოვის ისედაც მწუხარე ხმა კიდევ უფრო გაამძაფრა.

II

ირატიშის მუშარა

იმ წელს ცივი, სუსხიანი ზამთარი იდგა. ტყეისფერი ღრუბლები თითქმის გამუდმებით ეკრა ცას. ხანდახან თუ გამოიხედავდა მზე, მაშინაც მის სხივთა ნაკადი შუქად თუ ეფინებოდა. თორემ სითბოს ვერ მიატანდა ხოლმე.

ავანანთ ხევის ნაპირზე, როსტომისეულ სახლიდან არც ისე მოშორებით, იდგა ამილახვრების სასახლე. ეს სასახლე გივის ჰამამ დიდმა გვიც ამილახვარმა ააგო, მერე გივის მამამ ანდუყფარმა მოხატვინა და შეამკო, საჯინიბო და მოსამსახურეთა სამყოფელიც მიაშენა. მას შემდეგ ამილახვრები ხშირად იყვნენ აქ. ზამთარში მაინც თბილისში ყოფნას არჩევდნენ. ამ წელსაც ზამთარი გივიმ თავისი ოჯახით თბილისში გაატარა. თან მოსამსახურეთა მთელი მარაჟა აყავდა ნამოყვანილი. მათ შორის იყო გურგენ ირქითძე. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქაბუკი. შემოდგომის მიწურულზე ჩამოსული ქაბუკი აქამდე ერთი-ორჯერ თუ გასცილდა ავანანთ ხევის, ისიც სიონში სალოცავად წასულმა ბატონმა გაიყოლა. არც დრო ჰქონდა და იმ ყინვები-

სას არც თვითონ გამოუჩენია საამისო წაიღი.

ახლა, მზის თვალი რომ ჩამოდგა, გახალისებულს გულთ მოუნდა თბილისის დათვალერება. ამჟამად ვერაფერ ნახა, რომ მასთან ერთად დაეგლო, ძალაუბერად მარტომარტოს უნდა ენებოდა თბილის-ქალაქის შუკვბში. მტკერის სანაპიროსკენ დაუყვდა. რამდენიმე ვინრო ფოლორკი გაიარა, მტკების ხიდთან ფირუზისფერგუმბათიან შენობასთან შედგა, გინე ამილახვარის სასახლის აიენი-ანაივ ჩანდა, — სპარსელთა სალოცავიყო, ბევრჯერ სმენოდა; ახლა, ახლოს მიმდგარი თვალს ავლებდა ფორუზითა და საფირონით მოჭიქულ მერქათის ცაფ შემართულ კამარებს. თვალს ჭრთდა მისი სახურავის ნაირფეროვანი ელვარება. მცირე ხანს ადგენა თვალი, რამდენიმეგზის გარშემოც შემოიარა. აინტერესებდა შინითაც ენახა, მაგრამ ვერ გავიდა, თუმცა კარები ღია იყო და ბევრი თავჩაღმიანიც შედიოდა.

წინ წასული გურგენი მტკების პირისპირ შერქდა, კლდის თავზე ამყად გადმოზომიარად ტაძრის ჩაღისფერ სილუეტს დიდხანს უყურა. მერე მარჯვენე შემობრუნდა. თან თვალს აყორებდა მალად კლდეზე გადმომდგარ სახლებს, თუ სასახლებებს, აიენები რომ პაერში უკონდათ გადმოკიდებულნი. აგერ ვილაც ახალტაზრად ქალიშვილი გადმოდგა, ხელში ატაცებული ბალიში ორივე ხელით შეებრტყა და ისე შებრუნდა. ნორჩი ბულის შეხედვავე გული აუჩქროლდა ჭაბუკს. მალელით გადმომდგარ, შორიდან დანახული ასული უებრო სილამაზის მქონე ანგლოზად დაესახა.

გურგენმა ორივე ვინრო შუკა გაიარა და ცოტა უფრო ფართო ქუჩაზე გავიდა. ზარგარები მუშაობდნენ აქ. ხის ლარტყებით შექრული დარბაზები აენიათ, ირიბად შეყენებულ ბოძებზე გახიდულნი სარდლილობლად ადგნენ დუქნების წინამოებს. ერთგან შერქდა, შუატანის ოსტატს პატარა ქურავზე ცეცხლშოკიდებული ნახშირი ეყარა და ლითონის ორი ციდის სიგრძე მასრით უებრავდა გასაჩაღებ. ლად პირმსუსქანი ოქრომჭედელი მასრას რომ ჩაებრავდა, მედელუკეავით დაებრებოდა ხოლმე ლაუჭები. დახლის ერთ მხარეს პატარა ჩაქურდი, მცირე მარნუხები და ქლიბები ელვდა. მცირე მხარეზე ბჭებები, სამაყურები და სხვა ნაკეთობანი გამოეწყო. ცოტა ხანს უყურა, მედუქნის საქმიანობამ, განსაკუთრებით მასრით ბერვამ, დამცინავი ღიმილი მოკვარა ჭაბუკს. გასცილდა. უფრო ვინრო შუკაში გავიდა. აქა-იქ გუბებამ დაამდგარი ტალახი ისე არ ამშრალიყო, ერთგან მაინც დიდი გუბე იდგა, გამლენი კედლისაკენ ინეიდნენ, რომ შიგ არ ჩაუდგათ ფეხი. კიდევ რამდენიმე შუკა გაიარა. შენიშნა,

მარჯუნა მხარეს უამრავი ხალხე ინტელექციონა „ენტავ რა უნდა იყოს იქით?“ — გაივლო გულში და მიმავალთა ერთ ჯგუფს აედევნა თვითონაც. ორიოდე ფოლორკის გავლის შემდეგ ხალხით გაჭვდილ ფართო მოედანზე გავიდა. მოედნის გარშემო დუნენები იყო ჩამწკრივებული, შუაში ფიცრულტალავრებიანი მერხები იდგა; ნაირფრად ჩაცმული, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე უამრავი ხალხი ირეო. და. ამდენი ხალხი ერთად შეყრილი არასოდეს არ ენახა ჭაბუკს. თან რა არ იყო აქ გამოფენილი: ცალ მხარეს სურსათ-სანოვაცე — ყველი, ხორცი, მარცვლეული და ფქვილი... მცირე მხარეზე ნაირნაირი ჭურჭელი — სპილენძის თუნგები, ქვაბები, ტაფები და სასმისები, ქაშანური თუ ჩინური ჯამბი, თიხის ქართული ფილები, ქოთნები და თეფშები ზი. მზიებდა. გამყიდველები ეპატიგებოდნენ მუშტარს. უქებდნენ თავის საქონელს, რამდენიმეჯერ გურგენსაც შევაპიჩინენ. ბიჭს თვალი აუჭრელი უცხო და ნაირფრმა ნაკეთობებმა. საყიდლად ახა რაგორ მისწდებოდა მათ სოფლელი ყმა-ბიჭი, მაგრამ ნახვითაც ემყოფილი იყო. წინ წაინია, კლავ ახალი სახილველი გადაეშალა თვალწინ. რა სახის ჭრელი თუ სადა ქსოვილი და ტანსაცმელი არ ელვდა ახლებსა და მერხებზე...

— დობა აბლასი, ხელთუქმნელი! — გაიძახოდა ვაჭარი.

„ჰო, ეს არის ბაზარი“. — გათიქრა გურგენმა და თვალეერება განაგრძო.

უზღვევ ხალხში გასულმა გურგენმა ზღვაში დანთემულით იგრწმო თავი. შეცადა იქაურებს გასცლოდა. როგორც იყო, ნაპირს გააღწია. აქ, დუქნის წინ, წრე შეეკრათ, რადაცას შემოხვეოდნენ... „რამიე ეშმაკობა არ იყოს?“ — გათიქრა გულში, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია. გაუბედავად მოუახლოვდა ჯგუფს. ფეხის წევრებზე აინია თვითონაც, წრის შიგნით გადაიხედა: ორი ყოჩი დაყენებინათ ერთმანეთის საპირისპიროდ. ყოჩების ახლოს თითო კაცი იდგა. აქებებდნენ პირუტყვს, აჭიდავებდნენ ერთმანეთთან. ყოჩები უკან-უკან ინეიდნენ, შემდეგ თავსახრილი გამოქანდებოდნენ და რქებით ევახებოდნენ ერთმანეთს. მაცურებელი აბტაცების წამოძახილით ავლუიანებდა ყოჩებს. მცირე ხანს უყურა, მოსიერთა სახეების დაძახულობამ და აბტაცების წამოძახილებმა ღიმილი მოკვარა.

— გასულელებულან ქალაქელები! — როგორღაც ხმამალლა წამოსცდა იჩქითიძეს; ყოჩების ჭიდილით გართულთაგან ბევრს არ გაუგონია მისი ნათქვამი. რამდენიმე თუ გაიგონა, მათაც ერთი უქმყოფილოდ გამოხედეს; მხოლოდ შუა ხანს გადაცილებული,

ახოვანი კაცი, იგრზე სოფელდობა რომ ეტყობოდა. გამოელაპარაკა:

— შენ სადაური ხარ, რო?

იჩქითიძეს არ მოეწონა მისი კითხვა, გამომწვევად მოეჩვენა. გაპასუხებასაც არ აპირებდა, მაგრამ შემოიტხვევლის მშვიდ, აუღელვებელ სახეს რომ შეავლო თვალი, გადართურა:

— საამილახუროდან, ქვემოქალაქი ვახლავართ.

— რა გვარისა ხარ? — უფრო მეტი ყურადღებით იკითხა უცნობმა.

გურგენმა ცერად ვახუდა, „რამი ეკითხება ახლა ამას ჩემი გვარი?“ — ცოტა არ იყო, განაწრა თავის გუნებაში. ჭაბუკის მხრივ პასუხის გაუცემლობა არ მოეწონა უცნობსაც, საყვედურით ჰკითხა ისევ:

— რა გვარის ხარ არ იცი?

— რა გვარისა და იჩქითიძე ვარ. რად გინდა მერე ჩემი გვარი?!

უცნობს წყრომის ჩრდილი გადაეყარა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— განა არა, როგორც კი შეხვებდე. მაშინვე გულმა მიგრძო! — მერე გაიღიმა. გაბრწყინებული თვალებით შეაჩერდა გურგენს. უცნობის სიტყვებმა და ქცევამ დააბნია ჭაბუკი.

— ბიჭო, იჩქითიძე ხარ, თუ თათრიშვილი?

— შეეკითხა ისევ უცნობი.

— კო, თათრიშვილადაც გვიხმობენ, ჩენს პაპა ჯავახეთში თათრობა მიუღია, მერე გამარეთში გადმოსულა და თათრიშვილები შეურქმევიათ ჩვენებისთვის! — უნებლიედ ჩამოყვა თავის გვარის წარსულს ჭაბუკი.

უცნობა სახე კიდევ უფრო გაუბრწყინდა.

— ჩემიანი ხარ, შვილო, ჩემი სისხლი და ხორცი — ნამოიძახა მან, ორივე ხელი შემოხვია და გადაკურცა. შემდეგ მხარზე დაადო ხელი, — რამხელა კაცი ვარაძილხარ, ჩემსობას პატარა იყავი! — თითქოს გვიან მიხვდა, რომ ჭაბუკისათვის თავისი ვინაობა არ ეთქვა. ამიტომ დასძინა, — მე ბიძა ვარ შენი, მერაბი, ვახსოვარ?

როგორ არ ახსოვდა?! ახსოვდა, ღანდაღ ახსოვდა ბიძა, მაგრამ ვერც წარმოიდგენდა თუ ასეთი იყო: ტანმალალი, სახეგარუჯული და ხარკივით ქედრამავეებული. ისიც ახსოვდა, კისრზე რომ შეისვამდა პატარას და დაარბენინებდა. მაშინ სხვაგვარი იყო, ახლა მოტეხილი.

— როგორ არ მახსოვდი, მაგრამ ვეღარ გიცანი! — მორცხვად ჩაიღიმა ჭაბუკმა.

— რაღას მიყნობდი, ბარე თხუთმეტი წელიწადი ვახდა, რაც...

— სახლი როგორ ხარო? — ისევ იკითხა მერაბმა, — ტოფი ძალიან დაბერდა?

— კარგად ვართ, მამაჩემიც კარგად არის,

დედაც. — ახლა უკვე ხალისში ვმუშაობ. — გურგენი, — თქვენ როგორ ხართ ოჯახით?

— თავის მხრივაც იკითხა ჭაბუკმა.

— ჩვენც კარგადა ვართ... ეჰ! — ამოიხარა ბიძამ, ცოტა ხნის შემდეგ კი დააძინა — შენ სადა ხარ, რას აკეთებ?

— მე გივი ამილახვარს მიმცა მამამ მსახურად... ბარე ოთხი თვეა აქ ვახლავარ ბატონს... აი, იცით, — ხელი გაიშვირა გურგენმა, — ავანაანთ ხეეს ეძახიან, იქ არის ამილახვრის სასახლე, მეც იქ ვარ.

— კო, კარგი. მეც საყიდლებზე ჩამოვედი. დღეს მაინც ვერ გაებრუნდები, მოვალ საღამოზე, განახავ.

ასე დაუმშვიდობნენ ახალგაყნობილი ბიძისმისწული.

დრო იყო გურგენიც დაბრუნებულიყო, დაგვიანებისათვის შეიძლება გასწყრომოდნენ კოდედ. ჩრდილოეთის მხარეს ვახუდა. მეტეხის ტაძარი კარგად მოჩანდა. მის მიხედვით შეეძლო გვიჩ აეღო. გაუფვა ფოლორცებს. ამდენმა სიახლის ხილვამ, იმ სიხარულმა მაინც ბიძას რომ ასე მოულოდნელად გადააწყდა, მთლად ააფორიატა ჭაბუკი, მიდიოდა, მაგრამ ისე იყო გატაცებული, რომ გარშემო თითქმის ვეღარაფერს ამჩნევდა. რამდენიმეჯერ შუკას შეყოლილი უკან გამობრუნდა, გვიან შენიშნა, რომ მხარი ექცა.

ბოლოს საცქიალ ფართო ქუჩაზე გავიდა, იქიდან კარგად შეათვალიერა სანიშნოდ მიჩნეული მეტეხის ტაძარი, თითქმის გასწორებულა მას, ვარაუდით შორს აღარ უნდა ყოფილიყო ბინიდან. შენიშნა, ქუჩის თავში უცხოედ ჩაცმული რამდენიმე წითელფესკიანი კაცი მოდიოდა. „ოსმალელები არიან ალბათ“.

— გაივლო გულში. უნდოდა გარიდებოდა, მაგრამ „მე რას მერჩიანო“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო. მით არც კი გასწორებოდა, რომ ერთი ოსმალე მიუახლოვდა, წყრომით მოჰკიდა ხელი და თავისიანებთან მიიყვანა. რაღაცას ეუბნებოდნენ ვაუგებარ ენაზე. მაგრამ ჭაბუკი ვერაფერს მიუხვდა. ერთმა ქუდი მოხადა და გადაუგვლო, მეორემ გვერდზე მოგდებულა პატარა ხანჯალი რომ შენიშნა, ჯერ ჩამოგლიჯა, მერე სილაც გაანწა. თვალთ დაუბნულდა, ნაიბორძიკა. დაიბნა, რა ხდებოდა, ან როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა გურგენმა. ქართული სიტყვებიც ეროსმა, რომ, რა დაამავაო? ესღა გაარჩია; ერთი მალალი, სუსტი კაცი, ქართული ყურთმაჯებიანი კაბა რომ ეცვა, მორიდებით მიეახლა წითელფესკიანებს და მათსავე ენაზე დაუნყო ლაპარაკი. თუმცა იჩქითიძემ საუბრის აზრი ვერ გაიყო, მაგრამ მიხვდა, რომ მასზე საუბრობდნენ, რადგანაც, როგორც ის შეიარაღებული უცნობი, ის ყურთმაჯებიანი კაცი ხელით

მასზე ათითებდნენ. მერე ყურთმაჯებინანი იჩქითიძეს მიუბრუნდა:

— ესენი რომ მოდიოდნენ, ქუდი რატომ არ მოიხადე, ან ხანჯალს რატომ ატარებ? ხომ იცი, რომ არ შეიძლება იარაღით სიარული?

გურგენმა ვერ გაიგო, ქუდი რატომ უნდა მოეხადე, ან ხანჯალი რომ ეკიდა, ამით რა დაემაჯა. ეგ იყო მხოლოდ, ახლა შენიშნა, ეს უცნობი ქართველი ეუდმობდილი ესაუბრებოდა ოსმალებს, ცოტა გვიან მიატყია ყურადღება იმასაც, რომ კრაველის თხემრაკეცილი ქუდი მარცხენა ხელში ეკავა. მაინც ვერაფერი უპასუხა გაოგნებულმა, მხრები აიჭრა. ეტყობოდა, ყურთმაჯებინანი კაცი მიხედა, რომ ქაბუკი მის ნათევამის აზრს ვერ მისაწვდამო.

— ოსმალებს რომ შენიშნავ მომავალთ, ქუდი უნდა მოიხადო. ასე მოითხოვენ. არც იარაღი უნდა ატარო!

— ჰო? — ახლა მიხედა ქაბუკი, — არ ვიცოდი! — მოკლედ თქვა მან.

ყურთმაჯებინამ ისევ თურქულად რაღაც უთხრა ნითღღესკიანებს.

გარშემო საკმაოდ ბევრ ხალხს მოყვარა თავი. ყველას ქუდი მოეხადა. ერთი თურქი, რომელიც ალბათ მათი უფროსი იყო, თითის დაქნეით დაემუქრა იჩქითიძეს და გზა განაგრძეს.

შეგუფებულნი დაიშალნენ. ის ყურთმაჯეა. ანიც წაიდა. იჩქითიძეს თითქოს სადღაც წაედა ეს კაცი ნახული, მაგრამ ვერ მოიგონა. შერცხვნილ-განზილებულმა. როგორც იყო, გადაედა თვითონაც ნაბიჯი. შეეცადა მალე გაეცლოდა იქაურობას. მიდიოდა. სილაგაურული სახე ეწვოდა, სახეზე მეტად კი გული მწვავედ ძიჭნედა, რაღაც მოუშორებელი სიმწარე. ხალხს რომ გასცილდა, დაშლულნი მარჯვენა ხელი ერთი მაგრად შემოიკრა შუბლში. შემდეგ თურქებს დაემუქრა კიდევ:

— ოჰ. თქვენ თუ ეს შეგარჩინოთ...

III

სულთანის ფირმანი

როგორც კი იეცე გარდაიცვალა, ახალციხის ფაშამ — ისევ ჯაყელმა მაშინვე თავის ერთგული იბრაჰიმ-ფაშა დიდძალი ძღვენით სულთანის კარზე, კონსტანტინოპოლს წარგზავნა. ისაყის დავალებით იბრაჰიმს სამეფო კარისა. თვის უნდა ემცნო ქართლის მმართველის იესეს, მათგან მუსტაფა-ფაშად ჭადანათლულის სიყვედილი. ამასთან დიდვაზირი თუ სხვა მისანდონი უნდა შეტანიდა სულთანისათვის, რომ ქართლის მმართველობა ისაყისათვის მიეცა. ძღვენით მოხიბლულ ვაზირთა გულმოდგინე გაჩვენა შედეგად. სულთანმა აჰმედ მე-სამემ კეთილინება და უავუსტოციო ბრძანე-

ბა გამოსცა, რომლის ძალითაც ემსახურებოდა იბრაჰიმ-ფაშას ერთგული სამსახურით დამაშვრალ ისაყს მიემატა კიდევ ერთი თულა, გახდა სამთულთანის ფაშა, უბოძა დიდი ვაზირის წოდება და სამმართველოდ მიეცა თბილისის ვილაიეთიც.

იბრაჰიმ-ფაშა სამეფო კარზე სულ უანგაროდ არ გაატარა, სულთნის ბრძანებით ისაყი თბილისში უნდა გადასულიყო. ახალციხეს კი მუსალიმი* უნდა მჯდარიყო და ეს მხარე ისაყის ნებისამებრ ემართა. მუსალიმოზა კი, მოწყალე სულთანის ნებით, თავისთვის მოიგვარა იბრაჰიმმა.

თბილისში გადმოსულმა ისაყმა ნარჩევალს ციხე არჩია თავის სამყოფად. თვით ციხე მაგარი იყო და შეუვალი, თანაც თურქული ლაშქრით გაძლიერებული. ისე რომ, შეეძლო აქ უშიშრად ეგრძნო თავი.

ნარჩევალაშიც ისაყმა დაუდებანისეულ სასახლეში დაიღო ბინა. ორსართულიანი სასახლის პირველი სართული თლილი ქვის მრგვალ სვეტებზე დაყრდნობილ დიდ დარბაზს ეჭირა, რომლის კედლებიც ფირუზისა და საფირონის ფერადი ფილებით იყო მოჭიქული. მთელ სასახლეს დასავლეთის მხარეზე სასახლის აბანო ეზღინებოდა. ხოლო აღმოსავლეთის მხარეს, თაღდის შიგნით, კიბე ადიოდა მეორე სართულის აივანზე. აივანი აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან სარტყელივით ერტვა სასახლეს. კიბის თავში, პირველ ოთახს საშინაოდ მისაღებ სტუმართათვის ითვალისწინებდნენ, მეორე — უფრო მოზრდილი. შიგნიდანაც ფერადი ქვებით მოვარავებული, ჩუქურთმითავენი ბუხრით. თვითონ სასახლის პატრონისა იყო, მის გასწვრივ წალიკად განყოფილი მცირე ოთახები კი მისი ცოლების სამყოფელად იყო დანიშნული.

ისაყი, მემკვიდრეობით გამგებელი სამცხე-საათაბაგოსი, სულთანის სამთულთანის ფაშა და ეზირად სახელდებულნი, ქართველები ისევ ათაბაგობით რომ იხსენიებდნენ, ძე გახლდათ იუსუფ-ფაშასი, ძის ძე ასლან-ფაშასი (თურქეთის სულთანის ბრძანებით რომ თავი მოკვეთეს!), ბადიში იუსუფ-ფაშის ძის როსტომ-ფაშასი და ბადიშის ბადიში საფარ-ფაშასი. თუ ბექა ჯაყელისა.

საფარ-ფაშას, ბექა ყოფილს, თავისი თანადროული მესხები მესისხედ ფაშას უწოდებდნენ და სამართლიანადაც სდებდნენ ამ სახელს. ბექა უმრწმენი ძმა იყო ყვარყვარე და მანუჩარ ათაბაგებისა. ერთი ზიდან ბარცი გამოითლება და ნიჩაბიცო, — იტყვიან; ჯერ კიდევ მაშინ, უფროსი ძმები თურქთა ბატონობის უღლის მოსამორებლად რომ იბრძოდნენ, ბექამ მამამადიანობა მიიღო და თავისი

* შემეცვლელი.

ქვეყნის მტერს, თურქეთის სულთანს სამსახური შესთავაზა. სულთანმაც დაუფასა ერთ-სულლების მოფიცარს და ერთთულიანი ფაშის ნოღებთი ტრანკონის ვილაიეთში სანჯაყბუგად განაწესა.

გამობდა ხანი, სამცხის მთავარი მანუჩარ მანუჩარის ძე, შინაშელოთითა და თურქთა მძლავრობით შეწუხებული, იძულებული გახდა მოსალაპარაკებლად სტამბოლში სწავლად სულთანს. სულთანმაც, იმ ხანად ძალად რომ არ ჰყოფნიდა მთლიანად დაეპყრო სამცხე, არჩია დათმობაზე წასულიყო — მოხარკობის პირობაზე ქრისტიანობით ათაბაგობა უბოძა მანუჩარს და სამშობლოში გამოისტუმრა.

ვიმ უწყის, უკან გამობრუნებულმა მანუჩარმა ირჩია სანუჯვარი ბიძის მონაბუღება, თუ თვითონ ბექამ იწვია, დიდი ზეიმით კი შეხვდა სულთანისაგან წყალობაშინიჭებულ ათაბაგს და გულუბნე მასპინძლის პირობაზე ნუგარელი სუფრობაც მოუწყო, მაგრამ... ნუგარის საქმელი სამსალით შეუზავა და სასურველი სტუმარი ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს.

...შემდეგ სულთანს წარუდგა, ახალციხის ფაშობა გამოსთხოვა. ყაჩაღისათვის საამხანაგოდ გაიწვია უკეთესი; სულთანიც, დიდება რე მოჰქალებია იმის სახელს, ასეთისათვის წყალობას როგორ დაიშურებდა?

სულთანი და მისი ჯარი ამ დროს მთელი ძალით იბრძოდნენ, რომ სამცხე-საათაბაგო თურქეთის ვრცელი იმპერიის ნაწილად გადაეკცათ. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნის დაპყრობილება და გარდაქმნა-გადაგვარება იყო საჭირო.

სულთანმა და მისმა ვეზირებმა ისიც კარგად იცოდნენ, ქვეყნის დამორჩილება, პირველ ყოვლისა, ქვეყნის მესვეურთა გადაბირება-გადაგვარებით უნდა დაეწყათ; ციხეს თუ ზღუდეს მოარღვევ, ადვილად დაიჭემა; ქვეყნის სათავეში რომ ზნედაცემული ხელი-სუფალი ჩადგება, იგი მაგალითის მიმცემი ხდება სხვებისათვის. ქვეყნის გადაგვარებაც აქედან იწყება. სულთანს ნადღის აღსრულებლაში ისე ხომ ვერავენ გამოადგებოდა, როგორც მშინულის მკვლელი და რჯულის მოღალატე? ასეთი უნდა ექებნა და თავისი ფეხით მისულს რას გაუშვებდა ხელიდან? სიამოვნებით აუსრულა სურვილი ბექაყოფილს, ორთულიანი ფაშობა და მეშვეიდრობით გურჯისტანის ვილაიეთად ნოღებული ჩილდირის, იგივე ახალციხის საბეგლარბეგო უბოძა, ჯარი გამოატანა და საათაბაგოს დაქტრა უბრძანა...

ისაყ-ფაშა, როგორც შთამომავლობით, ისე სამეშვეიდრო თანამდებობით, ბექასაგან, სულთანის იმ წყალობის შემდეგ საფარ-ფაშად

გადაწოდებულიაგან მომდინარეობდა ქვეყნის თვითონ ნეტარხსენებული საფარ-ფაშა პირდაპირი შთამომავალი გახლდათ ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი სულა კალმახლის, სარგარ დიდი ათაბაგის, ბექა და აღბულა კანონმდებლებისა და მათ მეშვეიდრობითა, რომელთა ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურის ჩამოთვლაც კი შორს ნაგვიყვანდა. ერთი დანაშაული კი არც მათ შეიძლება დავუვიწყოთ: სარგარს ათაბაგმა და მისმა მეშვეიდრობა დაუღეს სათავე ერთიანი საფარ-ფელოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებას, რითაც ქვეყნის ძლიერების დაქუცმაც შეუწყეს ხელი და შემდეგ, თავიანთი სამთავროთი, მტერთა მძლავრობის პირველი მსხვერპლნიც თვითონვე შექმნენ.

ისაყის მამა-პაპანი ორთულიანი ფაშები და სამცხის მმართველნი იყვნენ, ამაზე მეტი განდიდებისათვის, საფარ-ფაშადან მოყოლებით, არავის მიუღწევია. ისაყმა კი თურქთაგან თბილისის ვილაიეთად ნოღებული ქართლის მმართველობაც დაითრია სულთანისაგან და ამის შესაბამისად ერთი თულაც მიიმატა. მართალია, მისი შორეული წინაპარი ათაბაგობით უფრო მეტ მამულს ფლობდნენ, ვიდრე იმ დროს ჩილდირის საფაშოდ ნოღებული სამცხე იყო, მაგრამ ისაყი ახლა ქართლსაც მართავდა და მთელ დასაყლეთ საქართველოს გამებლობაც მასვე ჰქონდა მიწოდო. ბილი; ისაყმა იმდენს მიიღწია, რამდენისთვისაც არც ერთ ჯაყულს არ მიუღწევია. ამ მხრივ იგი ბაგრატიონებს გაუსწორდა; ამის გამო თავის გამჭრიახობა-მოხერხებულობით ხომ თავი მოჰქადა. ცნობიურად თუ ქვეშევრდობიერად წინაპართაგან გაკვალულ გზასაც უმადლოდა.

ისაყი თავის თავს ბევრი მხრივ ამსგავსებდა წინაპართ. ყოველშემთხვევაში, ბიეთის ტაძრის კედლებზე ათაბაგთა გამოსახულებანი რომ დაათვალიერა, ერთი მაინც, ზედგამოჭრილ თავის ხატად მოეჩვენა. ეგ იყო მხოლოდ, იმას ძველი ქართული სამოსი ეცვა, თვითონ კი — თურქული. სახის მოხაზულობით ძლიერ მოგვაგადა, ოღონდ იმას სახეზე უფრო ნათელი ეფინა. თვითონ კი ოდნავ შესამჩნვეი სიშავე ჩრდილივით ჰქონდა გადაჭრული. იკთხა მისი ვინაობა, უთხრენ: აღბულა ათაბაგი გახლავსო, სახელიც რაღაცით მიაშგავება თავისას, აღბულაც არაქართული, თითქოს თურქული ჩანდა.

ისაყი არც ტყუოდა, მართლაც აღბულასავით მძლიერი იყო თვითონაც, ფართო მხარბეჭიანი. მის ახვნებას უფრო თვალნათელს ხდიდა მუხლს ქვემოთამდე დაშვებული ყვირული მუდის ხიფთანი, გულმკერდზე და საშაყებზე ოკროქსოვილი ღილ-კილოებით რომ ჰქონდა შეჭრული; წელზე ორი გოჯის სიგა-

ნე იისფერი სტავრის სარტყელი ერთჯერ (სარტყელში ხშირად მოოქროვილი დამბაჩის გაქრობაზე უყვარდა). ხიფთიან ზემოთ მოკლესახელოებიანი, წინ ჩახსნილი, გრძელი, შენამული ფერის აბრეშუმის ჯუბა ეხა.

ოღნაე მოგრძო სახესაე აღბუღასავით მოკლად შეკრეტილი, საემაოდ სქელი, მორუხო წვერი უფარავდა, აქა-იქ რომ ემწნოდა ქალდა. ოღნად კანის ფერით, როგორც ითევა, უფრო შავკერძიანი იყო. მორუხო ფერისაეე კარგად შესამჩნევი ნარბ-ნამნამი ეხა. ცხვრისებრი ქროლა თვალეები და სწორი, ბოლოში არწივისებური მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. იმ დროის ჩეულები სანინაღმდეგოდ, უღაშებს არც ისე გრძლად იყენებდა. მალე შუალს ნახევარზე მეტად უმალავად თავზე დარქმული განიერი, თურქული გოგრის მსგავსი, ზოლებიანი დოღბანი, თავზე მაგრად რომ ჰქონდა შეკრული, საერთოდ, პირქუში გამოხედვა სჩეოდა, იშვითად თუ გალიმება და იმ დღისშიც დაკვირვებული თვალი უფრო მეტად შავკრობას თუ ამოიკითხავდა.

ფეშებზე მჭიდროდ შემოტმასნილი ნატის თეთრი ჩქემები ეცევა; ყლებზე მწვანე სტაურის, სანმერთულივით განიერი შარვლის ტუტები ჰქონდა გამმოფენილი.

საყიც მამა-პაპათაგან გაეცალულ გზას მისდევდა. თუმცა გურჯობით თავიც მოქონდა ხანდახან, მაგრამ წინაპართაგან გადადგმულ ნაბიჯს მაინც უმადლოდა. ამ ნაბიჯმა იყო, რომ იგი ასე ააღზევა — თითქმის მთელი საერთველოს მმართველი გახადა; სამცხესთან ერთად თბილისის ვილაიეთის მმართველობაც იგდო ხელთ, თბილისი მთიის სატახტო გახდა. იმერეთ-გურია-იფიშის და აფხაზეთის საქმეთა გამგებლობაც ძველებურად მის ხელთვე რჩებოდა. ვინ იცის, იქნებ ისეც მომხდარიყო, რომ იგი გურჯისტანის დამოუკიდებელი მმართველიც გამმდარიყო...

დარბაისლური სახის ისაყს არც განიერება აეღდა და არც თავდაქერილობა. თუმცა ხანდახან პატარა რამეზეც წამოწებოდა ზოღზე და შემდეგ ამხეც საყვედურობდა თავის თავს. შორსმჭვრეტელობა საემაოდ გააჩნდა, მაგრამ მესხური გულუბრყვილობაც სჩეოდა. ისე რომ, ცბიერ კაცს ადგოდა შეიძლებოდა მოეტყუებინა, თუმცა ერთხელ თუ ვინმეს გამოიჭერდა ტყუილში. შემდეგ აღარასოდეს ენდობოდა.

როდესაც ქართლის მმართველად დანიშენის შესახებ სულთანის ბრძანება მიიღო ისაყმა, გადასწყობა, ერთად მოეყარა თავი ყველასათვის და ერთდროულად ეუწყებინა საუწყებელი. კაცნი დაგზავნა, ყველა სათავადოდან იხმო უფროსნი, დაუდხანისეულ სასახლეში დივანის მოწყევა ბრძანა.

მონვეულთ ისაყის ბრძანებით, მუსლიმანი

მესხი ფაშები, ალიბეგები, ბეგები და მთელი მოხელეები უნდა შეგებებოდნენ უკუბრუნებას და გარიგებულ, ვინ ვის უნდა შეხედროდა. სასახლეში რამდენიმე მცველი დაატოვებინა, დანარჩენთ უბრძანა, გასცლოდნენ. შემოსავლელის მხარეს ციხის შემოგარენშიც არ და აყენებინა იანიჩრები, თუ სიფაეები. მხოლოდ დაბლა, კარიბჭეში იფაგ რამდენიმე დარაჯი, მაგრამ ვინცობისათვის მაინც დაავალა სასახლეში გარიგებით, სანგარს მოფარებული რამდენიმე აყული იანიჩარი უკოლოდათ მზად.

საყიც დროდადრო გადაიხედავდა სარკმლიდან, თვალურს ადევნავდა, თუ როგორ კარიბეგოდნენ წვეულნი. პირველად ქვემო ქართლის თავადები — ბარათაშვილები და ორბელიანები მოვიდნენ. მათ მტყერის მარჯვენა მხარის თავადები — ციციშვილები, ჯავახიშვილები და თარხნიშვილები მოჰყვენენ. შემდეგ იესე მუხრანბატონი. შანშე ქსნის ერისთავი და რევაზ არაგვის ერისთავის სახლკაცი მოვიდნენ... თითოეულს კარიბჭესთან ეგებებოდნენ შერჩეული პირნი. თლილი ქვიც ნაგებ ფართო კიბებით ამოჰყავდათ მალდა და დარბაზისაკენ მიუძღოდნენ.

მოსულ-დამხედურის ისეთი მოკრძალებით ხედებოდნენ, თითქმის ერთმანეთის წინაღმდეგ არასოდეს არც ხმალი ამოწნიათ და არც ცუდ რამ განუზრახათ. ისაყიც ქართლელთა ვადითა უმეტესობას კარგად იცნობდა, წარმოდგენილიც ჰქონდა ვისზე როგორ გავლენას მოახდენდა ეს მიღება.

— იქნებ სჯობდა, რომ სასახლის წინაც და შემოსავლელებშიც იანიჩრები დაგვეყენებინა, ანდა ვითომ პატივისცემის ნიშნაც სიფაეები შეგვეგებებინა? — იქნეულად იკითხა რეჯებ-ფაშამ. რომელიც იმგამად თან ახლდა ისაყს.

— არა, არ სჯობდა! — თავის ფიქრებში მყოფმა ისაყმა გულის ჭარეთ უქაშუხა თურქს. შემდეგ დაუმატა: — გურჯი ისეთია ბუნებით, თუ დაშინებას დაუპირებ, უფრო გაავდება.

— რა ვიცო, ვინმემ რომ რაიმე გაპბედოს, ვითუ სხევიც აყვენენი — გაუზიარა თავისი ეჭვი ოსმალომ.

— ნუ შიშობ, რეჯებ, კიდეც გაეხარდებათ, რომ სულთანის ყმობას შეუთავაზებთ, მეფეთა გვარეულობიდან არავინ ჰყავთ ისეთი, რომ მისი ბატონობის მსურველი იყენენ, თავადთაგანს კი არავის იბატონებენ!

ორივე დადუმდა. ისაყმა გაიარ-გამოიარა, თან ცალი თვალი სარკმლისაკენ ეჭირა. შენიშნა ზემოქართლის თავადებს — მაჩაბლებს, ფლავანდოშვილებს, ამირეჯიბებს, თუმანიშვილებს — წინ გვიც ამილახვარი მოუძღოდა. ინიშნა ისაყმა: კარგად შემიჩრევი, სწორედ

ისე ჯგუფდებათ და იმათ გარშემო იყრიან თავს, როგორც მე ფიქრში გადავანალიყო.

შუაღღე იყო უკვე მონღული. თხელ, გამჭვირვალე ფთილასავით ცაზე გაკრული ღრუბლები შეცურდნენ შვის ქვეშ. ოდნავ შემჩრმინდა დღე. თითქოს სიგრძელეც მოჰყვა ამას.

სულეიმან-ფაშა ეახლა ისაყს, თავადთა ხლება მოახსენა, — მხოლოდ არაგვის ერისთავი თეიმურაზი არ ჩანს, დასძინა. ისაყი რეჯებ-ფაშას მოუბრუნდა:

— ნულარ დავაყოვნებთ, არა? ზოგს ისედაც დიდ ხანს მოუწია ცდა, არაგვის ერისთავი იქნებ არც აპირებს მობრძანებას...

— პო, რაღა საჭიროა მეტ ხანს ცდა — დაუდასტურა თურქმა.

ისაყი გასწორდა, სამოსიც შეითვალევრა, ასევე მოიქცა რეჯებიც. ორივეს ამ უკანასკნელ წუთებში დაძაბულობა ეშინეოდა.

აივანზე გამოსულ ისაყს ორი ხელმწილანი იანიჩარი დაუდგა უკან, წინ სულეიმანი წაუძღვა, დარბაზის კარები ფარითავე გამოალო, ისაყი და რეჯები თითქმის ერთად შევიდნენ შიგნით. დამხედურნი ფეხზე წამოდგნენ, ისაყი და რეჯები გულზე ხელის დადებითა და თავის დაკვირვით მიესალმნენ. შემდეგ ქართლელი თავადები რიგრიგობით მიეახლნენ ისაყს და ქართული ნივთს მიხედვით მხარზე ეამბორნენ. მერე ისაყმა უკან დაიწია, მისთვის განკუთვნილი სავარძლის წინ გაჩერდა. რეჯებმა სულთანის ფირმანი გადასცა, ისაყმა თავს შემოივლო, ეამბორა ფირმანს და სულეიმანს გაუწოდა, სულეიმანიც ეამბორა ფირმანს, გახსნა და ისაყს ბრძანებისამებრ წაიკითხა. თუმცა უმეტესობამ იცოდა თურქული და მისი შინაარსიც გაიგო, მაგრამ სულეიმან-ფაშამ, ბრძანებისამებრ მაინც გადათარგმნა ქართულად:

„მარადის გამარჯვებული პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციერი სამეფოს ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი, უზე-ნაუსი სულთან აშმედის ბრძანება ის არის, რომ თბილისის ვალაიეთის მაღალღირსეულ თავად და იქაურ მცხოვრებთ ეწუნათ: ჩემი სვებედნიერი კარის პატივოსანი დესთურმის, დედებულს, ქვეყნის მომწესრიგებელს ჩემს ვეზირს ისაყ-ფაშას ნიშნავს თბილისის ვალად, და უბრძანებს ყველას, დემორჩილოს მის ნება-სურვილს, ვითარცა ჩემი სვებედნიერი კარის ბრძანებას.

ამასთან იუნყოს ყველამ ჩემი სვებედნიერი კარის კეთილგანწყობილება იმ ქვეყნისადმი; მომხსენდა, რომ მისი ხალხის დიდი ნაწილი არ არის ზარბუზული მუშავედის, — იდიდოს მისი სახელი, — მცნებას, რის გამოც მოკლებულია ამქვეყნიურ სიხარულსა და იმქვეყნიურ ბედნიერებას.

ეუნყოს ყველას და ჩემს ვეზირს ისაყ-ფა-

შას მოხსენდეს, რომ იზრუნოს თქვენი ქვეყნის ლაიეთის ხალხის მუსლიმანურების შესრულებას, რომ წარმატებას აქონდეს მის რჯას, თბილისის უმთავრესი საყვარი სიონი გადააკეთოს მეტეათად, სამეფო ქალაქ კონსტანტინოპოლის აია-სოფიის მსგავსად, და ააშენოს ახალი მეჩეთი.

და ებრძანე, ასე გასრულდეს დღეიდან, ვინც არ უნდა იყოს, როგორადაც არ უნდა იყოს, რა მიზნებითა და რა გვარადაც არ უნდა იყოს, ნურავინ ჩაერევა და ხელს ნურავინ შეუშლის.

დაიწერა ამაღლებულსა და კეთილდაცულ ადგილს კონსტანტინოპოლს. დასრულდა“.

სადღაც გმინვა გაისმა. აქა-იქ კბილთა ღრჭიალიც გაკრთა. ვიღაცამ ქართულად შეიგინა კიდევ — თქვენი ალაპიცი და თქვენი დედაცო.

— დიდ არს ალაპი და მისი მოციქული მუშაბედი დიდ არს... დიდ არს... — გამეორდა სულთნის მოხელეთა ღალადისი და ამ ხმამ დაჰფარა ყველა სხვა ხმა.

IV

დედოფლის გულისტაქივილი

დედოფალი ელენე ღვთისმოსავი ქალი იყო, თავდაჭერილი და გონიერი. ვინ იცის, ეს ღვთისმოსავობა და თავდაჭერილობა იქნებ იმანაც შთაუნერგა, რომ მამის, ადრე ქართლის, შემდეგ კი კახეთის მეფის ერეკლე პირველის, სპარსელები ნაზრ-ალი-ხანს რომ უხმობდნენ, სჯულის განდგომა და გულაყრილობა პატარაობიდანვე არ მოსწონდა და ცდილობდა, თვითონ სულ სხვა რიგის ადამიანი დამხდარიყო.

სამწუხაროდ, ემარიც დაახლოებით ისეთივე შეხედა ელენეს, როგორც მამა იყო. მანაც რამდენიმეჯგონის გამოიყვალა სჯულთ, დედათმოყვარეობაშიც ხომ არ დაუდებდა ტოლს ერეკლეს. არც სხვა ადამიანური თვისება გააჩნდა ისეთი, რომ კაცს ეფიქრა, ეს მხარე მაინც კარგა აქვსო.

ერეკლეს გამართლება თუ შეიძლებოდა კიდევ, რომელღაც სამშობლოსაგან მოწყვეტამ, უცხოობაში წვალება და ცხოვრების ავებედიობამ წაუხდინა ნიკი, ეს არ ითქმოდა იესეზე. იგი ხომ ქართლში, მამის — ლევანისა და ბიძის — სახელოვანი მეფის გიორგის შეთვალყურეობით, უფროსი ძმების — ქაიხოსროსა და ვახტანგის გვერდით იზრდებოდა? და ეს, ისევე ხის მეორე ანატყვი, სულ სხვა რიგისა რომ იყო, ეს უფრო მეტად სტყუნდა ელენეს გულს.

გაქვდნულად ქმრის მორჩილი იყო, როდესაც მისი საქციელი ტყუამი არ მოსდოდა. მხოლოდ რბილი საყვედურით თუ მიმართავდა, მაგრამ შინაგანად არასოდეს ყოფილა



მისი თანამზრანველი, როგორც ყველა ქალს, ქმრის დედამთხოველობა ხომ გულს სტკვენდა, და იესე მალ-მალე სჯულს რომ გადაუდგემოდა ხოლმე, ეს აღონებდა; ისიც ავლენსებდა, ტახტის დაჭერისათვის თავის ძმის მიუფ ვახტანგის მიმართ ქვეყამხედურობას რომ იჩენდა, თუმცა ქმრის გამეფება თვითონაც არანაკლებ სწადდა.

ულენუა, კაცმა რომ სთქვას, ქმარი თითქმის არასოდეს პყვარებოდა. მაგრამ მისმა ვარდაცვალებამ მაინც თვზარი დასცა: ამის გამო ოჯახის მომავალი მუტად ზნულად ესაზხოვდა. ქვეყანაც უპატრონოდ დარჩენილად წარმოუდგა. ვილას უნდა ენინამძღვრა ან ერთისათვის და ან მეორისათვის?

იესე იგლოვებს, დაკრძალეს. შიში რომ პქონდათ, სპარსელების მსგავსად თურქებიც არ დაანებებდნენ მიცვალებულს, თავიანთ სჯულზე გადასულს სუნტურნი ნეთით დასამარხავად სადმე გადაასვენებდნენ, არ გამართლდა; თუ სად დაიმარხებოდა იესე, თურქები ამით სულაც არ დაინტერესებულან.

აბდულ-ბეგმა თურქეთის სულთნის ვზირს, ისაყ-ფაშას შეავედრა თავი, რომ მამის ადგილი მისთვის მიეცათ. ელენესათვის, სა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო ეს, მაგრამ ამ ამბავმა მაინც შეაკრთო. თუმცა აბდულ-ბეგი გულბოროტი არ ჩანდა, მაინც ვინ იცის, გველი გარემან არის შავი და ადამიანი შიგინდის ორბელიანების გაზრდილი და ურატის თაოსნობას მინდობილი ტახტის მძიბელი იქნებ უმცროსი ნახევარძმის — თეიმურაზის თავიდან მოცილებას ცდილიყო და... ამ საზრუნავმა გლოვა-ტირილი მიავიწყა. თითქოს გამოაფხიზლა. ერთგვის გადაწყვიტა. სულაც კახეთში გადასულიყო, ან იქ გაგზავნილი შეილი გაერიდებინა საფრთხისაგან. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, გერს ამით უნდობლობას რომ გაუღვივებდა; არჩია ისევ დაეცადა, დალოდებოდა, თუ როგორ წარიმართებოდა საქმე. ეც კი იყო, ახლა უფრო მტკ სურვილი აღედრა, არც შეიძლებოდა, კარგად აღეზარდა შეილი და ღირსეული მესაჭე მიეცა ქვეყნისათვის. იხმო თავისთან იესესაგან მიჩენილი მზრდელები: ნოდარ ხერხეულიძე და იოსებ ფალავანიძე, შევედრა მათ, რომ უფლისწულის აღზრდაზე უფრო მტკი უზრუნია, არც სხვა მწჭრთნელებისათვის დაუკლია თხოვნა.

დედოფალს სხვაც პქონდა საზრუნავი: იესემ გვარინი ქონება და მამულები დაუტოვა. ის უნდა შეენარჩუნებინა, მოეცლო და ამ მზრდაც უზრუნველყო შელისათვის მომავალი.

ახლაც დედოფალი როსტომისეულ სასახლეში იჯდა და ცდილობდა ამოეცნო, რა მოხდებოდა, ან თვითონ როგორ მოქცეულიყო. „როგორღაც მოახერხა საბრალე იესემ, თუ-

რებიდან საერთო ენა გამოენახა. ელენესა და მისი ცდილობს მამია კვალს გაჰყვეს, დიდმალი ქრთამიც შეუძლებია ისაყ-ფაშასათვის“. ამ ფიქრებში იყო, რომ თეიმურაზი შემოვიდა, მორიდებით მიუახლოვდა დედას.

საერთოდ ცუდქმა თეიმურაზმა ძლიერ განიცადა ოჯახში დატრიალებული უბედურება. ხედავდა დედის მწუხარებას, ამის გამო იყო აღბათ, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ თითქმის სულ შეიცვალა, ძველებურად აღარ ანცობდა. დედასთანაც ყოველთვის კრძალით მოდიოდა. ჯერ კიდევ ყმანული. ოჯახის მდგომარეობა რომ ასე განიცდიდა, ეს ამბავი ელენეს გულს სტკვენდა; უნდოდა, უფრო მხნედ სჩვენებოდა შეილს, ცდილობდა, რაიმე გასართობი მიეჩინა მისთვის, მაგრამ თეიმურაზი დიდხანს გულს ვერ უღებდა თამაშს.

იოსებ ფალავანიძე მიუღოდა ოთახში, დედოფალს კალთაზე ამბორით მიესალმა, მერე თეიმურაზს მიუბრუნდა:

— რამდენი ხანია, დაგებებ, ბატონიშვილო, დაგაკვირდა ბერძნულს გაკვეთილებზე!

თეიმურაზი ჩასაცემელად წავიდა. ფალავანიძე მივიდა მოწყენილი უჩვენა დედოფალს, სახეში შეაჩერდა და ისე პქითხა:

— დალონებული ჩანხარ, ბატონო იოსებ... ფალავანიძე დიდუმიდა. ამოიხხრა მხოლოდ.

— რა მოხდა მაინც? — ისევ იკითხა დედოფალმა.

— კარგი არაფერი, დედოფალო... თურქეთის სულთნის ისაყ-ფაშისათვის მიუცია ქართლის ბატონობა!

ულენე ეს რომ გაიგონა, გული დასწვდა.

— მამ ქართლის ბატონობა ისაყ-ფაშას დარჩა, პა?

ყოტა მოგვიანებით კი გაიფიქრა — „იქნებ ცუდიც არ იყოსო ეს ამბავი“.

— თან ეს უბრძანებია, — განაგრძო ფალავანიძე. — სირი მიზგითად გადააკეთეთო, ქრისტიანული ღვთისმსახურება აკრძალეთო. მამმადიანობაზე მოაქციეთო ყველა!

— პა, სირი მიზგითად გადააკეთეთო? — თვალები გაუფართოვდა ქალს, — გავტათრებენ და ეც არის! საიდან შეიტყვე ეს?

— გუსონ ისაყ-ფაშას დიდკაცობისათვის შეუყრია თავი. სულთანის ფირმანს უძახიან თუ რა ემბაკს, ის წაუკითხავთ. ამასწინათ რომ დიდძალი ლაშქარი ჩამოაყენეს, ამბობენ, იმიტომ მოვიყვანეს, რომ სულთანის ბრძანება ძალით უნდა აღასრულონო; უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას საითაც უნდათ, იქით უზამენ თავს!

— ღმერთო, შენ გვიშველე! — ცას შეღალადა ქალმა.



თეიმურაზს ბერძნულ ენას პაფილიის უბსკოპოსი პარტონონი ასწავლიდა. იგი შუახანს გადაცილებული მაღალი ტანის კაცი იყო. დამაზად დაყენებული გრძელი, ჭალარაშერეული წვერი, ნათელი შუბლი და სახლში სახმარი ბერული ჩოხა სათნო კაცად აჩენდა მას; სათნოებას არც იყო მოკლებული. თითონ გაჭირვებაში მყოფი, არ იშურებდა ძალღონეს, რომ სიტყვით თუ საქმით სხვა გაეცო. რვეილს დახმარებოდა, თავდაჭერილ, დინჯ და ტუბილმოსაუბრე ებისკოპოსს იმდროის კვალბაზე კარგი განათლებაც ჰქონდა მიღებული. არაფერ იცოდა, რა მიზეზის გამო გამოილტო თავის საეპისკოპოსოდან, წელიწადზე მეტი იყო, თბილისში ცხოვრობდა. ამით ისარგებლა იესემ და სთხოვა, თეიმურაზიასათვის ბერძნული ენა ესწავლებინა. უფლისწულის აღზრდა თავისთავად საპატიო საქმე იყო; ესეც რომ არ ყოფილიყო, ამარველოს მოწყვეტილი ზელმოკლეობას განიცდიდა. უფლისწულის სწავლება სახსარს გაუჩენდა, ამიტომ სიამოვნებით ითავა მასწავლებლობა. იესეს სხვა დიადებულებმაც მიიბძაძეს, რამდენიმე მონაწე გაიჩინა. ამის გამო თუ იყო, აღარც ჩქარობდა აქედან წასვლას.

V

ამილახვრის გოგმა-ნაღველი

ისაყ-ფაშას დივანის სხდომას ნადიმი მოყვა, თურქული ნაირნაირი ფლავი და ქართული საჭმელები ხომ არ აკლდა, სუფრაზე ღვინოც ბლომად ჰქონდათ. ისაყმა თვითონც მოიღიბნა და შეეცადა სტუმრებიც შეეცვა.

გივი ამილახვარი გვიან, თითქმის შუაღამე იყო, რომ სახლში დაბრუნდა. მერვე დიდხანს იფხიზლა, გვიანობისას ჩაეძინა, დილით კი ის იყო შეთქმულა, რომ გაეღვიძა. სცადა კვლავ წაიძინება, მაგრამ არ იქნა, რული არ მოკლდა, ვერც საწოლში გაჩერდა. წამოდგა. ჩანდა, მსახურებს ისევ ეძინათ. საშინაო სამოსი გადაიცვა. გული რაღაც მაგარს სთხოვდა, ვერცხლის ყალიბში გლარჯა ჩატენა, სავარძელში ჩაჯდა, მუხლი მუხლზე გადაიდო. ყალიბის ტალკვეთით მოუკიდა და გააბოღა.

გუმინდელმა დღემ როგორღაც თავბრუ დაახვია. ჯერ მოლოდინმა დაღალა. რისთვის იწვიეს, რა უნდა ემცნოთ? მერე ამცნეს და თითქოს ვერც გაერკვა, რა ხდებოდა, ან რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. კარგი თუ ავი ერთმანეთში აირია, მთელი ზემო ქართლის გამგებლობა უბოძეს. მაგრამ... და სწორედ ეს მაგრამ იყო, რომ გულზე შემოვინთო, გააბრუა და მერე ღვინოს მივძალა. ღვინომ უფრო მოთენთა.

ახლა საზარელი სიზმარივით იგონებდა გუ-

შინდელ დღეს: ისაყ-ფაშასთან ^{მეცხრედიდსა} რმანის ნაკითხვა-გაცნობა, ^{მეცხრედიდსა} მერე ^{მეცხრედიდსა} ერასტი ყაფლანიშვილის და ბაგრატი ციციშვილის ქვეყნის მმართველებად განწესება... შემდეგ ნადიმი... გადახუებული სურათად ეს ხელადა ყოველივე ეს. თითოეუა დიდიდან: მთერალი ყოფილიყო და მის ხსოვნაა ამის გამო გადაჰყენოდა ჩრდილი. ფრმანით ბრძანება — ხალხის მუსლიმანური ნათელი შემოსვისათვის იზრუნეთო, მაინც ჩარჩა გოგნებაში. სულეიმანის ხმაც თითქოს ყურებში ჩასწოდა.

გივი ამილახვარი, ზემო ქართლის დიდი სათავადოს ოჯახის უფროსი, გორია მოურავი, ვახტანგის, სჯულისმდებლად წოდებულის, მეფობის ბოლო წლებში ქართლის სამეფოს მეორე სასპასბეტოს სარდალი გახლდათ. ეს სასპასბეტო, თუ სადროშო მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ესნის ხეობიდან მოკიდებული ვერტყვიჭალამდე, ზემო ქართლის ლაშქარს აერთიანებდა და ომის დროს შემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა. ახლა ისაყ-ფაშამაც ქართლი სამართავად რომ დაწინაღობდა, გივი ამილახვარს ისევ მეორე სადროშო მისცა საგამგებლოდ.

ეს სახელო, ამილახვრობა, რაც ამ საგვარეულოს ოჯახის უფროსობასთან ერთად, გორის მოურავობა და ზემო ქართლის სპასბეტობას გულისხმობდა, ამ გვარის უფროსთ ძველთაგანვე მოსდევდათ. ამილახვრები იმდროისათვის თავიანთ წინაპართა ხსოვნის ოთხას წელზე მეტს ითვლიდნენ და გვარის სახელოვანი წარსულითაც თავი მოქონდათ! გივის წინაპარა — თავას, ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის დროს მამულის წინაშე დამსახურებისათვის ცხვილოური მამული მიეღო; ჯანიბგეს კი მრისხანე და უღობიერი ლანგთემურის წინააღმდეგ ბრძოლაში უტეხი სიმამაცე გამოეჩინა და დიდი სახელიც მოეპოვნებინა, მაგრამ უფრო ღირსასხსოვრად იოთამის საქციელი მიაჩნდათ, მეფე გიორგი მეფის ვერაგ შეთქმულთა მზაკერული განზრახვისაგან სახსნელად თავი რომ გაენიწა. ეს სახელი ორმაგ სიამაყეს ჰგვრდა იოთამის შთამომავალთ: ერთი რომ მეფისა და ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დაუყო თავის გვარს, მეორეც, რომ სწორედ ამ ამბის გამო დაიწყო მათი აღზევებაც, მაღლიერმა მეფემ იოთამის შთამომავალთ დიდძალი მამულები, გორის მოურავობა, საპარხად შიომღვიმის მონასტერი და ამილახვრის — ამირ. სპასალარის მოადგილის სახელი უბოძა.

იოთამიდან გივიმდე ვინ იცის რამდენი თაობა გარდავლენილიყო, რამდენს ენახელებინა თავი მეფისა თუ ქვეყნის წინაშე. მეერთ მეფეთა წყალობაც მიეღოთ და ამით კიდევ უფრო გაუფართოვებინათ თავიანთი სათავად-



დოები; მაგრამ მათ შორის განდიდებულ-გა-
ზულუქებულნიც ერივნენ, ქართლის მეფის
წყალობას რომ აღარ დასჯდნენ. ირან-
ის შაჰთა პატივში ყოფნა მოენადინებინათ;
ამის გამო, როგორც მეფისათვის, ისე ქვეყ-
ნისა და სჯულისათვის ელაღებათ. გივის
დროს ასეთა შორის ორ ანდუყაფარს დაგი-
სახებდნენ. პირველი გივის დიდი შაჰის ძმა
იყო, ქართველობას რომ განუდგა, ცოლად
შერთო ნათესავი ქართლ-კახეთის მოსისხარი
შაჰ-აბასისა და აშკარად მის ერთგულებაზე
სდებდა თავს. მარტყოფის ციხეში აღმწყე-
ბის დროს, მტრისათვის ხელი რომ არ შეენ-
ყო, გიორგი სააკაძემ თანამეცხედრისად შე-
აპყრობინა და ხევში, არშის ციხეში გამოა-
კეტინა.

მეორე — გივის მამა გახლდათ. ეს ვაჟბა-
ტონი, თუმცა არავინ აძლებდა, ამილახვრო-
ბას რომ აძლევდნენ, ჯერ შაჰმადის სჯულზე
გადვიდა. შაჰის ერთგულ კაცად გამოაცხა-
და თავი და მერე დაჯდა ამილახვრად.

ერთიც და მეორეც ბედუკუდმართად დაი-
ლუპნენ, პირველი ანდუყაფარი ნარკისალას
ციხეში თავის ხელმძღვანელ სპარსელ ციხის-
თავს ეწვია, ციხის მოაჯარზე ფეხი დაუსხლ-
ტა. ლანძეს დაეცა, გაუტყდა და უფსკრულში
გადაიჩხა.

მეორეს, ცხენით მიმავალს, კურდღელი გა-
მოუხტა, ცხენი დაუფრთხო და ძირს გადმო-
ვარდნიას განუტყევა სული.

უცხოთ თუ შინაურთ, ყველას სჯეროდა,
რომ ერთსაც და მეორესაც თავიანთი ცოდ-
ვების საპასუხოდ ღვთის რისხვა ეწიათ. ბევ-
რი ფიცი ქვეშ იმასაც ამტკიცებდა: ჩემი
თვლით მიწახავეს, მათ საფლავეზე ღამლამო-
ბით ძაღლის ლეკვები იყრიან თავს და ნემუ-
ტუნებენ.

გივი ამილახვარი საშუალოზე ოდნავ მაღა-
ლი, მკერვიად ჩახხბული ვაჟყავი გახლდათ,
განიერ მხარბეჭიანი; მრგვალ სახეს შავი წვე-
რი უშმეწებდა. არც ისე გრძლად დატოვებ-
ულ უღვაშებზე ოდნავ თაფლისფერი გად-
აქრავდა, ასეთივე ფერის ფართო ნარბების
მიღმიდან ხან მშვიდი, მცირედ ნალღიანი,
უპროტო, ხან კი ქურუში თუ შრისხანებით
აღსაქვ თვალები იშვირებოდნენ.

გივი ყოველთვის ქართულ სამოსს ატარე-
და. თერთ ყელამოჭრილ პერანგზე ვარდის-
ფერი დოშლულით დამშვენებულ და მუხლის
თავამდე დაშვებული ლურჯი ფერის კაბას
იცივდა, ზევიდან ხშირად შინდისფერი ღა-
რთი უხსა. წვიებზე ჭრელი, გრძელი ჰაიტები,
ფებზე კი შავი, ქუსლდაბალი მაშინი ემოს-
სა, წელზეც, მარცხენა მხარეზე, ყურცხლის-
ბალთებითა ქამარზე მუდამ სახელურ და
ქარქაშმოჭროვილი სატყარი ერტყა.

მამამისმა ანდუყაფარმა მუსლიმანობა რომ

მიიღო და სპარსელთ უერთგულად დატოვებულ
გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, მისი
ფანატკური მორწმუნე იყო, და საყოველ-
თაოდ გაერცხლებული აზრი, რომ ანდუყაფა-
რი ღმერთმა დასაჯა თავის ცოდვების საპა-
სუხოდ, სჯეროდა. ცხადია, მამის საქციელი,
სჯულის ღალატი და დამპყრობლებისადმი
თანადგომა არ მოსწონდა და, ვაი, რომ ახლი
თვითონ აფებოდა ოსმალის სამსახურში.
მართალია, ვახტანგი რომ ქართლს გაეცალა
და რეჯებ-ფაშა დიდძალი ლაშქრით შემოვი-
და, მამინ ზემო ქართლი ფეხზე დააყენა, გი-
ვიმ კონსტანტინე კახთ ბატონიც მოიხმარა
და ატენის ბოლოს, გუფთასთან გაუმართა
თურქებს ბრძოლა, დიდადაც ავნო, გასაქცი-
ვად განდრია კიდეც, მაგრამ ქვეყნის პატრო-
ნობის მონადირე იესემ და დიდი სულთანსა-
ბას ძმამ, ერასტი ყაფლანიშვილმა მტერს და-
უჭირეს მხარი. თანაც იმდენი იძალეს. რომ
თურქთა სასარგებლოდ შეატრიალეს ომის
ბედი—გუფთას წინ გაშლილი ზედაველა ქარ-
თველთა სასაკლაოდ გადაიქცა.

მერედა, ეს იყო მისი მამულისადმი სამსა-
ხური? არა. მამინდელი ხოცვა-ფლტევა რომ
გაახსენებოდა ხოლმე, ცხვირში ძმარი მოს-
დიოდა, სხეუბიც მაღმალ ნამოუხერხულბ-
დნენ იმ ამბის გამო საყვედურს. პოდა, ახლი
თურქის სამსახურში დგებოდა.

ნადიმზე რა უფარდულად იჯდა ერასტი ყა-
ფლანიშვილი, ქვემო ქართლის გამგებლობა
რომ ჩააბარეს, აღბათ ამით ემყოფილი სხვას
არას დაეძებდა. არც ბაგრატი ციციშვილს ემშ-
ნეოდა უემყოფილება. მხოლოდ შანშე ქსნის
ერისთავი იყო უხასიათოდ, ხანდებან მარც
ისეთ მწარე სიტყვას იტყოდა, რომ ყველა ამ-
კარად გრძობდა მის გულძვირიად ყოფნას.
იესე მუხრანბატონი გარინდებული იჯდა,
ეტყობოდა, ისიც გივიანათ ცდილობდა ბოლ-
მა დაეფარა.

„მე, ჩემი სულების განათლებისათვის ზრუ-
ნვას შეუპყრია სულთან აშმედი... ქირმა ნაი-
ლოს — ასეთი კეთილისმყოფელი რაკილა
გეყავს, რაღა გვიჭირს! — ფიქრობდა გი-
ვი, — აშკარაა, რომ, როგორც საათა-
ბაგო, ჩვენი ისევე უნდა მოგვინე-
ლოს, გავათათროს, გადაგვაგვაროს და ერ-
თხელ და სამუდამოდ მონებად გვაქციოს...
ძალაც შესწენს. რა გინდა უნდა? მაგრამ .
— გაეკამათა თავისსავე თავს გივი ამილახ-
ვარი, — ეჰ, სადაც... იესუსა და ერასტი ყაფ-
ლანიშვილის მსგავსი ქართველები არ დაი-
ლევთ, იქ ყველაფერს შესძლებს მტერი!“

ნამოდგა, რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა...

„მამ ისღა დაგვრჩენია, საკლავ ცხვარივით
თავი წაუგდოთ? არა! არ შეიძლება!“

კვლავ ყაღღონი დატენა და გაბოძდა, მაღ-
ლა ბოლქვებად წასულ კვამლს თვლი გააფე-

ენა. ყალიონიდან სვეტად ამართული კვამლი ჯერ ბოლქვებად იშლებოდა, მერე პაერში იფანტებოდა და ერებოდა. ამილახვარმა ხელი ჩაიქნია. „ნეტავი რისთვის ვიღწვით, ამ კვამლივით, განვექარდებით. გლარჯასაკეთ დავიფერფლებით მაინც“ — ჩაილაპარაკა გულგატეხილმა. ისევ გაიარ-გამოიარა. ყალიონი დაილია, მაგიდაზე დასდო.

„დაუძლურებული სპარსეთი შინაარეულობამ დაღუპა, შას თანდათან ავიწროებს თურქეთი. ევროპად დაჯახნა სულთანმა. ეერც რუსეთი აწყობს მასთან რამეს... აბა, ვინ არის, რომ თურქეთს შეეჭიდოს?“

„ვახტანგ მეფე რომ იღონებდეს, რუსის იმპერატორისაგან თუნდაც ორიოთხს კაცს დაიხმარდეს, მაშინ კიდევ შეიძლება რაღაც მოხერხდეს... მაგრამ იქიდანაც რომ არაფერი ჩანს!“

„ვნახოთ, რა იქნება, უნდა დაველოდოთ... მაგრამ თავში ნამხდარ საქმეს ბოლოს რომ აღარ ეშველოს?! თანდათან უარესისაკენ მივდივართ, ჩვენგან ნახდენილი საქმე იქნება შეიღობივლითვე ველარაფრით გამოაკეთონ?“

„ზრები ერთმანეთში ეფრეოდა. გარეთ გასვლა არჩია, სასახლის წინ, ბაღში, ხეება შორის გახიფულ სკამზე ჩამოჯდა.

მონმენდილი დღე იყო. კრიალა ცა დაპყვრებდა დედამინას. ესიაომენა დილის გრილი პაერი, შესუნთქვისას მთის ჩანჩქერივით რომ იღვრებოდა სხეულში. ხეებს გადაავლო თვალი. თეთრად გადააქტილიყვნენ ალუბლები, ძირს მწვანედ ბიბინებდა მოლი.

ნამოდგა. ზურგზე ხელებდაწყობილი ბოლთისციკმას მოჰყვა. ფიქრით ისევ წინა დღის ამბებს უტრიალებდა; ახსენებოდა ისაყ-ფაშა, ზეიადი, მოწყალე ღიმილით რომ დაპყვრებდა ქართლის დიდებულებს, თითქოს ეუბნებოდა — ახლა ხომ ჩემს ხელთა ხართო; რეჯებ-ფაშას გაყინულ სახეზე კი ეს უნდა ამოეკითხა კაცს: ალაშს ასე ნებაყო.

სასახლე თანდათან ახმაოდა. მსახურები ნამოიშალნენ. ვიღაცამ ხმამაღლა შეიკხადა: — „უი, ჩემს თავს, დიდი ბატონი ამდგარა...“ გივი სასახლის შესასვლელისაკენ გაემარია. გზის გასწვრივ ცადაწვდილი აღვის ხეები იყო ჩარიგებული, ტოტები წვეროსთან თითქმის შეტყულებინათ და შვეონილი, აწურული ქალიშვილებივით შემართულიყვნენ. ერთხანს უყურა, მერე ქეაფენილ გზაზე გავიდა. შენიშნა, ქეებს შორის ღრჭებში აღვისხის ფსევებს ნორჩი ყლორტები ამოეყარათ.

ამ დროს აივნიდან თამარის ხმა შემოესმა:

— მამა ბაღში ყოფილა!

ვიღაცამ სცადა გაეჩუმებინა გოგო. იმან კი ყური არ ათხოვა და მსწრაფლ გივისთან გაჩნდა.

— მამა, შენ მართლა თურქებთან საშახლუმი რში ხარ?

გივი თავის ფიქრებში იყო ისევ, უცბად ვერ გაიგო შვილის შეკითხვის აზრი.

— არ თქვი, თამარ? — ახლა მამა შეეკითხა.

— ამბობენ, თურქებმა თავიანთ სამსახურში ჩააყენეს მამაშენი; მართალია, მამა?

შვილის სიტყვები გულზე ცეცა გივის. სახეზე სინითღ მოედო, „ასე უცბად ვინ ოხერმა მიახარა?!“ — გაიღო გულში ნაწყენმა.

— რომელმა ენაქარტალამ ნამორიშა ეცისსულელე?! — გავიგე! მითხარი, მართალია, რასაც ამბობენ? — არ შეეუთა.

გივი ერთ წამს ჩაფიქრდა, არ იცოდა ასე ჯიქურად დასმულ კითხვაზე რა ეპასუხა? შვილს შეხედა, პირისპირ ედგა პატარა.

— არავის სამსახურში არ ჩავმდგარვარ. შვილო, მეფე ვახტანგისაგან მეზარა ზემო ქართლის სადროშო და ახლაც ის მამარია! — თავი იმართლა შვილის წინაშე და მცირედით გულზე მოეშვა.

გივი სასახლეში შებრუნდა. მსახურებმა წყალი მოართვეს, პირი დაიბანა. ის იყო. საუზმეს ეპირებოდა, რომ გურგენ იჩქითიძე შემოვიდა ბატონთან.

— ერთი ბატონი მოზრძანდა, თქვენი ნახვა სურს! — მოახსენა გივის.

ამილახვარმა თავი აიღო, ქაბუჯს შეხედა.

— ვინ არის, სახელი არ გითხრა?

— ბარათაშვილი ვარო, სახელი... — შეჭოჭმანდა — არ უთქვამს, მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი.

— მობრძანდეს, უთხარი! — უბრძანა ქაბუჯს.

იჩქითიძე გატრიალდა. ამილახვარი თან გაჰყვა, ტალანში გავიდა სტუმრის შესახვედრად.

მცირე ხნის შემდეგ იჩქითიძემ კიბეებზე ამოვიღო მართლაც ხმელ-ხმელი, მაღალი ტანის კაცი. ეს იყო გივი ამილახვართან გაშინაურებული სიონის დეკანოზი ოსე ბარათაშვილი. გივი ხელგამლით შეეგება სტუმარს. ერთურთი მოიკითხეს. მერე, ოსე ბარათაშვილი, სხვათაშორის, მასპინძელს შეეკითხა:

— ეს ბიჭი შენი ყმა არის?

გივის გაელიმა.

— მაშ ყისი იქნება ჩემ სახლში? — გაიკვირვა მან. შემდეგ დასძინა, — რატომ იკითხე?

ბარათაშვილმა მცირე ხანს არა უპასუხა რა. სახეზე ჩრდილი შენიშნა ამილახვარმა.

— რა, ხომ არაფერი დაგიშავა? — ეკლავ იკითხა მასპინძელმა.

ოსემ ნადვლიანად გადახედა იჩქითიძეს.

— მე კი არა და თურქებს დაუშავა. გზად



მიმავალში ქუდი არ მოუხადა, ხანჯალიც ეკიდა და შემოსწყრნენ, მე რომ არა, ალბათ გაბანჩავდნენ და, ვინ იცის, სად უკრავდნენ თავს!

იჩქითიძე ახლაც ისე აიღენა სახეზე, როგორც მაშინ, თურქებს რომ გასცილდა.

ამილახვარს ეს ამბავი გაეგო, მაგრამ ის ყურთამაჯებიანი კაცი, თურქების ხელიდან იჩქითიძე რომ დაიხსნა, ვინ იყო, არ იცოდა.

— მაშ შენ გადაარჩინე? — ჩაილაპარაკა გვიომ.

— მეც და სხვებიც ნამომეშველნენ. რა ვიცოდი, რომ თქვენი ყმა იყო!

— მეც მაგასთან ერთად მადლობა უნდა გადაგიხადო, რაკი ერთი სიკეთე გქონია ამ ყმანურლისათვის. მეორესაც ნუ დაიმურებ, წერაკითხვა და ანგარიში ასწავლე. გონიერი ბიჭი ჩანს, და, ვინ იცის, იქნებ ქვეყანას გაიმოადგეს!

მერე ამილახვარმა, საუხმეზე მიიპატიჟა სტუმარი.

VI

რეჯებ-ფაშა სიონში

ტფილის-ბოლნისის ეპისკოპოსი დომენტი ქვემო ქართლის დიდ თავადთა, ორბელიანთა საგვარეულოდან იყო. ამ გვარიდან. მართალია ცოტა არ გამოსულა ისეთი, თავის პირადი წადილისათვის რომ უნაცვალეობია ქვეყნის ბედი, მაგრამ მრავალი მამულიშვილიც მოუცია, რომელთაც ერისთვის თავდადებული სამსახურით უსახელებია თავი. ერთი ამთგანი იყო დომენტიც.

დომენტი შუა ხანს გადაცილებული გახლდათ, საქაოფ მალალი. სხვა ეპისკოპოსებივით არც მადასმიყოლილი იყო და არც მათებრ ჩასუქებული; მართლაც ისეთი იყო, ბერს რომ შეაფეროდა. ისედაც ტანაფრილს ქალარაშერყული გრძელი წვერი ბიბლიური მამამთავრის იურს სდებდა. კარგი განათლებაც ჰქონდა მიღებული; თუმცა პატარაობიდანვე სასულიერო პირად ამზადებდნენ, მაგრამ თავის გვარისათვის შესაფერი საყურ წყრთინაც არ დაუღლიათ მისთვის. ჯერ კიდევ უწვერული ქაბუკი იყო, როდესაც დავით გარეჯის მონასტერში თავის დიდ მოკვარეს სულხან-საბას მოიგვარეს; არც სულხანმა დააილო წერთმა და დაირიგება. იქვე იქნა ბერად შეუნებული. ნიჭიც გამოაჩნდა. სრულიად ახალგაზრდამ არაერთი წიგნი გადაწახსა. ორიოდე წიგნი ბერძნულიდან თარგმნა, ზოგი რამ თვითონაც შექმნა. ოცდაათი წლისაც არ იყო ზედახნის წინამძღვრად განაწესეს, მერე ბოლნისის ეპისკოპოსად აკურთხეს. ამ რამდენიმე წლის წინ. ნიკოლოზ ტფილელი

მეფე ვახტანგს რომ გააყვა რუსეთში წაქეზებული ქათალიკოსმა თბილელობაც შემოქმედებულია დიდი თავადიშვილი, საველსილო სამსახურში ეგრე განდიდებული, მეტად ლიტონ ცხოვრებას ეწეოდა. მისი საფგომი ერთ უბრალო მოწვეთაგანის სამყოფს მოაგონებდა კაცა. მეტად თავმდაბალი იყო, ქუჩაში მიმავალს მათხოვრისათვისაც არ შეეძლო უყურადღებოდ აეღო გვერი. ვერც სხვის ედმბაღობას იტანდა. ამის გამო ბევრი სანუწერი შეხვედრია.

ახალი კვირის ხუთშაბათი იყო, სიონის ტაძარში მარია მცგვიტელისა და ბასილი დიდის საბეჭუ თვითონ დომენტიმ გადაიხიზა და ფიხის წირვა. ის იყო მლოცველები ნელნელა გააკრიფდნენ და ანთებული კლაპტრები ჯერაც არ იყო დანაელებული, მორჩილი აფორიაქებული შემოიჭრა ტაძარში, დომენტი ეპისკოპოსთან საკურთხველში შესვლასაც არ მოერიდა:

— წმინდა მამო! — მოესმა მორჩილი გაბზარული ხმა.

ტფილელი შემობრუნდა. მორჩილს ახედა: „რამ გაათახებდა ეგოდენ, რომ!“ — გაუკვირდა მას.

— წმინდაო მამო, თურქნი შემოადგნენ ტაძარში — გაისმა მორჩილის მღელვარე, შემკრთალი ხმა. ტაძრის თაღებმა ეა დაფეხილ-დახჯღრეული ხმა კიდევ უფრო გააძლიერა, და მორჩილის შემოთება უფრო მეტად ააძნაური პუ.

დომენტი ეპისკოპოსი შეაკრთო მორჩილის მოტანილმა ამბავმა.

— სად არიან თურქები? — იკითხა ფერგადაკრულმა.

— ტაძრის ეზოში შემოვიდნენ, ბევრი არიან!

ორ კვირაზე მეტი ხნის წინ ხმა გავრცელდა: ზინთარს სიონის მეჩეთად გადაკეთება უბრძანებიაო. თბილისი შეანრილა ამ ამბავმა. სიონის კრებული ხომ მთლად დაამგლოვიარა. დომენტიც საგონებელში ჩავარდა: სპარსელები, საქვეწმო საქმე რომ წყდებოდა, სამღვდელთაც იწვევდნენ, ისაყ-ფაშამ კი, ამის წინათ ქვეყანა სამმართველოებად რომ დაანაწილა, ქათალიკოსიც კი არ მიუწვევია; ავად ენიშნა ეს, მაგრამ ისაყის მხრივ რომ აღარაფერი ისმოდა, თბილისმაც გადაიფიწა და სიონის კრებული დამშვიდდა. ახლა თურქების გამოჩენის ამბავი სწორედ ლახვარით ეცა დომენტის: „უთუოდ თავიანთი განაზრახვის შესასრულებლად მოდიანო! — გაიფიქრა. ჯერ გონსაც არ მოსულიყო იგი, რომ ტაძრის კარებში რეჯებ-ფაშა შემოიშარათა. თვითონ სუსტი, მალალი ტანის კაცს რამდენიმე ჩაფსკენილი იანიარო ედგა უკან. თურქი ნელი ნაბოჯით პირდაპირ ამბიონისაკენ

ნამოვიდა, თან ტაძრის თაღებს, სვეტებსა და კედლის მორთულობას ავლებდა თვალს. დაბნეულმა დომენტიმ სხვა ვეღარა მოახერხა რა, გადაშლილი წიგნიც ხელში შერჩა, და დაუპატიჟებელი სტუმრის შესაგებებლად გაემართა. შუა ტაძარში შესვლა ფაშას — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — თუმცა თურქული იყოდა, მაინც ქართულად მიესალმა დომენტი. რეჯებს საშუალო ტანის მწითურმა კაცმა გადაუთარგმნა დომენტის სიტყვები.

— სიკეთე მისცეს დიდმა ალაშმა! — თვა რეჯებმა. ჩივე კაცმა, დომენტის ნათქვამი რეჯებს რომ გადაეცა, ახლა რეჯებმა სიტყვები გაიმეორა ქართულად, თანაც ისე სუსთად გამოსთქვამდა, რომ უძველესი იყო, ქართველი უნდა ყოფილიყო.

დომენტიმ შენიშნა, რომ რეჯები იღიმებოდა. მისი ღიმილი კეთილგანწყობილების ნიშნად ჩასთვალა:

— ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს ღვთიურ ტაძარში შემობრძანდით... — მერე დასძინა, — რით შევკიბვითა გემთაბურთო?

ვიდრე მთარგმნელი დომენტის სიტყვების აზრა თურქულად გააუარესებდა, დომენტიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალს, თურქს მშვიდ და ცივ სახეზე თითქოს ისევ ღიმილი უკრთოდა.

დომენტიმ შენიშნა: ტაძრის კუთხეებში, ორივე მხარეზე, გამოდგნენ სამღვდელთა მონი მორიდებით ადევნებდნენ თვალს მოსულთ. იმათმა იქ ყოფნამ მღვდელმთავარი მცირედ გაამხნევა კიდევ.

— მადლობელი ვართ კეთილი შეხვედრისათვის, გვინდა დავითვალიეროთ თქვენი ღვთის სამყოფელი! — გაიმეორა ქართულად მთარგმნელმა თურქის ნათქვამი.

— თუ ეს იმებზე, დიდი სიამოვნებით! — უპასუხა დომენტიმ, მცირედ აცალა, რომ მთარგმნელს გადაეცა, და ამბიონისაკენ წაუძღვა სტუმართ. მიმავალი თან იმას ფიქრობდა, თუ რა ეთქვა. ან რით დაეწყო წვეულ-თათვის ტაძრის გაეცნობა. ამბიონის წინ შეჩერდა, მოსულებისაკენ შემობრუნდა, გულის მოსაფორნებლად. თუ ვინ იცის, რატომ, ჩაახველა და ნაშოიყო:

— ტაძარი ათასი წლის წინ არის აგებული, თბილისის აშენებიდან თითქმის ორასი წლის შემდეგ, რამდენიმეჯერ დაუტყვევია მტერს...

რეჯებს გადაუთარგმნეს დომენტის ნათქვამი.

— ათასი წლის წინ?! საქამოდ ხანდაზმული ყოფილა! — გაიკვირვა ფაშამ. რეჯების სიტყვები: „ხანდაზმული ყოფილა“ — გულზე ეცა დომენტის. ოდნავ შეუყუნდა, შემდეგ მაინც განაგრძო განმარტება:

— ეკლესია მოხატულია შეიდასი წლის

წინ — მაღლა ახედა. გუმბათის ქანს დაღვთისმშობლის ხატისაკენ გაიშინა. წინააღიდეგის ღვთისმშობელია, წმინდა მარიამი, დედა იესო ქრისტესი, ესენი კი მთავარანგელოზები: მიქაელი და გაბრიელი.

— იქ რალა არის? — დაინტერესდა თურქი საუბრთხელთი და ამბიონის წინ საფებურზე ფეხი შესდგა. შესასვლელში მთელი ტანით აღიმართა დომენტი, ხელი ასწია მაღლა.

— აქ საერო პირთა შესვლა არ შეიძლება! ფაშა და მისი თანამყოლნი ამია უთქმელადაც მიხვდნენ მღვდელმთავრის მოძრაობაზე. რომ იგი შიგნით შესვლის ნებას არ აძლევდა. რეჯებ-ფაშა არ გაჯიქებულა. მან უკან დაინია, მერე ისევ აღსავლის კარებისაკენ მიდგა, დომენტი კვლავ შესასვლელში იყო გაჩერებული. რეჯები უფრო პირქუში ჩანდა.

— დიდი სულთნის აშაფადის, იფიფოს მისი სახელი, ბრძანებით გაუწყნებ, დაუფრთხილები უნდა დასცალოთ ეს ეკლესია, იგი მერეთად გადაეკეთდება და დიდი მუშაშეღის მსახურნი ღოგვას აღაველენ ალაშის სახელზე!

მთარგმნელი ფაშის ამ ნათქვამს სახეში ტონით გაჭიანურებულად წარმოსთქვამდა; სიონის ეკლესიის კრებულმა, კიდევ უფრო ახლოს რომ მომდგარიყო, ამოიკვნესა. დომენტის კი მუხლთ მოგვეცა, უნებურად პირჯვარი გადაიწერა. ისედაც უფერულს, კიდევ უფრო გადაეკრა ფერმა, კანკელის სვეტს მიეყრდნო. რომ არ ნაქცევლიყო. ურთ ხანს ასე იყო. მერე თითქოს გონს მოვიდა.

— ესენი? ამით რა ეუყო? — ხელი მიამვირა ხატებსა და წიგნებს.

— ეგ, სადაც გინდათ, იქ წაიღეთ! — მკვახედ ჩაილაპარაკა ფაშამ, — ზეგისათვის დაცლილი დაგვხვედა! — დასძინა შემდეგ და გასასვლელისაკენ გაემართა.

VII

ბარათაშვილის ეჭვი

გურგენ იჩქითიქა რამდენიმე დღის დანყებული პეონდა სწავლა. შუადღემდე ბატონის სამსახურში იყო. შუადღის შემდეგ ბატონის ბრძანებით თავისუფლდებოდა და ოსე დეკანოზთან გადადიოდა კაცყოილების მისაღებად; მოაღამოვებულზე ბრუნდებოდა სასახლეში და მერე წიგნს უჯდა. რომ მისწავლებლის დაელება გაეკეთებინა.

გურგენს მსახურები თუ სხვა ნაცნობები შეხატროდნენ: სწავლას დაასრულებ, დიდი კაცი გახდები. თვითონაც ათასგვარი ოცნება უტრიალებდა თავში. მაგრამ ერთი ფიქრი უნამდავა ამ ოცნებას; ოსე ბარათაშვილი ეუბნებოდა: ნასწავლი რომ დადებ, წლობით უნდა ისწავლო. ამა წლობით რა გააჩერებდა



აქ, დღევანდელს რომ ითვლიდა. ყოველი დღის და-
ლამებაა და გათენებას ელოდა, რომ როგო-
რმე იქნებ სოფელში წასულიყო; კარგი იყო
სწავლა, მაგრამ იგი მაინც სოფლისაგან ისწ-
რაფოდა. სოფელში, მის ქალაქებში, მის
მინდურებში ყოფნა ხომ სანუკუარო იყო, იმ
იყვნენ მისი ტოლ-სწორნიც, რომელთაც
პატარაობიდანვე შეეთვისა, შეეტკბო.

მაგრამ ყველაზე მეტად სოფლისაგან რომ
იზიდავდა, იზიდავდა კი არა. ლუფით რომ
უქაჩებოდა, ეს ტოგონიძიანთ დეპაინდ იყო.
ყველ ნამს თვალწინ ედგა თვალტანადი ეა-
ლიშვილის სახე, მისი ბაგეები, ღიმილის
დროს ოდნავ რომ გაიპობოდა ხოლმე. მისი
თმის კავების ღამაზი რხევა. ზოგჯერ თავ-
დახრილის ეშმაკური გამოხედვა ჭაბუკს გუ-
ლზე აღებჭლოდა. აღებჭლოდა და შერე ისე
ძალუდა, რომ ყოველ წუთს იგი ახსოვდა,
მას დაპატრიალებდა ფიქრით და აზრით. რაც
დრო გადიოდა, მით უფრო მკვეთრად ესახე-
ბოდა მას გულში ქალიშვილის ხატება. ქალი-
შვილთაგან ვინმეს რომ შეხედავდა, უმაღლვე
დესპინე დაუდგებოდა თვალწინ. მისი ტანი,
მისი გამოხედვა, მისი ღამაზი ღიმილი და,
არც არავინ იყო ისეთი, თუნდაც მზეთუნახა-
ვი ყოფილიყო, რომ დესპინე გურგენის თვა-
ლში დაეჭრდილა. სხვას თუ შეხედავდა, მხო-
ლოდ იმიტომ, რომ დესპინეს მინამსკაცეს და-
ინახავდა რაღაცას მასში. დესპინე შაშინაც
თვალწინ უდგა, ფიცრის პატარა დაფაზე ნახ-
შირით მხედრული, თუ ასომთავრული ასო-
ები რომ გამოჰყავდა. ვარჯიშის დროსაც
ყველაზე მეტად „დესპინე ტოგონიძის ასუ-
ლია“ დაწერა უყარავდა, ეგ იყო მხოლოდ.
თავის დაწერლის ნაშლა თვითონვე უხდებო-
და, რომ ახლა სხვა დაწერა, მაგრამ უფრო
ხშირად ისევ მასვე იმეორებდა.

გურგენი სიონის უბნისაგან მიდიოდა,
ხელთ ეყრა გურმანდ მღვდელ-მონაზნის შე-
დგენილი და ვახტანგ მეფის მიერ უნჯრო-
ვლახითიდან მოღებულ სტამბაში დაბეჭდილი
„სწავლა. თუ ვითარ მართებს მოძღვარს
სწავლება მონაფისა“. ნიგინი ნარმის ტილოში
საათუთად პქონდა გამოხევეული. ბანგუა-
დიოფილმა, გვი ამიღახვარის მუუღლები, ათ-
ხოჯა — არ გააფუჭო და გურგენიც, რო-
გორც შეეძლო. უფროხილდებოდა.

კოჯრის მიღმა, დიდგორის მთის თავზე
ღრუბლები იღანდებოდა, ცხელიდა მაინც.
გურგენმა სიონა მიატანა, სიონის გარშემო,
აქა-იქ რაღაცას ღაპარაკობდა ხალხი. შეშ-
ფოთება ეტყობოდათ, მაგრამ ჭაბუკმა ვერა-
ვის შეპებდა, რომ ეკითხა, რა მხოდათ.

სიონს რომ გასცდა, ზევით აუხვია. აქ, სი-
ონიდან არც ისე მოშორებით, იდგა პატარა
ქვითყირის შენობა. პირველი სართული დაბა-
ლი პქონდა, გურგენის სიმაღლის კაცი ძლივს

რომ გაიმართებოდა. ეს უფრო სწავლას
პქონდა პატრონს გამოყენებულ; მასვე სწავ-
თული ორი ოთახისაგან შედგებოდა, ნინ მცირე
დერეფანით. დერეფანში, მარჯვენა მხა-
რეს, ტანსაცმელი ეკიდა, აქედან ოთახებში
ცალ-ცალკე კარები შედიოდა; ერთში ტახ-
ტები იყო მოწყობილი, სარკმელთან სამფეხა-
ზე მყავალი იდგა, განჯინა-თახჩებში კი ლო-
გინი ელაგა. მეორე ოთახში უფრო მოძღვრის
ნიგინე ეცემოდა ადამიანს თვალში. აქაც,
ფანჯრის განჯირიც, მცირე მაგიდა იყო კე-
დელზე მიდგმული. მის ზემოთ, კუთხეში ვე-
რცხელის ჭუფური წმინდა გიორგის ხატი ეკი-
და. მაგიდაზე შანდალი და, გარდა ამისა,
ოთახში რამდენიმე მცირე საგარძელი და და-
ბალი სკამი იდგა.

სახლის კარები ოსვა მუუღლები, ახალგაზრ-
და ქალმა, სალომემ გაუღო.

— მოდი, ახლავე მოვა ოსეც! — უთხრა
მან გურგენს. — გურგენი დერეფანში შევი-
და. დიასახლის ოსეს ოთახში შეუძღვა. გუ-
რგენი საგარძელი ჩაჯდა. სალომე კი მეორე
ოთახში გავიდა და სარკმლების დასუფთავე-
ბა განაგრძო. პატარა იოანე, მასპინძლის
წლინახევრის თუ ორი წლის ბიჭი, ტახტის
წინ ბუნჯის ბურთით თამაშობდა, გურგენი
რომ დარახა, მიატოვა ბურთი. გურგენთან
მივიდა, მუხლებზე აუცოცდა. ხელში ნარმის
გახვეული ნიგინი რომ ეჭირა ჭაბუკს, მას
მისწვდა, ძალით შემოახსნევინა სახვევი, ფუ-
რცლებს შლა დაიწყო.

— ლა დაის ეს? — შლიდა და თან ეკით-
ხებოდა გურგენს.

— ნიგინია! — უპასუხა გურგენმა.

ერთ-ორჯერ ისე მოჭიმა ფურცელი, კინა-
ღამ შემოუხა ხელში, ჭაბუკს გული შეუქან-
და, არ დაიხიზოთ, რადით ვერაფერი უთხ-
რა. მეორე ოთახიდან დედამ შენიშნა, უსაყ-
ვედურა შეილა:

— ეგრე ნუ შლი, არ დახიო, შეილო!
ბავშვმა მაინც არ დაიშალა თავისი, ახლა
კი შემოსწყრა დედა — გაუშვი ხელიო! —
შეკარად შეუცაცხანა.

იოანემ პატრონს მიავდო ნიგინი, გაბუტუ-
ლმა მარჯვენა მკლავი თვალზე შემოიღო
და ბაჯბაჯით კუთხისაგან წავიდა, სკამს გა-
მოედო, თავი ველარ დაიჭირა და წაიქცა. გუ-
რგენი ნაქცეული ბავშვისაგან გაექანა, ვიდრე
დედა მოვიდოდა, ნაშოყენა, დაუყვავა. სა-
ლომემ ხელში აიყვანა, გაატარა-გამოატარა,
როგორც იყო გაჩუქდა პატარა.

— ამდენ ხანს რატომ დავიჯიანა ოსემ? —
ჩაიღაპარაკა ეალმა. იქნებ ეს თავაზიანობის
გამორჩენა იყო ჭაბუკის წინაშე?

სალომე სამეფო აზნაურის ნიკოლოზ გო-
გიბედაშვილის ქალიშვილი იყო. სამეფო აზ-
ნაურებს ისედაც თავი მოქონდათ. ქმარიც

საკლესიო აზნაური და სიონის სახლთუხუცესი ჰყავდა, თუმცა ღვთისმოსავ, თვინიერ და გონიერ ქალად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ურიგოდ მიაჩნდა ყმა ქაბუკისათვის თავი გაყვადრებინა. ცოტა არ იყოს, იმიტაც ნაწყენი დარჩა, რომ მისი ქმარი გვი ამილახვარის დავალებით ყმა გლეხის შვილს წერაკითხვას ასწავლიდა.

— რა შენი ტოლია, ბატონო, ეგ ბიჭი, რომ ასწავლიდეს? — რამდენიმეჯერ საყვედურით უთხრა ქმარს. მაგრამ რაკი მისი ქმარი დიდ გვი ამილახვარს ხათრს ვერ უტეხდა, თვითონაც მეტი რა ღონე უქონდა, გაჩუმდა.

გურგენი, ისედაც მორიდებული, ალბათ ამ ჩნვედა, თუ გრძობდა ამას და ამიტომაც იყო, რომ მეტისმეტ მოყრძალებას იჩენდა მათ ოჯახში.

გურგენმა იფიქრა: ნამდვილად სიონში რაღაც მოხდა, იქნებ ვინმე დიდაც იცოდა გარდაიცვალა და ოსე შეიძლება გვიანობამდეც არ მოვიდესო. ამიტომ გადასწყვიტა, აღარ მოეცადა. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ მასწავლებლმა შემოაღო კარები. უხალისოდ მიესალმა მოწაფეს და მოწყვეტით სავარძელში ჩამყვადარი, თითქმის მიესვენა.

საღამე შემოვიდა. თავზარხილი და შუნუხებული ქმარი რომ ნახა, გულს შემოეყარა.

— უი, რა არის, ოსე ბატონო, რა დაგემართა? — ეკითხა მან.

— არაფერი! — თავის გადაქნევით უთხრა ოსემ.

— ვაი ჩემს თავს, ჩვენებისაგან ხომ არ შეიტყვე ცუდი რამ? — ქალს თავისიანებისაყენ გადაუქანდა გული.

— თქვენები კი არა და... დამანებე თავი, თუ ხათრი გაქვს!

— აბა, რა მოხდა, რად ხარ ეგრე? — ისევე ეკითხა ქალმა.

ოსეს მწუხარებისას არ უყვარდა ლაპარაკი. იგი სიტყვაძვირი წდებოდა ასეთ დროს. ახლა ქალის სიტყვამრავლობამ კიდევ უფრო შეაწუხა.

— გვათათრებენ! — მოკლედ მოუჭრა ცოლს.

— ვინ? როგორ? — არ მოეშვა ქალი. გურგენსაც აინტერესებდა გავიო ეს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

პატარა იოვანე კარებში მომდგარიყო და პირდაღებული მისაჩერებოდა დედა-მამას.

ოსემ უკმაყოფილოდ გადახედა მუღულს.

— ვინ? ვინ და სულთანო, ისაყ-ფაშა, რეჯბ-ფაშა, თურქები და ათასი ძალი და მამაძალი!

— როგორ უნდათ მერე გაგვათათრონ? — ვერ მოისვენა ამ ამბით თვითონაც შეწუხებული ქალმა.

— როგორ და სიონი მეჩეთად უნდათ გა-

დააქციონ, ალბათ ასევე გადააქციებენ სხვა ეკლესიებსაც. ხალხს უბრძანებენ, მეჩეთებში თათრული წესით ილოცეთო და...

— ვაი ჩვენს თავს, სულით ნაწყენდით და საწყალობელი! — შეიცხადა ქალმა და ვიშვივით მერე ოთახში გავიდა.

გურგენს არ ეგონა, თურქები დიდებულთა მიმართაც თუ მძლავრობდნენ, ფიქრობდა, ამ დიდ კაცო, როგორადაც ოსეს და სხვა მის მსგავსთ თვლიდა, ვერ შეპბედავდნენ სიავსს, თურმე ამათაც... გაუჭიდა. თან ოსეს და მისი ცოლის ასეთმა ყოფამ საშინლად დაამწუხრა, თვალწინ წარმოუდგა აღრინდელი შეხვედრა თურქებთან. მაშინდელმა სიმწარემ ახლაც დაუარა ტანში.

შეებრალა ოსე, რაღაცით უნდოდა დაემშვიდებინა.

— თუ არ მივიღებთ თათრობას? — ახლოს მივიდა და შეეკითხა სიონის სახლთუხუცესს.

ოსეს ახლალა გაახსენდა მისი იქ ყოფნა, თავი არ აუღია, ისე უპასუხა:

— ძალით მიგვალებინებენ!

— შალით?! — გაიკვირვა ქაბუკმა, — ძალით რას გაბედავინ, თუ ყველა ერთ პირზე დავდგებით?!

სხვა დროს მის გულუბრყვილობაზე იქნებ გალიმებოდა, მაგრამ ახლა... საგულსხმომ აზრს მისწვდა ოსეს გონება: ყველა რო ერთ პირზე დავდგეთო. ქვემოდან ახედა ფეხზე მდგომ ქაბუკს:

— მერე დავდგებით ერთ პირზე? — ეჭვით ეკითხა ბარათაშვილმა, ამოიოხრა და დასძინა, — ერთ პირზე რომ ვმდგარიყავით, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი!

VIII

„შენი შენი ანთახხარო!“

თურქთა გადაწყვეტილება სიონის მეჩეთად გადაკეთების თაობაზე რამდენიმე საათში მთელ თბილისს მოედო. ამ ამბავმა მართლმადიდებელ ქართველებსა და ბერძნებთან ერთად, სომეხი გრიგორიანები და კათოლიკენიც შეამშოთა, მათ კარგად იცოდნენ, რომ ჯერ თუ თბილისის მთავარ ტაძარს სიონს ეხებოდნენ, შემდეგ სხეებსაც არ დატოვებდნენ ხელუხლებლად. ამის გამო არანაკლებად შეწუხდნენ ებრაელი ვაჭრებიც.

ყველაზე მეტად, რაღა თქმა უნდა, სიონის კრებული შეაძრუნა უწყებულმა. ბერნი თუ მღვდელნი ვაი-ვიმით შეიყარნენ: „რა გვევლება, სულით-ხორცამდე დაკარგულნი?!“ — ოხრადნენ ერთობლივ. გაოგნებული იყო დომენტი თბილელიც, აღარ იცოდა, რა ექნა.

— შესხეთივით გვიზამენ ჩვენც, ნაგვრე-

მენდერ ყოველი — სთქვა ნიკოლოზ დეკანოზმა.

— ასე დაიწყეს იქაც, საათაბაგო ასე გაათათრეს! — დაუდასტურა ნიკოლოზ მღვდელმა.

იფაგა დომენტი გაფითრებული, თავი დაეხარა, თითქოს არც ესმოდა კრებულის მოთქმა და ვიში. თავისთვის ფიქრობდა, თუ ველარც ფიქრობდა. უნდოდა კი ეფიქრა, იქნებ რაიმე ხსნის გზა გამოენახა. მაგრამ აზრს ვეღარ იკრებდა. კრებულის ერთობლივი დრტივინა და უაზრო ბუტბუტი კიდევ უფრო ურევდა გონებას.

— უნდა ვიღონოთ რამე! — ჩაესმა დომენტის ნიკოფიტეს ხმადაბალი ნათქვამი.

— რა ვიღონოთ? — შეეკითხა ველაც გვერდზე მყოფთ.

— უნდა იღონონ რამე, მაგრამ რა? — ეს იყო თავიდადათვი კითხვა.

საკმაო ხანს გასტანა სიონის კრებულის ასეთმა უთავბოლო ხორზოტმა. ბოლოს ისევ დომენტი ეპისკოპოსი მოვიდა გონს. თავცაცნი იხიშო, თავის სასახლეში დასხა.

— რა გზას დაეადგეთ? — იკითხა დომენტი ეპისკოპოსმა, — მცირე დროა დაარჩინილი... თუ ტადრიდან გავგდევნეს, მერე უფრო გაძნელდება!

ერთ ხანს ყველა დუმდა, ჩაფიქრებული ერთმანეთის მისჩერებოდნენ, რას იტყვიოს.

— ხალხი შეეყაროთ, ტადრის გარშემო შემოვყავნოთ, იქნებ მოერიდოთ და... — დაარღვრა დუმილი ნიკოლოზ დეკანოზმა.

დომენტი ეპისკოპოსმა თავი გადააქნია:

— ლაშქარს მოუსვენენ, ძალით გაფანტავენ ხალხს. ეგვეც რომ არა, მთელ ტფილისს სისხლში ამოახრჩობენ, განყვეტენ დიდსა და პატარას. რას მოერიდებათ!

დეკანოზის აზრი არც სხვებს მოუვიდათ ჭკუაში.

— იქნებ სჯობდეს: ასე ერთობლივ ვვახლოთ ისაყ-ფაშას, შევეყვდროთ, რაც უნდა იყოს, ქართული სისხლი აქვს, ნუ გვიზამს ამის! — თქვა ისე ბარათშვილმა.

დომენტი მცირედ შუბლზე გაეხსნა, ხმა მაინც არ ამოუღია, ჩაფიქრდა რაღაცაზე. მერე თავი აიღო და:

— შე ვუქრობ, ჩვენს დიდუკაცებს ვსთხოვთ გვიშუამდგომლონ ისაყ-ფაშას წინაშე.

— ვინ დიდუკაცებს? — იკითხა აქეთ-იქიდან.

— ისეთი ვინმე უნდა მოვნახოთ, სიტყვა რომ გაუთა, იმას ვსთხოვთ დახმარება! — დააზუსტა თავისი აზრი თბილელ-მანგლელმა.

ყველას მოეწონა დომენტის რჩევა. მაგრამ ვინ იყო ისეთი, რომ ეს საქმე თვადა და ისაყ-ფაშა დაეყოლებინა? ზოგმა ერასტი ყაფლანიშვილი-ობრელიანი დაასახელა, ზოგმა შან-

შუ ქსნის ერისთავი არჩია, სხვებმა კი მოკვამენა სხვა თქვეს.

ერასტი ყაფლანიშვილს თუმცა გავლენა არ აკლდა. დომენტის ახლო ნათესაიც იყო, მაგრამ თბილელმა იცოდა, რომ იგი არც ისე გამოიღებდა თავს ამ საქმისათვის; მას პირადი უფრო აინტერესებდა, ვიდრე საქვეყნო საუბრე. შანშუ ქსნის ერისთავი თბილელს არ იყო და მისი ძებნის დრო სადა პქონდა. ბაგრატი ციციშვილი ერასტი ყაფლანიშვილზე უარესად მიაჩნდა დომენტის; ისევ გივი ამილახვარზე შეაჩერა თავისი არჩევანი.

— ჩვენი გივი ამილახვარს ვსთხოვოთ, მას ძალაც აქვს და გავლენაც, გზასაც თვითონ მოწახვეს ალბათ! — დაასვენა დომენტიმ, მერე დასძინა. — აღარ გვეყოფენბა, ახლაც უნდა წავიდეთ, მაგრამ უნდა გავიყოთხოთ, სახლშია თუ არა?

დიაკვანი გაგზავნეს ავანანთ ხევის უბანში, გაიკითხა, სახლში არისო. — მოახსენა იქიდან მობრუნებულმა ტაძრეულს. შუადღე საკმაოდ გადაწეული იყო, რომ თბილელი თავის კრებულითურთ მიადგა გივი ამილახვარს სასახლეში. სტუმართა ზღუბა დიოფალი ბანგუსა მოახსენეს, მან მასხურს გივისთან შეგზავნა და თავად სტუმარნი შინ მიიწვია. ებოში შემოღაცდა ტაძრეული. ბანგუა დიოფალი მიხვდა, რა გასაჭირსაც მოეყვანა თბილელი და მისი კრებული. წინ ნათქვამა, გამოვიდა გივი ამილახვარიც, სტუმრებს ქვის კიბეებზე აუძღვა, მორე სართულზე აიყვანა; მასხურები დატრიალდნენ. საეარქელ-სეღები მოართვეს სტუმრებს. შენუხებულ-დაღვრემილ ტაძრეულთა ზღუბის მიხეზი გივი ამილახვარისათვის ისედაც ცხადი იყო, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის წესის მიხედვით მაინც იკითხა:

— წმინდა მამარ, რას შეუნუხებხართ ეგოდენ, რომ...

დომენტიმ ამოოხვრით თავი დააქნია.

— თქვენც უწყით ალბათ, რამაც შეგვანუხა, თვალცრემლიანი გვედრებით იღონოთ რამე. ჩვენი და ჩვენი ქვეყნის სახსნელად; უკეთ სიონი წარბედს, სხვათაც არ დაგვიყენებენ, და ვით საათაბაგო გარდააქციეს მამაშადის სჯულზე, ისე დამართვენ ქართლსაც.

— გვიხსენ ამ განსაცდელისაგან, გივი ბატონო! — შევედრა კრებულაც.

გივი ამილახვარმა თავი გადააქნია, მხრები აიჩეჩა და ჩაფიქრებულს დაედხანს ხმა არ ამოუღია. მას ალბათ ისევ ყურში ჩაესმოდა ფრმანის სიტყვები: „ვინც არ უნდა იყოს... რა მიზეზით და რა გვარდაც არ უნდა იყოს, ნურავინ ჩაერევა და ხელს ნურავინ შეუშლის...“

კრებული მთელ იმდეს გივი ამილახვარზე ამყარებდა. ის კი ხმას არ იღებდა. არც ავს

ამბობდა, არც კარგს, ავად ენიშნა ყველას. მისი დუმილი უფრო მოუწადინებლობს მიაწერენ.

— ერთადერთ იმედად თქვენ გვესახებოდით! — თითქმის საყვედურით წარმოთქვა ეპიფანე მღვდელ-მონაზონმა.

გივი ამილახვარმა თავი აიღო.

— ეე, თუ მარტო ჩემზე ამყარებთ იმედს, არც თუ მთლად საიმედოდ გვექონია საქმე! — თქვა მან, ცოტა ხნის შემდეგ კი იკითხა, — თუ იცით, იესე მუხრანბატონი თუ არის თბილისში, ან შანშე ქსნის ერისთავი?

— შანშე ქსნის ერისთავი არ გახლავთ აქ. ვიფრე ახალგორს ავალთ და იგი იღონებს რამეს, ჩვენ ჩვენსად დაგვმართენ. მუხრანბატონის არ ვიცო! — უხალისოდ ჩაილაპარაკა დომენტი თბილელმა.

— საუნჯე რამ თუ მოგეძვეებათ? — ისევ იკითხა გივი ამილახვარმა.

დომენტი თბილელი კარგად ვერ მიხვდა, თუ რატომ კითხულობდა გივი ამას, მაინც ეს უპასუხა:

— საუნჯე ვინ შეგვარჩინა, იმ წელს, ღვთის თბილისი რომ მოარბიეს, ნაგველიჯეს კოველი, მცირე რამ თუ გადაგვიჩინა, ისიც მერე თურქებმა წაიღეს. თუ ვისესხებთ სადმე...

— მის გარეშე მაინც ვერას გაეხდებით! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გივიმ.

დომენტი თბილელი, ჩანდა, მიხვდა გვიის ნაფიქრალს და — მოვიძვეთ რამესო! — თქვა.

— უნდათ გაგვათათრონ (სულთანნი განგებ არ ახსენა, ვინ იცის, სად იტყუდნენ და...), ერთი ნიშანი ამისა ის არის, რომ მეცობა მოგვიშვებს და ქვეყნის გამგებლად ფაშა დაგვიყვას, — მცირე დუმილის შემდეგ ნამოინჯო გივიმ. — მეორე ნიშანიც ეგ არის, ჩვენი სულგების განათლებისათვის ზრუნავენ, იმიტომაც სიონი მეჩეთად სურთ გადაგვკეთონ! — ისევ დადუმდა ამილახვარი, დამსწრეთათვის მთლად ნათელი არ იყო, რა უნდოდა გვიის ამით ეთქვა. ისიც თურქებს თანაუგრძნობდა, თუ მათი საქციელის გამო ბოღმით აწებებული ამ ქარაგმულით აპირებდა გულის დაცლას, — გივიმ ისევ განაგრძო. — ვახტანგ მეფემ მიგატოვა, უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანი ტურების საძიგნელად გაგვიხადა. თავსმდგომი არავენ გვაყავს, რომ იმის იმედით მაინც ვიყოთ. ჩვენ, ცალკეულთ, რა უნდა შევიძლოთ?

— მართლაც ბრძანებთ... მაგრამ, რაკი თავსმდგომი არა გვაყავს, გულხუვს ხომ არ დაიკრებთ! — კვლავ ნიშნისგებით თქვა ეპიფანე მღვდელ-მონაზონმა.

— ჰო, გულხუვს დაიკრეფა მაინც არ გვმაართებს! — დაუთანხმა გივი ეპიფანეს, მერე თბილელს მიუბრუნდა. — წმინდაო მამაო, კარგად უნყი, მეც ისე შემტყვივა გული ქარ-

თველობისათვის, როგორც თქვენსადაც... თუ რამე გავანყე, ენახოთ!

— გვიხსენი! — ერთხელ კიდევ შესთხოვეს ამილახვარს, წასასვლელად წამოგდნენ!

— რაც შემძლება, არ დავიშურებ, ეგების თქვენც იღონოთ რამე, მცირედ განძი მომანოდოთ!

— ენახათო! — ცივად გამოეპასუხა დომენტი.

კრებული კარებისაკენ გაემართა.

— ბოდიშს ვიხდი, წმინდა მამაო, ასე რომ გიშვებთ, არც თქვენ გაქვთ ფაში და არც მე. იქნებ უკეთესს შევესწროთ და მაშინ... — მოუბოდიშა მიმავალთ.

კრებული უქმყოფილად მიდიოდა, მთლად საიმედო პირი არ უჩანდა გვიის დაპირებას. თითონ გივიც გულგრილი ეჩვენა კრებულს.

— ეე, ეგეც შენი გივი ამილახვარო! — ჩაილაპარაკა ვილაცამ, — გვიის კარმიდამოს რომ გასცდნენ.

— ანდუყაფარის ძისაგან უკეთესს არც უნდა მოელოდე! — ღვარძლიანად გაეპასუხა ეპიფანე, — ძალისა ბატკანი ვის გაუგონია!

IX

„ზუბალაშვილი განაცვალეთ!“

სოლოლაკის ქედის ჩრდილო-დასავლეთის კალთაზე, კათოლიკების უბანში ცხოვრობდა მერაბ ზუბალაშვილი. აქვე ჰქონდა საჯარო დუქნებიც. საიდან არ შემოპქონდა საქონელი: თურქეთიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან; ზოგჯერ ევროპული საქონლის შემოტანასაც ახერხებდა (უფრო ხშირად, თურქეთში იძენდა და იქიდან მოპქონდა).

მერაბი აქ ამ ათიოდე წლის წინ აწყურადან ჩამოვიდა, იქიდან თურქთა ძალადობას გამოაჩიდა თავი. მაშინ ქართლში ვახტანგ სჯულმძებელი მეფობდა. ქვეყანა დამშვიდებული იყო. წესრიგი იგრძნობოდა და ვაჭრობასაც მეტი გასაქანი ეძლეოდა.

არც შემდგარა ზუბალაშვილი, მოკლე ხან. ში წინ ნაიგდო საქმე, მენერლიმანე — მოზრდილ ვაჭრად იქცა. თვითონ თბილისში ფეხი რომ მოიკიდა, მეორე ძმა გიორგიც წამოიყვანა. ის გორში დაასახლა, უმცროსი ძმა ივანე კი აჯგოლზედ აბატოვა: ვინ იცის, რა მოხდება, ფუძეს ნუ მოვშლითო.

ზუბალაშვილების გვარი საკმაოდ იყო გავრცელებული, მერაბს ძველებისაგან სმენოდა, რომ მისი პაპია შამა ცხინვალთან იყო გადასული საათაბაგოში, მის შთამომავალთაგან რამდენიმე კომლი ასპინძაში ცხოვრობდა. მერაბის ბიძაშვილები ასპინძის ახლოს, ახალმენშიც სახლობდნენ, აწყურში ხომ ცხრა-ათ კომლზე მეტი იქნებოდა.



ანყურში მცხოვრებ ზუბალაშვილთაგან უმეტესობას კათოლიკობა პქონდათ მიღებული (ჯერ კიდევ მერაბის პაპა გაკათოლიკებულიყო); თურქული მმართველობის მხელე პირობებში ამ გზით გადაურჩნენ, როგორც მაშინ იტყოდნენ, გაათრებებს. მაგრამ თურქთა ძალადობისაგან სულ მთლად ვერ იხსნეს თავი. მიუხედავად სულთნის ბრძანებისა, რომ კათოლიკობაზე მიტყუდები არ შეევიწროებინათ, თურქი მოხელეები მაინც მტრობდნენ ზუბალაშვილებს. ამან აიძულა მერაბი, რომ ანყურს გაემოსვლა.

ანყურის თვალხარბი გამგებელი ქილმანჯი-ეფენდი ახლაც არ ასვენებდა ივანესა და მის სახელკაცებს. მათგან მიორთმულ ძღვენსა და საჩუქრებს როდი სჯერდებოდა, ათავტვარ მიზებებს მოუდებდა ხოლმე და ხან რას ნაშლევჯდა და ხან რას რამდენიმეჯერ მოინდომდა ივანემ ნაშოსვლა, მაგრამ მერაბმა მაინც თავისი არ დაიშალა. მოიცავე კიდევ ცოტა ხანსო.

ქართლში რომ ჩამოდგნენ თურქები და აურ-აურად ქვეყანა, მერაბსაც შეუფერხდა ვაჭრობის საქმე. სხვაზე უკეთ მაინც გააართვა თავი. ბევრი ვაჭარი რომ დაეცა და გაჩანაგდა, იგი არამც თუ ღებზე იდგა, ადრინდელს მცირედი კიდევ ნაშაბა. იმიტომაც იყო, რომ თბილისში ყველგან იამოდა: „მერაბა კუტის დუქანში ვივაჭრე“. „მერაბა კუტის დავაჭრებ“, „მერაბა კუტის ბიჭია“. ბევრჯერ იმასაც ამბობდნენ: კუტია და კინლამ ქვეყანა გადათელოს, მაკას რომ ფეხები პქონდეს, მაშინ რალს იხამდაო.

გამოგვრჩა, გვეთქვა, რომ მერაბი კუტი იყო, მის რუმბიეთი ტანს ფეხები მოწყვეტილიყთ ეკადა; ხელთ წველი საბრჯენი ეყურა და იმით მიმოდიოდა. საოცარი იყო პირდაპირ, რომ ეს ხეობარი კაცი ასე კარგად უძღვებოდა იმოდენა საქმეს; ნარმოიდგინეთ, მითელს დღეს არ ჩერდებოდა. ხან ერთ დუქანში იყო და ხან მეორეში. გამყიდველებს არჩებდა. საეონელსაც თვითონვე დაუდავებდა ხოლმე. მუშტრის მოზიდვის ხერხებს ასწავლიდა. საღამოს კი ყველასაგან ანგარშის იბარებდა, ყოველდღიურ შემოსავალ-გასავალსაც დავთარში აღრიცხავდა.

მერაბს ერთადერთ შვილს ანდრისასაც ვაჭრად წვრთნიდა, თუმცა ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო, მაინც საწილადოდა რამდენიმე დუქანს მისცა, უნდოდა, შვილი დამოუკიდებლად ვაჭრობას თავიდანვე შესწავოდა. ანდრისამაც კარგა ფნა გამოიჩინა. ტოლს არ უდებდა მამას.

იმდენი ქონების პატრონი, თვითონ მტყად მომჭირნდა ცხოვრობდა. თავის ბიჭებსაც სულს ხდიდა დამზოგველობით, თან ყოველდღე ჩასჩირნებდა: ვაჭარს ხელგაშლილობა

არ შეუფერისო; თუმცა ადგილიც არ ეძებდა სადაც და როდესაც საჭირო იყოს, ხელსაწყო გამოიყვლებოდა ხოლმე. ზოგჯერ ისეთ გულუხვობა გამოიჩენდა, რომ ყველას გააკვირვებდა.

ამ საღამოსაც ყველასაგან ანგარში ჩაიბარა, დაეთარშიც სარფი თუ გასავალი თავთავის ადგილზე ჩაუნერა. დღის ნავაჭრით კმაყოფილიც დარჩა: „იქნებ დამშვიდდეს ქვეყანა, აქამდე პატრონი ვინ იყო ქვეყნისა, არ ჩანდა, ახლა ერთი პატრონი მაინც გამოუჩნდა“, — გაიგლო გულში, მაგრამ უშაღვე გაახსენდა, რომ სწორედ ისაყის საპატრონო ქვეყნიდან გამოიქცა იგი, მის ქვეშევრდომთა ძალადობას ვერ გაუძლო, ახლა კი ისაყ-ფაშა მბრძანებლობდა ქართლშიც, და იქნებ ისევე მოქცეოდნენ როგორც იქ, ანყურში? ვინ რა უნყოდა...

ის იყო, დასასვენებლად აპირებდა წასვლას, რომ მოახსენეს: გივი ამილახვარი გენვიოო. აფორიაცდა ვაჭარი: ჯერ ამან შეაფიქრა, ეს დიდი კაცი რატომ უნდა მოსულიყო მასთან? მერე ის გაუხდა თავში ნაცემი, ვით თუ შესაფერისად ვერ დახედვოდა „ამ მეფის ტოლ კაცს?“. მაგრამ მოხერხებული ვაჭარი მაინც არ დაბნა, მაშინვე თავის საყრდენებს დაებჯინა ორივე ხელით და სასწრაფოდ გაეგბა სტუმარს:

— როგორ მოხდა პატრონო გივი, რა ქარმა დაქროლა დღეს, რომ თქვენი მოწყალება აქეთ გადმოგადო?

გივი მშვიდად მიესალმა. ყურადღებაც არ მიაქცია ვაჭრის ქათინაურებს.

— მობრძანდით, ჩემს ღარბ საწყოფელში მენჭითი — შეპატივა მასპინძელი.

— უმადისობაც მოსული ვარ, ისე, რომ არ მითხრა, მაინც უნდა მოვიდე! — ოდნავ ჩაღიშებით თქვა ამილახვარმა, მსახურები დასტოვა და მერაბს შინ შეჰყვა.

ამილახვარს ზუბალაშვილის ხალვათად მოწყობილი სახლი, ტყუობოდა, თვალში არ მოუყოდა.

— სულ ესაა შენი ქონება?! — იკითხა მან.

— რას ვიზამ, ვაჭარი კაცი თავისთვის არ არის, სხვან უნდა ემსახუროს! — ღიმილით შეაგება მერაბმა, მერე იქვე მყოფ დახლიდარს უთხრა, — აბა, ბიჭებს უთხარი, დამიტრიადღენ, ღვთის ტოლი სტუმარი მენჭია...

გივიმ შეაჩერა:

— მაგის დრო არა მქვს, ტყუილად ნუ გაირჯები. საჩქარო საქმეზე ვარ მოსული!

ეს ისე მკვეთრად იყო ნათქვამი. რომ მერაბმა მხრები აიჩქა.

უმწეოდ თვალი გადაავლო დახლიდარს, თითქოს მას ეკითხებოდა, როგორ მოვიქცეო. მერე დაძინა:

— ზუბალაშვილი გენაცვალეთ, როგორც
თქვენ ინებებთ, დიდო ბატონო!

რამდენიმე წუთს დუმოილი ჩამოვარდა, უც-
ხათ უხერხულობა იგრძნო ზუბალაშვილმა,
რა ეთქვა, ან როგორ მოქცეულიყო, აღარ
იკლდა.

— როგორ მიგდის ვაჭრობის საქმე? —
იკითხა ამილახვარმა.

— თქვენი წყალობა ნუ მომიშალოს... ვა-
ჭრობის საქმე ამ არეულ ქვეყანაში აბა რა
საკითხავია?... — ნაიჩიელა ვაჭარმა, — მა-
გრამ ამ ბოლოს ცოტა არა უშავს. თითქოს
გამოკეთდა.

— გორამ შენს ძმას, გიორგის, როგორღა
აქვს საქმე? — ისევ იკითხა ამილახვარმა.

— ამ ადრეებზე იყო აქ, წუხდა, ახლა არ
ეცი! — მერაბს დიდი ხნის გულისნადები
გაახსენდა, უკეთესი შემთხვევა შეიძლება არც
მისცემოდა — ახლა უნდა ეთხოვა გივისა-
თვის ისაყ-ფაშის წინაშე შეუადგომლობა,
რომ მას ქილმანჯი-ფენდისათვის ებრძანა,
ნუ შეაღწროვებდა ივანესა და მის სახლის
კაცებს აწყურში. მაგრამ მცირე ხნით თავი
შეიკავა.

გივი ისევ მიუბრუნდა მერაბს:

— მერაბ, ბავშვად რომ ვინაობა თუ
გაქვს, ძვირფასი თვლებით მორთული?

ზუბალაშვილი დაფიქრდა, გივი ამილახვარს
უარი არ ეთქმოდა. ყოველი ადამიანი წინას-
წარ ანგარიშობს, ვისთან როგორ მოიქცეს.
ვაჭარი ყველაზე უფრო თვალნათლივია ამ
საქმეში. სასწორსაც ისეა შეჩვეული, რომ
ყოველთვის მის ერთ თვალზე ვერ მუშტარს
დებს და მეორე თვალზე მერმელა ალაგებს
თავის საქონელს. გივი ამილახვარის მფარვე-
ლობა მისთვის ისევე აუცილებელი იყო, რო-
გორც დაჭრილისათვის ყარაშვილების მალა-
მი. ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა მისი
გულის მოგებას. მერაბი, მარათლა, როგორც
ვაჭარი. უშეაკობას არ იყო მოკლებული. (უშ-
მაკის თვალსაწიერი კი არც ისე დიდია), მაგ-
რამ მას წინდებულობაც არ აკლდა. ამი-
ტომ დაფიქრდა: რა ჰქონდა ისეთი, რომ გი-
ვისათვის ესამომეხებინა. გონების თვალი გა-
დაავლო ყოველივეს.

— სხვისთვის მინდა... ისეთი რამ უნდა მო-
მცე, რომ ვინმე დიდ კაცს, — ეს სიტყვა რო-
გორღაც თვისებურად განეღა, — თვალი
მოსტაცოს. აბა დაუკვირდი, რა გაქვს ასეთი?

— ჩემი თავი შენს ძირის სანაცვლო იყოა.
დიდო ბატონო. რაც მაქვს, მოგართმევ და
თვითონ აირჩიე — ეს თქვა მერაბმა, ბოდი-
შის მოხდით გაევიდა მეორე ოთახში და რამ-
დენიმე ხნის შემდეგ ისევ შემობრუნდა. ხე-
ლში სტავრამი გამოკრული ფთხა ეჭირა, ვი-
ვის წინ გახსნა.

— ა, ბატონო. ჩემი, რასაც ინებებთ!

ოქროს გრძელი ჯაჭვი იყო მისი მარჯვენა
თვლებით მოჭდილი, ლუსკუმით, ზურმუხ-
ტითა და საფირონით მოჭედილი სამაჯურე-
ბი, ქალის ყელსაბამები, მარგალიტებით მო-
თვალული ოქროს ყალიონი. სათითაოდ გა-
სინჯა გივი. კარგი ნავეთობანი იყო, მაგრამ
ჩანდა, რომ გული ვერ დააჯერა. ამას ხედე-
ბოდა მერაბიც. არ უნდოდა დიდი ბატონი
გულნატყვი გაეშვა, „ის კი უთუოდ მიუნო-
ნება“ — გაიგელო გულში, მაგრამ რაკი პირ-
ველადაც არ მოიჭანა, ახლა უშიშოდა მისი
გამოჩენა.

გივი ამილახვარმა თავი გადააქნია:

— სხვა უკეთესი რამ გექნება, მერაბ!

მერაბმა ახლა 'კი ვეღარ დამალა:

— საათი მაქვს, ფრანგთა ქვეყნიდან არის
მოტანილი, ჩემთვის მინდოდა! — იცრა ვა-
ჭარმა. თავისთვის დასადგმელად როგორ გა-
იმეტებდა ასეთ ძვირფას ნივთს. ეკლავ გაჩო-
ჩდა მეორე ოთახში, მცირე ხანს შემდეგ
შემობრუნდა, ოქროს ბუდეში ჩასმული საათი
გამოიტანა. მაშინ საათი ძლიერ იშვიათი
საგანი იყო. აქა-იქ მუფეებსა და მთავრებს
თუ ჰქონდათ. გაუნოდა გივის.

— აი, ინებეთ, მარტო ბუდე ნახევარ გირ-
ვანქაზე მუტია. ფრანგისტანიდან სტამბოლს
ჩამოეტანათ, იქ ცყიდა ჩემს ძმას, გიორგის,
მე გამოვართვი.

ამილახვარმა დიდხანს ატრიალა ხელში:

— მო, ეს კარგია! — მოიწონა მან.

მერაბმა გამოართვა, — აი, ასე იწყობო,
— უთხრა, თან გასაღები დაატრიალა და
აჩვენა, როგორ უნდა მომართულიყო. საათი
ანიჟნკდა.

გივი ოქროსძენკვიან ლუსკუმსაც დასწე-
და, ორიოდე სამაჯურიც აირჩია. გვერდზე
დასწყო.

— აი, ესენი, საათთან ერთად, მითხარი
რამდენი ვიღირს, ნურც ვაზრდი ფასს და
ნურც დააკლებ!

— თქვენ როგორ განგვარიშებთ, რასაც მი-
ბოძებთ, თქვენ იცით!

— არა, თვითონ მითხარი ფასი! — გაამხ-
ნევა ამილახვარმა.

ზუბალაშვილმა ლუსკუმა აიღო.

— დიდო ბატონო, ბევრი სიყუთე გქმნია
ჩემთვის, ერთსაც გთხოვ! კარგად მოგვსენ-
ნება, ჩემი უმწმმესი ძმა ივანე აწყურს ცხო-
ვრობს, მასაც და სხვა ჩემს სახლიკაცებს სი-
ცოცხლეს უმწმარებს ის წყუელი ქილმანჯ-
ეფენდი; ისაყ-ფაშას რომ უთხარო, იქნებ
შეწიოს და არ დამიწაგროს ის საბრალონი.
ეს ლუსკუმა იმის ფეშქაში იყოს, ისაყ-ფაშა-
საც საჩუქარს ცალკე მივართმევ!

გივი ამილახვარმა ცივად გადააქნია თავი.

— მერაბ, მაგის დრო არა მაქვს. ჯერ სხვა
გასაჭირი გადაგას! — მცირედ შეჩერდა. მე-



რე ღიმილით დასძინა: თუ ამან შვეიციკობით გადაიარა, შუემდეგ უოფიქროთ შივაზეც ახლა კი შენს ანგარიშში ჩადი!

მერაბი ერთხანს გაჩერებული იყო. თავისი ნივთების ფასი საკმაო ხანია მოანგარიშებულნი ჰქონდა, ახლა, ეგონებ, იმაზე ფიერობდა, გივის ნათქვამის აზრს ჩასწვდომოდა.

— ნულარ მარერებ, მერქარება! — უბრძანა ამილახვარმა.

— ეს. — საათზე მოათითა, — სამასი თუმანი ღირს, თქვენ ორას ორმოცდაათად გიანგარიშებთ. ეს ასი თუმანია. — ლუსკუმაზე სიტყვა, — ესენიც ოცდაათ-ოცდაათ თუმნად ჩავაგდოთ, სულ ოთხას ათი თუმნის იქნება ამილახვარიც ჩაფიქრდა.

— კარგი, რაც არის, არის! ოთხი ქისა ოქროც უნდა მომიცე!

მერაბი ისევ გაჩოქდა, ოქროც გამოუტანა.

— ხელწერილს ხვალ გამოგიგზავნი!

— შენი ქორის სანაცვლო იყოს. ხელწერილს როგორ გააკადრებ! — ხელები გაასავსავა ზუბალაშვილმა.

— ვინ იცის, მე რა დამემართოს... ეაქარი ჭავცი ხარ და შენი ქონება რომ არ დაგეკარგოს!

სტუმარმა მადლობა გადაუხადა, ღამე შვეიციკობისა უსურა და წავიდა.

მერაბს ახლავა მიცეა საშუალება დაფიქრებოდა. უცნაურად იჩვენა ამილახვარის საქციელი, სხვა დროს რამე რომ დასჭირვებია, თავისთან უხშია ზუბალაშვილი, ვეღარ აეხსნა, რას ნიშნავდა, რომ ახლა ეს მეფის სწორი კაცი თავის ფუხით მოადგა კარზე. მისი ნათქვამის აზრსაც ვერ მისწვდა.

— ნეტავ რა ამბავია, სად მიდის, რომ — შენი ქონება არ დაგეკარგოსო. — მითხრა?! — ფიქრობდა იგი.

X

ინანიზარნი მოაღმენი საყმარს

ახალი კვირისა შაბათი დილა გათენდა. ცას ფარდად გაჰქვროდა თალხი ბურუსი, ოდნავ ფრჩხლავდა. ეს მოგამული დღე კიდევ უფრო აძლიერებდა დარდსა და ნუხილს.

— სიონი მერეთად გადააკეთონ?! — ვაი, ჩვენს გაჩენას! — გული ეცსებოდა ბევრს.

— არ შეეუშვათ! — ბანს აძლევდნენ სხვები. ავიწყდებოდათ, რომ არა გაეწყობოდა რა, თორემ ამდენი რომ შესძლებოდათ, თურქებს სულაც არ შემოუშვებდნენ თბილისში. მთელი ქვეყანა წაართვეს და სიონი რალა იყო მასთან შედარებით?

სიონის ეზო და ახლო შუკები ხალხით გაივსო, მითქმა-მოთქმა, წყველა და ლანძღვა

არ წყდებოდა. გაოგნებული საზღვარდღი უაზროდ დაბორილობდნენ, ყველა მკაცრად დათქვტილი. იენებ საიმედო გავგოთ რამე, ყოველი წერილმანიც იმედს უღუქმებდა მათ. მაგრამ ეს ერთი წამით, შემდეგ კი ისევ ცხადად ხედავდნენ, რომ ტაძარი საფრთხის წინაშე იდგა და ეს საფრთხე თანდათან ახლოვდებოდა.

დომენტი თბილელი დილიდანვე ტაძარში იყო. ზოგიერთი ძვირფასი ხატი თუ წიგნი გააზიდვინა ტაძრიდან — ვინ იცის, რა მოხდება და ესეც არ დაგველუპოსო, მაგრამ დაცლაზე მაინც არ უფიქრია; ვერ ელყოდა და არც შეეძლო შეელოდა. რომ უყურებდა მის კედლებს, ფრესკებს და საეკლესიო ნივთებას, ისე ეახებოდა, თითქოს ყოველივე ცოცხალი იყო და ცოცხალით სავსარელი. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დაეთმო ეს? ცრემლი ერეოდა, ამჩნევდა მღვდელმთავარი. სხვებიც რომ ცრემლმორთულნი შესერებოდნენ ტაძარს, მის ყოველ ნივთს. მისებრ არ შეეძლოთ გასცლოდნენ. მათი ასეთი გულსიტყვილი კიდევ უფრო მეტად უძლიერებდა ნაღველს.

— კარებში ჩავდგეთ ყველა და არ შემოვუშვათ, ცოცხალი თავით არ დაფუთოთ! — ამბობდა რამდენიმე.

ეპ, ეს რას უშველიდა! ხალხისათვის შეიძლება გულს არ გაეძლო, მიხეთქებოდა თურქ მოძალადეებს, ამას ხოცვა-გლეჯა მოსყვებოდა, თურქები სისხლით მორწყავდნენ აქაურობას და ტაძარს მაინც დაიჭერდნენ; ხალხის ცოცხად ტყუილად უნდა ედო კისერზე. — ეგრე არ ივარგებსო, — უწრია კრებულს. ასე არ ივარგებს და აბა რა ექნათ, როგორ უნდა დაეთმოთ?! „ნეტავი მომკლა“ გაიგელო გულში, სადაც გონებაში არც ისე ბუნდოვნად წამოუძალა აზრი, კედლისთვის სასიკვდილოდ შეეხალა თავი... გარედან ხალხის ზივივი ისმოდა, გამოიდა წუთები, საათები. რაღაც საშინელის მოლოდინში. გულისგამწერელიბული და დამამძიმებელი იყო ყოველი წამი. მომხვედა უკვე საფილობის ფამმა მოატანა.

„ვინ იცის, იქნებ გააიფიქრეს კიდევ! — გაიგელო გულში დომენტი. — ეგების გაიგეს, ხალხმა რომ მოიყარა თავი და მოერიდნენ?!“ — ამ აზრმა მცირედ გაამხნევა. ტაძარულთა დაღვრემილი სახეები, ფუსფუსი, ლოდივით აწვა მის გულს. თვალში მოხვდა ღვთისმშობლის ვერცხლის ჭედილი ხატი, საკურთხეველი რამ იყო. „ეა არ გაგვიტანა?!“ — გაიფიქრა, — რა ქნას გაატანოს ესეც?! სამღვდელონი მოიხიშო — „ნაიღეთ ეს ხატიც!“ — უბრძანა მათ.

ხატი საკმაოდ დიდი იყო, სამი წყრთა სიმაღლე ჰქონდა. ორი წყრთა სიგანე, ორმა

1. აღდგომის კვირეულს ეწოდება

კაცმა აქეთ-იქიდან ჩასჭიდა ხელი და ხატკ ტაძრის გვერდით გასასვლელიდან გაიტანა.

უნ იცის, რამდენჯერ გადაუზიდავთ ეს ხატები სხვაგან, რამდენჯერ გადაუწვალავთ, რამდენჯერ იავარყვეიათ თვით ტაძარი მტრებს. მაგრამ ასეთი საფრთხის წინაშე მაინც არასოდეს შეგარა... მეგრ ისევ შეკრებილ ტაძარს და თავის ადგილზე დაბრუნებულია ხატებიც. კვლავ აღმდგარა, განახლებულია აქ ლალადისი. მაშინ თუ მოუშლიათ ყოველივე, კვლავ გაბუნა ისევ ძველებურად, მასში არავინ ჩასახლებულა. ახლა კი არ შლიდნენ. კი არ ანგრეოდნენ. მიეჩნეოდნენ უნდოთ გადაეცემათ. ურისტეს საყდრის ნაცვლად მამამადისად უნდოდათ ექციათ. სახარების ადგილას ყურანის სურები უნდა ევადაცა მოლას; სახლს თუ დაგინგრევენ, ნანგრევი მაინც დაგრჩება. ინვალებ, მაგრამ ისევ ააგებ, ხოლო სახლში თუ ვინმე ჩაგინახლდა, აუღ ნავართმევს... და მარტო სიონი კი არა, მთელი ქვეყანა ამგვარი საფრთხის წინაშე იდგა. ამას რომ ჩაუფიქრდა დომენტი, უფრო მეტად მოიცვა ნაღველმა. ყოველივე დაწკარავი უმძიმეს ადამიანს, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც სულიერი გადაგვარების საფრთხეა მძიმე. რასაც ბავშვობიდანვე შეთვისებინა, რაც სისხლსა და ხორცში გაქვს გამჯდარი. იმას კარგადვე მეტად ძნელია აიტანო. ამაზე ფიქრმა კიდევ უფრო შესძრა თბილელი. ერთადერთი. მცირე, მაგრამ მაინც იმედად ისაყ-ფაშასთან გვიც ამილახვარის ელჩობა ნახებოდა, იქიდანაც ამდენ ხანს არა-ფერი ისმოდა, თუმცა თურქებიც არ გამოჩნებოდნენ და ვინ იცის?

ვიღაც მოლოზონი შემოიჭრა.

— იანიჩარნი მოადგნენ საყდარს! — გულ-შემოყრდნობა მოსძახა ტაძრულს. აქამდე თუ კიდევ რაღაც იმედი უკავებდათ ყველას გულში, ახლა ეს ნატამბური გაპტრა. როგორც ზინდა იყოს, ყველაზე დამაბული მაინც გადამწყვეტი ტომი არის. ყველა ჩაიფრებოდა, ადგისა თუ მცირეს მიწის ფერი დაედო.

დომენტი ცოტა ხანს ისე იყო გაჩერებული, შემოეც კარებისაკენ წავიდა. მას გადაეცნენ იქ მყოფნიც. სიონს გარს ხალხი შემოსდგომოდა, განცალკევებით დაუდგნენ შუბმეშართული იანიჩარები. ერთი თავჩალმინი, სამხრეები და გულსიპირი ოცრომკედით რომ ქონდა მოქარგული, რამდენიმე იანიჩარით ტაძრისკენ წამოვიდა.

— ხალხო, არ გაუშვათ! — გაისმა ვიღაცის ხმაშალალი ძახილი.

— არ გაუშვათ! — ასეუა სხვა ხმები.

აქამდე თითქმის მშვიდად მდგომი ხალხი, ცნობისმოყვარე მათურებლად რომ შეიძლება ჩვენებოდა კაცს, საშიშად აღჩინდა.

— არ გაუშვათ!

— არ გაუშვათ, მაგათი დედებზე უფრო უფრო ვილაყამ.

— ხალხო, სისხლი დაიღვრება! — გაისმა შემოფოთებული ხმაც.

თბილელი ამ ხმამ თითქოს გამოარკვია. „საშიშია, სისხლი დაიღვრება...“ საემეც ვითუ უფრო გაფუჭდეს! — გაუელვა თავში ამ აზრმა. საქმის მშვიდობიანად მოგვარების იმედი სადღაც კიდევ კროდა.

მძიმედ შესდგა ევის კიბეზე ფეხი. ხალხმა აქეთ-იქით გაიწია, გზა განაგრძო. სანგრის კარიბჭესთან რამდენიმე შუახნისა კაცი და ქაბუკი აღმართულიყო. შემოსასვლელს არ უთმობდა იანიჩარებსა და მათ უფროსს. იანიჩრებს შუბები ჩაებლუჯათ და თვალგაცეცებით მოსჩერებოდნენ. თავჩალმინი იანიჩართა მეთაური გაოგნებული იდგა. ჩანდა, არ მოელოდა ხალხის ასეთ წინააღმდეგობას. ეტყობოდა. აღარ იცოდა, როგორ მოეცეულებოდა. კარიბჭესთან მდგომთ იანიჩარებისკენ პქონდათ ყურადღება მიპყრობილი. დომენტიმ ერთს, მხარზე ხელი შეახო, მას არც გაუტია.

— გზა მიეცი! — გაისმა ხმა.

უკან მოიხედეს. ებისკოპოსი რომ დაინახეს, ძალაუნებურად გვერდზე გაიწიეს, იანიჩართა უფროსი. როგორც კი ებისკოპოსი დაინახა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ეკლესიის მეთაური, თითქოს გამხნედა. თავისკენ მიმავალ დომენტისკენ წამოვიდა.

— დიდი სულთანის სახელით მებრძანა დაგვაცეცონოთ ეს ეკლესია... მე ბრძანებას ვასრულებს! — აღელვებით თქვა თურქმა.

— ცოტაც დაგვაცაადეთ! — დომენტიმაც თურქულად მიმართა იანიჩართა უფროსს. — ისაყ-ფაშასთან მოციქულნი გვყავს ნარგზავნილინი, დაგვაცაადეთ ცოტა ხანს, რასაც ისაყი ბრძანებს...

— მე მიბრძანეს, რომ შეეასრულო!

— არა. უნდა მოუცადო ისაყ-ფაშა ბრძანებას! — მკვეთრად მიუგო მღვდელმთავარმა.

რამდენიმე იანიჩარი მოუახლოვდა მას, შეფიქრიანდა უფროსი.

— ცოტა ხანს კიდევ დაგვაცაადეთ! — უფრო რბილი ხმით უთხრა დომენტომ.

ერთმა იანიჩარმა რაღაც წასწორებულა მეთაურს. მეთაურმა განზე გაიხმო. მას მიჰყვნენ სხვებიც, რაღაც ითათბირეს, იკამათეს. მცირე ხანს შემდეგ მობრუნდნენ.

— ორ გამს გიცდით იმ პირობით, რომ თუ არაფერი ბრძანება არ მოგვიცედა, მაშინ თქვენ თვითონ დაცლით ეკლესიასაც და ამ ხალხსაც დაამშვიდებთ.

აბა როგორ შეეძლო დომენტის ამაზე დათანხმებოდა. მაგრამ სხვა გზა არა ჩანდა. რა ექნა!



— დაგვაყადეთ, შერე ვნახოთ! — ორანა-როვნად დაეთანხმა იცო.

X I

ისაყ-ფაშას განაშორი

ისაყ-ფაშა ჯაყელი წინა დღეს სასაბლემო იყო ჩაქტილი: თავს შეუძლოდ გრძნობდა — ტანში მათეინებსო, წიოდა. აქიმებმა ურჩიეს: ინქი, ოფლი მოიღინეო. მართლაც, შუადღემდე იწვა, შერე ტულმა ვერ გაუძლო, წამოგდა, სახლშივე გრიპილებდა. საღამოს პირზე პარამხანაში გასვლა არჩია. რატომღაც გულჩამობნელებული იყო. — იქნებ ქალებმა გამახალისონო, მაგრამ ისე მოწყვეტილი იყო, რომ არაფერი ეშველა. ისევ თავის ოთახში დაბრუნება და დანოლა არჩია.

დღესაც მოგვიანებით ადგა. დილის ლოცვა შეასრულა. თუმცა ქამის მადა არ ჰქონდა. მცირედ მაინც წაიხსენსა, თავის ოთახიდან გამოსულს არ ესიაშოვნა ნესტიანი და დაბურული დღე. „ასე რომ ვარ, იქნებ სულაც ამინდის ბრალია“, — გაიფიქრა. წელი ნაბი. ჯით მიდიოდა. ქალთა სამყოფელს რომ გახედა, გულთქმა აღებდა, თუმცა ქალის თავი არ ჰქონდა; მაინც გასწია იმ ოთახისაკენ, სადაც ცოლთა შორის ყველაზე ახალგაზრდა აიშე ცხოვრობდა. ეჭარღელი ბეგის დურსუნ თავდგირიძის და. თუმცა თვალტანადობითაც გამოირჩეოდა აიშე, მაგრამ უფრო სახის სიწორებით აყრობდა ყურადღებას. მასთან შეხვლა დააპირა, მაგრამ შერე გადაიფიქრა. გაახსენდა, გუშინ რომ ორგზის სთხოვეს ქართლის დიდებულებმა, მიეღო და მოესმინა მათთვის. თუმცა არ უთქვამთ, რას სთხოვდნენ. მაგრამ ისაყმა უამისოდაც კარგად იცოდა, რაზეც იყვნენ მოსულები. ავად ყოფნა კარგი მიზეზი იყო. მეორედ რომ მოგზავნეს ყორჩიბაში სალიმ მეშქედოღლი, დატინებით შემოეთვალათ: სასწრაფო საეშე გვაქვს. როგორც უნდა იყოს, მაინც გვანახვინოსო თავი. ამ დროს წამომდგარი იყო, მაინც არ მიიღო. დასამშვიდებლად ეს შეუთვალა: რომ არ გამოკეთდეს, ხვალ დილას მაინც მიგონებოთ. დღეს, ცოტა არ იყოს, ამის გამოც იზოხინა. იქნებ მოუწერო იანიჩარ-ალას მამყედ საიდ-ოღლის ბრძანების სისრულეში მოყვანა და თვადებები ეგების თაისრთვად მოშვებოდნენ. ანდა, რაკი უკვე შესრულებული იქნებოდა ბრძანება. ისაყს ესეც მიზეზად მოედო: ახლა გვიან არის, რაღა აზრი აქვს ბრძანების შევცვლასო.

ისაყმა წინ მიწამდე დაიხარა ყორჩიბაში. — დიდო ვეზირო, იანიჩარ-ალას ამმედ საიდ-ოღლისა კაცი გამოუგზავნია. შემოუთვალა: სიონის საყდრის ირგვლივ ხალხია მო-

სული, იმურებთან... საშიშია, ვაფიქროვარ. ღის ღერა მოხდეს და როგორ მოვიქცეთო. კითხულობს. — მოახსენა ისაყ-ფაშას.

— რაო, წინააღმდეგობასაც ბედავენ? — გაფიცბდა ისაყი.

ყორჩიბაში სალიმ მეშქედოღლი ქვიანი კაცი იყო, კარგად იცოდა, როგორ უნდა დაეყოლიებინა. წელანდელზე მეტად მოიხარა და ისე მოახსენა:

— დიდო ვეზირო, ნუ მიწყენთ თუკი შემოგბედავთ: ეგრე ადვილი არ არის, კაცმა თავის სჯული ამოიღოს გულიდან! გემართებს. ჩვენც ძალას მივმართოთ!

ისაყმა კარგად იცოდა, ყორჩიბაში იანიჩარ-ალას მეგობარი რომ იყო, შიშობდა, წიანანი არ მოსვლოდა და ამიტომ პირველადვე ის ურჩია, ძალა ნაუბმარებინა.

— განა რამდენი ხალხი მივიდოდა რომ? — იკითხა ისაყმა.

— სიონის უბანი სულ ხალხით ყოფილა გაუკებული, ყველა თურმე ფეხზეა შემართული. მცირე მიზეზს ეძებენ და...

ისედაც ავ გუნებაზე მყოფ ისაყს ამ ცნობამ კიდევ უფრო ნაუბნინა ხასიათი.

— რამდენი იანიჩარი წაიყვანა? — იკითხა ისაყმა.

— ორანამდე. — იყო პასუხი.

ისაყი ისევ გაფიცბდა: — ორანამდე! ორასი კაცით ქალაქს იღებენ ხოლმე. მაგას კი ერთი საყდარი ვერ დაუტყრობა?!

ყორჩიბაში მიხედა, ავ გუნებაზე რომ იყო ისაყი. დადუმება არჩია. გააწმინდა ისაყიც. ცოტა ხნის შემდეგ, ვინ იცის, რა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩქარი ნაბიჯით წაივდა დივანხანისაკენ. უკან გაედევნა ყორჩიბაშიც. როდესაც დიდ დარბაზში შევიდნენ, ყორჩიბაშია იდროვა, ისევ მოახსენა: — გურჯი დიდებულები დილას აქეთ გიცდიან, ლოდინით გადაჯერდნენ საბრალონი.

ისაყი თითქოს შეერთაო, უცბად მოდრკა. საზე კიდევ უფრო მოვლუშა. „ისევ მოვიდნენ, იანიჩარ-ალას მაინც მოუწერო!“ — გაივლო გულში. ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

— ამადა საიდ-ოღლის შეუთვალე, რაც უნდა მოხდეს, საყდარი დიჭიროს. გადაეცი მაშქედ-ბეგს ახიოდე იანიჩარი კიდევ გაგზავნოს! — უბრძანა ყორჩიბაში.

— დიდება ალაჰს, როგორც ბრძანეთ, შევასრულებ! — ისაყ-ფაშის გადაწყვეტილი პასუხითა და იმით, რომ იანიჩარ-ალას ჯარისკაცები მიუმატა, კმაყოფილმა ყორჩიბაშია ზალიაიანად დაუდასტურა, შემდეგ დაუმატა: — რას მიბრძანებთ გურჯ დიდებულებზე!

ისაყი ამ კითხვაზე ცოტა გაბრაზდა კიდევ: „საჩუქარს მიაართმევდნენ ყორჩიბაში და იმიტომაა რომ ეგრე ირჯება“. მაგრამ გუშინ

ეროვნული

რომ დაპირდა, კარგად ვიქნები თუ ავად, ხვალ მივიღებთო, დაპირების შეუსრულებლობაც უმიძიდა ახლა.

— მოიყვანე, ჯანდაბას მაგათი თავი, იხმე რეჯებ-ფაშაც! — კბილებში გამოსცრა ისაყმა.

ყორჩობაში გავიდა, ისაყი ერთ ხანს ჩაფიქრებულად იჯდა, რომელიღაც ქუშიკმა ცხვირი დააღებინა, ფაშა ფიქრებისაგან გამოურკვა. ახლაც იგრძნო, რომ მარტო არ იყო. კარი გაიღო, რამდენიმე ქუშიკმა შემოაცილა რეჯებ-ფაშა; რეჯები მიესალმა და ისაყის მარცხნივ დაჯდა. არ გავივლო ფამის მეოთხედს-ლა, რომ ყორჩობაში ქართულად დიდებულებს შემოვლდა. წინ გვი ამილახვარი მოდიოდა. ორივე ხელით გაშლილი თხოვნა-არხა მოჰქონდა. მას იესე მუხრანბატონი და დიმიტრი ავალიშვილი მოსადევნენ, ორივეს სტავრა-გადაფარებული ლანგარები ეჭირათ. უკან მო. პყვებოდნენ: ზახა ფალავანდიშვილი, იასე მარჩბელი, ვახტანგ ორბელიანი და კიდევ რამდენიმე სხვა, რომელთაც ისაყი არ იცნობდა.

გივის რომ დაინახა, ისაყ-ფაშას ყოველთვის ზედაველა გაახსენდებოდა ხოლმე; იე, ატენის ბოლოს გივი ამილახვარი უძღოდა წინ ქართულ ჯვარს. მამინ იესე, მუსტაფა-ფაშა და ერასტი ყალიანდიშვილი თავიანთი ძალე-ბით ერთ არა, სულთანის ჯარი მარცხდებო-და... ახლა გივი თუნდაც შეეპყრო, ვინ იცის, ვინ გამოჩნდებოდა სხვა, მარტო ზემო ქართ-ლი კი არა, სხვებიც აუხედრებინა და...

მოსულნი მდებლად თავის დაკვრით მიესა-ღმინენ ისაყსა და რეჯებს. ყველა ერთ დროს დაიხარა და აიშართა. ისაყს თვალში მოხვდა ეს, მისალმების შემდეგ ოდნავ განზე გაიწია გივი ამილახვარმა, იესე მუხრანბატონი და დიმიტრი ავალიშვილი წარდგნენ წინ. ხელთ რომ ვერცხლის ლანგარები ეპყრათ, სტავრა გადააყილეს და მიახლოებულბემა ისაყ-ფა-შას ფერხთ წინ დაუდგეს. ერთ ლანგარზე ოქროსბუდიანი საათი, მარგალიტითა და ზურმუხტ-საფირონით მოოჭვილი ნივთები და ექვსმარედ ქისა ოქრო ეწყო, მორეზე კი მარტო მარტო შიშველი ხანჯალი იდო.

ისაყს სახეზე სწითელი მოღეო ეღერა და-ფარა მღელვარება. კიდევ კარგად დახვდა მეორე ლანგარს. დიახ, ხანჯალი იდო ზედ და ისიც გაშიშვლებული, მაგრამ ისაყისაკენ ტარი ჰქონდა მიქცეული; აშკარა იყო, რომ გივი ამილახვარი და თუ სხვა მისი თანამე-გომინ (ისაყი უფრო გივის გულისხმობდა) ნათლად მიანიშნებდნენ: ან მათი სათხოვარი უნდა აღესრულებინა, ანდა მათ შორის მო-ციქულად მხოლოდ ხანჯალი შეიძლებოდა ყოფილიყო.

— ბედნიერი და დიდი სულთანის ვეზირო-ბით პატრიცეზული ფაშავ, ინებეთ ეს მცირე სარუქარი და იყავით მწყალობელი ჩვენი! —

თავის დაკვრით მიმართა იესე მუხრანბატონს ნმა.

ისაყ-ფაშამ ერთხელ კიდევ დახვდა მეორე ლანგარზე დადებულ მოვლვარე სატევარს. რისხვა ნაშოვალა: გასცეს ბრძანება და ყვე-ლა შეიპყრონ? რეჯებ-ფაშას შეხვდა, ისე ეჩვენა, ის თითქოს არც ფიქრობდა ამახე, მას უფრო ოქროს სამკაულებსათვის დაედგა თვალნი.

ახლა გივი ამილახვარი ნადგა წინ, ხელთ რომ ეპყრა, ის გრავნილი გაშალა და კითხვა დაიწყო:

„დიდებულ ვეზირს, ათაბაგსა და დიდი სულთანის ბედნიერ მარჩვეულს მოვახსენებთა: ჩვენი ნებით ვეყმეთ დიდ სულთანს. ანლაც თავს ვდებთ ჩვენი თავით, ჩვენი შეილებითა და ყოველივე იმით, რაც გვაბადია, მის შორ-ჩილებასა და ერთგულ სამსახურზე.“

დიდი სულთანის ფერხთა-მტკვრნი და მის ნინახე მინას მოთაყვანნი მხოლოდ ამისი ფართ მავედრებელ-მთხოვნელი, შესცვალთ ბრძანება და ერთგულ ყმათა პირობაზე ქრის-ტიანული წესით გკვიმსახურით, ნუ ხელ-პყოფთ ტაძარსა ჩვენსა სიონს და სხვათა, და ამით თქვენს ერთგულ ყმათ ნუ შეგვიძრავთ გულს! — კითხვა რომ დაამთავრა მცირედ შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: — ამასა გთხოვთ დიდო ათაბაგო, შუამდგო-მელ იყავ ჩვენსა და დიდ სულთანს შორის. გვიქმენ საიკეთ და შეგვისრულე ეს სათხო-ვარი, ანდა აიღე ეს ხანჯალი და ყველას ერ-თობლივ გამოგტყერ ყელი!“

ისაყმა გივი ამილახვარით დაიწყო და მის გვერდით მყოფთ სათითაოდ გადააელო თვა-ლი; მწარედ ჩაეცინა გუნებაში: „ჰმ, რა დესა-კლავი ბატკანი ამბობენ, გამოგტყერ ყელიო“. მართლაც, არც ისე საბრალო მთხოვნელთ პგაედნენ, როგორც მათი სიტყვების მიხედვ-ვით შეიძლებოდა წარმოედგინა კაცს.

ისაყი გაჟუმებული იყო, ვერ გამოჰქონდა გადაწყვეტილება.

— ან შეგვისრულე ეს თხოვნა, ანდა ყველა აქვე გაგვწირეთო! — ერთად შეუხიანენ ისაყ-ფაშას ეპრთველი დიდებულნი.

რა ექნა ისაყს? დათანხმებოდა ამით და არ აღესრულებინა სულთანის ბრძანება, რა პა-სუხი გაცევა თვით სულთანისათვის, ანდა, ვინ იცის, რამდენი ხნით გადსაჯებდა ეს ქართ-ლის გაერთიანების საკითხს? არ დათანხმ-ბოდა და შეიძლება ექვეყნა ფეხზე დამდგა-რიყო, კარგად იცოდა, განრისხებულ ქართ-ველობასთან ბრძოლა რასაც ნიშნავდა. ახლა რად არ უღირდა, ვინმეს რომ გონიერი რჩევა მიეცა. რეჯებ-ფაშა კი იდგა გარინდებული და მის აზრს ვერ გაიგებდა კაცი.

— დიდი სულთანის ნებას როგორ გადა-ვალ? — თითქმის იკითხა ისაყ-ფაშამ.



— თვითონაც მოგვხსენება და ჩვენც კარგად ვუწყით, რომ დიდი სულთანი თქვენს სიტყვას და საემშეს ფასსა სდებს, ეს ალგვის-რულეთ და ჩვენ მოგვკითხე ერთგული სამსახური! — ეს თქვა გივი ამილახვარმა და თითქოს ძღვენზე მიანიშნა.

მართლაც, ცოტა არ იყო ძღვენი — „მეც მფლფა და კარისკაცთა დასაერთამაჲადაც საკმაოდ გადამრჩება“ — გაიფიქრა ისაყმა.

— თქვენი დანა და ჩვენი კისერი! — ორთავე ხელის აპყრობით შესთხოვა ყველამ.

ისაყი ხედავდა, როგორ შეწყობილად მოემდებდა თავადთა კრებული. ამან საბოძების თამაში გაახსენა. წინასწარ რომ ვარჯიშობენ, როგორ უნდა მოიქცნენ, ან რა უნდა თქვან; ამათაც თითქოს ყოველი ნაბიჯი და სიტყვა პტონდათ მოფიქრებულ-მოზომილი.

ფეხზე მდგომი ისაყი ერთ ხანს გაყუჩდა. მფლმარად იდგნენ დიდებულებიც, იდვიდნენ.

ალბათ მიხედნენ, თანდათან რომ სულთანის ვეზირად რჩეული, ისაყმა ხელი ჩაიქნია:

— ძნელი საემეა, მაგრამ თქვენი თხოვნის შეუსრულებლობაც არ ეგება. დაბრძანდით!

— მიიწვია დასასახდომად.

— შეგვისრულეთ ეს თხოვნა და როგორც გსურდეთ, იცე გვიშახურეთ! — ერთხელ კიდევ სთხოვეს დიდებულებმა. ყველამ ხალჩაზე ფეხი მოირთხა.

— შენ რას იტყვი, რეჯებ? — შეუხშიანა ისაყი სულთანის რწმუნებულს.

რეჯებმა მხრები შეაქანა:

— თქვენ როგორც არჩევთ! ისაყმა ყორჩიბაში, მოშორებით რომ იდგა, ახლოა იხმო.

— მუქმე-ბეგს უბრძანე, კაცი გაგზავნოს და უკან გამოიწვიოს საიდ-ოღლი!

მასასრული იანება

სულიკო დიასამიძე

კახეთის შემოდგომა

პგავს ცა გომბორის გაშლილ იალაღს.
სამოთხის კარებს ვერვინ ჩარაზავს:
ჩაგში დურაჩმა შეიფრთხილა,
წნორის ფოთლები მოაქვს ალაზანს.

ამ სილამაზით ეწამე, ევნე,
თუ გინდა ნაზო, რაა კახეთი —
სიმწიფე ზნექავს რქაწითლის მტევნებს
და ბროწეულებს წითლად დახეთქილს.

მალალ გუმბათზე გინდა ავარდე,
იღხენენ, ხალხის რა სიმრავლეა.
ცაში აჭრილი დგას ალავერდი,
წნელის კარვები ირგვლივ ავლია.

თრიმღს მოუსწრია ცეცხლის დანთება,
მღერის ბადაგი სავსე სურაში,
გრემის კედელთან მომელანდება
თვალცრემლიანი თეიმურაზი.

გახარებს მიწა უსაყვარლესი,
ამ სიყვარულში, გულო, შენც დადნი,
ჭირბლს მოუვერცხლავს მთები ყვარლისა,
ატყვიათ დიდი ილიას მადლი.

აბინავებენ ოქროს მოსავეალს,
რეცხავენ ქვევრებს, დაფლულს ყელამდე
და წინაპართა დასალოცავად
ხელდახელ ცლიან წითელ ხელადებს.

ვინც პირველი...

ამ ლოდებთან დაესახლა ვინც პირველი,
სიმღერების ვარ მწირველი.
ვინც პირველი ვაშლი დარგო და ატამი,
ალამს ეუშლი ცად ატანილს.
ვინც პირველმა გაუცინა ჩვილის თვალებს,
მე იმის სულს ვენაცვალე.
ვინც გატეხა შოთი პური, დადო გზაზე,
წმინდა სანთლად ვეთავაზე.
სტუმარს სკამი ერთადერთი ვინც მიართვა,
თავად გახმა ფეხზე დგომით,
ჩემი გეარი იმ სამარის ღია კართან
აშვებული იყოს ლომი.
ვინც დაღლილ მგზავრს მიულაგა მუხის ტახტი,
თავად დაწვა თივის ძირთან,
ვინც სტოვებდა სამეზობლოდ კოდებს ახდელს,
სიტყვის თაფლიც არ უძვირდა,
მოვიგონოთ, როგორც ფუძის ანგელოზი,
როგორც სითბო დაკარგული შამის დღეთა,
ჩვენ იმ შექვის შარავანდით თავშემოსილთ
მთათა ღმერთი დღეში ცხრაჯერ ჩამოგვებდავს.

ვაჟას სიკვდილი

ჩაშხამებია ქორწილი დეეებს,
ირემი ირემს რქას შეალეწავს,
იანი ღამეს თეთრად ათევენ
და სადღაც მწყემსი აბოლებს ლერწამს.
მხედარი შავრას უკულმა ეაზმავს.

მთებს მოსყდა ცრემლის ათი არაგვი,
ზედ შეკვდომია ბაჩიათ ასმათს
ჩიტის გალობა და ლაპარაკი.
დათვის მკვახე პანტა დაუბერტყია,
შალშავს ქვაბებთან ჩხიკვნი ზიდავებს

და ჯიხვი, მწვერვალთ დინჯი ბერდია
 წამოატირებს ელვის გიტარებს.
 წამოდგებიან მორევით ლოდნი,
 თასს ასწევენ და დაზრიან თავებს,
 არწივი ჯიგარს გამოიკორტნის,

ღრუბელნი ნათელს შეისუტავენ.
 * * *
 დიდი ქალაქის სარკმლის უკანით
 ცოდვა გამოდის შაეის თმისაო:
 — ეს თუ არის და ჩვენი ლუკაი,
 ბადალი მთელის ხმელეთისაო.

* * *

მგლის ყმული მიჩვენია ჩიტის სტვენას გალიაში,
 კაცის ბოღმით აფეთქება — თოფის წამალს ფალიაში.
 გაუგონარ შვილთ ვარჩიე მოშუბარი ასი მტერი,
 ლიქნა ენას მიჩვენია პირს ჩაყრილი საფლავთ მტვერი.
 ოდეს ქვეყნის სიყვარული არ გამოეღოს ახლო-მახლო,
 ათასწილად მართალ ვიყო — უპატრონოდ დავიმარხო!

* * *

ღამით აკვანს რომ დაარწვე, იმაზე ტბილი რა არი,
 ერთია ქვეყნის აისი, მეორე დედის ცა არი.
 მოგონებანი საფლავთა დამლონებელი ზღვა არი,
 ძველ სიყვარულის ქარბუქი ზანდაზან ბინდის ხსნა არი,
 ათას ქუდიანს ჩაუვლი, განა სუყველა ძმა არი,
 ბევრი გიმღერებს მლიმარი, არ ყველა ქალი და არი.
 ბილიკნი ცადაც მიდიან, ქვეყანა ერთი გზა არი,
 კაცი უკულმა მავალი ხევში ჩამხრჩვეალი ქვა არი.

* * *

ზეცა სალამს მიგზავნის
 შემოდგომის წვიმითა,
 ნათოფარი რიერაფი
 ამიფრინდა წინიდან.
 მთა არწივით დამკვივის
 გაჭავრებულ კილოზე,
 ამ კორდისთვის ვიჩოქებ,
 იმ მოლისად ვილოცებ.
 აღმა-დაღმა დავქრიავარ
 გუდამაყრულ რაშებით.

სიცილით და ფანდურით
 მზის სულს ვეთამაშები.
 გადმოუშვით მქუხარე
 სიმღერანი, ვაჟანო,
 ააცეკონ წარაფნი,
 საფლავები აშალონ.
 ეხლა დანდობისაა
 ყელისა და ლარების?
 მიწავ, წერა მოგხადე,
 მზეო, გენაცვალები!



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

ქ უ რ კ

ფაუსტი. მარგარიტა ჰაიელს.

ფაუსტი

აღბათ ლამაზი ქალბატონი არ გამიწყრება,
თუ შევთავაზებ შინ გაცილებას.

მარგარიტა

არც ლამაზი ვარ, ქალბატონიც სულ არ გახლავართ*.
ისეც მშვენივრად მივალ სახლამდე.

(ხელიდან დაესხლება და მიდის.)

ფაუსტი

აი სიტურფეც ამასა ჰქვია!
ფფიცავ, მსგავსი რამ არ შემხვედრია.
რა მოკრძალება! რა სისადავე!
თუმც არ აკლია არც სითამამე,
რა დამავეიწყებს ბაგეებს ლალის
და სალუქ ღაწვთა სანუეკარ არილს?!
მერე — თვალეზი როგორ დაბარა
და ან უარი ვით მომახალა!

გაგონებულია იხ. „მხათობი“, № 8, 1981 წ

* ფაუსტი მარგარიტას მიმართავს Fräulein, როგორც მიმართავდნენ მაღალი წარმოშობის ემაწვილ ქალებს. მარგარიტა არ ეკუთვნოდა მაღალ წოდებას.

რა მოსწრებული ჰქონდა პასუხი!
მოხიბლული ვარ მე ამ ასულით.

მემოდის მეფისტოფელი

ფაუსტი

აბა. ის გოგო მომგვარე ჩქარა!

მეფისტოფელი

რომელი?

ფაუსტი

გვერდით რომ ჩაიარა.

მეფისტოფელი

სწორედ ახლახან სულიერი მამის წინაშე
სააღსარებოდ იყო ეგი ეკლესიაში.
იქვე კედელთან ატუზულმა საკუთარ ყურით
გავიგონე მე ყოველივე მის მიერ თქმული.
ისე სათნო და უმანკოა ტურფა ქმნილება,
არც კი სჭირდება მას ცოდვების მონანიება.
ასეთ ვინმეზე მე ძალა არ მაქვს.

ფაუსტი

თოთხმეტ წელს უკვე მიღწეული იქნება ალბათ.

მეფისტოფელი

შენ მუსუსივით ლაპარაკობ, რომელიც ფიქრობს,
ვარდ-ყვავილები მხოლოდ მისთვის ხარობენ თითქოს;
და რომ ვერც სინდის-ნამუსი და ვერც სათნო სული
ვერ აღუდგება წინ ამქვეყნად მის ეინს და სურვილს.
მაგრამ ყოველთვის ასე როდი ეწყობა საქმე.

ფაუსტი

ბრძენო მაგისტრო, სინდის-ნამუსს და სათნობას
სჯობს რომ მოეშვა, და პირდაპირ გიცხადებ აქვე:
თუ ის ასული დღესვე გვერდით არ შეყოლება,
ჩვენ სამუდამოდ გავიყრებით ამ შუალამით.

მეფისტოფელი

გონიერულია კი მოთხოვნა ამგვარი რამის?
თოთხმეტი დღე ხომ მაინც მინდა, მე საგანგებოდ
ამ შემთხვევისთვის რამე ხერხი რომ გამოვძებნო.

ფაუსტი

შვიდი საათით მშვიდად ყოფნაც რომ შემძლებოდა,
ეშმაკიც აღარ დამჭირდებოდა,
რომ შეაყდინოს ტურფა ასული.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შენ უკვე ისე მსჯელობ, როგორც ნამდვილი ფრანგი.
 მაგრამ, ძვირფასო, სთქვი, რა არის ამაში კარგი,
 როს ადამიანს გწვავს სურვილი წრეგადასული
 და უცხად სტკებები? აბა, მითხარ, ის არ სჯობია.
 როდესაც სატრფო ცოტა ძნელი დასაპყრობია:
 როს წვით და დაგვით იგდებ ხელში სასურველ ნადავლს.
 სწორედ ისე, ვით რომანებში კვითხულობთ ამას?

ფ ა უ ს ტ ი

შენ რომ იცოდე, მე ისედაც კარგი მაქვს მადა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გწყინს კია, მაგამ მე ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს:
 მაგ ქალიშვილის ასე უცებ ხელში ჩაგდების
 იმედი ნუ გაქვს, მასთან ძალით ვერას გახდები.
 აქ საკიროა რამე ხერხი და ეშმაკობა.

ფ ა უ ს ტ ი

ნეტავი ერთხელ მასთან სახლში მაინც მამყოფა!
 შემომსუბუქე, ო, როგორმე მისი სიშორე.
 მომიტა მისი წვიესაკრავი, მისი მანდილი,
 მისი ნაქონი რამე ნივთი მაინც მიშოვე.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

იმის ნიშნად, რომ დახმარება მინდა ნამდვილად,
 შენს საწუხარზე რომ მეც მუდამ ვწუხვარ და ვნალელობ,
 გინდა, ახლავე აგისრულო გულის წადილი
 და წაგიყვანო, სადაც ის სახლობს?

ფ ა უ ს ტ ი

მაშ მე მას ვნახავ? მაშ ის მალე ჩემი გხადება?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა! ის ალბათ შინ არ დაგვხვდება
 და მეზობელთან იქნება ამ დროს.
 შენ კი იქ, მარტო დარჩენილი, ნეტარი გრძნობით
 უტკებს ოცნებებს მიეცემი მომავალ ტრფობის.

ფ ა უ ს ტ ი

ახლავე წავალთ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არა, არა! ნუ დამაჩქარებ.

ფ ა უ ს ტ ი

ეცადე. იქნებ საჩუქარი მიშოვო რამე.

(გადის.)

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

უკვე საჩუქრებს ეძებს მისთვის! — უნდა ჩავთვალოთ, რომ საკმე მალე წავა თავის წესით და რიგით. მე ერთ ადგილას, მახსოვს, დიდი განძი ჩავფალი.* ჰოდა, დრო არის საგანგებოდ მოვებნო იგი.

ს ა ლ ა მ ო

სუფთად დალაგებული ოთახი. მარგარიტა ამას იწინავს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რას არ მივცემდი, ღმერთო ჩემო, მე ალბათ ახლა, ოღონდ გამეგო, ვინ იყო ის, გზაში რომ დამხვდა! გარეგნობაზე ემჩნეოდა, რომ კეთილშობილ წოდებას უნდა ეკუთვნოდეს. თორემ უცნობი ასე თამამად გზადმისაჯილს არას მეტყუდა. ეს რომ ასეა, თვალეზზედაც კარგად ეტყობა.

(გადის.)

შემოდიან მეფისტოფელი და ფაუსტი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შემოდი, მაგრამ ცოტა ჩუმად კი იყო უნდა.

ფ ა უ ს ტ ი

(ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ)

გამოგიტყდები, რომ მე მარტო დარჩენა მსურდა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(შითხედ-მოიხედავს)

ყველა ქალწული როდი ცხოვრობს აქ ასე სუფთად.

(გადის.)

ფ ა უ ს ტ ი

(ირგელივ მიმოიხედავს)

სალაში შენდა, სასურველო წმინდა სევანეც, და შენაც, ბინდო, გულში ამო გრძნობის გამჩენო! ო, სასოებავე, სასეტარო შექში განმბანე! ო, უფრო მძლავრად შემომენთე, ტრფობავ მტანჯველო!

* ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, ეშმაკი მიწაში ჩაფლული განძელის მფლობელად ითვლებოდა.

რა სიმყუდროვე შეიმჩნევა აქ ყველაფერში.
წესიერება, რომ იტყვიან, სწორედ აქ არი.
რა სიმდიდრეა ამ დალოცვილ სიღარიბეში,
რა ნეტარებას იტევს აქ ეს ვიწრო საკანი!

(უშვება საწოლის გვერდით მდგარ ტყავის სავარძელში.)

ო, სავარძელო, ალბათ შენზე რაოდენ ხშირად
მსხდარან ნეტარი წინაპრები ოდესღაც წინათ.
რამდენჯერ შემოგხვევია გარს ტახტს მამაბაბურს
ბავშვების გუნდი მზიარული, და სულგანაბულ
ჩემს საყვარელსაც, შესაძლოა, იესოსადმი
მადლიერების გრძნობით აღვსილს, მოხუცი პაპის
მტკნარი ხელები უკოცნია. მე ვგრძნობ, როგორი
წესიერების სული სუფევს ირგვლივ, გოგონი.
ვგრძნობ: დედობრივი კრძალებით სავსე, მაგიდას სუფთას
როგორ აფარებ შენის ხელით გაბერტყილ სუფრას;
ან იატაკზე ფეხქვეშ ქვიშას როგორი ზრუნვით
აბნევ* და მთელ ამ ლარიბულ ქოხს რა კოხტად უვლი.
სწორედ ეგ შენი ღვთაებრივი ხელები არის,
რომ ის ზეციურ სასუფეველად აქციონ ლამის.
აქ კი!..

(გადასწევს საწოლის ფარდას.)

უეცრად რად შემიპყრო ამ წმინდა თრთოლვამ!
აქ შეუშინეველად ალბათ დიდხანს შემეძლო დგომა.
დედაბუნება აქ ქმნიდა და აქ ზრდიდა სწორედ
უმშვენიერეს ამ ანგელოზს ტკბილ სიზმრებს შორის.
აქ იწვა იგი, ვინც ნამდვილად ანგელოზს ჰგავდა
და ჩვილი მკერდით სიცოცხლეს და მზეს ისუნთქავდა.
ბუნებამ თავის უწმინდესი საქმით დიადით
შექმნა ქსოვილი რამ იშვიათი,
რომელმაც შემდეგ ციურ ძალთა მზერა მიიპყრო
და ღვთაებრივი სახე მიიღო.

შენ კი აქ ნეტავ რამ მოგიყვანა?
ან რა გეენის ციციხლით იწვიხარ?
ან შიშით გული რამ შეგიქანა?
საბრალო ფაუსტ, ველარ მიცენიხარ!

მწვავდა სურვილი უხეში ვნების,
და უნაზესი ტრფობით კი ვდნებო.
ნუთუ ჭადოსნურ მოვლენებს შორის
ვართ მხოლოდ ბედის სათამაშოანი.

ამ დროს ის აქ რომ შემოსულიყო,
ალბათ ბავშვივით დავიბნეოდი.
და მოძალადე უხეში, ბრიყვი,
მის ფერხტ წინაშე განვირთხმებოდი.

* სისუფთავის მიზნით საბლის იატაკზე თეთრ ქვიშას აბნევდნენ.

მეფისტოფელი

(ბოუნდება)

ჩქარა. - წამოდი! ჩქარა, თორემ ის უკვე მოდის.

ფაუსტი

არა! მე აღარ დაებრუნდები აქ არასოდეს.

მეფისტოფელი

ეს მძიმე ყუთი სხვა ადგილას ვიპოვე ახლა*.
ჩვენ კარადაში ჩავეკეტავთ მას. და ალბათ როგორ
დაუბნელდება კვეა-გონება საბრალო გოგოს,
როცა კარადას გააღებს და განძეულს ნახავს.
განძეულით ამ სავსე ყუთს აქ საჩუქრად ვტოვებთ;
ძვირფას ნივთებით კიდევ უფრო ძვირფას ნივთს ვპოვებთ.
ბავშვი ყოველთვის რომ ბავშვია, მენდე ამაში.
და თამაში კი, ჩემო კარგო, არის თამაში!

ფაუსტი

არ ვიცი, რა ვქნა?

მეფისტოფელი

იქნებ სჯობდეს, სთქვა პირუთვნელად.
რაო, ხომ არ გასურს შენ მაგ ყუთის მისაკეთება?!
ამ შენთხვევაში შენს სიძუნწეს კარგ დროს ტარებას
გუსურვებ. მე კი ნულარა მთხოვ აწ დახმარებას.
წელზე ვეხს იღვამ, კეფას იფხან, არ იცი, რა ქნა,
ამას კი თურმე კვეა-გონება გაურბის სხვაგან.
მართალი გითხრა, არ მეგონა, ასე ქვაწვია
თუ ბრძანდებოდი. არც კი იცი, ალბათ რა ძვირად
მიღირს მე აქ ეს ყველაფერი.

(ღვამს ყუთს კარადაში და კარს ეტაცს.)

ახლა კი, აბა,

აქედან უნდა მოვესვათ სწრაფად,
რათა შენს ტურფას მივცეთ იმის შესაძლებლობა,
რომ უტრადლება მოგაქციოს ნებაყოფლობით.
პირდაპირ ისე მოუქნელად ირჩები, თითქოს
სადმე მსმენელთა წინაშე იყო.
და, როგორც ნამდვილ მეცნიერს შევინს,
მეტაფიზიკის უმძიმეს ენით
მათთვის რალაციის ამოხსნას ლაიობ.
მოკლედ, რაც არის — წავიდეთ, წამო!
გაიან

* სხვა ადგილას ვიპოვე ახლა. — მეფისტოფელს
ამით ამს თქმა უნდა, რომ მის მიერ ნაპოვნი განძი არც ისე წმი-
ნდა წამოშობისაა, როგორც მარგარიტას ოთახი.

შემოდის მარგარიტა ლამპარით ხელში.

მარგარიტა

რა შეხუთული ჰაერი არის.

(აღებს სარკმელს.)

სალამო კი რა გრილია გარეთ.

რალაცნაირად ქიბრუის თავი.

დედიკო მაინც დაბრუნდეს მალე.

ვცახცახებ, მაგრამ არა მიშავს რა.

რა სულელი ვარ და რა მშიშარა!

(მღერის და თან ტანთ იხდის.)

იყო თულეში* მეფე ქებული

ერთგულებით და ფიცით თავისით.

და სიკვდილის წინ შეყვარებულმა

მისცა სახსოვრად ოქროს სასმისი.

მეფე ამ სასმისს ვერ ელეოდა.

თავის ერთადერთ ნუგეშად სთვლიდა.

თვალეზზე ცრემლი მოერეოდა

ხოლმე, როგორც კი მას გამოსცლიდა.

როს აღსასრულის დაუდგა ქაში,

მემკვიდრეების ნახვა ინდომა.

გასცა ქონება და მიწა-წყალი,

მაგრამ სასმისი თვით დაიტოვა.

მამაბაბეულ ზღვისპირა კოშკის

მდიდრულ დარბაზში გათენებამდის,

სასახლის რჩეულ რაინდებს შორის,

ის დიდი ამბით იხდიდა ნადიმს.

წამოდგა მეფე, როგორც იცოდა.

მყის გამოსცალა სიკოცხლის ალი.

და ზღვის ტალღებში გადაისროლა

სასმისი ამო ოცნების დარი.

ზღვამ გაიტაცა ის გამალებით,

თუმცა მზერა კი შეასწრო ერთი.

მერე დახუჭა მეფემ თვალები

და წვეთიც აღარ შეუსვამს მეტი.

(აღებს კარადს, რომ კაბა ჩამოკიდოს, და ხედავს ყუთს.)

ეს კობტა ყუთი აქ საიდან გაჩნდა ნეტავი?

ვითომ კარადის კარი დამრჩა დაუკეტავი?!

საკვირველია! ვნახო მაინც, რა არის შიგნით.

აღბათ დედამ თუ დაიტოვა გირაოდ იგი.

გასაღებეც რომ ზონარზევე ჰყიღია! ვფიქრობ:

თუ გავხსნი, სულაც დიდი ცოდვა არ უნდა იყოს.

(ხსნის.)

* თულე — ზღაპრული ქვეყანა ტყიდურეს ჩრდილოეთში. ეს
 ლექსი „ფაფსტისაგან“ დამოუკიდებლად დაიწერა ქვრ კოდვე 1774
 წელს და მისი ფაბულა მთლიანად გოეთეს ეკუთვნის.

ღმერთო ძლიერო, ეს რას ხედავს ჩემი თვალები!
სამკაულეები. და როგორი გადასარევი!
აღბათ არც ერთი ქალბატონი უარს არ იტყვის
მეჭლისზე წასვლას ამ ძვირფასი თვალ-მარგალიტით.
ეს ძეწკვი თუ არ გავისინჩე, ვერ მითმენს გული.
ნეტავ ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს განძეული?

(იკეთებს სამკაულებს და სარკის წინ ტრიალებს.)

ეს საყურე რომ ჩემი იყოს, რა იქნებოდა?
არც კი მეგონა, თუ ის ასე მომიხდებოდა!
უშნერ და, ღმერთო დიდებულო, ასე გგონია,
მასთან თვით სიყრმე-სილამაზეც მონაგონია.
აღბათ სიყრმე და სილამაზეც ერთობ კარგია,
მაგრამ ისინი ხშირად თითქმის არას გვარგია.
სილამაზისთვის თუ არ გვაქვს, ამაზე გული
არც უნდა დაგვწყდეს: ქვეყანაზე ბევრია შური.
ისე კი, რომ ვთქვათ, უფრო ოჭროს მიელტვის ყველა.
ვაიმე, ვაი, ჩვენ საწყლებს, ჩვენა!

სასწირო კვლევი

ფ ა უ ს ტ ი ჩაფიქრებული ბოლთას სცემს.

შემობის მეფისტოფელი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვფიცავ ჯოჯოხეთს, უარყოფილ სიყვარულს ვფიცავ!
სხვა უარესი, არც კი ვიცი, რა დავიფიცო.

ფ ა უ ს ტ ი

რა დაგემართა? ასე სახე რამ მოგიღრიცა?
ისეთი ფერი გადევს, ლამის ველარც კი გიცნო.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე ჩემს თავს აღბათ ეშმაკამდე გზას დავულოცავ.
მაგრამ რა ვუყო, თვით ეშმაკი გახლავარ როცა.

ფ ა უ ს ტ ი

გადარეული ხომ არა ხარ, რა მოგივიდა?
თუმც წვევლა-კრულვა მე არც მიკვირს შენი პირიდან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სთქვი, აბა როგორ არ იქნები გადარეული,
როს გრეთქენისთვის მიტანილი ის განძეული,
ხუცესმა იგდო ხელთ. მისმინე! როგორც კი დედამ
იხილა ჩვენი საჩუქრები, დაეცა ბნედა.
სულ ხომ სალოცავ წიგნებს უზის თავჩაქინდრული
და კარგად არჩევს, სად წმინდაა, სად — უწმინდური.
როგორც კი განძი დაინახა, მყისვე იყნოსა,

რომ ამ ნივთებში სასიკეთო არა იყო რა.
 „ჩემო გრეთელენ! — შესძახა შვილს. — ავ გზით
 შენაძენს
 უფალი ღმერთი ქვეყანაზე არას შეგვარჩენს.
 მას მოაქვს მხოლოდ სულიერი ტანჯვა და შფოთი,
 და განძეული ჩვენც ღვთისმშობელს შევწიროთ მოდი!
 სამაგიეროდ ჩვენ სინდისიც სუფთა გვექნება
 და თან კიური მანანაც თავს ჩამოგვეფრქვევა“.
 როცა გრეთენმა მოისმინა დედის ნათქვამი,
 ესლა იფიქრა საცოდავმა გულის ფანცქალით:
 ამ განძეულში ხეტაე რაა ისე მანერო,
 ან ნაჩუქარ ცხენს კბილებს როდის უსინჯავდნენო;
 ან უკეთური რად არისო ნეტაე ის კაცი.
 ვინც ჩვენ უჩუმრად მოგვართვაო სახლში ეს განძი.
 ამასობაში დედაბერმა ხუცესი იხმო,
 რომელიც ხელად მიხვდა, საქმე რაშიაც იყო.
 როცა სუნსულით მივიდა და განძი იხილა,
 იხარულისგან კინალამ არ დაიკიხვინა.
 სთქვა: „ვეშმარიტად განგისჯიათ, ჩემო შვილებო:
 ვინც უხვად გასცემს, ღმერთი არის იმის ქომავი.
 ჩვენს ეკლესიას აქვს ძალიან დიდი სტომაქი,
 კუქს არ უფუჭებს, რისი ჩანთქმაც გინდა ინებოს.
 მის ხახას ცოტა ქვეყანა თუ გადარჩენია,
 მაგრამ ფრჩხილიც კი არასოდეს წამოსტკენია.
 თუმც უკეთურის მონელება სხვასაც უცდია,
 მაგრამ ეს მხოლოდ ეკლესიას თუ შეუძლია“

ფ ა უ ს ტ ი

ეს ჩვევა ძალზე რომ გავრცელდა, ცხადზე ცხადია.
 ურიები და შეფენიც ხომ ამას სჩადიან.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შემდეგ კი მისდგა სამკაულებს და ძალზე კობტად
 მოხვეტა თითქმის ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა.
 და განძეული, როგორც თხილით საესე კალათა,
 ისე წაიღო, რომ მადლობის სიტყვაც არა თქვა.
 დედა-შვილისთვის ერთადერთი, რაც გაიმეტა, —
 ღვთიური მადლის მოლოდინით დააიშვდა.

ფ ა უ ს ტ ი

გრეთენი?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მან ხომ დარგისაგან არ იცის, რა ქნას.
 სულ განძეულზე ფიქრობს თუმც ის საწყალი, მაგრამ
 ყველაზე მეტად მაინც სტანჯავს იმაზე ფიქრი,
 ვინ მოუტანა განძეული? ვინ იყო იგი?

ფ ა უ ს ტ ი

მისი დარდი რომ ჩემი გულის დარდია, იცი?!
სხვა საჩუქრები მომიტანე ახლავე მისთვის.
მაინცდამაინც მე ძველებზე არც დამრჩა თვალი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშ რა! შენთვის ხომ ეს ბავშვური თამაში არის.

ფ ა უ ს ტ ი

იშოვე-მეთქი, რაც გიბრძანე. თან ისე ჰქენი,
ეგება მისმა მეზობელმა შეგვიწყოს ხელი.
იყავ ეშმაკი და მოეშვი დოცლაპიობას.
სამკაულებს რომ თან მოიტან, მადლევ პირობას?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ღიახ, ბატონო! შესრულება მიყვარს მე სიტყვის.

ფ ა უ ს ტ ი გადის.

შეყვარებული ბრიყვი! უკვე მზად არის თითქმის,
ფოიერვერკად მზე, მთვარე და თვით ვარსკვლავებიც
დაწვას, ოღონდაც გაუხაროს სატრფოს თვალები.

გადის.

გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანელმა



სუთასი კოშკის მხარეში

კოშკების დახმწელებზე მსჯელობა, ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება მოამბობად შოგ-ჩვენის — ახლა ჩალა დროს მაგაზე საუბარია. მთელმა ქვეყანამ მშვენიერად უწყის, რომ მტრისად არიან შემარბულიო. ზოგიერთი ცნობილი პიროვნებაც კი რატომღაც ფაქრობს, რომ ეს გოლიათები გვაროვნული შეუღლისა და ქიშის ნადავზე აღმოცენდნენ და ზღლის ვიწრო-მეტრკანტილურ ინტერესებს ემსახურებოდნენ; ჩალა გამოიდიოდა — მთელს მსოფლიოში გარეშე მტრისაგან თავის დასაცავად არხე-ბობდნენ ციხე-კოშკები, მხოლოდღა სვანეთში ააშენეს მინი მუზობლისათვის სვირის საჩქენელად? ამ საკითზე ბერძნისაგან მშენია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება — გარეშე-სავანაც და შინაურისაგანაც იმ გარეშეებსაც, ამ შინაურებისაგან ჰქონდათ აღზათ თავის დროზე ჩანერგილა ვითარების ამგვარი მცდარი ინტერპრეტაცია. იხინი ამტკიცებდნენ, ამ მოუხვედეთში მტრის ლაშქარი ხიდანაღ შემოაღწევდა, თავს უფლებში რაღაზე გაყოფდა, თანაც რა დოკლამისა და ავლაღიღუბის უნდა დახარბებოდაო; მასხადაამე, ეს კოშკები „აღვილობრივი საქირობისათვის“ უნდა იყოს აშენებულიო.

მართლაცდა, თანამედროვე ადამიანისათვის ძნელია განმხილოებული კუთხის კლდეკარებში შეღწეულ ურდოთა წარმოსახვაც კი, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ სწორედ დროის, ეპოქისა და ცივილიზაციის ფაქტორი — მეოცე საუკუნეში მსოფლიომ მართლაც რომ საოცარი ნახტომი გააკეთა პროგრესისაკენ, უკველებე ამან კი საფუძველი გამოაცალა ერებისა და ხა-

ლებების ურთიერთმტრობისა და შეუღლის ტრადიციულ მიზეზებს. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია კავკასიონის ფერცხალებს შეუფილი ქვეითი ლაშქარი — ბორცურსახეებით აღჭრული, მტრის თავით ფეხამდე შეიარაღებული გუნდები, უტუმრად, მოთარეშენი ბეროს, მესტიის, ლეხნირის, ტაბერის, წანერისა და სხვა გადასასვლელებზე, თვითონ წარმატებაში დარწმუნებულნი, უინჩად რომ გამოვდგომიან სამტრო ბილიკებს.

სვანურმა ზეპირსიტყვიერებამ მრავალი ლექსი, ლეგენდა და თქმულება შემოინახა, სადაც მოთხრობილია გარეშე მტერთან ბრძოლაზე, გამარჯვებასა და ვაეკაცურ საქმეებზე. დიას, მხედველობაში მაქვს გარეშე, უცხო თესლია და ჭილაჯის მომხვედურთან შერკინებანი და არა თემებს შორისი შეღლი, რასაც, სამწუხაროდ, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, სვანეთშიაც ჰქონდა ადგილი. და, ბუნებრივია ამ თემაზედაც საქმარისად მოიპოვებოდა ზღბური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიცა და თქმულებათეგანდებიც.

ერთი სიტყვით, კოშკების ამბავი ვილას არ ინტერესებდა. ჩემს თანამგზავრებსაც ერთი ხული ჰქონდათ ადგილობრივი, სარწმუნო ინფორმაცია მიეღოთ აღნიშნულ საკითზე, შეცარ დავახანე და მარჯაანების სახლ-მუხეუმისაკენ დაძრულ მოხუცებს მურყვამებზე ჩამოვუღდე საუბარი:

— ბუბა მამილა, ჩვენს სტუმრებს აინტერესებთ რისთვის ააშენეს ეს მურყვამები ჩვენმა წინაპრებმა, გარეშე მტრისაგან თავდასაცავად თუ სხვა რამისთვის...

მამილამ ხმათროღებულმა მომიგო:
— ზოგიერთს აღზათ ჰქონია ერთმანეთში

სამტროდ გვიპირდებოდა. უფრო სწორად, ჩვენს წინაშე სჭირდებოდათ. მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არ ვახლავთ. ჭერ ერთი, ასეთი მტრობა რომ უოფილიყო, კოშკს რანაირადღა ააშენებდა რომელიმე თემი, ვჯარი თუ სამო. ვანა ღაფაროა, ანდა სასიმიდვე წაღია, რომ ერთ ღაწვეში უტრმარად ჩააქრობ. კოშკის მშენებლობისათვის ოჯახები ათრჩებ ათეული წლებით ემზადდებოდნენ, მზადებაც არი და მზადებაც — დღეს რომ წოგი ფულს მოაქუჩებს და ერთ დღესაც დაიჭრება — მაწანებნა და სხვადასხვა ტექნიკას მოაყრის მშენებლობას, მუშებს დაიქირავენ ანდა სულაც საუფაბოვრებო კომპანია ჩაურცხავს ღირებულებას და თვითონ სამსახურსაც კი არ მოსცდება, ისე აუშენებენ საცხოვრისს, ეგრე კი არ იყო ძველად: მხოლოდ საკუთარი მოწადინებით, საკუთარი ძალით — როგორც მუშალებით, ასევე გამწვევი საშუალებებით უნდა შეხდებოდა ამოდენა საქმეს. ათი წელი უნდა მოგეპარაგებინა სამშენებლო ქვა და ბრეში, კირჭვა და მის გამოსაწვავად უმარავე შეშა, ზღობად ქერის უტყალი და კერცბი, ათი წლის თავადებელი მუშაობა წინ ეყო კოშკის მშენებლს. ახა, თუ კი ასეთი მტრული საშინაო ვითარება იქნებოდა, ვიღა ააშენებინებდა ამ გილათსა, ვიღა აცდიდა ამოდენა მოცულობის სამუშაოს შესრულებას; სხვა რომ არაფერი, ისეთ დაძაბულობაში როგორღა შეძლებდა ოჯახის დაპირებას და ზღარული საქმის მოვარებას... ზღარულ საქმეებს, კარგად იცით ეგ ამბავი, ზღარული ჭონებას სჭირია, მაშა...

— ისე დმერთმა გახვედოს, როგორც მართლსა ბრძანებ, — შეუქო ნათქვამი ედუკა, — შეე ზეტრქარ მსმენდა უფროსებისაგან, რამხელა ჭფა ადგა თურმე კოშკის მშენებელ ოჯახსა. ოღონდ მაშინ დადი ოჯახები უოფილან, ახლანდელ ზუთ-ექვს ოჯახს რომ ეყოფა, ამდენი წვერისაგან შეხდებოდა. თანაც დღაბატარიანად ყველა საქმობდა თურმე, დღეს რო სწავლაზე არიან მომდრეები, ვინც მართლა სწავლობს, ამათზე კი არას ვამბობ, აი წარმაც გფოებშივით რო იმზუნებენ გაკვეთილებსა და სინამდვილეში თავში არაფერი შეხდით, ვანა ამასთენი ცდებოდნენ უმარწილები იმეამად რომ...

— მერმე ისა თქვი, ეს კოშკები რომ ააშენეს, იმხანად თოფი არცა ჰქონათ, ბოლო დროს შეიძლება კაფიანა და ფილათა თოფებმა მოლსწროთ, მერე რა მტაცდებო ამითი? მაინც არაფერი. აი, სიტყვაზე ჩვენი დაქცეული კოშკი რომ წამოვყავნით, ცბონდეს მისი სული, ავძვერ, სიტყვაზე, იმ კოშკზე და სათოფროში ჩავსანგრად, ვიღას უნდა ვერსილო ჩემი მშეილდისარი და ვინდაც კაფიანა თოფი? ან ბერძენები უნდა გაფუფო, ჩემო ედუკ, შენ მართლა არ გგეგონოს, მაგას ისე ვამბობ თო-

რე... — ბოდიში მოუხადა მახიტა და დაიწყო ქაღს.

— რას ამბობ, შე კაცო, რომც დამიმიწრო, მაშინაც არ დავიჭერებ, რო გულში ბორბტება გაედებს, ეგღა მაქლია... — თითქოს ბუწა გააქშოაო, ზელი აიწინა ედუკმა, — თუცა შენ რომ იმ დაქცეულ კოშკს წამოაყენებ, მანამ არაფერი გეტყონოს, — ჩაიციანა მერე სახეგაბად-რულენა.

— ჰო, ნუ მოიბი ახლა კუდები შენებურად, რა ვთქვი, ქალო, ისეთი, რომ ამდენი მოაუოდე, რა იცი, იქნებ ვაშენებ და შეტბაც ვშვრები, ჰო, რა იცი, რომ...

— დმერთმა ქნას, მაგრამ ჭერ ამით უნდა გაყვეთ საქმეზე, და ის წამოწვებული საუბარიც უნდა ჩაუშთაგრო ბოლომდე; რაო, მერმე, აძვერი იმ დალოცვილზე და გამართე შენი თოფიარალი, მართლა უნდა ამოფუფო ქვეყანა თუ რა ვიპრობია, გააგებინე ამ ზაღს, ნუ იცი ბოლმე კაცის საგონებელში ჩაგდებია...

— რა მოსახსობი ენის პატრონი ზარ, იმას მაიწ გაუწიე, ქალო ვარაუდი, დღეს რო გუნებაზედ ვეცარა ვარ, ჰო და იმას ვამბობდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, — აძვერები ამ მურყავაშენ, ან ხერგანებს უნდა ვბუთქო თოფი, ან ჩემსავე სამშოს ვავუგზავნო მოციხევა, ან ჩვენი კარის ყველაზე საუვარტო მეზობლები, გოშილიანები უნდა დააკოტრილიაო; სხვა რა გჯნა, ვერც მშეილდ-ისარი და ვერც თოფის ფინდები ვერტს ვერ გაიბანს, ესე ეგი, უფრო შორს ვერ უწვდენს მიწაწმი. რაღა გამოვიდა, გავწვობტე მთლად ახლობლები და მარტოსული მერცხალივით შემოვტრია მურყავას ქონგურს, შემოვტრინი და გახარებული ვჭიკიკებ, ისე აუშენდათ გვერდები, ვსაც ასეთი სისულელისა მართლა სერბა... აგრე რო უოფილიყო, ახლა სულიერის ჰკავანება არ იქნებოდა ენგურისა და ცხუნისწყლის ბეობებში, სულ ამიზოყადნენ ადამიანები ერთმანეთსა, არა და ზაღსმარავლობა უოყველთვის იყო ჩვენს მხარეში და არის დღესაც, ის კი არა და, სხვა უფლებსაცაე ვკავარბებთ თურმე გამრავლების მხრივ...

ყველაფერი ეს, რაც ვთქვი, თუ არ არი საქმარისი, ერთსაც გეტყვით და ამით მოვრჩეთ კიდევაც ამაზე ლაპარაკს — ეგ კი მართალია, რომ კოშკების სიმრავლე და სათიბებისა და ტაყების სიუხვე გვიარის სძლიერებს ნიწნავდა. აი, ესენი ავიღოთ მაგალითად, — ედუკს გადუხედა მახიტამ და თან ზელი მხარზე დაადო თავის დობილს, — ყველაზე საუკეთესო ადგილ-მამოლები და ყველაზე მეტი კოშკები და ისევე ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი თავისი ცხუნე-კოშკითურთ, მაჩიბ-მყინბითურთ, სასაფლაო-აკლდამითურთ, საიდუმლო გვიარბებითურთ, დიდეგებიითურთ, ეკლესიითურთ მაკათ გვიარს ჰქონდა სვანეთში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ბატონები იყვნენ, არც არავის სმენია რომ ვი-ღაცეები დაეჩაგროთ, ჰქონდათ, მაგრამ სხვათა



თანხრად ცხოვრობდნენ თავისთვის მშვიდობიანად, გაჭირვებულადაც იყვნენ ხანდახან და დაღლინებულადაც... კოშკები რომ წიდა მტრობისთვის უფილიყო, მაშინ ქვეყნის მპყრობელების ტყვენი იქნებოდნენ, ასე უნდა გვეფიქროს ამ შეფთხვევაში... ჩვენს სენათში კი მპყრობელები აწვითადაც თუ შემოიხეტებულან. ან საადაწადა იქნებოდნენ, როცა ეს გოლიათები გასადრებულად ღმერთებისთვის მშვიდობის მწუედ და დატყვევდნენ და ღმერთის ბედობას, მითხარი, ვინ შეუძლებდავდა...

— არც მაგათი ადგილ-მამული ჩამოუვარდებოდა ბერისას, და არც მაგათი ციხე-კოშკები და საცხოვრებლები, აი, ერთი მათგანი — დიმიტრიანტული, ახლა რომ მივდივარ, მაგათი ვეარსა ვახლავთ, თითონ რომ არაფერს ამზობს თავის თავზე ვანა მართლა ისეა რომ... — ისარგებლა წამიერად ჩამოვარდნილი დღმითი იდუგება.

ბიძინა ხარბინანი:

ასე იყო ერთ მშვენიერ დღეს ვაჟაგო, რომ ძველთა დაცვის სამმართველოს დაღამში ფალიანების საცხოვრებელი სახლის კომპლექსის შეფენიდა და შეფერმონტებია კიდევ. მე რომ ის ვნახე, გაოცებული დავჩი. — არ დაამალოყოფდა შეყვითების ხარისხში — სხვა ყველაფერს რომ შევეფერა, სახურავის დამოკლება მაინც არ ვამიგია არსად — უვარი კედლის შუამდგოდა იყო მოყოლებული, მთელი წყობის წუალი კედლები უნდა ჩაეონილიყო. ორმოცდაათათა სამედი დასჭრომით მისი შეკეთება. მაშინ ვთქვი — ხარაქალა თქვენს შექმნას-მეთქი, არც ისე გაჭირვებულები უფილიხარო-მეთქი. მაგრამ კიდევ უფრო მომივიდა გული: თუ ფალიანების კომპლექსი შედიოდა მათი მფერველების სფეროში, ჩვენმა რადა დაწავა-მეთქი: ასეთი, კოტა არ იყოს, მოშინუნდა გარონბა დამეფულა იმ წუთში. მაგრამ ეს იყო კეთილმოშინუნული და არა ბოროტგანზრახვიანი გარონბა. მეც მიწიდა, რომ საქმე ადგილიდან დაშინდა ბოლოსდაბოლოს. მაშინ მომივიდა არაქალა — ამ დროზე და გაყოლებია ხარისხიანადაც საკუთარი ძალებით ჩვენ თვითონაც ზომ მშვენიერად შევაკეთებთ საკუთარ საცხოვრებელ-მეთქი. ასი ოქაბი ვართ მებრძოვი ბერგანებში. ვამოვიფან თითო კაცს ოქაბიდან და თუ კი სამშენებლო მასალები მქონა, სმ დღეში მოვიყვებ საქმენ-მეთქი. აქაურობას ხელ ეკლვისისავით მოვაკობტავებთ და ისე ჩავახარებთ მიმდებს კომისიას-მეთქი. მართლაც ჩავახარებდით, ბოლოსდაბოლოს, ჩვენს საქმეს ვკეთებდით და არა მტრისას, თანაც ამ საქმის ავანგარდში ყველანი მშვენიერად ვერკეთებდით, ინიერებნი, არა ვჭირებოდით, თორემ ვვარში ისინიც ხლომად გვყავდა, გულიანად მოვეკიდებოდით საქმეს და იმ სამმართველოს შერემონტებულზე ასევე ხარისხიან ჩამოშვევარს ჩავა-

ხარებდით აკადემიას, ოღონდ სტრუქტურული მასალები გამოეყო და ფონდირებულ-სტრუქტურული მნიშვნელობის და დამარბენი ჩვენ ვეცოდით; ამ წინადადებით მივადგი კიდევ ვეცოდით დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობას — თქვენ რომ ორმოცდაათ-სამოცდაათი ათასი უნდა დახარჯოთ შეკეთებაზე, მე ხელ მიიანამიანად, ათი ათასი მომიციოთ და იმაზე უფროებს ჩამოშვევარს ჩავგარებთ, თანაც უფროებს დროში-მეთქი. იქ უნდა ვეძლიებოთ ინტერვაქარი და წვიმა თავისას შერება. ორი ძირაც კი საკმარისია და სამი ძირის ხელში რა ზეირი და ადგილობა იმ უველიანგან ათვლისწუნებულ კომპლექს-მეთქი, — კიდევ შევაკოვებ თაუ. მაგრამ თორმე ჩემს წინადადებაში აყო რადაც ვამაღწიანებელი ნიუანსი და მე კი ეს თავის დროზე ვერ ვაეთვალისწინებ, კერძოდ კი ის, რომ ფალიანების საცხოვრების რემონტი მათი სამშენებლო-სარესტავრაციო უბნის ნაბედავი გახლდათ, ჩრდილოდ მათ ადგილობრივ და არა სხვა ვინმეს, ოქაბა მე რავე კრიტიკული შენიშვნა სულაც არ გამომოქვამს შეკეთების ხარისხის გამო, უხარლად ვთქვი, რომ იმაზე უფიეთხად შერემონტებულმა და ადგილილს ჩავახარებთ-მეთქი. უფიეთხად უფიეთისი რამ გამოვლა, კაცო, ამ ქვეყანაზე, არა მარტო უარსზე ზომ არ უნდა ვთქვიროთ, მაგრამ ეს ნიუანსი მაინც ვამიარა და, ბუნებრივია, ამის გამო და ათასი კიდევ სხვა რამის გამო, ჩვენმა ამ ვიზიტმა იმერადაც სასურველი შედეგი არ გამოიღო...

პატრონი:

ბიძინას ნათქვამზე იქნება ღირდებს დაფიქრება: — სახლის მატრონი ბუნებრივია, რომ უფიეთ იყოს, სად რა აქვს ჩამონგრეული, რა უფიარბ და უღმინს მის საცხოვრების, დროც აქვს და სურვილიც ადგილზე მუშაობისა. სამონავაროდ ჩრდილო კავკასიაში გადაუხველდა ოქაბს აქვე, ადგილზევე გამოადგება. სეჩიეთის პირობებში, როცა ადგილობრივი მუშაების საწარმო-დაწესებულებებსა და მშენებლობებზე დანადგება არ ზერბდება, რამოდენა შედავათია არსებობის წყარო შენვე, საკუთარ სახელში რომ გამოვიჩინდება, ჩაბარე ოქაბის უფროსს ვასეკეთებელი და დაიქმულ ფროს მაკობზე. მე უნდა გეტყუოთ და პირობას არ შეასრულებს, სიტყვას გატეხავს თუ არა... რეგორც თავის საკუთარ მინს, ისე გეფლიანდ ვაკეთებს ვასეკეთებელს. ამ კოშკებისა და მარბების ოსტატთა შოამომავალს ეც არ გაუქარდება. მარტო სამშენებლო მასალებით მოამარაგონ, ისიც, მართლად, ცემენტითა და არმატურით სხვას თვითონ იზონებს, უფრო სწორად, მოიტანს. ახლაც ზომ თვითონ მშენებელს მოაქვს ტუიდან ზის მასალა — თვითონ ქარს, ეზიდება, ზერბავს, სამშენებლო-სარესტავრაციო უბანი მხოლოდდა ნებართვის აძლევს. ქვაბი და ღამსაც

საქართველო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

თავიან ეზიდება რივიდან. ძველთა დაცვის სამმართველოც განიტყვებდა საქმეებისაგან და შოწლავებულთ ფუნქციებისათვის უკეთ მოიყვან. უველა მოიგებს, ადგილობრივი მოსახლეობა. სამმართველოც და საქმეც... მას, იქნებ ღირდეს ამ ექსპერიმენტის განხორციელება? უბრალო საქმე რაღაა — მთელ სიბრტეზე გასაზარაფი თანხის ნახევარი დაიზოგება.

არის სხვა ასექტებიც, რომლებიც ასევე მოსახლეობისა და სპეციალისტების უკმაყოფილებას იწვევენ და ამასი კვლავ ძველთა დაცვის სამმართველოს ადამაზუღებენ. ამ ბოლო დროს სვანეთში გაჩნდა ერთი ახალი ტურმინი — „ქუჩა კოშკები“. აქამდე კოშკი ასეთი მსახურულია არა გვეხედებოდა სვანურ მებრძვებელთა. ქუჩა შეიძლება ყოფილიყო უველაფერი — ადამიანი, მცენარე, და სხვა, მაგრამ კოშკის ქუჩათა მართლაც რომ არავის სწენიდა. ეს ტურმინი ახლა გაჩნდა, რაც სამმართველომ დანერგული კოშკების მშენებლობას მიხეო ზეული. ხალხს რატომღაც თავისთავად გაურჩნდა იქყო, რომ ეს აღდგენილი, ხელახლა აშენებული კოშკები მოსალოდნელზე დაბლები იყო. გოშოელიანების კოშკს რომ სიმაღლეში აკლავ, ამის თაბაზე მერცე აზრი არ შეიძლება არსებობდესო. აცხადებდნენ ისინი და მათ ნათქვამს ჩაიონის აქტივეტორის განყოფილების ზოგადი წარმომადგენელი უჭერდა მხარს. ასეთივე აზრი გაჩნდა წმინდა ვიორგის ეკლესიის ეზოში რესტავირებულ კოშკზეც. აქამდე რომ სახანძრო საფრეგოდ იყო გამოყენებული, სინამდვილეში არავის ვაუზომავს ეს კოშკები, უბრალოდ თვალში ებატარავებოდა ხალხს ისინი. მართლაცდა კოშკების საფუძოლი დაბადებულისა და ვაზრდილი ადამიანისათვის ქნელი არ არის შეამჩნიოს მცარეოდენი გადახრაც კი ტრადიციული პროპორციებიდან, ანდე და ვუშანი მას ამ შემთხვევაში აწვითად თუ უღალატებს. კოშკებს თავისი მკაყანო დადგენილი და ჩამოყალიბებული განზომილებანი და მოცულობითი ფარდობითობანი გაჩნდათ, რაც მებრძვებსა და სანტამებრძვებში ვადეყანით ღოგირტ მათემატიკურ სურათს იძლევა. გოშოელიანების კოშკში კი ეს წინაგანს საფუძველი მართლაც საეჭვოდ გამოყოფრება... ამბობდა ხალხი — ხრიკზე აღმოცენებული მუხის ბაჟილოსავით დაგაქრული და ჩაფსკენილი, ნაერძილი სოფლის — ღანჩავლის სხვა ტანწერწერა და აუბი აჭრილი კოშკების ფონზე არაბუნებრივად გამოყოფრება, თითქოს აქ სხვა ტიპის კოშკთან და აქტივეტორულ ქმნილებასთან ვკონდებს საქმეო...

ეს არ არის უბრალო ამბავი. თუ ვაშენებთ, წულდა დავუშნოებოთ — გაიძაბოდნენ ისინი და ეს ნათქვამი მხოლოდ სიმაღლეს კი არ შეეხებოდა, არამდე კოშკის ვარგველ მხარესაც. რესტავრაციის ვუღისხმობის მაშასგავსებას — ვარგველური ფორმის შენარჩუნებას, ამიტომაც არის მურყ-

ვანების აღდგენით სამუშაოებზე გადგმული ანაზღაურება დაშვებული. ძირი და მინაწერიცა და მიწასავით არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ძველისა და ახლის მარმონიულ შეარწყმას. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ფასი ჩვენს მცდელობას...

მიხეილ ჩატოილანი:

„რამ თქმა უნდა, ერთნეული და პლიტიკური კრიზისის ეპოქის ზუსტი ქრონოლოგიური განსაზღვრა შეუძლებელია. რაკი ძველში ქართული ქრისტიანული წილობარცების მტობის შესახებ საუბარი, მნიშვნელობა ენიჭება საკითხს ახ. წ. 780 წლამდეა ძველი შექმნილი, თუ ახ. წ. 780 წლის შემდგომ“ (უფრო „მნათობს“, № 11). ამგვარად, ჩემი ფრთხილი ვარაუდით, „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მე-10 საუკუნეში კი არ უნდა შექმნილიყო. არამედ გაცილებით ადრე. კერძოდ მე-9 საუკუნის დასასრულს ან მე-11 საუკუნის დამდეგს.

ჩემი ასეთი თვალსაზრისი ვარაუდის სახით გამოთქვა იმის გამო, რომ ჭრუჭრობა, ცალკე აღებული თხზულება არ იძლევა დათარიღების რაიმე მუარ საფუძველს. გარდა ამისა, სხვათაგან უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურაში კარგად ცნობილია კონკრეტული კვლევისა და პავლე ივგორიყვას თვალსაზრისი ამ საკითხზე.

კერძოდ კ. კველიძეს მიანიხა, რომ „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მე-10 საუკუნის ქართული მოღვაწის იოანე-ზოსიმე სახაწმიდე-სინელის თხზულებაა. მეცნიერი წერს:

„იოანეს ორიგინალურ ნაწარმოებებში გამოსკვივის ცხოველი პატრიოტული გრძობა... ამ მხრივ, პირველ უკვლისა, უნდა დავახებლო „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“... ეს „ქებაჲ“ რომ იოანეს ეუფლებო, ამის დამადასტურებელია. სხვათა შორის, ქართულ-ბერძნული წილობარცების შედარება, მათ შორის არსებული განსხვავების აღნიშნით (ციფრა 12, ნაცვლად 10-ისა, არის შექანიერად ვადმოტანილი დაბოლოება პანოდორეს 5412-წლიანი სისტემისა). რომლითაც ახე დაინტერესებული იყო სწორედ იოანე“!

მაგრამ, კ. კველიძე თავის მტყიცების იქვე თავისივე ნათქვამით აქარწულებს: მეცნიერი წერს:

„არ შევიძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ისიც, რომ იოანე არ უფილია მიანცდამარც ღრმად მცოდნე მისგან შექმნილი ქართული ენისა: კლასიკური ნორმები ძველი ქართული ენისა მის მიერ ვადაწერად ძეგლებში საგაოდ შერყვნილია. ტექსტი სავსეა სხვადასხვაგვარი ეულგარიზებით და სიტყვები სწორად დამახინჯებულია. უკანასკნელი შეიძლება მისი თვლების სისუსტითაც აიხსნებოდეს. აღბათ, ვადაწერას ის კარგად ვერ არჩევა ტექსტს და ერთი სიტყვის ან ასოს მავიერ შეოტესა წერდა“.

რაკი კონკრეტული კვლევის თქმით, იოანე-ზოსიმე მიანცდამარც ღრმად მცოდნე ქართუ

საქართველო
საბჭოთავი
კავშირები

ღი ენისა არა უყოფილა, შკითხველი უთუოდ იფიქრებს — როგორღა შექმნა ასეთმა პიროვნებამ ესოდენ ბრწყინვალე თხზულება უდაბნოებზე კართულ ენაზე?

თუ იმასვე დავამტკიცებთ, რომ თხზულებაში უბრალო შეცდომებია დაშვებული, ცხადია უნდა ვიფიქროთ, რომ „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ მხოლოდ გადაწერილია. მხოლოდ გადაწერისას არის მოხალოდნელი ასეთი შეცდომები. (ამ შეცდომების შესახებ კვეთით გვეყენება საუბარი). მოთუშეტებს იოანე-ზოსიმე თავის ანდერძ-მინაწერებში განუწყვეტლივ უჩივის ავადმყოფობასა და სიბრძავეს:

„ღელად ხაშმან და ბრმამან და უღონმან დაეჩხრიცე ენე; დაეჩხრიცე ხელითა ჩემითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისათა დღელად ხაშმან და ბრმამან მრავლითა კირითა“ და სხვ. ითვალისწინებდა რა უფელა ამ გარემოებას, პავლე ინგოროყვა ჭერ თავის გამოკვლევაში „ვიორგი მერჩულდი“. ზოლო შედეგ თხზულებათა მე-3 ტომში წერდა:

„ვიან არის ავტორი ამ ძეგლისა? გამოთქმული იყო მოსაზრება (ავად. კ. კველიძის მიერ), რომ ავტორი უნდა იყვეს იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი.

მაგრამ ეს მოსაზრება არ მართლდება. იოანე-ზოსიმე არის მხოლოდ გადაწერილი ამ ძეგლისა ანუ არა ავტორი. თვით იოანე-ზოსიმე არხად, არცერთ ხელნაწერში არ ასახელებს თავის თავს ავტორად. ზოლო ერთ ხელნაწერში იგი პირდაპირ მოიხსენებს თავისთავს მხოლოდ როგორც გადაწერელს“.

„რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, არამედ მხოლოდ გადაწერილი, ამას სრული უექველობით ადასტურებს ორი გარემოება:

1. იოანე-ზოსიმეს გადაწერილ ხელნაწერებში ტექსტი ამ ძეგლისა ადგილ-ადგილ დაზიანებულია არაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს ძეგლი არა ერთჯერ გადაწერილა და მას დაზიანება განუცლია, ვიდრე იგი იოანე-ზოსიმეს ხელში მოხვდებოდა. აზრის ისეთი დამამახინჯებელი შეცდომები, რომელსაც ჩვენ ვხვდებით იოანე-ზოსიმეს გადაწერილ ხელნაწერებში, თითო ავტორს, რასაც ვერცხვითა, არას შემოხვევაში არ მოუციდოდა... ამრიგად სავსებით აშკარაა, რომ იოანე-ზოსიმეს ხელთა მქონდა ამ ძეგლის ისეთი დედანი, სადაც ტექსტი მნიშვნელოვნად დაზიანებული უყოფილა.

2. მეორე გარემოება, რომლის მიხედვითაც უდავოდ დასტურდება, რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, არის შემდეგი. როგორც ცნობილია, ძველ-ქართული წელთაღრიცხვა განსხვავდებოდა დასავლეთში მიღებული წელთაღრიცხვისაგან სახელდობრ ქართული წელთაღრიცხვაა წინ უსწრებს ბიზანტიურ წელთაღრიცხვას 88 წლით, აღქსლანდრულ წელთაღრიცხვას 104 წლით, იერუსალიმურ

(პანოდოროსულ) წელთაღრიცხვას 112 წლით, იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელს, რომელიც ცნობილია, ცუთუნის ვრცელი რედაქცია ძველ-ქართული ქრონოლოგიურ-საკანონდარო ტრაქტატისა: „ცნობისათვის და უწყობისათვის კეწმართად, რომელი მოკუთებრა ჩვენს მოძღურათა მიერ განსაზღვრებული, გამოძიებისათვის ეამთა და წელთა“.

„იოანე-ზოსიმე ამ ტრაქტატში, რომელიც ავტორგრაფულ ხელნაწერშია დაცული, ეხება რა იმ სხვაობას, რომელიც არსებობდა ძველ-ქართულ წელთაღრიცხვასა და დასავლურ ქართულ იერუსალიმურ წელთაღრიცხვას შორის, იმ აზრს გამოსიქვამს, რომ სწორია იერუსალიმური წელთაღრიცხვა, ზოლო ქართული, რომელიც 112 წლით წინ უსწრებს იერუსალიმურ წელთაღრიცხვას, შეცდომას წარმოადგენს. იოანე-ზოსიმე წერს:

„ას და ამორმეტითა წლითა წინათ თუალ-ვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებისა ვისისაგანმე მოკუთუნებთა“.

„სულ სხვა აზრისა ამ საგანზე ავტორი ჩვენი ძეგლისა „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“, ავტორი ამ ძეგლისა ქართული წელთაღრიცხვის მეტობას მოიჩნევს პროვიდენციულად მოკლენად; იგი მის მიტიურ განმარტებას აძლევს, რომ ამ მეტობის მიხედვითაც მტკიცდება ქართულის უპირატესობა სხვათა ენათა წინაშე“.

ამრიგად, ჩვენი ძეგლის ავტორი და იოანე-ზოსიმე ქართული წელთაღრიცხვის მეტობის შესახებ დამეტრულად საწინააღმდეგო აზრისა არიან.

ასეთია უდავო ფაქტები, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ იოანე-ზოსიმე არაა ავტორი ამ ძეგლისა „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“, იგი არის მხოლოდ გადაწერილი“.

ამრიგად, 3. ინგოროყვას მტკიცება, რომ „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ იოანე-ზოსიმეს თქმული არ არის, საკმაოდ სარწმუნოა. მე საესებოთ ვიზიარებ პავლე ინგოროყვას ამ თვალსაზრისს.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გასარკვევია როდის და ვის მიერ შეიქმნა „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“? 3. ინგოროყვა წერს:

„ეს ძეგლი გამოსულია ვიორგი მერჩულის სალიტერატურო სკოლიდან. არაა გამოიცხუთლი ისიც, რომ ავტორი იქონს თვით ვიორგი მერჩულდი“.

„ძეგლში „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ ჩვენ ვაუქვს სტროფული ალიტერაცია. სახელდობრ აქ ვაუქვს თავები მარცხენადი ალიტერაცია, აგებული მარცხალზე „და“.

„თავები ალიტერაცია X საუტუნის ქართულ მწერლობაში ცნობილია სახელწოდებით „მერჩულთაღრიცხვა“, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ამ ფორმის დამამკოდრებელი ქართულ მწერლობაში ვიორგი მერჩულე უყოფილა.

ამრიგად „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ ამ ნიშ-

წოდების, თავადი ალიტერაციის ფორმის მიხედვით, ეუთუნის ან ვითი გიორგი შერჩულეს, ან გიორგი შერჩულის სკოლის მწერალს, რომელსაც გამოუყენებია „შერჩულიელი“ ფორმა თავადი ალიტერაციისა“¹

რაც გიორგი შერჩულე X საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია, ამიტომ „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“, ა. ინგოროვას აზრით, X საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლია, სულერთია ეუთუნის იგი გიორგი შერჩულეს თუ არა.

შეკვარად, 1978 წლისათვის „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ X საუკუნით თარიღდებოდა: კ. კეკელიძის თვალსაზრისით X ს. მე-2 ნახევარი, ხოლო პ. ინგოროვას თვალსაზრისით X ს. პირველი ნახევრით. მაგრამ, როგორც გამოიკვია, იოანე-ზოსიმე არ უნდა იყოს ავტორი ამ თხზულების; რაც შეეხება თავადი ალიტერაციის „შერჩულიელ“ ფორმას, იგი საგლობელთა სპეციფიკად შეიძლება ჩაითვალოს და ამიტომ „ქებაჲ“ არადრე შეუთავა.

იმის თქმა მიწადა, რომ არცერთი ეს არგუმენტი არ გამოადგება იმისთვის, რომ თხზულება „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ X საუკუნით დათარიღდეს, მიუხედავად იმისა, საუკველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, თხზულება იოანე-ზოსიმეს ეუთუნის და X საუკუნის ლიტერატურული ძეგლია.

ერძოდ, ეს ვითარება ახაზულია კართული სკოლის თხზომებ-ტიმუელში (ტომი 1, ძველი კართული პოეზია, 1978 წ. შეადგინა საჩაგის ცაიშვალმა) ან ტომის დარბოული აქვს ავტორთა და ნაწარმოებთა ცნობარი, სადაც საჩაგის ცაიშვილი წერს:

„ქებაჲ და დიდებამა კართულისა ენისაჲ“ ეროვნული თვითშეგნებისა და აღზევების გამოხმატველი ძეგლია. პავლე ინგოროვას მის ავტორად მიიჩნევა გიორგი შერჩულეს ან მისივე სკოლის რომელიმე პოეტს (იხ. ტ. 111, გვ. 213-215). კორნელი კეკელიძე კი ტრადიციისამებრ იოანე-ზოსიმეს და შერჩულებითა ბელნი-წერათა ჩვენებებს (მომხ. მოთავსებულთა იოანე-ზოსიმეს ეუთუნად ბელნიწერებში). აგრეთვე ძეგლს მოხსენებულ კაროსიციანებს, რომლებითაც, როგორც ცნობილია, საერთოდ დაინტერესებული იყო იოანე-ზოსიმე“ (კართული პოეზია ტ. 1 გვ. 308).

ახელი ვითარება იყო ძეგლის დათარიღების საქაობში 1974 წლიდან, მაგრამ 1976 წელს ვითარება შეიცვალა ამ წელს გამოქვეყნდა პავლე ინგოროვას თხზულებათა 11 ტომი ამ ტომში პავლე ინგოროვამ გამოიკვია ახალი თვალსაზრისი პოეტის შემქმნის თარიღის შესახებ. იქმს ნაშრომში „კართული წარბართული კალენდარი“, რომელიც 1976 და 1978 წლებში გამოქვეყნდა, პავლე ინგოროვას ახალი თვალსაზრისი ძეგლის დათარიღების შესახებ, რა თქმა უნდა, ვერ აისახებოდა, იგუჯე უნდა ითქვას საჩაგის ცაიშვილის ნაშრომის შესახებ.

თუმცა „კართული პოეზიის“ უწყველ დაიხედა, იგი, როგორც ჩანს, მომზადდა გაიცემით ადრე, პავლე ინგოროვას ახალი თვალსაზრისის გამოქვეყნებამდე.

პავლე ინგოროვას, როგორც ცნობილია, ძველი კართული მწერლობის უდიდესი სპეციალისტია, ამიტომ მსკოვანი მეცნიერის ახალი თვალსაზრისი უფოდ ეურადსაღებია ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გავიხსენოთ პავლე ინგოროვას ადრინდელი თვალსაზრისი „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“ შესახებ, რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალში 1988 წელს თავის ნაშრომში „კართული მწერლობის ისტორიის მიყვლე მიმოხილვა“ (ნაშრომი დაიბედა ეურნალ „მნათობის“ 1988 წლის 1, 2, 3, 8, 10-11 ნომერებში), მიუხედავად, როგორც ჩანს, შემდგომი კვლევის საფუძველზე პავლე ინგოროვას ყველა დაუბრუნდა თავის ადრინდელ შეხედულებას კერძოდ 1988 წელს მეცნიერი წერდა:

„ძველი კართული სახულიერო პოეზიის შეყვადრებობაში არის ერთი ძეგლი, რომელსაც ეწოდება „ქებაჲ კართულისა ენისაჲ“... თხზულება შეიცავს კართული ენის ზოტბას, აქ მოცემულია მესიანისტური შეხედულებანი კართული ენის მაღალი დონეზე შეხედულების შესახებ კართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამახრებულია „უოველი საიდუმლო“, და რომელსაც, პოეტის რწმენით, ეუთუნის განსაუკურებელი როლი მსოფლიო ენათა შორის.“

ახსანიშნავია ამასთან, რომ თხზულება მიუხედავად მესიანისტური იმედებისა, აღბეჭდილია ეგნობიზმით კართული ენის თანამედროვე მდგომარეობის გამო ავტორი კართულ ენას მიიჩნევადა ღმრთობის ადარებ, შემხარებით არის მოცული კართული ენის დამდაბლების გამო, თუმცა ღრმად სწამს კართული ენის სიდიადე, მისი მომავალი და მაღალი მოწოდება.

თხზულება, როგორც იჩვენება, დაწერილია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ჟურნალში არ იყო შენეებულთა არაბთა მფლობელობის ეპოქა-სიავის ხანა.

ავტორი ნაწარმოებისა უცნობია, ზოგიერთი ჩვენებთაა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი საბაწმიდელი მოღვაწე უფოილა, საბაწმიდაჲ კართული კოლონიიდან უძველესი დედათი თხზულებების ჩვენ დრომდე მოღწეული, საბაწმიდაში არის გადაწერილი“ (ეურნალ „მნათობი“, 1938 წ. № 11) ახლა მოცემსიბიო რას წერს პავლე ინგოროვას ამავე საქაობზე 1976 წელს ე. ი. მ. წელს შეადგომს:

„გადადრეობა განხილავთ ძველი კართული პოეზიის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლისა, რომელიც მე-9 საუკუნის დასაწყისს ეუთუნის და რომელსაც ეწოდება „ქებაჲ და დიდებამა კართულისა ენისაჲ“.

„თხზულება, როგორც იჩვენება, დაწერილია

იზ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შენ-
ღებული არაბთა მფლობელობის პარველი პე-
რიოდის ეპოქა სიკვდილის ხანა.

რა დროს ეკუთვნის ეს ძეგლი, ვინ არის ავ-
ტორი, სად დაიწერა იგი?

სხვადასხვა წუთარობის ჩვენებითა შეფარდებ-
ნიდან დასტურდება, რომ ავტორი ამ ძეგლისა
საბაწმინდელო მოღვაწე იყო საბაწმინდის ქართუ-
ლი სავანისა, რომელიც ქართული მწერლო-
ბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი
იყო.

ჩვენ დროზე მოღვაწე უძველესი პირი
თხზულებისა საბაწმინდაში არის გადაწერილი
1882 წელს ცნობილი ქართველი პანოპტიკოსის
და მეცნიერის ივანე-ზოსიმე საბაწმინდელის
მიერ... ამას გარდა, ჩვენ აღმოვაჩინეთ მთელი
სერია ავტოგრაფებისა, რომელიც იმავე საბა-
წმინდელო მოღვაწის ივანე-ზოსიმე საბაწმინდე-
ლის მიერ არის გადაწერილი. მათ შორის არის
დაწერილებითი სარჩევი ერთი ზელნაწერისა,
რომელშიაც შეტანილი უყოფილა 23 სხვადასხვა
თხზულება. ამ 23 თხზულებიდან უკანასკნელი
საბა თხზულება ერთ მთლიან ქვეყნის წარმოად-
გენს და ატარებს ასეთ სახელწოდებას:
ა) ქებას საბაისი და საბაწმინდელოა, ბ) და ქა-
რთულია და გ) ქართულისა ენისა.

ეს ჩვენ გვაქვს მტკიცე დასაბუთდენს ზუს-
ტად დედადგინონ თარიღები, ავტორთა ვინაო-
ბა, ტექსტებისა და ავტორების სხვა საკითხე-
ბი.

უველა ეს ტექსტები — 1. „ქებას საბაისი
და საბაწმინდელოა“ (საბაწმინდელო მოღვაწეთა),
2. „ქებას ქართველოა“ (ქართველ მოღვაწეთა),
თ. და 3. „ქებას ქართულისა ენისა“ და რ-
თული ჰქონია დამატების სახით უძველეს ქარ-
თულ პოემას, რომელსაც ეწოდება „აბუყუ-
რა“.

„ძველი ქართული პოეზიის ეს დიდად მნიშ-
ვნელოვანი ძეგლი „აბუყურა“, როგორც დღე-
ვინდო გვაქვს, დაწერილია ქართველ პოეტის
მიერ საბაწმინდაში, რომელსაც დასავლეთ საქა-
რთველოდან (აფხაზეთიდან) უყოფილა წარმო-
შობით და რომელსაც ამის გამო ვწოდებთ
აფხაზი (ქართველი) მგოსანი საბაწმინდელო
პოემის რედაქტიორად ზუსტად ირევანა თარი-
ლი. — პოემა დაწერილია მე-9 საუკუნის პირ-
ველ მეოთხედში.

საბაწმინდელო ქართველ მგოსანს, „აბუყუ-
რას“ ავტორს, საჭიროდ დაუნახავს თავისი
პოემისათვის ბოლოში, დამატების სახით,
დოქტორი სამი ნაწარმოები:

1. ქართველი დამატება არის „ქებას საბაისი
და საბაწმინდელოა“ (საბაწმინდელო მოღვაწე-
თა), რომლის ავტორია არაბულ ტანზე მწერალი
სირიელი ბასილი საბაწმინდელო, ცნობილი მო-
ღვაწე წინამძღვარი საბაწმინდის სავანისა მე-8
საუკუნის ბოლოს და მე-9 საუკუნის პირველ
მეოთხედში. ბასილ საბაწმინდელის ეს თხზულე-

ბა ქართველ მგოსანს — „აბუყურა“ — უთარგმნია ქართულად, კლასიკური ქართული
რითმით გაწვობილი ლექსით.

2-3. მეორე და მესამე დამატებები უყოფილა
„ქებას ქართველოა“ (ქართველ მოღვაწეთა)
და ქებას და დიდებას ქართულისა ენისაა.
ამიტან „ქებას ქართველოა ქართველობით
აღმოჩენილი არაა, ზოლო „ქებას და დი-
დებას ქართულისა ენისაა“ დაწერილია არა
კლასიკური ქართული რითმისა ლექსით, არა-
შედეგითი „წუობილი სიტყვით“. ეს მეორე
და მესამე დამატება, რომელაც ბუნებრივად
ავსებდა პოემის მიერ მოხალულ წრებს, რო-
გორც ირევანა შეუხარულებია „აბუყურა“-ს
ავტორის თანამედროვე საბაწმინდელო მოღვაწე
მწერალს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამათან, რომ მეორე
და მესამე დამატება, გარდა იმისა, რომ ბუნებ-
რივად ავსებენ პოემის მიერ მოხალულ წრებს,
პოემა „აბუყურა“ და მისი დამატება „ქებას
და დიდებას ქართულისა ენისაა“ ხვდებიან
ერთმანეთს საერთო იდეური მიზანდასახულ-
ობით, მაღალი პატრიოტული მრწამსით.⁷

ასეთია პავლე ინგოროვას საბოლოო თავ-
საზრისი. სულ ამდამან პირად საუბარში მძეო-
ვანმა მეცნიერმა გამოიტყვა ღრმა რწმენა იმისა,
რომ „ქებას ქართულისა ენისაა“ უხათოდ
მე-9 საუკუნის დამდგენს ძეგლია და სხვა აზ-
რი აღარ შეიძლება არსებობდესო“.

მე მინანიცა, რომ პავლე ინგოროვას მტკი-
ცება იმისა, რომ „ქებას ქართულისა ენისაა“
მე-9 საუკუნის დასაწყისის თხზულებაა, მეც-
ნიერულად დასაბუთებულა და საფუძვლიანი
მტკიცება და პირიქით მტკიცება იმისა, რომ
თხზულება მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის
ძეგლია, მოუღებულა ურველგვარ საფუძველს.
მართლაც, როგორც ჩანს „ქების“ ვნარის ძეგ-
ლები: „ქებას საბაისი და საბაწმინდისაა“,
„ქებას ქართველოა“ და „ქებას ქართულისა
ენისაა“ ერთი ციკლის ლიტერატურული ძეგ-
ლებია. ერთ დროს მე-9 საუკუნის დამდგენს
და ერთ საბაწმინდელო ლიტერატურულ სკოლას
ეკუთვნიან.

ამგვარად, პავლე ინგოროვას მეცნიერული
კვლევის შედეგად, თხზულების „ქებას ქართ-
ლისა ენისაა“-ს დათარიღების საკითხი გარკვე-
ულია.

თხზულების სახელწოდების შესახებ: მე-10
საუკუნის ზელნაწერებში თხზულებას სახ-
ვლის ეწოდება „ქებას ქართულისა ენი-
საა“. ერთგვს „შესხმა ქართულისა ენისაა“
(„შესხმა“) იმავე ნიშნავს ასაკი „ქებას“.
მხოლოდ ერთხელ თხზულება შემოკლებულად
იწოდება — „ქართულისა ენისათვის“ და მხო-
ლოდ ერთხელ თხზულების სათაფრი გავრცე-
ბილია — „ქებას და დიდებას ქართულისა
ენისაა“. ამიტომ უმჯობესია თხზულების სახე-
ლწოდებად მივიჩნიოთ „ქებას ქართულისა

ენისაჲ“, მიომეტეს „ქებაჲ“-ს ენარის სხვა თხზულებებიც მსგავსად იწოდებიან: „ქებაჲ ქართველთაჲ“. „ქებაჲ საბაასი და საბაწმინდისაჲ, ქებაჲ კლარქეთისა უდაბნოთაჲ“, „ქებაჲ წმიდისა აბოასი“ და სხვა.

ახლა თხზულების ტექსტის გამო: ჩვენამდე მოაღწია თხზულების ოთხმა პირმა. ოთხივე პირი სხვადასხვა დროს გადაუწერია X საუკუნის ქართველ მოღვაწეს იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელს უძველესი პირი 982 წელსა; გადაწერა ილი. ხოლო დანარჩენი სამი 979; 981 და 981-982 წლებში როგორც უკვე ითქვა, იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ თხზულების პირებში უხეში შეცდომებია. მაგრამ იქნებ იოანე-ზოსიმე არაფერ შუაშია და მას თხზულების ისეთი პირი ჰქონდა ხელთ, სადაც უკვე და ეს შეცდომები უკვე არსებობდა.

პავლე ინგოროყვამ თხზულების მეცნიერთლად დაწესებული ტექსტი პირველად 1824 წელს გამოაქვეყნა (ტურან „კავკასიონი“ № 1-2 გვ 269-270). თხზულების ეს პირველი მეცნიერთლი რედაქცია სოლომონ ყუბანეიშვილმა მის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომთია“-ში შეიტანა (თბილისი, 1848 წ. გვ. 418).

1904 წელს პავლე ინგოროყვამ „ქებაჲ“-ს მეორე მეცნიერთლი რედაქცია გამოაქვეყნა („გეორგი მერაბული“, გვ. 748-754) ეს უკანასკნელი სარგის ცაიშვილმა ძველი ქართული პოეზიის კრებულში შეიტანა („ქართული პოეზია“, ტომი I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. თბილისი 1929 წ. გვ. 72-78).

განსაყოფრებით მნიშვნელთანია თხზულების ეს მეორე რედაქცია. ამ რედაქციაში დადგენილია თხზულების სტროფული და რიტმული სტრუქტურა. ამდენად, თხზულება ჩვეულებრივი პროზული ნაწარმოები კი არ არის, არამედ დაწერილია ე. წ. „წყობილი სიტყვის“ ფორმით. სტროფების ფორმია მრჩობლდები ორტაქტიანი ოთხკვითი. ე. ი. უკველი ტაქტი რიტმულად ორად იკეთება. თხზულება სულ 16 სტროფია, ხოლო უკველი სტროფი ოთხი ტაქტიანი ანუ ოთხად კვეთილი ორი ტაქტი. თხზულების ინგოროყვასული მეორე რედაქცია ასე იკეთება:

ქებაჲ ქართულისა ენისაჲ
1. დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა მებაისა
საწამებელად.

რათა უკველსა ენასა
ღმერთმან ამბილოს ამით ენითა.

2. და ესე ენაჲ
მანარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე მრქვან.

3. და ახალმან ნინო მოაქცია
და ზეღენე დედოფალმან.

ეს არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართამ.

4. და მეგობრობაჲ
ამისთვის თქუა (მანარებელმან),
რამეთუ უკველი საიდუმლოა
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

5. და ოთხისა დღისა მეუღარი
ამისთვის თქუა დაყოთ
წინასწარმეტყუელმან,
რამეთუ „ათასი წელი —
ვითარცა ერთი დღეა“.

6. და სახარებასა შინა ქართულსა ხოლო,
თავსა მათებსა,
წილი ზის, რომელ ასოა არს,
და იტყვს უკველად
ოთხ ათასსა მარჯასა. —

7. და ესე არს ოთხი დღეა,
და ოთხისა დღისა მეუღარი,
ამითუ მისთანად დაქუდილი
სიყუდილითა ნათლისღებისა
მისისადათ.

8. და ესე ენაჲ
შეწყული და კურთხეული სახელითა
უფლისადათ,
მდაბალი და დაწუნებული
მოელის დღესა მას მეორედ
მოსლვისა უფლისასა.

9. და სასწაულად ესე აქუს:
ას-ოთხი წელია
უშეტრას სხუთა ენათა
ქრისტეას მოსლვითგან ვიდრე
დღესამომდე

10. და ესე უკველი, რომელი წეროლ არს,
მორწამედ წარმოგიტარა
ას-ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისა

ამგვარად, პავლე ინგოროყვას მეცნიერთლი კვეციის შედგეად დადგენილია თხზულების სტროფულ-ტაქტიკური სტრუქტურა ამასთან ერთად, მეორე რედაქციაში პავლე ინგოროყვამ თვების ტექსტოლოგიური საბოლოო სიტყვაც თქვა.

მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, თხზულების ტექსტი შეიძლება კიდევ უფრო დაწესტდეს! ქვემოთ შევეცდები სათითაოდ განვიხილო თხზულების უკველი სტროფი და ჩემი თვალსაზრისი გამოთქვა ამოთქმ სიტყვისა თუ წყაობვის სახარებლოად.

თხზულების პირველი სტროფი იოანე-ზოსიმესეულ ბილწაწერ პირებში ასე იკეთება: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რათა უკველსა ენასა ღმერთმან ანბილოს ამით ენითა“.

სტროფში სიტყვას „მისისა“ პ. ინგოროყვა ასწობებს: „მესისისა“. პ. ინგოროყვას ეს კორექტივი აკადემიკოსმა არ გაიზარა, მეცნიერი წერს:



„მართალია, „მინისა“ გულისხმობს მენიას, მაგრამ შეცვლა მაინც არ ეგებოდა... ეს კონიექტურა პარწმინდად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაკი სიტყვების შეცვლა აზრს არ ცვლის. რაივე — „მინისა“-ც და „შენისა“-ც კრისტებს მიანიშნებს“.⁸

შე მგონია, „მინისა“ გაუგებრობას ჰქმნის და ზუსტად არ შეიძლება ვიცოდეთ კრისტე ივლიანსზეა ამ სიტყვაში, თუ თავად ქართული ენა. ამიტომ, ვფიქრობ, პავლე ინგოროვას ვარაუდო არც თუ უსაფუძვლოა. შეიძლება ვთქვათ, რომ თავდაპირველ ტექსტში ეს სიტყვა დაქარაგმებული უნდა ყოფილიყო. მინისა და შეცვლაში ქარაგმის არასწორი წყაობის შედეგად უნდა წარმოშობილიყო. მიუხედავად, ქვემოთ დავარწმუნებდით, რომ შეტად უბრალო შეცვლაში სწორედ ქარაგმული სიტყვის მცდარი გაგებითაა გამოწვეული.

ამვე სტროფში გვაქვს ზელანურებში ქარაგმა რა. პავლე ინგოროვამ „რათა“ წაიკითხა, სიტყვის ძველ-ქართული ფორმა „რათა“, ამიტომ ქარაგმა ან უნდა გაიხსნას, თხზულების მე-2 და მე-3 სტროფებში სადაო არაფერია, ყველაფერი წესრიგშია.

მე-4 სტროფში პ. ინგოროვამ ორი კორექტივი შეიტანა. ერთ შემთხვევაში აღადგინა სიტყვა „მხარებელნი“.

...და მიგობრობა ამისთვის თქუა (მხარებელნი)“.

არცერთ ზელანურში ეს სიტყვა არა გვაქვს. მიუხედავად ამისა, ამ სიტყვის გარეშე წინადადება გაუგებარი დარჩებოდა. ამიტომ პ. ინგოროვამ უფოლდ სწორად აღადგინა ტექსტი. მეორე შემთხვევაში პ. ინგოროვამ ტექსტის „ვითარმედ“ სიტყვა, „რამეთუ“ სიტყვაში შეცვალა.

„რამეთუ უკველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს. ყველა ზელანურში „ვითარმედ“ იყოთება. შე ვფიქრობ ასევე უნდა დარჩეს, რადგან სტროფის შინაარსი არც თუ ისე გამჭვირვალეა და სიტყვა „რამეთუ“ შეიძლება ავტორისეული აზრი და შინაარსი სტროფისა შეცვალას.

მე-5 სტროფში, როგორც აკაკი ბაქრაძემ გააკვირა, დავით წინასწარმეტყველის (მე-2 უსაღმუნ) პეტრე მოციქულისეული პერიფრაზი დასტურდება (კაოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი მეორე, თავი მესამე, მუხლი მერვე).

„ათასი წელი ვითარცა ერთი აღება“.

რაკი ეს გამოთქმა ციტატაა, სიზუსტისათვის თხზულებაში ასევე უნდა იყოთებოდეს. პავლე ინგოროვამ ასევე კითხულობს. ზელანურებში გვაქვს — „წელი ათასი“.

ზემოთ აღნიშნა, რომ თხზულების ზელანურ პირებში დაშვებული უბრალო შეცდომები ქარაგმული სიტყვების მცდარი გაგებითაა გამოწვე-

ული. ამის ერთ-ერთი თვალსაზრისი შემოღობილი თხზულებას მე-6 სტროფი.

ზოსიანესეულ ოთხივე ზელანურში ეს სტროფი ასე იყოთება:

მ. „და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ზოლო მათეანსა წერილი ზის, რომელ ასოა არს...“

პავლე ინგოროვამ თხზულების ეს მე-6 სტროფი უფოლდ სწორად აღადგინა:

მ. და სახარებასა შინა ქართულსა ზოლო, თავსა მათეანსა „წილი“ ზის, რომელ ასოა არს, და იტყვის უკვლად ოთხ ათასსა მარაგსა.

ე. ი. პავლე ინგოროვას რედაქციაში სიტყვები გადასწულია, ზოლო „წერილი“-ს სანაცვლოდ „წილი“ იყოთება.

ქრ „წილი“-ს შესახებ.

უნდა ვთქვათ, რომ დედანში ქართული ანბანის 81-ე ასო-ნიშნის სახელი „წილი“ დაქარაგმებულიად ეწერა: „წლი“. ამ შემთხვევაში ქარაგმის არასწორი გახსნის შედეგად მივიღეთ სასენით მიუღებელი სიტყვა „წილი“. სხვა შემთხვევაში, რის შესახებაც ქვემოთ ვთქვით, ასო-ნიშნის იგივე დაქარაგმებული სახელი „წლი“, კვლავ მცდარადაა გახსნილი და იყოთება როგორც „წილი“.

ამგვარად, „წილი“ უნდა უოფილიყო და „წილი“ წერია, ზოლო სხვა შემთხვევაში „წილი“ უნდა ყოფილიყო და „წილი“ იყოთება.

ვიმეორებ, იქნებ იოანე-ზოსიანე არაფერ შეაშინა და ზელანურის გადაწერისას საჩვენებლობის იხეთი დედნით, სადაც ქარაგმები უკვე მცდარადაა გახსნილი. იოანე-ზოსიანე იძულებულია კეთილსინდისიერად გადაიწეროს ის რაც დედანში წერია.

ახლა სიტყვების გადასმის შესახებ:

მე-8 სტროფში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მხოლოდ ქართულ სახარებაში ზის საწერის ასო-ნიშანი „წილი“ ასო-ნიშანი ქართული ანბანისა, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა არის 4.000 (არცერთ სხვა ანბანში, გარდა ქართულისა, „წილი“ ასო-ნიშანი არ არის, არცერთ სხვა ანბანში ასო-ნიშანს 4.000-ის რიცხვითი მნიშვნელობა არა აქვს).

ამიტომ შინაარსობრივად სწორია ინგოროვანისეული რედაქცია სტროფისა და მიუღებელია ზელანურთა ჩვენება. რაკი სტროფში საუბარია ქართული ენისა და ქართული ანბანის უპირატესობის შესახებ და არა სახარების მათეს თავის უპირატესობის შესახებ.

თხზულების მე-8 სტროფში ქართული ენის განდიდება თავის აპოთეოზს აღწევს. ქართული ენის შემამკობელი სიტყვები ამ სტროფში მკაფიურ ძალას იძენენ, თუ ჩემი ვარაუდით. ტექსტი ერთი გამორჩეული სიტყვა აღადგინეთ. სტროფის პირველი სწერა, ჩემი აზრით, უნდა იყოთებოდეს, არა როგორც: „და ესე ენაა“. არამედ „და ესე ენაა ქართული“. ასეთ შემთ-

ხვევაში სტროფი მართლაც მაგურის ძალით აუღერდება:

8. და ესე ენაჲ (ქართული)
შემკვლელი და კურთხეული
სახელითა უფლისაჲთა,
შედახალი და დაწუნებულელი
მოელის დღესა მას მეორედ მოსლესა
უფლისაჲსა.

სულ ადვილია დაფიქვით, რომ სიტყვა „ქართული“ გადამწერს გამოჩნა, ამისი მაგალითი თხზულებაში სხვაგანაც ვხვდვს. შინაარსობრივად ეს სიტყვა არაფერს ცვლის, რაკი იგი დაუხსებელბადაც იკვლიხსმება. პოეტურული და პანეგორიკული ინტონაციისათვის კი ეს სიტყვა აუცილებელია. ქართული ენის ალიტერაციული განდიდება სტროფში ამით სრულყოფილია:

იმის თქმა მინდა, რომ სიტყვები: „შემკვლელი“, „კურთხეული“, „შედახალი“, „დაწუნებული“, შერჩეულია სწორედ სიტყვისათვის „ქართული“. ამიტომ ამ სიტყვის აღდგენა სტროფში აუცილებელია, გარდა ამისა, წინა სტროფის სიტყვა „დაფულული“ არის ერთგვარი შემსაღებია მომდევნო სტროფის სიტყვისა „ქართული“.

7. და ესე არს ოთხი დღე,
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთვის მისთანავე დაფულული
სიყოფილითა ნათლისღებისა

8. და ესე ენაჲ (ქართული)
შემკვლელი და კურთხეული
მოელის დღესა მას მეორედ მოსლესა
უფლისაჲსა.

თხზულების შინაარსის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო ორ სტროფს. იოანე-ზოსიმესულ ოთხივე ზელნაწერში, მცირეოდენი სხვაობით, მე-9 სტროფი ასე იკითხება:

„9. და სასწაულად ესე აქუს ოთხმოცდაათობისმეტე წელი უმეტესს სხუთთა ენათა ქრისტემს მოსლეთიგან ვიდრე აღესამომიდე“.

ცხადია, სტროფში საუბარია ქართული წელთაღრიცხვას მეტობის შესახებ. ქართული წელთაღრიცხვა აღმართბა უკვლა სხვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვას: ევსები კესარიელისას 406 წლით; პანოდორ აღქესანდრიელისას 112 წლით; ანაწიე აღქესანდრიელისას 104 წლით და ბიზანტიურს 96 წლით. მაგრამ 94 წლით ქართული წელთაღრიცხვა არცერთ წელთაღრიცხვას არ აღემატება; იოანე-ზოსიმეს ზელნაწერებში კი 94 წელი წერია.

პავლე ინგორიუვა ვარაუდობს, რომ რიცხვი 94 („ცლ“) რიცხვის „დრ“ (104)-ის დაზიანების შედეგად უნდა გაჩენილიყო. ამის საფუძველზე, პავლე ინგორიუვა ოთხმოცდაათობისტს ას.ოთხით ცვლის.

ამის თაობაზე აკაკი ბაქრაძე წერს: „მართალია, ზელნაწერები არ იძლევა უფლებას შევცვალოთ ოთხმოცდაათობისმეტე ას-

ოთხით, მაგრამ შეიძლება პავლე ინგორიუვის მანკ მართალი იყოს, არის შემთხვევითი. ანუ ინტუიციო სტობნის ფაქტს. ისიც ზდება: ინტუიციით მიგზნებულს დოგაურად ვერ დასახბობებ, მაგრამ ამის გამო ინტუიციით ნაპოვნის დირებულბას არ ვაძვავს“.

საერთოდ, პავლე ინგორიუვა დიდი ინტუიციის მქონე მეცნიერია. მეცნიერული კვლევისა და ტექნიკობის წედობისას კი ინტუიციას უდიდებია მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ქართული წელთაღრიცხვის 104-წლიან მეტობას, თუ რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი, ამ საკითხს აკაკი ბაქრაძემ საკმაოდ გონებაშახვილური ახსნა-განმარტება მოუფებია. ახლა, აკაკი ბაქრაძის კვლევის წუღლობით, შეტი საფუძველი გვაქვს მე-9 სტროფის 94 წელი 104 წლით შევცვალოთ.

ვფიქრობ, თხზულების მე-9 სტროფს ასე თუ ისე მოველო — ტექსტი დადგინდა, შინაარსი გაიკვია, ამასვე ვერ ვიტყვი მე-10 დასკვნითი სტროფის შესახებ.

იოანე-ზოსიმესულ სამ ზელნაწერში სტროფი ასე იკითხება:

„და ესე უკველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგობარ ასი ესე წელი ანბანისაჲ“, იოანე-ზოსიმეს მეოთხე ზელნაწერი კი ასეთ იკითხვისს იძლევა:

„და ესე უკველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგობარას ესე წელი ანბანისაჲ“.

რეგორც ვხედავთ, იოანე-ზოსიმე ზან ერთსა წერს, ზან მეორეს, ასეთ შეცდომებს იოანე-ზოსიმეს ვერ დაუბარალებია. რეგორც ზან, იგი სხვადასხვა დროს თხზულების სხვადასხვა პირებთა ნარგებლობას დაწარაგებული სიტყვა წლი სხვადასხვაგანობად გავუხსნიათ, რაც მოგვაწინებთ ზოსიმეს ზელნაწერებში არსაბა. თქმა არ უნდა, სწორია „წელი“ ქართული ანბანის ასო-ნიშნის სახელწოდება, რაკი „უკველი საიდუმლოდ ქართულსა ენასა შინა დამარბულ არს“, ბოლო ამისი მოწამე ქართული ანბანის ასონიშანი „წელი“.

ანგვარად, თხზულების მე-10 სტროფში სიტყვა „წელი“ შეცდომია და იგი სიტყვა „წელი“-თ უნდა შეიცვალოს, ასეთ შემთხვევაში მე-10 სტროფი იოანე-ზოსიმესული სამი ზელნაწერის მოხედვით ასე იკითხება:

„და ესე უკველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგობარ ესე წელი ანბანისაჲ“, იოანე-ზოსიმეს მეოთხე ზელნაწერის იკითხვისი უცვლელი დარჩება.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ტექსტი გაუგებარია. პირველ შემთხვევაში „ასი ესე წელი ანბანისაჲ“ უარობაა, რას ნიშნავს სიტყვა „წელი“ გაურკვეველია, რაკი არ არის მინიშნება ამისა, რომ „წელი“ ანბანის ასო-ნიშნის სახელწოდება.

მეორე შემთხვევაში: „წელი წარმოგობარას ესე წელი ანბანისაჲ“ ზედა „ასი“ რა-



გორც ჩანს შეიკვეცა და შეიკვეცილ წინ მდგომ სიტყვას შეერწყა — „წარმოგითხრას“.

ამგვარად, გაუგებრობას სიტყვა „ასი“ კემსის, თავდაპირველად ტექსტში სიტყვა „ასი“ არ უნდა გვექონოდა. ეს სიტყვა სულ სხვა დაქარაგმებული სიტყვის არასწორი ამოკითხვის შედეგად უნდა გაჩენილიყო. ძნელი არ არის ამოცნობა, რომ აქ გვექონდა სიტყვა „ასო“ დაქარაგმებულიად „ასა“.

ნუსხურ დამწერლობაში „ა“-„აჲ“ ძალიან ჩანოვანს „ინ“-ს. რომელიღაც გადამწერს ქარაგმა ვერ შეუნიშნავს და „ასა“ წაუკითხავს როგორც „ასი“. ამით დაიწყო და „წარმოგითხრას“ ტექსტის გააზრების მყდელობით დამთავრდა. ზოლო ეს შედეგობები შემდგომ იოანე ზოსიმეს ხელნაწერებში აიხანა.

საბოლოო ტექსტი თხზულების მე-10 დასკვნითი სტროფისას ასეთი იქნება:

...და ესე უკველი, რომელი წეროდ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასოდ ესე „წილი“ ანანისაჲ.

უფიქრობ, ამიერიდან დაკულია ტექსტის სიზუსტე და გარკვეულია ტექსტში სიტყვა „წილი“-ს მნიშვნელობა. ტექსტის შინაარსიც ამიერიდან გასაგებია და გამჭვირვალე. ზოლო აზრი გამოთქმულია მოკლედ და ნათლად.

საქმე ის არის, აუცილებლად საჭიროა ტექსტში მითითებული იყოს, რომ „წილი“ ანანის ასო-ნიშნითა, როგორც ეს თხზულების მე-8 სტროფში გვაქვს:

„ქართულსა ზოლო... წილი ზის, რომელ ასოდ არს... მსგავსად ამისა, მე-10 სტროფშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული რომ „წილი“ ასო — ნიშნითა ანანისა. ამიერიდან ეს მართლაც ასეა:

„მოწამედ წარმოგითხარ ასოდ ესე „წილი“ ანანისაჲ“.

სწორედ ეს ვითარება არ არის გათვალისწინებული მე-10 სტროფის პავლე ინგოროყვასეულ რედაქციაში. პირველ რედაქციაში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, პავლე ინგოროყვამ სიტყვა „ასი“ ტექსტიდან ამოიღო: „და ესე უკველი, რომელი წეროდ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანანისაჲ“. შედეგად ამისა სიტყვა „წილი“-ს მნიშვნელობა ტექსტში გაურკვეველია ცხადია. აუცილებელია მითითება იმისა, რომ „წილი“ ანანის ასო-ნიშნითა და არა, ვთქვათ, „ნაწილი“ თუ „ხედეო“ ანანისა.

თხზულების მეორე რედაქციაში მე-10 სტროფის სიტყვა „ასი“ პავლე ინგოროყვამ გაიგო, როგორც „ასო-თხი წილი“.

...მოწამედ წარმოგითხარ, ას-ოთხი ესე წილი, და წილი ანანისაჲ.

სტროფის ასეთი რედაქცია მიუღებელია, რადგან პირველთაგან ცუდის თხზულების შინაარსს უფროსად უფროსად გამშვადებელია არა ას-ო-თხი წილი და მხოლოდ

ასო-ნიშნით „წილი“ თუთ ატარებს მხოლოდ საიდუმლო ანანის ასო-ნიშნის მნიშვნელობას რბული. გარდა ამისა, ამ მეორე რედაქციაში სიტყვა „წილი“-ს მნიშვნელობა კვლავ გაურთავია.

ამგვარად, თხზულება საბოლოოდ ასე უნდა იკითხებოდეს:

ქებაჲ ქართულისა ენისაჲ

1. და მართლედ არს ენაჲ ქართული დღედმედ მეორედ მოსვლისა მესისასა ნაწამებულად.

რამთა უკველისა ენასა დმერამან ამილოს ამით ენითა.

2. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდედ, და საზარებასა შინა ამას ენასა ლაზარედ მტყუიან.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ზელენედ დელოფადმან, ესე ამიან ორნი დანი. ვითარცა ზარიან და მართაჲ

4. და მეგობრობაჲ ამისათვის თქვა (მხარებულმან), ვითარმედ უკველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარბულ არს.

5. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქვა დავით წინაჲსწარმეტყველმან,

რამეთუ „ათხი წილი ვითარცა ერთი დღეა“.

6. და საზარებასა შინა ქართულსა ზოლო, თავსა მათვასსა „წილი“ ზის, რომელ ასოდ არს.

და იტყუის უკველად ოთხ ამისა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღეა.

7. და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანადე დედდული სიკუდელითა ნათლისღებისა მისხსათა.

8. და ესე ენაჲ (ქართული) შექრული და ყურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული.

მოცილის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა

9. და სასწაულად ესე აქუს, ას-ოთხი წილი უწიტებას სხუთა ენათა ქრისტებას მოსლეთიგან ვადრე დღესამომდედ.

10. და ესე უკველი რომელი წეროდ არს.

მოწამედ წარმოგითხარ ასოდ ესე „წილი“ ანანისაჲ.

მკითხველი იგარბობს, რომ თხზულების შინაარსი არც თუ ისე გამჭვირვალეა. სინკიკალური ქრისტოლოგიური ცოდნის გარეშე ამ თხზულების შინაარსის წედობა შეუძლებელია.

თხზულება საგულდაგულად გამოიკვლია აკაკი ბაქრაძემ. გადაუბარებლად შეიძლება ითქვას, აკაკი ბაქრაძის ნაშრომი ნიშნულია იმისა, თუ როგორი გულმოდგინებით უნდა ვიკვლიოთ ძველი ქართული მწერლობის ძეგლები. რაჟა მათი რაობა შევიცნოთ. აკაკი გავარჩიოთ და ჩვეულებრივი მკითხველისათვის მისაწვდომი გავხადოთ.

ამგვარად, ა. ბაქრაძის კვლევის შედეგად თხზულების შინაარსი ძირითადად უკვე შეცნობილია. მაგრამ, ახლა, ქართული ასომთავრული ამბინის ამოცნობის შედეგად, ვფიქრობ, თხზულების შინაარსი შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს. რაკი თხზულების შინაარსს აკაკი ბაქრაძის გამოკვლევის საფუძველზე ვაზუსტებ, ამიტომ აქედანველია ამ გამოკვლევას მართებული აქვთ ვაძინოს. პატივცემული მკვლევარი წერს:

„როგორც შეიძლება ზედვას, სიმბოლიკით ხაზებ ბუნდოვანი ტექსტია. თუმცა ახლად უნდა ითქვას, რომ ნისლეუვანი მიშინის კონკრეტული შინაგარეული სახეები, თორემ მისი საერთო შინაარსი და შინაგანსახეულობა ნათელია: ქართული ენა უფლის ენაა. სხვა ენებზე აღმატებული და უკეთესი. განვიფხვს დღეს მესია ქართულად იმეტყუებდეს. ეს იმთავითვე ასე განმარტა ალექსანდრე ცაგარელს. კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროვამ და დიდი ხანია ცნობილია“¹⁰. ამდენად, ამგანონდელი ამოცანა თითოეული სიმბოლოს შინაარსის ნათელყოფაა...

როგორც უკვე აღინიშნა, მიშინის დედააზრი მკაფიოა: ქართული ენა ქრისტეს ენაა ამდენად, „ქებაჲ“-ს უველია შინაგარეული სახე ამ ძირითადი დებულების ილუსტრირებას ემსახურება.

„ქებაჲ“-ს პირველი სტროფი აზრობრძოვად ნათელია. ამდენად არც კომენტარს საჭიროებს... უფრო რაოდენად არის საქმე მომდევნო სტროფში:

„და ესე ენაა მიწიარე არს დღესამომდე (-დღემდე), და სახარებაჲ შინა ამის ენაჲ ღაზარე ზრქვან“.

რატომ ქვეა ქართულ ენას სახარებაში ღაზარე? არც ალექსანდრე ცაგარელს და არც კორნელი კეკელიძეს ამ საკითხს გამო არაფერი უთქვამთ. პავლე ინგოროვამ კი იგი ასე გაიგო: „ქართული ენა — ეს არის ახალი ღაზარე ენათა შორის, რომელიც მკვდრეთით აღდგება მეოთხე დღეს“.¹¹

ვინ იყო ღაზარე?

იოანეს სახარების შეთერთმეტე თავი გვიამბობს: იერუსალიმის მხალიზლად, თხუთმეტი უტყვანით დავიდებული, იყო დანა ბეთანია. ბეთანიაში ცხოვრობდნენ ღაზარე და დანი მისი. მართალია და მართა, ქრისტეს უყვარდა ისინი. მართალი იყო იგი, ვინც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თმებით შეფუშინდა იესოს ფეხები, დებმა შეატყობინეს ქრისტეს: ვინც

გოვარდა, იგი ავად არისო. მაშინ მარტინე ღმრთობისათვის წაბრძანება, მომდევნო აფრთხილეს ისეო: „დიდი ხანი არ არის, რაც ებარებლები ნაქოლად გიმუქრებოდნენ და კიდევ იქ მთავალთო! მაშინ მოწოდებებს ეს უთხრა მოძღვარმა: ვინც დიდ დადის, ფეხს არ წაეჩავს. დღის სინათლე უნათებს გზას. წაფიქრობილეს იგი, ვინც ღამით დადის, რამეთუ ბნელა ღამით, გარდა ამისა. დასძინა მოძღვარმა, ღაზარემ, შეგობარმა ჩემმა, დაიძინა და უნდა გავადვიროო. მოწოდებმა ვერ გაიგეს ქრისტეს ქარაგმა და უსასუხეს: თუ დაიძინა, გამოქანსა-ღებუო. იესომ მკაფიოდ აუხსნა: ღაზარე მოკვდაო. მაშინ ქრისტე მოწოდებთორთ წავიდა ბეთანია. ღაზარეს სახელი ებარებლები შეკარბილყენენ. რათა ნუგვენი ეტათ მიცვალდებულის დებნისთვის. რაკი მართამ ქრისტეს მობრძანება შეიტყო, გამოეგება სტუმარს და შესწავლა: უფალო, აქ რომ უკეთელიყავ, ჩემი ძმა არ მოკვდებოდაო. ქრისტემ ანუგვეს მართა: აღდგებოა უნაი ძმა. იესომ ახსრულა დანაპირები: იგი მოიყვანეს ღაზარეს ხელდაყთან საფლავს ღოდი აკადლეს და ბრძანა ქრისტემ: ღაზარე, გამოდი გარეთ. მკვდარი ადგა და გამოვიდა. ღაზარეს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. ზოლო პირი — სუფთათი შებურყული. მოაკლდეთ ესენი, თქვა უფალმა. მიტკობ გზა, იარს. ასე აღდგინა ღაზარე იესო ქრისტემ.

ასეთია ღაზარეს ამბავი. რატომ გვაგზნენთ იგი ეგზომ ვრცლად? ამ იგავის არსი გაცხადებულია მართაჲსა და ქრისტეს დიალოგში.

იესო: აღდგეს ძმა შენი.
მართა: უწევი. რამეთუ აღდგეს აღდგომისა მას უქანისყულება დღესა.

იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება. რომელსა მარწმინებს ჩემი. მო-ღაოთ-კუდებს. ცხოვდესე და ყოველი რომელი ცოცხალ არს და მარწმინებს ჩემი. არა მოკუდებს იგი უყენისამდე. გრწმისა ესე?

მართა: მე, უფალო, მარწმის, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთობა მომავალი სოფლად.

ე. ი. ქრისტე აღდგომა და ცხოვრებაა. ვინც იწამებს მას, მკვდარიც რომ იყოს, ვაცოცხლებდება. ზოლო ცოცხალი არსობით მოკვდებაო. ამდენად, „ქებაჲ“-ს ავტორი ქართული ენის ღაზარესთან გაიგივებით ამბობს: თუკი მიცვალდებული ღაზარე მკვდრეთით აღდგა იმითომ, რომ სწამდა ქრისტე, როგორც სამუაროს მომავალი, ცხოვრება და აღდგომა, დაჩაგრული და დაწუნებული ქართული ენაც აღდგება — გაცოცხლდება და მართაფულად იარსებებს, რამეთუ ქართული ენაც აღიარებს ქრისტეს მოძღვრებას. ამას დასტურებს მიშინის ეს სიტყუებიც: „ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისადაო“. რამეთუთა მამართ გავზავნი წერბილი პავლე მოციქულის ასე განმარტავს ნათლისღების საიდუმლოს:

„ნუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა — ესე

ქართველთა
საბჭოთაო
რევოლუციური
პარტიის
კენტი

ნათელ-ვღღო კრისტე იესოს შიერ, სიკუდილი-
სა მისისა მიმართ ნათელ-ვღღო? და თანა-და-
ვეფლენით მას ნათლის-ღებთა მით სიკუდილი-
სა მისსა. რამთა, ვითარცა—იგი აღდგა კრის-
ტე მკუდრებითი დღეღებთა მამისათა, ეგრეთ-
თა ივენ განახლებთა ცხოვრებისათა ვილო-
დო. რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ ვექმენიბს
მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთ-
თა აღდგომასა მას მისსა ვიყვეთ უკეთუ მოვ-
კუდეთ კრისტეს თანა, გურჩაშს, რამეთუ მის
თანაყა ვცხოვრდეთ. ესე უწყით, რამეთუ კრი-
სტე აღდგა მკუდრებით, არღარა მოკუდეს. და
სიკუდილი მის ზედა არღარა უფლობდეს. (რო-
მაელთა მიმართ ებსიტოლენ წმიდისა მოციქუ-
ლისა პავლესი, თაჲ მ. მუხლები მ. 1, 3, 8, 11).

მამისადავქ, ვინც კრისტეს მიერ ნათელილო.
უფლის ბედის თანაზიარი ვახდ: უფალთან ერ-
თად მოკვდებო, უფალთან ერთად აღდგებო,
უფალთან ერთად იცოცხლებს მარადიულად,
რკი მკუდრებით აღორძინებულ კრისტე არა-
სდროს მოკვდებო ღაზარბი (ე. ი. ქართულმა
ენამ) კრისტეს ცხოვრების ვნა ვამიეროა ცოც-
ხლობდა, მოკვდა, აღდგა. ეს აღდგომა კი მარა-
დული არსებობის საწინდარია.

თუ ღაზარბი ორი ქალის მარაობისა და მარ-
თას საშუალებით უკავშირდება კრისტეს, ქარ-
თულენ ენაჲ ორი ქალის ელენესა და ნინოს მე-
ობებით ამჟამებს ურთიერთობას კრისტესთან.

...და ახალმან ნინო მოაქცია და ჰედენე დე-
დოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარ-
ტიამ და მართაჲ.

ამ სტრიქონებს კორნელი კეკელიძე ამჩივად
განმარტავდა: „ქართული ენა ასეთად „მეგობ-
რებაჲ“ ან თანაწირობა ბერძნულისა, როგორი
მეგობრებაც იყვნენ ნინო და ელენე, რომელ-
თაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართულებს,
ხოლო მეორემ — ბერძნებს: ისინი „დებიან“,
როგორც მართა და მარტიამ“ 12

1924 წელს მიწას ეს სტრიქონები პავლე ინ-
გოროვსას არ აუბნინა. უბრალოდ დღევანდელი
ქართულით გაიწერა ისინი:

„ქართველნი კრისტეს სარწმუნოებაზე მოაქ-
ცია ორმა ქალმა — ნინომ და ელენე დედოფალ-
მა — და ესენი არიან ორნი დანი ვითარცა
მარტიამ და მართაჲ.“ 13 შერც, მოგვიანებით, კი და-
წერა:

„ასანთიშნავია, რომ შწერალი ქართულ ენასა
და ბერძნულ ენას ერთ სიმაღლეზე აყენებს,
აღნიშნავს, რომ ეს ორი ენა მეგობრებია, რომ
ამ ორ ენას მეგობრელობს ორი დედა — ნინო,
ქართველთა განმანათლებელი და ელენე დე-
დოფალი, განმანათლებელი ბერძენთა: შწერლის
სიტყვით, ნინო და ელენე არიან ორნი მოყვა-
რულნი დანი, ისეთივე როგორც სახარებაში
მისხენიებულნი მარტიამ და მართაჲ.“ 14

ახე არ უნდა იყოს, უნდა ცდებოდეს რო-
გორც კორნელი კეკელიძე, ისე პავლე ინგორო-
ვა, ჭარ ერთი, ბერძნული ენა არასდ მიწწნი

არ იხსენიება, მეორეც, ქართულ
ბა...“ ავტორს უფლის ენად
მწერალს უწოდო პრეტენზია აქვს რაკი ასეა,
ბერძნულს ვერ შეადარებს ქართულს, რამეთუ
ასანდ თქმული, ბერძნული უფლის ენააო.
ავტორის აზრით, ქართულ უფრო სხვა ენაზე
უკეთესია და, ცხადია, მათ შორის, ბერძნულ-
ზეც, მესამეც, ელენე იყო დედა იმპერატორ
კონსტანტინე პირველისა და დედოფალი არა
მარტო ბიზანტიისა, არამედ მთელი რომის იმპერია-
ისა. ელენეს დროს რომის იმპერია ჭერ კიდევ
ბოლნანი იყო და ორად — აღმოსავლეთ და
დასავლეთ ნაწილებად არ გაყეოთ. ელენეს დე-
დოფლობისას კონსტანტინე ოფიციალურად გა-
მოცხადდა რომის იმპერიაში საბელმწიფო რე-
ლაგიაჲ. ამდენად, ელენე დედოფალი ვაზლდანი
რომის იმპერიაში შემავალი უკუდა ზალისა გან-
მანათლებელი და არა მარტო ბერძნებისა, მარ-
ტა მოხდა, რატომ იხსენიება მიწწნი დედოფალი
ელენე? საქმე ის არის, რომ ქართველთა კრის-
ტეს რწმენად მოქცევის მოწაწილი ელენე დე-
დოფალი, ამას ერთხმად აღნიშნავს ბიზანტიო-
რი და ქართული წყაროები.

სკიდას ლექსიკონში წერია: „ელენე, დედო-
ფალი, დედა კონსტანტინე დილისა... კონსტან-
ტინე დიდის დროს მოინათლენ შინაგანი ინდე-
ლი, იბერებო, არმენაელები“ 15

ამასვე ამბობს ვიორგი ანატოლოვი: „ამ ნე-
ტარი კონსტანტინეს დროს წმინდა ნათლისღება
მოიღეს აგრეთვე შინაგანნი ინდეშა და იბერიე-
ლებმა“ 16

ქართულ წყაროებში უფრო ვრცელად ასისა
ელენე დედოფლისა და ნინოს ურთიერთობა.

მას შერც, რაკი კონსტანტინე კეთსარმა კრის-
ტიანობა მიიღო, ელენე დედოფალი იერუსა-
ლიმს გაემგზავრა უფლის ჭკრის ძებნად. რო-
გორც „გამოჩინებაჲ ჭვარისაჲ“ ვკითხობს, 17
ელენემ მართლაც იპოვნა ის ჭვარი, რომელზეც
კრისტე აყდეს და ვახდა პატიოსანი ჭვრის
წილობელი. სწორედ ამ ამბების დროს შეხედ-
ნენ ერთმანეთს ნინო და ელენე, დედოფალს
მოეწონა ტუვე ქალი, შეიყვარა იგი და საქარ-
თულში გამოაგზავნა კრისტეიანობას საქადა-
გებლად ნინომ პირნათლად შეასრულა ეს ში-
არა, როცა ნინომ მყოფ მირიანი და დედოფალი
ნანა დაარწმუნა, კრისტეიანობა უნდა იწამოთო,
ეკლესიები ააშენა, ელენე დედოფალსა და ან-
ტერატორ კონსტანტინეს წერალი აახლა და
მდედლები იხოცა, საქართველოს გაქრისტიან-
ება უფრად გაუხარდაო ელენესა და კონსტან-
ტინეს. საქართველოში მღვდლებიც გამოგზავ-
ნეს და ელენე დედოფალმა მათ ორი წერილიც
გამოატანა ამ წერილებში იმპერატორისამ „სა-
ნატრიელ უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნე-
ტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედო-
ფალსა და თვისა სწორად და სწორად წმიდათა
მოციქულთა“ 18

ახე უკავშირდება ელენე დედოფალი ნინო



განმანათლებელსა და ქართულ ქრისტიანობას. მიმნის ავტორი აღტაცებულია, რომ ქართული ქრისტიანობის ერთ-ერთი მოთავე უფლის-ტყობის მფლობელი დედოფალია. ეს პარაფრაზი კი სინოს თვის სწორსა და მოცუვლთა სწორს უყვარება. მატიკო არან სინო და ელენე დები. ამრიგად, მარია-მარია და ელენე-სინოს ანალოგია ასეთ სახეს იღებს: ქრისტე მეგობარია ლაზარესი; „აჲსი შეშეგობამდ მტკა მათ: ლაზარე, მეგობარმან ზემან, დამონა“. ქრისტე ქართული ენის მეგობარც არის; „და მეგობრობამ ამისთვის უკეთა“... ლაზარეს ორი დამაჲეს, ქართულ ენასაც ორი დამაჲეს ეს საერთო ნიშნები მიმნის ავტორს უფლებას აძლევს ქართულ ენას ლაზარე უყვადოს.

ქართული ენის განდიდებამ „ქებაჲ“-ში მატ-ტო პანეგრიკული შინაარსი არა აქვს იგი ემსახურება რწმუნის, სიმტკიცის, მოწვევის იმედის აღდგენას, როგორც ზამს, მიმნი ერთგულ და პოლიტიკური კრიზისის ეპოქაში იწერებოდა. მიმნს ერთგვარი კამათის, პაექრობის ელემტარი დასკრავს. ერთი შეხედვით, ეს უყვარდა და უსაბუთო აზრია, მაგრამ იგი მათე-ტიკინა სტრატეგიაა:

„და მეგობრობამ ამისთვის უკეთა, ვითარმედ უკველი საფუძვლიად ამას ენასა შინა დამარბულ არს, და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის უკეთა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღეა“.

აქ უკრავდება უნდა მიეცეს იმ გარემოებას, რომ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები არაზუსტად არის ციტირებული. XIX-ე უსაბუთოში ასეა ნაქვემო: „რამეთუ ათასი წელი წინა-შე ოფალია შენა, უფალიო, ვითარცა ვუშინა დღეო დღე, რამელი წარქდა და ვითარცა საქმელიყო ერთი დამება შინა“.¹⁹

რა, იგივენებრად დამაბინჯა მიმნის ავტორმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები, თუ რაღაც მისანი აქვს ამას „ქებაჲ“-ს ავტორი იმეორებს უსაბუთის ლექსის პეტრე მოციქულისადმი პეოიფარაზს: „ერთიოცა ესე წე დავა-ვწყვედის, საყუარებლო, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ (სათოლიყო ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი მეორე, თავი მესამე, მუხლი მერვე).

სად და რა პარაფრაზი გაიკვირა პეტრე მოციქულსა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებში?

შეიკრავს სათოლიყო ეპისტოლეთი პეტრე მოციქული ავტორსადებს მორწმუნეებს, ვერა არ უფლო ერწმუნობო ვარბილან მტყობნებარს. რომელიც ვედისომქანს აუთოლნი ცონიუ-რად აცხადებენო. სად არის აღიქმული შეიკრედ მოსულა? შექმნის დღიდან დღემდე ხომ უყვარ-ფერი უყვარებლად არსებობსო? „და იტყოდიან, სადა არს აღიქმამ იგი მოსლესა მისისაჲ? რამეთუ ვინათგან მამათა შეისუენეს, უკველი-

ვე ესრეთ მკვეს დასაბამითგან დასაბამებლადი ეტბე-ბა, ან ურწმუნობისა და მოუთმებარო ეტბე-ბა პეტრე, უფლის ერთი დღე ათას წელს უდ-რისო, ამიტომ მოთმინება იქონიეთ და დადგე-ბა უფლის დღეცო აღიქმის ასრულებას არ აყვინება ღებრით, როგორც ეს ზოგიერის მკოლო, იგი იცდისო თქვენსავე სასუქოოდ, რამეთუ არ სურს არავის წარწყმედა, უნდა ყველამ მოინანიოს და მიეცეთო საზოადება სასუფუველის დამკვიდრებისა „არა უკნის უფა-ღმან აღიქმისა მისგან, ვითარ-იგი ვიფიქრე დაუყვინებად შეურაცხობის, არამედ სულ-გარბელ დას თქვენთვის, რამეთუ არავისი მწეება წარწყ-მედადა, არამედ უკველია სინანულად მოსლ-ვაჲ“.

პეტრე მოციქულის დარად, დავით წინასწარ-მეტყველის სიტყვებს ვახსენებთ. „ქებაჲ“-ს ავტორი მოუწოდებს ქართულ ურწმუნოებს, ქართული ენის აღორძინების დღე დადგება, იღონებ მოთმინებით უნდა ევლოდით ამ დროს და არ უნდა დაუვიწყოთ, რომ ღებრთისათვის (ე. ი. მარადისობისათვის) ათასი წელი ერთი დღეა.

ქართული ავტორი ამით არ ემყოფილდება და დავით წინასწარმეტყველისადმი დავაბ-რივი წელთაღრიცხვის განმარტებებს სხვა მიზნი-თაც იხსენებს.

„და საბარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავ-სა მათეისსა „წილი“ ზის, რომელ ათას არს და იტუებს უკველიად ოთხ ათასსა მარავსა, და ესე არს ოთხი დღეა და ოთხისა დღისა მკვ-დარი...“

მათეს სახარება მართლაც ასე იწყება: „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“. მაგრამ ამ სტრატეგიას არაფერი აქვს საერთო „ქებაჲ“-ს შინაარსთან „წილის“ ფართულ პარს პავლე ანგაროცვამ მოაქცია უფ-რადღება და აღნიშნა, რომ „ავტორი ასობსავე მისიციტრი ზემნებას მხედრავს ქართული სახარე-ბის დასაწყისით; მხოლოდ ქართული სახარების თავში წარწერილი ასო „წ“ („წილი); „წ“ რო-გორც რიცხვი ნიშნავს ოთხი ათასს და რადგან საღმრთო წერილის სიტყვით „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“, მასხადამე ასო „წ“ (ე. ი. ოთხი ათასი) აქ ნიშნავს ოთხ დღეს; აქ არის ფართული აზრი; იგი აღნიშნავს ლაზარეს, ოთხ დღეს მონიარეს საფლავში და „ოთხისა დღისა მკვდას“...²⁰

პავლე ინკოროფეა მართალია: „ქებაჲ“-ს ავ-ტორი „წილი“-თ ისევ დაზარავს ვახსენებს, მა-გრამ არ აზრი აქვს ოთხს და რაღა მონიარე-იყ წელიწად დღეს აღდგა ლაზარე? საქმე ის ვახდეთ, რომ მესამე დღე ქრისტეს აღდგომის დღეა, ხოლო მეოთხე დღე იშაია, ვინც ნათ-ლის დებით უფალითან არის დაფლული უფრო დაუფდეთ, რას ამბობს თავად ქრისტე: „და მო-კლან იგი (ე. ი. იესო ქრისტე — ა. ბ.) და მე-სამესა დღესა აღდგეს“ (მათეს სახარება, თავი



17, მუხლი 23). მესამე დღეს აღორძინებული ღმერთი მეოთხე დღეს აღადგენს მართალთა და მორწმუნეთა, ...არმეთუ საგზალი ცოდვისაა სიკეთელი არს, ზოლო ნიკი ღმრთისაჲ — ცხოვრებაჲ საუკუნო ქრისტეს იესოსა მიერ უფლისა ჩვენისა (რომელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, თავი 8, მუხლი 28)...

...და ესე ენაჲ, შემოვლილ და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოვლის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა. და ხასწავლად (-ნიშნად ა. ბ.). ესე აქუს: ოსმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტესს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“.

რა არის ეს 84? რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი?

ჩემი დავიკრებებით, მიმწმი რიცხვები კარავს მულად აღნიშნავს სახარების ამა თუ იმ იგავს: ოთხი გვახსენებს ლაზარეს ამბავს, ერთი და ათასი — პეტრე მოციქულის ქადაგებას ორწმუნოთა და უნდოთა წინააღმდეგ, ოთხი ათასი ისევ ლაზარესთან გვახსენებს და ასე შემდეგ, რას უთითებს 84? კითხვა კითხვადე არება.

აღექსანდრე ცაგარელმა მამივე ეპისოპოსი თვალთ შეხედა ოთხმოცდაათობეტს და გვერდით გაკვრებობს ნიშანი მიუსვა: „Преимущество грузинского языка перед прочими языками, писец видит в том, что грузинское летоисчисление продолжительнее летоисчисления других народов (греков) на 84 (sic!)“...

ამით დაკმაყოფილდა აღექსანდრე ცაგარელი და მისი აზნა-განმარტება აღარ უყვია. კორნელი კეკელიძე არ შეეცა ოთხმოცდაათობეტის საკითხს. პავლე ინგოროვცა 1924 წელს არ დაუეჭვებია ოთხმოცდაათობეტს, იგი წერდა: „დასასრულ მისტიკურ ჩვენებას ქართული ენის უპირატესობის შესახებ ავტორი მხედავს აგრეთვე იმაში, რომ ქართული წელთაღრიცხვა წინ უსწრებს ბერძნულს ოთხმოცდაათობეტით წელი“²²

მაგრამ ვერ ერთი, მიმწმი ლაპარაკია სხვა ენებზე (-უმეტესს სხუათა ენათა“) და არა მართო ბერძნულზე, მეორეც, არცერთ ოფიციალურ წელთაღრიცხვას ქართული წინ არ უსწრებს ოთხმოცდაათობეტით. ესევე კვსარბელის წელთაღრიცხვას ქართული აღემატება 408 წლით (5604—5196 = 408). სანოდორე აღექსანდრიელიას — 112 წლით (5604—5492 = 112), ანინე აღექსანდრიელიას და ილიუს აფრიკელისას — 104 წლით (5604—5500 = 104), პიზანტიუსს — 96 წლით (5604—5508 = 96); მესამეც მიმწმი ლაპარაკია წელთაღრიცხვაზე არა კვერნის დასაბამითგან, არამედ ქრისტეს მოსვლითგან (-ოთხმოც და ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტესს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“).

დაუწყოთ, რომ ქართული წელთაღრიცხვა მართლაც აღემატება რომელღე წელთაღრიცხ-

ვას 84 წლით, მერე რა — რას ნიშნავს ეს რიცხვი? რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი, კარავს მულად რას გვეუბნება ეს ფაქტორი? სასული არ ჩანს.

„ქებაჲ“-ს ახალ გამოცემაში პავლე ინგოროვცამ 84 შეცვალა 104-ით ე. ი. ამ რიცხვით, რითაც სხვაობს ქართული და ანინე აღექსანდრიელიასა და ილიუს აფრიკელის წელთაღრიცხვანი.

„და ხასწავლად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტესს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“.

მართალია, ზღენაწერები არ იძლევა უფლებას შეეცვალოთ ოთხმოცდაათობეტით ასობით, მაგრამ შეიძლება პავლე ინგოროვცა მაინც მართალი იყოს არს შემთხვევებით, როცა ინტუიციან სჯობის ფაქტს, ისიც ზღედა: ინტუიციით მიგნებულს დავაკურად ვერ დასაბუთებ, მაგრამ ამის გამო ინტუიციით ნაპოვნი ღირებულებას არ კარგავს, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ 104-ს დიდი მადლებიერული ჯალა აქვს იგი მიგვანიშნებს მათეს სახარების ერთ იგავზე მათეს სახარების მე-20 თავი გვიამბობს: ცის სასუფეველი მგავს სახლის პატრონს, ხისხამ დილით რომ გამოვიდა მუშების დასაქარავებლად მოელმარაკა მუშებს, დღეში ერთ დრაკანს მოგვებოთ და ვენახში გავგანა საშუალოდ, სამ საათზეც გამოვიდა იგი და უქმად მდგარა ადამიანები დაინახა, მათაც უთხრა, წადით, იმუშავეთ ჩემ ვენახში და რაც სამართლიანად გერგებათ, მიიღებთო, ასე მოიქცა სახლის პატრონი ექვს, ცხრა და თერსმეტ საათზე, ვინც უსაქმოდ ნახა, უფლო ათვის ვენახში გავგანა საშუალოდ და შესსეფრის კიბას შეიკარა, როცა დაღამდა, ვენახის პატრონმა დაუძახა ეზოსმოდგარს და უთხრა: მოუხმე მუშებს და უფლავს მივიცე კიბის ფული, ოღონდ უყანასკნელით დილიდ და პირველით დაშთავრეო, 11 საათზე მოსულმა დრაკანმა მილო, ისიც მოსული ეგონათ, რაკი ადრე მოვდილი, მეტ ფულს მივიღებთ, მაგრამ მათაც თითო დრაკანი ერგათ, იწინებს ეს პირველებმა და ვენახში პატრონს შესწავლეს; უყანასკნელ მოსულნი სულ ერთ საათს ვისუაბდნენ და ისინი ჩვენ გავვითანბარე, ვინც მთელი დღე ვიმუშავეთ, ისიცე და მათა ვადავიბანეთო, ვენახის პატრონმა მიუცო ერთ-ერთ მათგანს: მე არ მიწუნებინებია შენთვის, მე ხომ მხოლოდ ერთი დრაკანი შეგებარდი მიიღე შენი და წადი“.

მათეს სახარების ამ იგავს 11 საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ჰილარიუსს სპეტაციული ასე განმარტავდა:

კაცობრიობას იმდენჯერ მისცა ღმერთმა აღთქმა, რამდენჯერაც ვენახის პატრონი გამოვი-

და მუშების დასაქირავებლად პირველი საათი ნიშნავს წოხსადმი მიცემულ აღთქმას, შესაძენ— ახარამისადმი. შეეცხენ — მოსხსადმი, მეტყუარ — დაუთოსა და წინასწარმეტყუალებისადმი. მეუბრთმეტყე კი გვაუწყებს ქრისტეს მოკლენებას, ჰილარიუსს ჰიკეტაქიელის აზრით. საწერარს არსებობის დრო უნდა დაიღოს 12 ნაწილად, შესაბამისად დღის 12 საათისა. თითოეული ნაწილი კი 500 წედს შეესაბამება. ამრავად, სამ წერარს არსებობა ამ წელიადრაცხვით ითვლიან 6.000 წედს (500 X 12 = 6.000); 25 რაკი სახარების იგავში მეთერთმეტე საათი აღნიშნავს ქრისტეს მოკლენებას. მაშინ, ჰილარიუსის თანახმად, ენის დაბადებულა 5600 წედს (500 X 11 = 5.500). ქართული წელიადრაცხვით კი ქრისტემდე საწერარო არსებობდა 5604 წელიწადს 5604 კი სწორედ 114-ით აღემატება ჰილარიუსის გამოანგარიშებულ თარიღს (5604 - 5500 = 104). თუ ასეა, მაშინ ასოთხი ქრისტემდეად გულისხმობს ენახის პატრონის იგავს. იგავი კი დაქირავებულთა და უკანასკნელთა აღწევების გვიპირდება. უკანასკნელი პირველი იქნებოაო, გვანუგეშებს იგი. „ქებაჲ“ ს ავტორიც ხომ ამას ამბობს: მართალია, დამცირებული და დაიწყებულა ქართული ენა, მაგრამ პირველი იქნება. მეორედ მოსვლის ეამს ღმერთი ამ ენით იბეტყუალებს. ე. ი. ქართულიც უკანასკნელიდან პირველი ვაზდება. ამას ისიც უნდა დაუფიქროთ. რომ ჰილარიუსის აზრით, იგავში მოხსენებული უკანასკნელი, რომელიც პირველი შეიქმნება, ქრისტეა. მიწის თანახმად კი დაწერებული ქართული პირველი იმიტომ ვაზდება, რომ იგი (ქართული) ქრისტეს ენასა...

ასე მუშავდება... ერთობილი საქართველოს აღდგენის პერიოდში. ერთიანი და ხაერთი აზრი ქართული ენის დგომებრივი ბუნების შესახებ. ეს იდეა კი უკვლავ სრულად გამოხატულია მიწით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულის ენისაჲ“²⁴

ამგვარად, ერთის მხრივ, მე მიმაჩნია, რომ ახლა საბოლოოდ დადგენილია თხზულების „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს ტექსტი. ერთაერთები დეაწლი ამ საქმეში კ. ანგაროყვას მიუძღვის.

მეორეს მხრივ, რაც შეეხება თხზულების შინაარსს, მის საყმაოდ რთულ სიმბოლურ მნიშვნელობას, ვფიქრობ ზუსტად აქვს ანოცნობილი იყავი პირაქებს. კვლევამ ცხადყო, რომ „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ერთ-ერთი უბრწყინველესი ძეგლია ძველი ქართული მწერლობისა, ხოლო თხზულების ავტორი დიდი შთაგონების მქონე მოაზროვნე გამოაქვეყნელი, ფრიად განსწავლული პიროვნება და ქრისტიანული ღვთისმეტყველების უბადლო მკოდნა. თხზულება ქრისტიანული მსოფლმხედველური შინაარსით არის აღბეჭდილი, ხოლო თხზულების „სისილოვან“ სიმბოლოებს საიდუმლო ქრისტიანული მნიშვნელობა აქვთ.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ახლა ჩვენს უხილავი კავშირი ერთის მხრივ ქართული მთავრული ანბანის საიდუმლოსა და მეორეს მხრივ თხზულების იმ „უკველდ საიდუმლოს“ შორის, რომელიც ქართულ „ენასა შინა დამარხულ არს“.

უპირველეს უკვლისა, იმ ნაწს, თხზულებაში ქართული ენა და ქართული დამწერლობა გაიგავებულა. ამიტომ, ის რაც ნათქვამია ქართული ენის შესახებ, თანახმად უნდა ეხებოდეს ქართულ დამწერლობასაც. რაკი „უკველი საიდუმლოა ქართულ ენასა შინა დამარხულ არს“, იგულისხმება, რომ უკველი საიდუმლო ქართულ ანბანშია დამარხული და ამ უკველ საიდუმლო ქართული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“ აუხადებს:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული...“ ამბობს თხზულების ავტორი ქართული ენის შესახებ, რათა მეორედ მოსვლის ეამს ქრისტე ღმერთმა ქართული ენით განიყოფოს კაცობრიობა.

რატომ ენიშნება ასეთი უპირატესობა ქართულ ენას სხვა ენათა შორის? იმიტომ რომ:

„უკველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“... უკველი საიდუმლო კი ქართულ ანბანშია დამარხული:

„და ესე უკველი, რომელი წერად არს, შოწანედ წარმოგიფარა“

ასოდ ესე „წილი“ ანბანისაჲ“.

ამიტომ, ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ერთდროულად არის ქებაჲ ქართული ანბანისა, რაკი ქართული ენა ქართული დამწერლობის ენა.

ქართული ენა და ქართული ანბანი თხზულებაში განუყოფელი ცნებაჲ ქართული ენა, ვითარცა ლაზარე სახარებისა, ქრისტე ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა, ხოლო ახალმან წინდა ნიშნ და ჰელენე დედოფალმან ქართული ენა ქრისტეს მცემებას აზარებ. ამიტომაც არის ქართული ენა იმიტომადან:

„შემკვლელი და ეტრთხეული სახელითა უფლისა, საბათა“...

ცხადია, ქართულ ენასთან ერთად, ქართული ანბანიც არსებობდა, ქრისტემ იგი მკვდრეთით აღადგინა. ქრისტეს მცემებას უწიაოა, უფლის სახელით შეიგყო და იურთხა და შით უკვადებაჲ მოიპოვა.

საგულისხმოა, თხზულების ავტორისათვის უცილობელია, რომ ქართული დამწერლობა — ქართული ანბანი იმთავითვე არსებულა, უკველ საიდუმლო ამ ანბანში უკველად დამარხული იგი ქრისტეანულ ხანაში არ შექმნილა, არამედ ნხოლოდ და მხოლოდ შეიგყო და იურთხა სახელითა უფლისათა.

ამგვარად, „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, მე-მ საუკუნის დამდეგის ქართული თხზულება, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული ანბანი ქრისტიანულ ხანაში არ შექმნილა და იგი უფრო ძველი წარმოშობისა.

ქართული ენისა და ქართული ანბანის განდიდებისას, თხზულების ავტორი ქრისტიანულ მისტიკას იწვევლებს. თხზულება თვითმდებლობადაა დაწერილი. ამავე დროს, ურველივე ერთ მიზანს ემსახურება: გააღვივოს ქართველი თვითშეგნება და განამტკიცოს ქრისტიანული მსოფლმხედველობა. თხზულების ავტორი, ცხადია, რელიგიური ისტორიულ ვითარებას ითვალისწინებს, რაკი არაბთა მძლავრობას საქართველოში ქართული ეროვნული შეგნება და ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობა უპირისპირდება.

„ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია. თხზულება, მართალია, არაბთა მატონობის ხანაში იწერება, მაგრამ გამსჭვალულია იმდროს და აღდგებილია ამ რწმენით, რომ მოახლოვებულია ეპი ქვეყნის სულიერი და ეროვნული აღორძინებისა. ქვეყნის სულიერ აღორძინებას კი ქრისტიანული იდეოლოგია ემსახურება. ქართული ქრისტიანობა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ერთიანობის იდეოლოგიაა. ამიტომ, იქნებ საიმედოოდ აუცილებელიც იყო ქართული ენა და ქართული ანბანი ქრისტიანული იდეოლოგიის სამოსელში გაეხვიათ.

მე-9 საუკუნის დამდეგს ქართული ეროვნული ერთიანობის იდეას ქართული ქრისტიანობა ახორციელებს. სწორედ ამ ხანაში მოხდა მირონის კურთხევის განწესება ქართულში, ზოლო თვით ქვეყანა ქართლისა — საქართველო. ამ დროს, ქართული ქრისტიანული ღვთისმსახურების ქვეყნად იწოდება. გიორგი მტკრულე სწორედ ამ ეპოქის საქართველოს გულისხმობს, როცა აცხადებს:

„ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირცხების, რამელხაცა შინა ქართულითა ენითა ეპი შეიწირვის და ლცკვამ უოველი ადგრილდების“.

ცხადია, რაკი საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ქვრ არ არსებობს, ქართული ენა და ქართული ქრისტიანული ღვთისმსახურება საქართველოს ერთიანობისა და ეროვნული ერთობის გამოწვევადღია. ამიტომ საყარადღებელია, რომ თხზულება ამ ხანაში — მე-9 საუკუნის დამდეგს უნდა შექმნილიყო ქართული ენისა და ქართული ანბანის ქრისტიანული სადიდებელი, და სწორედ ამ ხანაში, „ეპითა სიავის“ ხანაში „მდაბად და დაწუნებულ“ ქართულ ენას მესიას „მეორედ მოსვლისა“ და განეთიხვის დღის წინასწარმეტყველური საიდუმლო მნიშვნელობა მიაჩქებს.

ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევის შედეგად გამოიჩქვა, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია, სადაც წარმართული დმრთები სხედან და წარმართული დმრთობა განაგებენ. მე-9 საუკუნის დამდეგს „ქებაჲ“ ავტორმა აცის, რომ ქართული ანბანი ქრისტიანულ ხანაში არ შექმნილა და იგი

წარმართული ეპოქის ძეგლია. რატომღაც ანუ თხზულების ავტორი წარმართულ თხზულებას ძეგლს — ქართულ ანბანს მისტიკურ-ქრისტიანულ საიდუმლო მნიშვნელობას?

ქრისტიანული იდეოლოგიური კონცეფციით ეს სავსებით გამართლებულია. ოდესა ქართული ანბანი წარმართული ხანის ძეგლია, მიუხედავად ამისა, ურველი ქრისტიანული საიდუმლო ამათათვე ამ ანბანში უნდა ურფილიყო დამარხული.

საერთოდ ასეთია ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი მრწამსი. გვიხსენოთ: თვით ქვეყანა ქართლისა — საქართველო ამათათვე ქრისტიანული ღვთისმსახურების ქვეყნად ურფილია დამკმული. ქართლის მოქცევის მეშატაწე წრის:

„ქეშმარიად, პირველითგანვე დამარხულ არს ქვეყანა ესე ქართლისა ღმრთისაგან. მსახურად თვისად...“

ამგვრად, „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მე-9 საუკუნის დამდეგის ქართული ქრისტიანული თხზულება და ამდენად ქართული ენისა და ქართული ანბანის ქრისტიანული სადიდებელია.

მიუხედავად ამისა, ერთი საკითხი მაინც გასატკევაია:

ნუთუ ესოდენ ღირსშენაწიშნავი თხზულება — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ უსაფუძვლო და უნადაგო განდიდება ქართულისა ენისა? ქართული ენისა და ქართული ანბანის მისტიკურ განდიდებასა და სადიდებელს რამე საფუძველი უთუოდ უნდა ჰქონოდა. ახლა, ქართული ასომთავრული დამწერლობის რაობის ამოცნობის შემდეგში, შეიძლება ითქვას, თხზულების ავტორს ასეთი საფუძველი მართლაც ჰქონია.

ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ქართველ ქურუმთა საიდუმლო დამწერლობა იყო. ზოლო ანბანში ქართველ ქურუმთა მათემატიკური, ასტრონომიული, ელემენტარული და ღვთისმეტყველური საიდუმლო ცოდნა ურფილია დამარხული.

ამ ვითარების გათვალისწინების შემდეგომ უყვე გასაგებია თხზულების ავტორის განცხადება: „უოველი საიდუმლოა ამას ენსა შინა დამარხული არს“...

მე-9 საუკუნის დამდეგს გამოამქმული ეს აზრი უსაფუძვლო და ლიტონი განცხადება არ უოფილა. მითუმეტეს, როგორც შემოთ აღინიშნა, თხზულების ავტორმა უთუოდ იცის, რომ ქართული ანბანი ირა ქრისტიანული. არამედ წარმართული ეპოქის ძეგლია. ოღონდ წარმართული ურველი საიდუმლოს წილ, თხზულების ავტორი ქართულ ანბანში ქრისტიანულ საიდუმლოს დებს და მით ქართული ანბანის ქრისტიანულ საიდუმლო ვერსიას სქმნის.

იგივე შეიძლება ქოქვას თხზულებაში „წილი“ ასო-ნიშნის განდიდების შესახებ. არც ეს განდიდება უსაფუძვლო. ქართული ასომთავ-



რული დამწერლობის კვლევის შედეგად გამოიკვია, რომ „წილ“-ში დამარბული უკვეა უმნიშვნელოვანენი საიდუმლო ქართული ანბანისა. ამის შემდგომ უნიდაგო აღარა ჩანს „წილ“-ს ან-ნიშნის ქებეთა-ქება თხზულებაში.

ესე უკველი, რომელი წერად არს, მოწამედ წარმოვითხარ ასოჲ ესე „წილი“ ანბანისაჲ.

ქართულ ასომთავრულ ანბანში, როგორც ჰკითხველმა უკვე იცის, „წილი“ ასო-ნიშნის საიდუმლო რიცხვითი მნიშვნელობა არის 4; კვლევამ ცხადყო, რომ „წილი“ ქართულ ანბანში რიცხვის 4-ის საიდუმლო ფორმულაა. (8 + 1 = 4).

ქართული ენის საიდუმლებში იგივე ვითარებაა, ამ თვალსაზრისით „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ რიცხვის ოთხის აპოლოგიაა. რიცხვის ოთხის აპოლოგია და 4-ის ფართული აზრი თხზულებაში „წილი“ და „დონი“ ასომთავრებით არის მინიშნებული.

ამგვარად, თხზულების ავტორის მტკიცებით, „წილი“ ასო-ნიშნის ფართული რიცხვითი მნიშვნელობა არის ოთხი. იქნება შემთხვევითი არ იყო ის ვარიანტაც, რომ თხზულების დასკვნით სტროფში, სადაც „წილი“ ასო-ნიშნის აპოლოგია გამოთქმული „წილი“ ასო-ნიშანი ოთხეტი შეორდება:

„და ესე უკველი რომელი წერად არს, მოწამედ წარმოვითხარ ასოჲ ესე წილი ანბანისაჲ“.

რაც შეეხება „დონ“-ს, მისი რიცხვითი მნიშვნელობა თავისთავად ოთხია და ამას რაიმე მტკიცება აღარ სჭირდება. თხზულებაში „დონ“-ის შესახებ არაფერია თქმული, მაგრამ თხზულების ვერსიფიკატორული სტრუქტურა თავიდან ბოლომდე აგებულია „დონ“ ასო-ნიშნის თავიდა აღიტერაციის მეშვეობით. „დონ“-ს ასო-ნიშანი თითქოს განუწყვეტილად აგონებს მკითხველს რიცხვის ოთხის ფართულ აზრსა და მნიშვნელობას. „დონ“ ასო-ნიშანი სიტყვის თავად აღიტერაციად თხზულებაში 81-ეტი მოედის.

81 „დონი“ თავად აღიტერაციად და „დონ“-ს ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა 4 კვლავ „წილი“ ზე ზომ არ მივითითებ?

როგორც ვიცი, „წილი“ ანბანში 81-ე ასო-ნიშნად ზის, ხოლო მისი ფართული რიცხვითი მნიშვნელობა თხზულებაში არის 4.

81 წილი — 4.

რატომ არის „წილი“-ს რიცხვითი მნიშვნელობა თხზულებაში 4? იმის გამო რომ „ქებაჲ“-ს ავტორის თქმით, „წილი“-ში ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკვდარი იგულისხმება:

„...ქართულსა ხოლო... წილი“ ზის, რომელ ასოა არს და იტყვის უკვლად ოთხ ათასსა მარჯასა და ესე არს ოთხი დღეა და ოთხისა დღისა მკვდარი“.

ამ მისტიკურ თვალსაზრისის დასასაბუთებ-

ლად თხზულების ავტორი დავით წილისწამებელს უკვლეს აიწმება:

„და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქუა დავით წილისწამებელსაჲმან, რამეთუ ათასი წილი ვითარცა ერთი დღეა“.

რაც ათასი წილი ერთი დღეა. „წილი“-ს რიცხვითი მნიშვნელობა 4.000, ოთხი დღე იქნება. ხანაძრებაში ოთხი დღის მკვდარი ქრისტეს მემკობარი ღაზარეა. ქართულ ენას კი ხანაძრებაში ღაზარე ჰქვია. პავლე ინგოროვცა წერს:

ქართული ენა ეს არის ახალი ღაზარე ენათა შორის, რომელიც მკვდრებით აღდგება მეოთხე დღეს“.²⁵

აქ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ „წილი“ ერთ შემთხვევაში ამბობს ოთხ დღეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ოთხისა დღისა მკვდარს. სწორედ ეს საგულისხმო ვითარება აქვს გათვალისწინებული აკაკი ბაქრაძის. მკვლევარი წერს:

„რა აზრი აქვს ოთხს და რაღა მანიცდამანც მეოთხე დღეს აღდგა ღაზარე? საქმე ის ვახლავთ, რომ მესამე დღე ქრისტეს აღდგომის დღეა, ხოლო მეოთხე დღე იმათი. ვინც ნათლისღებით უფალთან არის დაფლული... მესამე დღეს აღორძინებული ღმერთი მეოთხე დღეს აღადგენს მართალთა და მოაწმუნეთა“.²⁶

სწორედ ნათლისღებით უფალთან დაფლული ქართული ენა იგულისხმება თხზულების შემდეგ სიტყვაში:

„და ესე არს ოთხი დღეა, და ოთხისა დღისა მკვდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა“.

აკაკი ბაქრაძე წერს: „ნათლისღების საიდუმლოს პავლე მოციქული ასე განმარტავს: ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა ესე ნათელ-ვიდუო ქრისტე იებსოს მიერ, სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელ ვიდეთ და თანდავდუდენეთ მას ნათლისღებითა მით სიკვდილისა მისისა“.²⁷

ამგვარად, „წილი“-ს თხზულების ავტორის თქმით, ოთხი დღის საიდუმლოს გვიძებებს: მესამე დღე ქრისტეს აღდგომის დღეა, ხოლო მეოთხე დღე იმათი. ვინც ნათლისღებით უფალთან არის დაფლული: 8 — 1.

თუ ახლა ქართული ანბანის ასო „წილი“-ს რიგით სათვალავსა და ანბანური სათვალავის ფართულ მნიშვნელობას გავხსენებთ: 81 წილი — 4, უნდა ვიფიქროთ, რომ „წილი“-ს რიცხვითი სათვალავი თხზულების ავტორი ოთხი დღის საიდუმლო მნიშვნელობას ანიჭებს: 8 + 1, სადაც მესამე დღე ქრისტეს აღდგომის დღეა, ხოლო მეოთხე დღე იმათი, ვინც ნათლისღებით უფალთან არის დაფლული. რაც შეეხება „წილი“-ს ანბანურ სათვალავს, თხზულების ავტორი მას ოთხი დღის მკვდარის საიდუმლო მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს.



ამიტომ თხზულების მიხედვით „წილი“-ს რიცხვული მნიშვნელობა ასეთი იქნება: $3 + 1 = 4$, ანუ „ესე არს ოთხი დღეა“.

და ოთხისა დღისა მკუდარი“...

თქმა აღარ უნდა, რომ „ოთხისა დღისა მკუდარი“ ქრისტეს მცვაობარი ლაზარეა. ქართულ ენას კი სახარებაში ლაზარე ჰქვია; სამი დღე მკვდრეთით აღმდგარი ქრისტის ღმერთთა;

„და მოკლან იგი იესო ქრისტე და მესამე დღესა აღდგეს, რამეთუ ქრისტე აღდგა მკუდრეთით, აღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლობდეს“.

მეოთხე დღე ქართული ენის აღდგომის დღეა; „და ესე ენაა“

მძინარე არს დღესამომდგე“.

მაგრამ „ქართული ენის აღორძინების დღეს დღეება, ოღონდ მოპოვებით უნდა ველოდეთ ამ დროს და არ უნდა დავთვაწყოთ, რომ ღმერთისათვის ე. ი. მარადისობისათვის ათასი წელი ერთი დღეა“. (აკაკი ბაკრაძე).

მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ ძვ. წ. მე-5 საუკუნის ქართულ წერილობით ძეგლში — ქართულ ასომთავრულ ანბანში „წილი“ ასო-ნიშნის საიდუმლო რიცხვული განტოლება აღმოჩნდა: $3 + 1 = 4$. ამ საიდუმლო რიცხვული განტოლების მნიშვნელობა ქართულ ასომთავრულ ანბანში უკვე გამოაკვეთილია.

ახლა, „წილი“ ასო-ნიშნის იგივე საიდუმლო რიცხვით მნიშვნელობას: $3 + 1 = 4$ ქართული ენის სადღეებელიც გავცხადებ. ოღონდ „წილი“ — ასო-ნიშნის ერთიდაიგივე რიცხვულ ფორმულას ქართულ ანბანსა და ქართული ენის სადღეებელში სხვადასხვა შინაარსული მნიშვნელობა აქვს.

ხომ არ ვითქვით, რომ თხზულების ავტორი ასო-ნიშან „წილი“-ს, ძველი წარმართული საიდუმლო მნიშვნელობის წილ, აწ უკვე ახალ, ქრისტიანულ საიდუმლო მნიშვნელობას ანიჭებს და მით „წილი“ ასო-ნიშნის ახალ, საიდუმლო ქრისტიანულ ვერსიას ქმნის.

თუ ეს მართლაც ასეა, ზოგიერთთათვის, აბ. წ. მე-5 საუკუნის დამდეგს, ცნობილი უნდა უოფილყო „წილი“ — ასო-ნიშნის საიდუმლო მნიშვნელობა ქართულ ანბანში. მოთუშეტეს, თუ თავის თხზულებაში „ქება“-ს ავტორი „წილი“ ასო-ნიშნის წარმართულ ანბანურ მნიშვნელობას იოვალისწინებს და „წილი“ ასო-ნიშნის იგივე წარმართულ-რიცხვული ფორმულით სარგებლობს, რათა მისი მეშვეობით ახალი ქრისტიანული საიდუმლო გაეცხადოს, ასეუ შემთხვევაში, „ქებაა ქართულისა ენისაჲ“ ისეთი თხზულებაა. რომელიც წარმართული ქართული კულტურისა და ქრისტიანული ქართული კულტურის ერთიანობაზე მეტყველებს. ძველი წარმართული შინაარსი ქართული ანბანისა თხზულებაში დაიწვებული არ არის. უნდა ვითქვით, რომ იგი შენახულია, რაკი თხზულების ავტორის

თქმით, „უოველი საიდუმლოა მისი მნიშვნელობა და მარტულ არს“.

ძველი წარმართული და ახალი — ქრისტიანული კულტურის ერთიანობის თვალსაზრისით „ქებაა ქართულისა ენისაჲ“ უთუოდ საგულწინაში ძველია ძველი ქართული მწერლობისა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქრისტიანულ ქართულ კულტურას წარმართული ქართული კულტურული მონაკობები არ უარყუვია და დავიწყებას არ მივცია, არამედ ზოგ შემთხვევაში ხელუხლებლიც დაიცვა და აითვისა (ქართული დამწერლობა, ქართული მუსიკალური ნოტაცია), ხოლო სხვა შემთხვევაში ახალ, ქრისტიანულ მოძღვრებას მიუხადავა ან ქრისტიანობისათვის მისაღებ ფორმებში გარდაქმნა.

ამ უდასანკელი ქმედების შესენისწინავე მაგალითია ქართული ქრისტიანული წილთაღრიცხვა: ქართული დასახამითგანი და ქართული ქორონიკონი კვლევამ ცხადყო, რომ ქრისტიანული ქართული წილთაღრიცხვა შემუშავებულია ქართული ეროვნული წილთაღრიცხვის საფუძველზე. როგორც გამოირკვა, ქართული ეროვნული წილთაღრიცხვის გამოსავალი თარიღია ძვ. წ. 284 წელი ანუ პირველი წელი საუკველთაო სახელმწიფო ქართული ენისა და სრულიად სახელმწიფო ქართული მწიგნობრობის შემოღებისა.

ამრიგად, ქართული ენისა და ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი ერთდროულად ქართული წარმართული წილთაღრიცხვის დასახამიცაა. გარდა ამისა, ქართულ წარმართულ წილთაღრიცხვისა და ქართულ დამწერლობას შორის განუყოფელი ურთიერთ კავშირია, რაკი ქართული წარმართული წილთაღრიცხვა ქართული ანბანის კალენდარული სისტემის საფუძველზე იყო აგებული.

როგორც უკვე ითქვა, ქართულმა ქრისტიანობამ წარმართული ქართული წილთაღრიცხვა ქრისტიანულ ქართულ წილთაღრიცხვად გარდაქმნა. ამ გარდაქმნის შედეგად, ქართული ეროვნული წილთაღრიცხვის დასახამი თარიღი — ძვ. წ. 284 წელი ქართული ქრისტიანული ქრონოლოგიის ფარულ ამოსავალ საწინ თარიღად იქცა. ქრისტიანული ქართული დასახამითგანი და ქრისტიანული ქართული ქორონიკონი ქართული ენისა და ქართული დამწერლობის შემოღების საწინ თარიღზე და შესახამისად წარმართული ქართული ქრონოლოგიის დასახამის თარიღზე აგო. სწორედ ამის გამო აღემატება ქართული ქრისტიანული წილთაღრიცხვა ნებისმიერ სხვა ქრისტიანულ წილთაღრიცხვას 118, 104 თუ 112 წელით.

ახლა კვლავ ჰქვინ თხზულებას — „ქებაა ქართულისა ენისაჲ“-ს თუ დავუბრუნდებით, სწორედ ეს ქართული წილთაღრიცხვის მეტობა მიაჩნია თხზულების ავტორს ქართული ენის უდიდეს ღირსებად და უპირატესობად სხვა ენებთან შედარებით. ქართული წილთაღრიცხვის

მეტობას თხზულების ავტორი უდიდეს მნიშვნე-
ლობას ანიჭებს, რაჟი ქრისტეს მეორედ მოსვ-
ლის დრო-ჲმს ქართული ენა ქართული წილთ-
აღრიცხვით ეგებება:

8. და ესე ენაჲ (ქართული)
შემკული და კურთხეული სახელითა
უფლისასათა...

მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა
უფლისასა.

9. და სასწაულად ესე აქუს;
ას-ოთხი წელი
უშტებას მოსლვითგან ვიდრე
დღესამომდე...

გავიხსენოთ. რას ამბობს პაველ ინგროსოვა
თხზულების ავტორის თვალსაზრისის შესახებ
ქართული წილთაღრიცხვის თაობაზე:

„ავტორი ამ ძველისა ქართული წილთაღრი-
ცხვის მეტობას მიიჩნევს პროვინციულიადაა
მოკლენად. იგი მას მისტაურ განმარტებას აძ-
ლევს, რომ ამ მეტობის მიხედვითაც მტკიცედ-
ბაო ქართულის უპირატესობა სხვათა ენათა წი-
ნაში“.

პაველ ინგროსოვა უფროდ მართალია, მაგრამ
არც მას, არც ალექსანდრე ცაგარენსა და კორ-
ნელი კეკელიძეს არ უცდიათ განმარტაობ, თუ
რატომ არის ქართული წილთაღრიცხვის მეტო-
ბა ქართული ენის უპირატესობის ნიშანი.

ამიტომ აჟაკი ზაქარაძემ სრულიად სამართლი-
ანად და კონკრეტულად თქვა:

„დაუწვიათ, რომ ქართული წილთაღრიცხვა
მართლაც აღემატება რომელიმე წილთაღრიცხ-
ვას... მეტი რა, რას ნიშნავს ეს, რატომ არის
იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი, ქა-
რავმულად რას გვეუბნება ეს ფაქტი? პასუხი
არ ჩანს“.

უფიქრობ, ახლა, ქართული წილთაღრიცხვის
რეობის გამოკრვევის შემდგომ ამისი პასუხიც
მოგვეპოვება:

რაჟი „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა
დამარხულ არს“, ქართული ქრისტიანული
წილთაღრიცხვაჲ, ქართულ ენაში — ქართულ
ანბანშია დამარხული, ზოლო ამისი დამარხი-
ცებელია ქართული ანბანის ასო-ნიშანი „წი-
ლი“. ამას ზომ თავად თხზულება გვეუბნება,
რომ „ენაჲ ქართული“.

8. ...მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა
უფლისასა

9. და სასწაულად ესე აქუს; (სასწაულად ე. ი.
ნიშნად).

ას-ოთხი წელი

უშტებას სხვათა ენათა
ქრისტებას მოსლვითგან ვიდრე
დღესამომდე.

10. და ესე უკველი,
რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ
ახლა ესე „წილი“ ანბანისაჲ.
უფიქრობ, თხზულების ამ სტრაქონებში შე-

ფარულად ნაგულისხმეია ის, რაც უკვე
ვე ითქვა ქართული ენისა და ქართული წილთ-
აღრიცხვის შესახებ. ქრისტიანულ ქართულ
წილთაღრიცხვას წარმართობის დროინდელი სა-
თავე აქვს და ამიტომ უძველესია ვეძელა სხვა
ქრისტიანულ წილთაღრიცხვებს შორის. არცერთ
სხვა ქრისტიანულ წილთაღრიცხვას წინარედ
ქრისტიანული საფუძვლები არ ვაჩინა;

ქრისტიანული ქართული კონოლოგიის ამო-
სავალი საწესის თარღლია ქართული ენისა და
ქართული დამწერლობის შემოღების თარღლი.
ე. ი. ქართულ ენასა და ქართულ ქრისტიანულ
წილთაღრიცხვას შორის უშუალო ფრთხირობა
კავშირია, არცერთი სხვა ქრისტიანული წილთ-
აღრიცხვა ენასა და დამწერლობას არ უკავშირ-
დება.

ქრისტიანული ქართული წილთაღრიცხვის სა-
იდუმლო თვით ქართული ენის, ქართული ანბან-
ის კალენდარულ სისტემაშია დამარხული. არც-
ერთ სხვა ქრისტიანულ დამწერლობაში წილთ-
აღრიცხვის კალენდარული სისტემა არ დისტურ-
დება.

ქართული ანბანის კალენდარული სისტემის
წელიწადის ზანტრღოვობას კი, როგორც უკვე
გამოიჩქვა, ქართული ანბანის ასო „წილი“ ან-
გარიშობს. მკითხველს მოვგაგონებ. ასო-ნიშან
„წილი“-ს გეოზებით ქართული ანბანის კალენდარ-
ული სისტემა შის უმარავი წელიწადის კალენ-
დარული სისტემაჲ. მკითხველს, ამ კალენდარულ-
ის სისტემის რაობაც შეიძლება მოვგაგონოთ.
ქართული ანბანის ანალიზმა ცხადდო, რომ ქარ-
თული ანბანის შის უმარავი წელიწადის კალენ-
დარულ სისტემას „წილი“ და „დონი“ ასო-ნი-
შნები ამორციელებენ. ეს კალენდარული სისტე-
მა „წილი“ და „დონი“ ასო-ნიშნების 4-წლიანი
და 124 + 4 წლიანი კალენდარული ცყოლებით
ზორციელდება. „წილი“-ს ოთხწლიანი კალენდარ-
ული ფორმულაჲ: $8-1=4$ ე. ი. „წილით“
უკველ ოთხწლიელში ერთი წაჟიანი წილიწადი
იანგარიშება.

„წილი“-ს 124 + 4 წლიანი კალენდარული
ფორმულაჲ: 81. წილი — 4. ამ ფორმულით
„წილი“ 81 წაჟიანი წილიწადსა და უნაჟო 4 წლი-
ულს ანგარიშობს ე. ი. $81 \times 4 = 124 + 4$.

„დონი“ — ასო-ნიშნის 4 წლიანი და 124 + 4
წლიანი კალენდარული ცყოლები აგრეთვე
„დონი“ ასო-ნიშნის რიცხვით მნიშვნელობებშია
დამარხული: 4. დონ — 4. სადაც „დ“ ასო-ნი-
შანი შის იდეოგრაფიული ნიშანია. ზოლო
„დონ“ სახედდება რიცხვის აღმნიშვნელია:
 $4 + 0 = 4$, ე. ი. $4 + 70 = 30 = 124$. ამიტომ შის
ნიშანი ქართულ ანბანში 4. და 124 + 4 კალენ-
დარულ 4-წლიან და 124 + 4 წლიან ცყოლებს
ანგარიშობს.

ქართული ანბანის შის უმარავი წელიწადის
ეს კალენდარული სისტემა დაედო საფუძვლად
ქართული ეროვნული წილთაღრიცხვის შემოღ-
ბას ძვ. წ. 264 წელს, რამაც თავის მხრივ მოვე-

ცა ის 104-წილანი განსხვავება, რომელიც ქართულ და დასავლურ ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის არსებობს.

ამგ შგონია, თხზულებაში ქართული ანბანის ეს საიდუმლო უნდა იფიქსირებოდეს; თხზულების „წილი“ და თხზულების „დონი“ თავადი ალტერაცია ამასვე უნდა შეტყვევებდეს.

თუ ეს მართლაც ასეა, თხზულების შინაარსიც საბოლოოდ გასაგებია.

„ქებაა ქართულისა ენისა“ უფროდ ის ძეგლია, რომელმაც ქართული ანბანის საიდუმლო მისი შექმნიდან 1200 წლის შემდეგ შეფარუ-

ლად გაგვიცხადა. მას შემდეგ კი 1200 წელიწადმა გაწვლო.

1885 წელს ქართული ანბანის არსებობის 2.400 წლისთავი სრულდებოდა. თუ დღეს ამის უფლება გვაქვს გავაცხადოთ, რომ ქართული ანბანის საიდუმლოს საბოლოოდ აებოდა ფარდა, მის ქებათა-ქებას ისევ უკეთ ვერ იტყვის კაცი, როგორც ამ 1200 წლის წინათ უკეთ იტყვა:

„უოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

შენიშვნები:

1. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი პირველი — ძველი შწერლობა. თბილისი. 1960 წ. გვ. 167.
2. ქ. კეკელიძე იქვე. გვ. 167.
3. პავლე ინგოროყვა. გიორგი შერხელე. 1954 წ. გვ. 751-752; თხზულებანი ტ. III. 1965 წ. გვ. 208-215.
4. პავლე ინგოროყვა. გიორგი შერხელე. 1954 წ. გვ. 751-752; თხზულებანი, ტ. III, 1965 წ. გვ. 208-215.
5. პ. ინგოროყვა. გიორგი შერხელე. 1954 წ. გვ. 753;
6. პ. ინგოროყვა. თხზულებანი. ტომი III. 1965 წ. გვ. 215.
7. პავლე ინგოროყვა. თხზულებათა კრებული. ტომი IV. 1978 წ. გვ. 402-406.
8. აყაი ბაქრაძე. კრიტიკული გულანი. გვ. 7, 8.
9. აყაი ბაქრაძე. კრიტიკული გულანი. თბილისი, 1977 წ. გვ. 16.
10. Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, 1888, ст. 203-4; ქ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, 1941 წ. გვ. 147-8, პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. III, 1965 წ. გვ. 594.
11. „კავკასიონი“, 1924 წ. № 1-2, გვ. 268.
12. ქ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. 1941 წ. გვ. 147.
13. „კავკასიონი“. 1924 წ. № 1-2, გვ. 268.
14. პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, ტომი III, 1965 წ. გვ. 595.
15. „გეორგიკა“, ტ. IV; ნაკვ. II, 1952 წ. გვ. 317.
16. იქვე, გვ. 311.
17. „სინური მრტალთავი“, 1959 წ.
18. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, 1964 წ. გვ. 83-85.
19. ფსალმუნნი, მზ. შანიძის გამოცემა, 1960 წ.
20. „კავკასიონი“, 1924 წ. № 1-2, გვ. 268.
21. Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, 1888 г. стр. 204.
22. „კავკასიონი“, 1924 წ. № 1-2, გვ. 268.
23. „Богословские труды“, 1968, № 4. პროფ. ი. პოპოვის წერილი ჰილარიუს პეტაველის შესახებ.
24. აყაი ბაქრაძე, კრიტიკული გულანი. თბილისი 1977 წ. „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისა“, გვ.
25. „კავკასიონი“, 1924 წ. № 1-2, გვ. 268.
26. კრიტიკული გულანი. 1977 წ. გვ. 14.
27. იქვე, გვ. 9.



თავმოკვეთილი ოსმალი

ძარბაზის მეფე დავით X-ის საბაგრაო პოლიტიკის ისტორიიდან

XVI საუკუნის დამდეგიდან იწყება ახალი ეტაპი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. ამ დროს საქართველო ხაზმართიდან მოექცა მამამდიანური სახელმწიფოების გაერმოცვის რკალში და მისი უფსნაარუოფნის ხაკოთი იდგა. ქართველი ხალხი უველა ხაზუალებით იყავდა თავს მომხდური შტრახაგან.

1505 წელს ქართლის მეფე კონსტანტინე II გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა დავით X (1505-1525 წ.წ.). ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს დავით ქართლის მეფეს: „აყო ღმობიერა, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა“.

ამ დროს საქართველოს საზინაო და ხაგარეო მდგომარეობა მეტად გართულდა. ფეოდალურ-ჩა საქართველოს დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველო საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, მაგარამ ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები ცალ-ცალკე „ორსავე ტახტის გამაერთიანებლად“, „უოფლისა საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მსურობებლად“ და „მეფეთა-მეფედ“ იწოდებოდნენ და უკველი მათგანი საქართველოს გაერთიანებას ჩემულობდა.

საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას დაემატა მეზობელი სახელმწიფოების გაძლიერება. 1465 წელს ოსმალეთში დაიპყრო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ განადგურა ბიზანტიის იმპერია, ხოლო 1481 წელს კ — ტრაპიზონის საციისრო. ამის შემდეგ ოსმალები უფულოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან და ქვეყნის დაპყრობას შეუდგნენ. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც ახალი საზიში შტერა — სეფიანთა ირანი გაუმეობლდა. სეფიანთა შაჰები აგრძელებდნენ თავიანთ წინაპართა აგრესიულ პოლიტიკას.

ოსმალი და უზილბაში დამპყრობლები მოხერხებულად იყენებდნენ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მმართველთა შინაურ განხეთქილებებს და კიდევ უფრო აღუფებდნენ მათ შორის კონფლიქტს. უოველივე ამის გამო, საქართველოს გაერთიანება და ქართველი ხალხის დაჩაზნვა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დიდ დაბრკოლებას აწუდებოდა.

დავით X-ის მეფობის პირველ წლებში ქართლის სამეფო ხელისუფლება დაცხსტებული იყო. ხან იმერეთისა და ხან კახეთის მეფეები თავს ესხმოდნენ ქართლს, არხვედნენ და მის დაპყრობას ცდილობდნენ.

1509 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ ილაშქრა ქართლში. აიღო გორის ციხე და ქართლის მიედი ჩრდილო-დასავლეთით საწილი მდ. ლიანხამდე იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა. მაგარამ ამ დროს ალექსანდრემ მიიღო ცნობა, რომ იმერეთის ოსმალები შეეისვნენ ტრაპიზონის გამგებელი უფლასწული სელიმი თავისი მარბიელი ლაშქრით შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, აიღო ქუთაისი. გაძარცვა. ააოზრა ქვეყანა და მდიდარი ნადავლით უკან გაბრუნდა. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულყო. ამით ისარგებლა დავით X და ქართლის დაპყრობილი ნაწილი ისევ უკან დაიბრუნა.

ქართლის სამეფოს არც კახეთის მეფე „ავგიორგი“ (ასე უწოდებდნენ მამის მკლელ კახთა მეფეს) ასვენებდა. იგი თავს ესხმოდა ქართლს, ძარცვავდა და მის ხელში ჩაგდებას ღაშობდა. ერთ-ერთი თავდასხმის დროს ავეგორგი შეიპყრეს და მოაკლავიენს (1518 წ.). დაეთმა არ დაუოვნა. იმავე წელს ქართლის ლაშქარი კახეთში გაგზავნა, დაიპყრო იგი და ქართლის სამეფოს შეუერთა. ქართლის მეფე შეეცადა ხელთ ეგდო ავეგორგის მცირეწლოვანი მემკვიდრე ლევანიც და ამით საბოლოოდ შემოეშტაციებინა კახეთი. მაგარამ ხაგარეო ვი-

თარებამ სკლი შეუშალა ქვეყნის გაერთიანებას ამ გეგმას.

სწორედ ამ დროს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი დაიწყო, რომელიც მკაცრ შეზღუდვებშით სავაჭრულ მეტ ხანს ვაჭარდებდა. ამ ომის დროს მოქმედების ერთ-ერთი მოთავეს ახსარეზი ამირთაყასისიის ქვეყნები და კერძოდ, საქართველო იყო. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დღევანდელი ცდლობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილმა ქვეყანამ მომდგარ მტერთან საბრძოლველად ვერ შეხდლო გაერთიანება. პირიქით, ყოველი მეფე-მთავარი ცდილობდა ცალ-ცალკე მორიგებობდა მტერს და ჩამდენადაც ძალია შესწევდა დაეცვა თავისი ქვეყანა. სახოლოო განში ახეთში პოლიტიკამ უარყოფითი შედეგი გამოიღო და მტერს გაუადვილა თავისი მიზნის განხორციელება.

1514 წლის ზაფხულში ოსმალეთის 100 ათასანი ლაშქარი სულთან სელიმ I ხარდლობით ირანის წინააღმდეგ გაემართა. სელიმმა საქუხის გამგებელს ათახავს, რომელიც მისი მოხარკე იყო, ელჩი გაუგზავნა და ლაშქარისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება მოსთხოვა. 10 აგვისტოს ქ. სოგმენში კართველებმა სურსათ-სანოვაგე ჩაიტაცეს.

1514 წლის 28 აგვისტოს ჩაღღარაანს ველზე (სამხრეთ აზერბაიჯანი) სელიმმა ხასტიკად დაამარცხა შამ-ისმაილის ლაშქარი. ისმაილმა გაქცეული უშველა თავს. 8 სექტემბერს ოსმალეთის ლაშქარი ირანის დედაქალაქში თაჭრეზში შევიდა და ხასტიკად გამოაცხა იგი. შამ-ისმაილმა უარყო სელიმის მიერ შეთავაზებული ზავი და ოსმალების წინააღმდეგ პარტიზანული ომი დაიწყო. 15 სექტემბერს სელიმი იძულებული იყო თაჭრეზი დატოვებინა და უკან გაბრუნებულიყო. სელიმის ლაშქარი ბზაში სურსათ-სანოვაგის დიდ ნაკლავსებას განიცდიდა, რადგან მას უხდებოდა ყოვლიანების მიერ გადახდებულ ადგილობრივ გავლას. ოსმალთა ლაშქარს თავს ესპობდნენ პარტიზანული რაზმები და დიდ ზარალს აუყენებდნენ მას. სელიმმა ათახავს მშვეპახუს ელჩი გაუგზავნა და სურსათის მიწოდება მოსთხოვა. ათახავს სურსათის მიწოდებას აუცილებდა. სელიმი ომით დაიქურჩა და ხაშუბის დასარბევად ლაშქარი გაგზავნა. ასეთ ვითარებაში მშვეპახი იძულებული შეიქნა ოსმალეთის ლაშქარისათვის სურსათ-სანოვაგე მიეწოდებინა, ამით კი — ქვეყნის დარჩევს გადარჩა.

ამ ომში დავით X, კარაღის მეფე, ირანის მოკავშირე იყო. ევროპული წყაროებდან იკვრება, რომ ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსმალთა ლაშქარზე თავდასხმევაში. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს ქარ-

თველებმა 15 ათასამდე კაცი სელიმის ხელთ იგდეს 11 ზარბაზნი.

შამ-ისმაილმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოსმალური კოალიცია შეედგინა ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციაში. საქართველოს გარდა, შევიდა ეგვიპტის სულთანი, აღზისტანისა და მარაშის გამგებლები. მოკავშირეები შეთანხმდნენ დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთსათვის. თუ მათ თავს დაესხმოდა ოსმალეთის სულთანი, ამ კოალიციის შედეგის საქმეში ქართველი პოლიტიკური მესვეურები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

ჩანს, სელიმ I-ისთვის ცნობილი ვარაუდი და მან გადასწყვიტა ზომები მიეღო ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეების წინააღმდეგ. სელიმმა გაილაშქრა აღზისტანისა და მარაშის წინააღმდეგ, დაიპყრო ეს სამხრობები და ოსმალეთის იმპერიას შეუერთა. 1515 წლის აგვისტოში სელიმმა ბრძანება გასცა ანატოლიაში ქარი შეეკრახათ და დიდ ვეზირს ხანას-ფაშას დაეავალა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქროდ მომზადება. გურჯაველი მიწეუბნის გამოც ლაშქრობა არ შედგა.

1518 წელს გარდაიცვალა ხაშუბის ათახავს მშვეპახუი და ათახავს ვახუა ვეარუვარე III (1518-1545) ქაიხობრობ-მე. ვეარუვარეს აუცამუდა ბიძაშისი (მშვეპახუს ძმა) და დაამარცხა იგი. ვეარუვარე ირანში გაიქცა და შამს დახმარება სთხოვა. შამს შეიწყნარა ვეარუვარე ათახავს და მას დახმარება აღმოეჩინა. შამ-ისმაილმა ხაშუბეში მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა დიდ-სულთანს რუბლდეს სარდლობით. ირანელების დახმარებით, ვეარუვარემ მანუჩარს დაამარცხა და იგი ოსმალეთში გაიქცა.

ამ დროს სელიმ I ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქროდ ემზადებოდა. 1518 წლის 28 ნოემბერს მანუჩარს დაამარცხა ჩავიდა და პარსი დად ეახლა სელიმს ბაბეში. სელიმმა მანუჩარს საათბავოს გამგებლად დანიშნის ღირსიან ეზოდა და დახმარება აღუთქვა. მან ბაიბურათის სანჯაყ-ბეგს კაზილ-ამბედ ოღლი მირზას და ისტორის ბეგს დაავალა მანუჩარისათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ. 1517 წლის 29 აგვისტოს, კაიროში ყოფნის დროს სელიმს მოუვლდა ცნობა, რომ მირზა ბეგი და ისტორის ბეგი ვეარუვარემ დაამარცხა და მოკლა. ამრიგად, მანუჩარის ცდა, ოსმალთა დახმარებით დაემარცხებინა ვეარუვარე, მარცხით დამთავრდა.

1518 წლის თებერვალში სელიმი, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, დაბასკოში ჩავიდა. აქ მან ეახლა შამ-ისმაილის ელჩი და ზავი შეთავაზა. სელიმმა შამის წინადადება უარყო და ელჩი დააპატიმრა. მისში სელიმი დაამასკოდან აღუპროს ჩავიდა. მას გადაწყვიტული ჰქონდა მდ. ეფრატის მარცხენად მოეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, მაგრამ მოულოდნელად შეუ-

ვალი თავისი გადაწყვეტილება და ევროპისაკენ იხრება პარი — იგი ადრინაოპოლისაკენ გაემართა.

შამ-ისმაილ I ურბადღებით ადევნებდა თვალს სულთან სელიმის საქმიანობას და მან სათანადო ნაბიჯები გადადგა ოსმალეთის მოსაზღვრელი თავდასხმის შესაჩერებლად. შამს განსაკუთრებით აფიქრებდა, რომ სელიმი სამხედ-საათაბაგოსა და ქართლში არ შეტრიალყო. ამიტომ იგი შეეცადა აქ თავისი გავლენის განმტკიცებას.

სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ქვეყნები აყვანდნენ ირანს ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალეთის შეტევის დროს. ამ ქვეყნების დაპყრობის შემთხვევაში, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა გაეღოაშქრა როგორც დასავლეთ-საქართველოს, ისე აღმოსავლეთ აზიურ-კავკასიის მიმართულებით. აღმოსავლეთ აზიურ-კავკასიის დაპყრობა კი მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეტრიახა და ირანისთვის ჩრდილოეთის მხრიდან ფარტყმის შესაძლებლობას აძლევდა.

1515 წელს შამ-თამაზ I ნახიჩევანის სახმართო ბანაკში იმყოფებოდა. აქ მან დაიბარა ათაბაგი ურარუვარ III. შამმა თავის სარდალთან დავ-სულთან რუმელისთან ერთად ქართლში გამოგზავნა ურარუვარ. დავ-სულთან რუმელს ლაშქარი სამცხე-საათაბაგოს გავლით ქართლში შემოვიდა. გური და სურამი დიკავა.

დავით X, ქართლის სამეფოს აობრებისაგან ვადაჩენის მიზნით, მორჩილება არჩია. დავითმა დავ-სულთანთან მოსადაპარკებლად თავისი შვილი რამაზი გაგზავნა. ძვირფასი ძღვნით, მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა: — შეიწყნარა ძე მეფისა რამაზი პატროთა დიდითა და მისცა ნიკა დიდი და წარმოგზავნა მშვიდობითა ზავისა შეუფიქრებლად და დაიხსნა მეფემან დავით ქართლი აობრება-ტყურობისაგან.¹

შექმნილ ვითარებაში შამ-თამაზის შედარებით დიდი როლი პოლიტიკა ქართლის სამეფოს მიმართ, უპირველესად უკვლისა, აიხსნება იმით, რომ შამს სურდა ქართლის სამეფოს ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმად ომში მისი მოკავშირე ყოფილიყო. ვახუშტი სრულად ხამართლიანად შენიშნავს, რომ „ესე შუო ყვენმა, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ბრძოტრისა, რათა არა ქართლელნი მიერთდნენ მას“.²

ქართლის სამეფოს გართულებული სავარგო მდგომარეობით ისარგებლეს ლევანის მომხრე კახელმა თავადებმა და იგი კახეთში გააშფუტეს. ამით ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ერთიანობას ბოლო მოეღო. დავით ქართლის მეფე ვერ შეუდგა კახეთის დაკარგვას და ლევანის წინააღმდეგ გაილაშქრა (1520 წ.). ამ კონფლიქტში საქართველოს მეფე-მთავრებმა (იმერეთის მეფე ბაგრატ III, გურიის მთავარმა მამია I, ურარუვარ III ათაბაგმა) ლევან კახთა მეფეს დოუკირეს მხარი. ისინი არ იყვნენ დიანტერისებულ ქართლის სამეფოს გაძლიერებით, რადგან

ქართლის განმტკიცება მთ სამეფო-მთავრებთან ერთად და მოუცილებლობასაც საფრთხეს წარმოადგენდა. მამია გურიელის შუამავლობით დავითი და ლევანი დაზავდნენ, საზღვრები დაადგინეს და ხელშეკრულება დადეს კეთილშეზობლობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა: „რათა შუთ ზავი და სიყვარული თქვენს შორის, განუცხადო მათ გურიის მთავარსა მამიან, რამეთუ რაინ მტერისი ძლიერნი ვარემოს, ვითარცა ყვენი, რომელი იპყრობს ქვეყანათა“.³

ამრიგად, დავით X ქართლის მეფის ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის მარცხით დამთავრდა. ამის მთავარი მიზეზი, როგორც ხაზინაო, ისე სავაჭრო ვითარება იყო. დავითმა „მშვიდობის მოყვარე“ მეფემ არჩია კარზე მომზადარ მტერთან ბრძოლის გამს მათა სისხლის ღირს ნაცულად ქვეყანაში მშვიდობა ყოფილიყო.

სელიმ I-ის დაპყრობითა ომების შედეგად ოსმალეთს შეუერთდა დასავლეთ სომხეთი, კურთისხანი, სირია, ლიბანი, პალესტინა, ეგვიპტე, აღიერია, ოსმალეთის დაეპოვრჩილა, აგრეთვე, მუსლიმანთა წმინდა ქალაქები — მეკა და მდინა. სელიმის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამერიკიდან ოსმალეთი ფლობდა ტერიტორიებს არა მარტო ევროპისა და აზიაში, არამედ აფრიკაშიც. ოსმალეთი ზეიმს ზარს სცემდა იმდროინდელ სახელმწიფოთა მეფე-გამგებლებს.

1520 წელს მოულოდნელად გარდააცვა სელიმ I და ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I (1520-1566 წ.წ.). იგი იხორრიაში ცხოვრობდა ბრწყინვალესა და კანონმდებლის სახელწოდებით. მის დროს ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. სულეიმანმა აგრძელებდა მამის მიერ დაწყებულ სავარგო პოლიტიკურ კურსს. (სელიმ I თავისი მეფობის ბოლო წლებში განწარხული ჰქონდა დიდი ლაშქრობა დაეწყო ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ). მიუხედავად იმისა, რომ სულეიმანმა ევროპის ქვეყნებთან ომის სამზადისობა იყო გართული. იგი ურბადღებით ადევნებდა თვალს, თუ რა ზღვებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ევროპასთან ომის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების უზიარებას, რაც ხელს შეუწყობდა მის წარმატებებს ევროპის სახელმწიფოებთან ომში.

სულთნის სამეფო კარი ახალ ახალ აგენტებს გზავნიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. რათა სრულად იმეორებინათ ქრონოდა იქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

თავის მხრივ შამ-ისმაილ I, მან, კარგად იყო ორიენტირებული საერთაშორისო ვითარებაში. სელიმ I-ის სიკვდილის შემდეგ მან სწორად შეაფასა მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია: გადაწყვიტა განმტკიცებინა თავისი პოზიციები ოს-

მადლით მოხაზდრე ქვეყნებში და მომზადებულიყო ოსმალეთის წინააღმდეგ იეროვის მისატანად, რათა დაეზრუნებინა მასთან ომში დაკარგული ქვეყნები; აგრეთვე იგი ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას და ამ მიზნით ევროპის ქვეყნებში ელჩობა გაუწავდა და მათ შეფერებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომიხაყენ მოუწოდებდა.

ამ დროს ქართლის სამეფოს მდგომარეობა შეტად რთული იყო. დავით X-ის ცდა ქართლის სამეფოსთან კახეთის გაერთიანებისა მარცხით დამთავრდა. როგორც ზემოთ მივთვითეთ, ამ საქმეში იმერეთის მეფემ, გურიელმა და ათაბაგმა კახეთის მეფეს, ლევანს დაუპირეს მხარი. მათ არ აძლევდა ზელს ქართლის სამეფოს გაძლიერება. პირაქით, ისინი უველაფერს აეთებდნენ ამხსათვის, რომ ქართლი დასუსტებულიყო. მათ ვერ გამოიჩინეს შორსმჭვრეტელობა, სიფრთხილად პოლიტიკაში კი არ შეეცადნენ კარგე მომდგარ მტერთან საბძროლველად ძალების გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში დავით მეფე საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა, მაგრამ აღწებოდა კი ეს საქმარის ისეთ ძლიერ მტერთან გასამკლავებლად. როგორც ოსმალეთი იყო? ამ დროს ჭერ კიდევ არ არსებობდა მესამე ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამიერკავკასიაში ოსმალეთსა და ირანს. ასეთ ვითარებაში საკირი იყო ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენება, მათ შორის ხალხსირება.

ქართლის მეფეს დავით X კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში მის ქვეყანას საფრთხე უშუალოდ უიწოდება შური ირანიდან ეშუქრებოდა, რადგან ირანის შამი არ მოიჭმენდა დაშოუიადებლა ქართლის სამეფოს არსებობას. შამი დაიწინებით ცდილობდა სრულ შორსილდებში შეყოლიდა ქართლს. უზრუნველყო ქართველების მონაწილეობა ირანის ლაშქარში ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, აგრეთვე მისი სახურსათო რესურსებიც გამოეყენებინა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. რაც შეეხება ოსმალეთს, ამ პერიოდში იგი არ ისახავდა ქართლის იწროპირაკიანს. იგი ცდილობდა ქართლი მისი მოკავშირე უოფილიყო ირანთან ომში. ამრიგად, შექმნილ პირობებში ქართლის სამეფოს საფრ-

თხე უშუალოდ ირანის მხრიდან ეშუქრებოდა ქართლის მეფე დავით X ცდილობდა მისი ხელუღოდ გამოეყენებინა ამ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები. ამკერად მისთვის უბარალი იყო ოსმალეთთან კავშირის დაშორება. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ფარულად, რადგანაც ამ ურთიერთობის გამოიყენება ირანის შამის რისხვას გამოიწვევდა და ქვეყნის დალაშქრის მიზრეც გახდებოდა. ამიტომ დავით X გადადგა შეზღვევა ნახიცი.

1621 წელს ოსმალეთის ბელისუფალთათვის გაუწავილი დავით მეფის წერილიდან ირკვევა, რომ შეუძლებელი გახდა ოსმალთ კაშუშის ვინეი ამმეღის გაპარება შორანს, ქართლის გავლით, ვინაიდან სპარსელებმა ყვარყვარეს შემკვრობით ვაიგვს მისი თხილისში ჩამოსვლის ამბავი. შამმა დავითს კაცი გაუწავინა და დაეშუქრა ქართლის მეფეს, რომ მთელ მის ქვეყანას მიწასთან გასწორებდა, თუ კაშუშს არ გადასცემდნენ.

ამგვარად, ყვარყვარე ათაბაგის გამცემლური პოლიტიკის გამო, ბოლო ედებოდა დავით მეფის მიერ დაწვებულ საქმეს. მართალია, დავით X ოსმალთ სულთანს გარკვეულ სამსახურს უწევდა, მაგრამ იგი უოველ ღონეს ხმარობდა, რომ ირანს შამის ურთიერთობა არ გაემწვავებინა. ქართლის მეფის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო შეენარჩუნებინა მშვიდობა და ნორმალური ურთიერთობა ორივე დიდ სახელმწიფოებთან და ამ მიზნით, როგორც ეს დავითის წერილიდან ჩანს, მან ასეთ ბერს მონარო: საზღვარზე დააქერინა ვილაც მუსულმანი, რომელიც გარეგნობით ჰყავდა ოსმალთ კაშუშს, მოაკვითინა თავი და ტანსაცმელიან ურთოდ გაუწავინა საბუთოდ შამს, რომ მისი ბრძანება შეესრულებულია, ბოლო თავით თურქი კაშუშმა, საღ-საღამათი დააბრუნა ოსმალეთში იმ საბაბით, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი გატარება საქოსენ.

ასეთი იყო ქართლის მეფის დავით X საგარეო პოლიტიკის ერთი შტრიხი იმ მრახხანე ეპის, რომ დევნიდა ორი მუსოხელი მსაცებელი სახელმწიფო მას გადადგურებით ეშუქრებოდა და ასეთ ვითარებაში, როგორც იტყვიან, „შინანი ამართლებს საშუალებას“.

შენიშვნები:

1. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტისულის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959 წ.
2. იქვე.
3. იქვე.
4. იქვე.

5. დავით X მიერ სპარსულ ენაზე შედგენილი ორი წერილი, გაუწავილი ოსმალეთის ბელისუფალთათვის, აღმოაჩინა სტამბოლის თოფკაფის (სულთნების რეზიდენცია) სასახლის არქივში ფრანგმა ისტორიკოსმა ეან-ლუი ბაეგრამონმა და გამოაქვეყნა ფრანგული თარგმანითა და კომენტარებით.

საქართველოს მეურავთა მესხრა ზარილობაზე წარმოთქმული სიტყვები



ბიუროში ჯიბლაძე

მწერლობა და მეცნიერება ოდითგანვე განუყრელი იყვნენ. ტრადიციული გაგებით, ლიტერატურა მხატვრული სახეებით აზროვნებაა. ხოლო მეცნიერება — აზროვნებაა ლოგიკური კატეგორიებით. დიდ ადამიანებს მაინცდათ, რომ თუ ორი საგანი ერთ მიზანს ემსახურება, მაშინ შეიძლება ისინი განვიხილოთ, როგორც ერთი საგანი. მწერლობა და მეცნიერება ერთ საგანს — ადამიანის შემეცნებას ემსახურება.

ჩვენი უმწვენიერესი პლანეტის კომუნისტთა ნამდვილი მსოფლიო ფორტში იყო საკავშირო კომპარტიის XXVI ყრილობა, რომლის ძალა და მასშტაბი აჭარბებდა ყოველგვარ მოლოდინს. მანამდე მთელ საბჭოთა კავშირში ტარდებოდა პარტიული კონფერენციები. მოკავშირე რეპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები, ქამდებოდა მათე ზედიზედის შედეგები. ერთი სიტყვით, ახრებდა დღელდა და გადმოდღელდა. თითოეულ რეპუბლიკაში ეს იგრძნობოდა, და ჩვენ, ყველანი აღგვაფრთოვანა იმ მონოლითრობამ, რაც მსოფლიოს მასშტაბით ესოდენ საყნაური გახდა.

საქართველო კომუნისტთა XXVI ყრილობა იყო ამ მონოლითრობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი. უაღრესად მნიშვნელოვანი, რაც ასე კარგად აღინიშნა მოსკოვში, იმ ღირსახსოვარ დღეებში.

გვახარება, დიდად გვახარებს. აგრეთვე ჩვენი კულტურის წარმატებები. რუსთაველია თეატრის „რიჩარდი“ თვით შექსპირის სამშობლოში. მისი ნამდვილად უპირკენდენტო გამაჩვენება, მარქანიშვილის თეატრის წინსვლა, კარგული მწერლობათვის ლენინის პრემიის მინიჭება, ორი კართული მწერლის მკერდზე გმირის ნიშანი, ჩვენი ფარმწერლების, კომპოზიტორების, არქიტექტორების ახალ-ახალი ზინებელი ქმნი-

ლებანი — ეკონომიერი, პოლიტიკური და მეცნიერული დარგების ასე ძლიერი აყვავების ფონზე ეს ერთეულ კიდევ მოწმობს, თუ რა სწორი გზით მიდის საბჭოთა საქართველო პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რეპუბლიკური მთავრობის ყოველდღიური ხელმძღვანელობით.

შეხედეთ რა სიღამაზე გამოჩნდა ბაიათაშვილის ქუჩაზე, ჩვენი დიდი პოეტის ფეგლით რომ არის დამწვენებელი: ხალხთა მეგობრობისა და კომკავშირის მუხუდების გახანა. თბილისის გადაქცევა ანსუფთავისა და წესრიგის სანიშნო ქალაქად, ახალი ახალბო დღეააწინდები — შოთაობა, ვაჟაობა, იაკობობა, თბილისობა, ყოველ რაიონსა თუ მის ცენტრში ახალი შემართებული ხელის სასიხარულო ნაყოფი, — ისე სწრაფად, საფუძელიანად აეთდება ყველაფერი, რომ კიდევ გამბედილი ჯობია — ჩვენი მწერლობა, ჩვენი სულიერი კულტურა რომელი აწარებს მხატვრულად ასახოს იგი, ღრმად ჩაწყდება საბჭოთა საქართველოს დღევანდელ მღელვარე, აღმშენებლობითი პათოსის მასშტაბებს, დიდ მასშტაბებს საქართველოსი, რომელსაც 80 წელი სულ ახლანამ შეუძნრდღა.

ყოველივე ეს ჩვენ ესთეტიკურად უნდა გავიხაროთ, გადმოვეთ მალამბატურულ სახეებში.

ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების დარგში უანაანდელი ოცნების მანძილზე საქართველომ იმდენი, მანამდე უნახავი გამარჯვებები მოიპოვა, რომ ჩვენ უამრავივერევიტო ტრიუმფალურ ავლას, მაღალი ჯილდოებით სამშობლოს მკერდის კიდევ უფრო დამწვენებას; ერთი სიტყვით, როგორც ლეონიდ ილიას მე ბრძენევა თქვა, „საქართველოში საქმე კარგად მიდის და შეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირანზედა ახალი წარმატებების მისაღწევად მეორეობეტე ხედილდში“. ამის ამბობს დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი კაკი — ჩვენი პარტიის საკვეწროდ აღიარებული ლე-

* იხილეთა მწერალთა კავშირის სამდივნოს გააწყნრბოლები.

დარი და ეს კიდევ უფრო ახარებს ჩვენს გულს, ყველა ქართველის გულს. მაგრამ სიხარული როდი ქმარა. ჩვენ დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ მეურნეობებზე ხელშეწყობის გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებისათვის.

გულწრფელად მიიდა გიჟობა: მე არასოდეს ვყოფილვარ გატაცებული იმ პატრიოტიზმით, რომლის თუნდაც მშვენიერ სიტყვიერ გაფორმებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ინტერ-ნაციონალურისა და ნაციონალურის ურთიანობა იმას ნიშნავს, რომ შენი ერისადმი დიდი პატრიოტული სიყვარული წყარო იყოს სხვა ერის შეყვარებისა და მთავი დაფასებისა. სხვას როგორ შეიყვარებ, თუ შენი არ გიყვარს. ნამდვილად, მგზნებარებ, კემშიარტი პატრიოტული სული მოითხოვს სიტყვისა და საქმის პარამონულ ერ-თიანობას, სამშობლოს ინტერესებისათვის გარკვეული მსხვერპლის გაღებას, იმ პრინციპის განუხრებლად დაყვება, რომ, თუ პატრიოტი ხარ, ყველაზე მალეა კვეენის, პარტიის, ხალხის საქმე უნდა დააყენო.

ჩვენი პარტიას სანიშნულო პატრიოტები ჰყავს. ლენინის პარტიამ აღზარდა კვეენის საერთო საქმისათვის უნიშნად მებრძოლი გმირები, რომლებიც ისე გვიხიბლავენ თავიანთ შემართებით, როგორც მგაღლითად, საქართველო კომპაქტში-რში, საქართველოს კომპარტიამ აღზარდოლი, ამხანაგები. შევარდნამდე, სოციალისტური შრომის გმირი, რომლის ორგანიზატორული ტალანტი, საქონებისადმი მეტწიერული მიდგომა, თანამშობურულობა, შეუღრეველობა გვახარებს და ახალ ძალეზს გვამატებს.

მიიდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენს მეცნიერებასა და ლიტერატურაში ბრძოლის გაძლე-რების აქტიულობაზე იმ თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც ბურჟუაზიულ სამყაროს წი-ღეში იზადებიან და ჩვენს წინააღმდეგ მოემარ-თებიან. ამ ბოლო დროს ამერიკაში, ინგლისსა და დასავლეთ გერმანიაში აკამიად გაძლიერდა როგორც ძველი, კლასიკური წოდებული ფროიდიზმი. ისე ნეოფროიდიზმი, რომლის წი-ნააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა მეცნიერების წარ-შობადგენლებმა — პავლოვმა, ვიგოტსკიმ, ლუ-ნარსკიმ, ფრიდმანმა და სხვებმა 910-იანი წლებიდან დაიწყეს. ახლა კი ინტელიტურად აგრძე-ლებენ ჩვენი ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები და ლიტერატურათმეც-ნეულები... პირდაპირ ვიტყვი: ფროიდიზმი ხე-ლოვნების თეორიაში დღეს ერთ-ერთი საშიშ-როვანია: არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი დიდი ხანია თითქმის დაძლეულია. მართალია, ფროიდიზმი არ ჩამოვლინებულა, როგორც ხელოვნების თეორია, მხოლოდ გამოყენებულ იქნა მხატვრული ფენომენის ანალიზისად, მაგ-რამ ყველა თავისი ურაცოფიით თვისება მან არა მარტო შეინარჩუნა, პირიქით, გაამდიდრა ესთეტიკის დარგში. თუმცა ყველამ იკით, რომ

მასხვს, დიდხანს ვებობდით ავტორთან ამ ბოლო სტრიქონის თაბაზე. მას მოსწონდა იგი და მხურავად იცავდა კიდევაც, თუმცა სინამდვილეში არც არავინ ედავებოდა. იგი განმარტავდა, რომ ამ მოკლე ფრაზაში მას სურდა გრიზოიდოვის მწარე ირონია გამოხატა საყუთრობის ბედის მიზარა და, ამევე დროს, ხაზი გაეხვა, რომ გენიალური კმნილებანი — „ვთა კეყო, საჯან“ ავტორი, მართლაც მგზნებარე მეოცნებე, სიციცმლის ფრანსკენელ წუთებშივე არჩებოდა კენწმარტ პოეტად. მასში კლავ ცოცხლობდა, სული მწფოთურა ჩაცკინა.

ამა, გაიხსენებ, პიესის ეპილოგში როგორ თანდათანობით იყვებოდა დამის ბინდში გახვეული მამადავითის შაზე აღმართული ეკლესიის კონტურები. აქვე ჩანს ცოცხალი ევკალიებით შექმული ახალი სახლავი, ქანდაკება გერ კიდევ არაა დადგმული, მხოლოდ ქვარია საფლავზე, წარის სარღოვან კანდალი აწითა. აქვე ახლოს დამწუხრებულთა დგან ნინო ჭავჭავაძე — სწორედ ამისთანადად გამოხატა შეხედვები მისი ხაზე ძეგლის ავტორმა.

ეპილოგში მთელი სიმართლია სიტყვები.

გინა ჭეჭილებს, ამ ცოცხლები რა საქირთა? ვანა მან თათონ არ ისტრვა — აქ უოფილიყო დამარბული ამ შობს კალთებზე... და ვინ რა იცის, იქნებ დეპილი მის ზაგეთ რომ შემოგჩვიას, ვახდეს შეტყველო მთაწინდოდან...

აქ შეუდროვებს აღარავინ აღარ დაერღვევს, აქ დაისვენებს ათარგარი ფრტატაღლელისგან და ვალბობლილი სიამაყით გაუხებდას წაიამბავლობს...

აქ ჩები გულაც შენთვის იტვრის სამართლისოდ. განა არ ვიცი, სიქმენი შენი უყვადია რუსთა ხსოვნში, მხოლოდდა ჩემმა სიყვარულმა რად იხილა სიკდილი შენი...

ჩვენი შინაური საუბრების დროს მიხედ მრავალშვილი მისთვის დამახასიათებელი შეცდარული მულღარებით გამოქვამდა თავის მოსაზრებებს ეპილოგისა და საქირთოდ მთელი პიესის თარგმანის თაბაზე იგი, თითქოს ცოველ სიტყვას სწორიდა თავის ფინირ სსწორზე, უოველ დროსაც ამოწმებდა, ჩათა ფურრო სრულყოფილად განსალოო ნინო ჭავჭავაძის სულიერი სამართა, მისი მომხმბეღელი ამბულეზულობა, სისხეტაყე, ვისი ცხოვრებაც ასე მოულოდნელად დაიბინდა და ტრაგიკულად იავარქმნა, საზგლოვირო ძაქებით შეიშობა.

ღიას, ჩვენ ვკითხულობდით და ვიხლავდით ცალკეულ სტრიქონებს და ვტყვევადობ პიესის მთლიანად. უვდაზე ამბულეზულობა ის იყო, რომ აქვე ახლოს, თითქმის ხელის გაწვედნაზე, უვდობთის ალომბელი მამადავითის შაზე, ქალაქის წებისმერ წერტილიდაც რომ მოზანდა, იყო აღექსანდრე და ნინო გრიზოიდოვისის საყვდავები, საფდავის დოდუე კი ამოკეთილდყო ნინოს სიტყვები, რომელთაც ქართულად მწერალითა და საწოვადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონის აბასობით სტუმარა კითხულობდა. ეს ფიცა, თავისთავად ამღვებებდა ინტერესს ხებუნებული პიესისადამა ამბულეკებელი იყო ისიც, რომ სწორად ამ ქალაქში, ძველ თბილისში ჩაიარა აღექსანდრე გრიზოიდოვისა და ნინო ჭავჭავაძის უფედნარტესა წამებმა, საწმუნაროდ, რომ მხოლოდ წამებმა და ათა ერთად ვატარებულთ ცხოვრების წლებმა...

ქამებდა სულ ვიღაბარე მიხედ მრავლიშვილის შემოქმედებაზე. აქ მხურდა სიტყვა და შეწეო მისი, როგორც გამოცემლობის მთავარი რედაქტორის საქმიანობით ამბობაც შესწორება უნდა შევიტარო ჩემს მოგონებებში. ეს „შესწორება“ მდგომარეობს ამაში, რომ იგი ჩვენს კაბინეტში არსობდეს არ ღაბარავებდა თავის შემოქმედებაზე — იგი მთელი ახტებდა იყო



ჩაფლული საამოცემლო პროცესებში, ჩაპირ-კატებდა რედაქტორებულ და ჯერ კიდევ „ნედ-ლსა“ და დაუხვეწავ ახალ თარგმანებს, ცხო-ველი სჯა-ხაასი ჰქონდა მათ ავტორებთან. უკი თითოს სხვადასხვა თაობის მწერალთა ბედით ცხოვრობდა. ჩვენს გამოცემლიანსთან ზომ მრავალ შემოქმედეს ჰქონდა საქმიანი კონტაქ-ტები. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული მწერლები — კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ახალგაზრდებიდან კი — რევაზ ინანიშვილი, ილია რურუა და სხვები. მიზევილი უფროსებიდან თვითონ სწავლობდა ცხოვრე-ბისებულ სიბრძნეს, შემოქმედებით გამოცდილე-ბას, უმცროს კოლეგებს კიდევ უშუბრველად გადასცემდა მწერალური ოსტატობის საიდუმ-ლოებებს.

სწორედ აქ იკვეთებოდა მიზევილ მრეველი-ველის, როგორც მწერლისა და მოქალაქის დანი-ტრატისებულობა ქართული ლიტერატურის გან-ვითარებით, მოვლენებთან და საგნებთან მი-მართებაში ინტეგრირება მისი ზოგადადამიანური, ამოღებულები ბუნება, ავტორებთან საქმიანი ურთიერთობებისა და დაბლოების, მათი ხელ-ოვნებისა თუ ლიტერატურის საკითხებზე საე-ბარში აულოების საოცარი უნარი, რაც საგა-მომცემლო დარჯის მუშაკთათვის დიდ ღირსე-ბად მიზანია.

არ იყო შემთხვევითი, რომ საგამომცემლო სფეროში მთელი რიგი წლების კეთილსინდისი-ერი მუშაობის მერე მიზევილ მრეველიშვილი „ლიტერატურისა და გრუზიას“ მთავარ რედაქ-ტორად დააწინაურეს. აქაც, სარედაქციო კო-ლეგიის სხდომებში მოწინააღმდეგობის, მე კვლავ და კვლავ ვრწმუნდებოდი მიზევილ მრეველიშვი-ლის, როგორც მწერლისა და მოქალაქის, ზელ-მდღვანელის საზოგადოებრივი დიპლომატის სი-დადადევი.

მიზევილი იყო მრავალმხრივ მოწინააღმდეგე, განათლებული ადამიანი, იგი ყოველთვის მად-ლიერების გრძნობით ინსერებდა მოსკოვში გატა-რებულ წლებს. სადაც საგვემო ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაქულტეტზე სწავლობდა ზაქა-

ვობიდანვე ცნობისმოყვარეობით აღწერილი მისი ახალგაზრდა სპეციალისტი დიდად იყო დანი-ტრატისებული მიზევილარ ცხოვრების მოვლენე-ბით. იგი ცდილობდა ღრმად ჩამწვდარიყო ამ მოვლენების არსში. ასე თანდათან, შეუმჩნე-ლად ფესვიანდებოდა მასში შემოქმედებითი საწინისები

დიდი სამაშულო ომის დამთავრების შემდგე-მან დაწერა ვრცელი მოთხრობა — „ხარატანი-კერა“, სადაც ომიანობის მძიმე წლებში ქართული სოფლის დუბუბირი ცხოვრებაა ასახული. ამ ნა-წარმოებმა დიდად გააფართოვა მისი, როგორც პროზაიკოსისა და დრამატურგის პოპულარობა.

არ იქნება ალბათ ზედმეტი იმის აღნიშვნაც, რომ დაფიქრება გეგმარების მიზევილ მრეველიშ-ვილის რუსულად თარგმნილი რჩეული ნაწარ-მოებების ხელახლა გამოცემებზე.

1938 წელს, მოსკოვის ქართული ლიტერატუ-რისა და ხელოვნების დეპარტამენტი მიზევილ მრე-ველიშვილი წარმოადგინილი იყო ნაწარმოებებით. რომლებიც შევიდნენ იმავე წელს გამოცემულ მწერლის კრებულში — „პიესები“. მიზევილის მიერ ჩემთვის მოძღვნილ ამ კრებულის ეგზემ-პლარიანზე ავტორმა დააწერა: „მეორეს მარჯ-იზრდილის მე ზღატიანს, ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო მეგობარს, ძალადარ-შურველ ხინებულ გამოცემელებს ამ რიგითი წიგ-ნისა, ღრმა პატივისცემის ნიშნად მიზევილ მრე-ველიშვილისაგან. მ. მ. შ. ნ. შ. თბილისი“.

მაღლიერების გრძნობით გამოყართვი წიგნი და როცა წარწერა ჩავიკითხე, ზემორობით ვუთ-ხარი — „ეს თბილი სიტყვები, ჩემი საგამომ-ცემლო საქმიანობის ერთო მაღალი შეფასება ზომ არაა-მეტოქი“. მან მუისეე მომიტო. „გარა ტუილად ვზივარ შენთან ერთად კაბინეტში, რომ სიყეთის მაღლი ვერ დაწინაბოქ“. მეც მა-შინვე ვუთხარი: „რახან ასეა, ნება მიბოძეთ, კომ-პლიმენტითეე ვიპასუბოთ — „არც მე მიზანია თქვენი წიგნი, როგორც ამას თანმდებლად აღნიშ-ნავთ, ჩვეულებრივ და „რიგით“ ნაწარმოებად“.

ჩვენ ორივემ მზიარულად გავიციანეთ და სხვა საქმეზე გადავდეთ.





წიგნი ზნეობაზე

რატომ ვიკუთვით ზნეობრივად? როგორ მიღლება ადამიანი თავის ვიტალურ-სასიცოცხლო ინტერესებზე და როგორ უქვემდებარებს იგი თავის ქვეყას რაღაც უზოგადეს, თავისთავად „ძალაში მყოფ“ ზნეობრივ პრინციპს? თავის ზნეობრივ ცნობიერებაში როგორ სძლევეს ადამიანი გარეგანი ინსტანციის (ღვთაების) დახმარების ცდუნებას ანუ ადამიანის რა უშიშარაგანეს არსს ემყარება მისი ზნეობა? ვინ ვართ ჩვენ? რატომაა სამყაროში ადამიანი მიჩნეული მიზნად თავისთავად? — ეთიკის ამ უშიშარად ეთიკურ საკითხებს განხილვას ეძღვნება პროფ. ნოდარ ნათათია წიგნი „ადამიანი ადამიანთა შორის“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979).

შესავალში, აკრავს შერჩეული რამდენიმე მაგალითის ანალიზს საფუძველზე, ავტორი დასკვნის, რომ „ადამიანში, ფიგურალურად რომ ვთქვათ, არის რაღაც მტკიცე „ხერხემალი“. რომელსაც გარემოებები ვერ გატეხს: მას აქვს რაღაც ინტერესები, რომლებსაც არა-სოდებს არ დათმობს, და რაღაც პრინციპი, რომელზედაც არასოდებს ხელს არ აიღებს“ (გვ. 4). იმგვარად, ზნეობის არსებობა ფაქტია, მაგრამ მას ჭირდება ახსნა, დასაბუთება. საჭიროა გარკვევს, თუ რას ემყარება ჩვენი ზნეობა: სახელდობრ, გასარკვევია ზნეობრივი ქცევა ინდივიდის ანუ მთელი საზოგადოების (დაამიანთა გვარის) გადარჩენის საშუალებაა, თუ ამ და უოველგვარი სხვა მიზნისა და პირობებისაგან დამოუკიდებელია და, მაშასადამე, ამ აზრით, თვითმიზანია.

ზნეობის ფაქტის დაფუძნების გზაზე ავტორი, უპირველეს ყოვლისა, უპირისპირდება ვერაფრადებულ ევოლუციონისტურ (ანუ ვულგარულ-მატერიალისტურ) თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ზნეობა ადამიანთა გვარის გადარჩენისათვის საჭირო ნორმათა (ქცევის წესების) ერთობლიობაა და სხვა არაფერი.

ევოლუციონისტის მიხედვით, ის ამბავი, რომ „ადამიანი თავის მორალურ მოთხოვნებს განიცდის არა როგორც შეფარდებით რასმე (ანუ ისეთ რასმე, რასაც აზრი აქვს მხოლოდ სხვა რაღაცსთან, სხვა მიზანთან მიმართებით),

არამედ როგორც აბსოლუტურს, ყოველი სხვა მიზნისაგან და პირობებისაგან დამოკიდებულს“ (გვ. 12), ის ამბავი, რომ „მორალური მოთხოვნები ჩვენთვის იმდენად ფუნდამენტური, შეუცვლელი და აბსოლუტურია, რომ შესაძლოა ისინი არა თუ ჩვენს ინდივიდუალურ სიცოცხლეზე მაღლა დაეყენოთ, არამედ საზოგადოების არსებობაზეც კი“ (გვ. 13-14), მომდინარეობს არა იქიდან, რომ ზნეობა თვითმიზანია, რომ ზნეობრივ ქცევას თავის თავში აქვს მოტივი და არა გარეთ, არამედ იქიდან, რომ ზნეობა მთლიანობაში ადამიანთა გვარის გადარჩენისათვის ბრძოლის იარაღია, რომელიც ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში ჩამოყალიბდა და რომელსაც შემდგომ აბსტრაქტია განიცავს; მოსწად, განვეყნა იმ მიზანს, რისთვისაც იგი წარმოიშვა და დამოუკიდებელ, უპირობო რამედ, თვითმიზნად იქნა გაგებული, ევოლუციონისტის თანახმად „ერთადერთი ნამდვილი „უნდა“ („ნაშ“) „ჭრატარს“). რომელიც ევოლუციის პროცესში „მეშობდა“, იყო: „ადამიანთა გვარი, საზოგადოება უნდა გადაარჩინო“. ხოლო ქცევის ენა და დანარჩენი წესი მხოლოდ საშუალებებს წარმოადგენდა ამ ერთადერთი მიზნისათვის. შემდეგ, თანდათან ქცევის ეს კონკრეტული წესები, რომლებიც თავისი წარმოშობით მხოლოდ საშუალებები იყო, დამოუკიდებელ მიზნებად იქნა განცდილი. მათ უკან პოეტიკალი, ამოსავალი ჭიხანი — საზოგადოების გადარჩენა — დაიკორა და მხოლოდ ამიტომ, რომ დღეს ვარკვეული მოქმედებები სავალდებულოდ ამ დაუშვებლად მიგვიჩნია ისე, რომ აღარ ეკითხებოდნენ, რას მოუტანს მათი განხორციელება განუხორციელებლად ადამიანთა გვარს“ (გვ. 16-17).

მოკლედ, ევოლუციონისტის აზრით „ყველა საზოგადოებაში მოქმედი ნორმები მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენის იარაღია, რომელიც ადამიანს ისევე გამოუმუშავდა ევოლუციის პროცესში, როგორც ვეფხვს — ებლები, ფრინველს — ფრთები“ და ა. შ. (გვ. 9).

ავტორს ევოლუციონისტის ამ თვალსაზრისს უარსაყოფად მოაქვს ორი საბუთი, ლოგი-

კური და ფაქტორი: 1. ევოლუციონისტური თვალსაზრისი ვერ ხსნის იმას, თუ რატომ იყო აუცილებელი, რომ ამ კონკრეტული წესების განზოგადება-გააბსოლუტება, მათი შეუვალ ზნეობრივ ნორმებად გადაქცევა მომხდარიყო. ავტორის მიხედვით, კითხვაზე, თუ რატომ იყო აუცილებელი ადამიანში ზნეობრივი ცნობიერების გაჩენა, პასუხი მხოლოდ ერთია: „ზნეობრივი ცნობიერების ანუ კატეგორიულ და შეუვალ (პირობებისაგან დამოუკიდებელ) ზნეობრივ მცნებათა ქონა თვითაა ადამიანის მოთხოვნილება მიუცილებელი თვისება. ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება ისე, რომ პასუხი ჰქონდეს მხოლოდ კითხვისათვის „რა გზით (რა საშუალებათა გამოყენებით) ვიცხოვრო?“ და არ ჰქონდეს პასუხი კითხვისათვის „რისთვის ვიცხოვრო?“ ამ უკანასკნელი კითხვის პასუხი კი „კარგისა“ და „აღის“ შეუვალ, ყოველივე პირობებისაგან დამოუკიდებელ გარჩევას გულისხმობს. ამიტომაც კითხვა „რა არის კარგი და ავი?“ ადამიანში იმ მომენტოდან კოცხლობს, როცა იგი ადამიანად იქცა“. (გვ. 18).

2. ზნეობრივი ცნობიერების უპირობობის, ადამიანთა გვარის თვითშენახვის ინტერესისა და ინსტინქტისაგან მისი დამოუკიდებლობის ფაქტობრივი საბუთი ისაა, რომ როცა ერთმანეთს უპირობოდებდა მორალური მოთხოვნილებანი და ადამიანთა გვარის თვითშენახვის ინტერესები, კაცობრიობა მარცხ ხელს არ იღებს მორალურ მოთხოვნილებათა დაჰყოფილებაზე. „მაგალითად, — წერს ავტორი — გაცილებით უფრო ადვილად შეიძლება იმის „დასაბუთება“, რომ სუსტების განწირვა, ანუ საზოგადოების შიგნით ბუნებრივი შერჩევის მექანიზმთა შეუზღუდველი ამოქმედება საზოგადოების წინსვლისა და სიკანსალისათვის სასარგებლო იქნება, ვიდრე ამის საწინააღმდეგო პრინციპებისა. მაგრამ ადამიანის მორალური ცნობიერება ამგვარ მიდგომას კატეგორიულად გამორიცხავს... ადამიანს არ უნდა ყვითლდღიანი საზოგადოება, რომელიც სუსტების სისტემატურსა და დაკანონებულ განწირვაზეა დამყარებული“ (გვ. 19).

ზნეობის ავტონომიური დაფუძნების გზაზე ასევე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ზნეობის რელიგიურ-იდეალისტური გაგების კრიტიკა, ანუ ღვთის ცნების მოუშველებლად ადამიანის მორალური ცნობიერების ფაქტის ახარის შესაძლებლობის ჩვენება.

ცხადია, როცა უარყოფილია ღვთაება როგორც ჩვენი ზნეობის საბოლოო საყრდენ-საფუძველი, ადამიანმა თვით უნდა იტვირთოს ყველა იმ ამოცანა-სიძულესი გადაჭრა, ყველა ის ფუნქცია, რაც ღვთის ცნებას ჰქონდა დაკისრებული ამ მხრივ. სახელდობრ, უნდა დასაბუთდეს, თავისუფლება, სამყაროს მიზეზ-შედეგობრივი ქაველან ადამიანის „ამორტოზის“ შესაძლებლობა; ნაჩვენები უნდა იქნას, რომ

ზნეობრივ მოთხოვნილებათა (მენტალური მცნებები) რო. „წერართში“ წყარო ადამიანის უსუსტობის (ე. ი. ღმერთში) კი არაა, არამედ თვით ადამიანში, ე. ი. თვით ადამიანები ვადგენთ იმას, თუ რა გვმართებს და რა-არა (გვ. 20-21). სიკურობა იმისი ჩვენება-დასაბუთება, რომ ადამიანურ ცხოვრებას აქვს საზრისი და ამ საზრისის მიმნიჭებელია თვით ადამიანი; ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ადამიანის, ამ სიკურობა და დროით შემოსაზღვრული არსების შიდაწილი კუშმარტიად უსაზღვროა, რომ „ადამიანი სასრული, მაგრამ უსასრულობისაყენ გაიზრდილი არსება“ (გვ. 45).

ამ საკითხების ანალიზის შედეგად ავტორი დამაჭრებლად აჩვენებს, რომ ზნეობა ეფუძნება ადამიანს, როგორც გონიერ, თავისუფალ, სამყაროზე პასუხისმგებელ და უსასრულო მიზანსწრაფვის მქონე არსებას და რომ სწორედ ამიტომ ზნეობრივ მოთხოვნილებათა წყარო, „წერართში“ წყარო თვით ადამიანშია და არა მის გარეშ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კითხვებს, თუ „კენ ვართ ჩვენ“ და „რატომ არის ადამიანი მიჩნეული მიზნად თავისთავად“, ასეთი პასუხი გაიცემა: ადამიანი არის გონიერი, თავისუფალი, სამყაროზე პასუხისმგებელი და უსასრულო მიზანსწრაფვის მქონე არსება და ამიტომაც მივიჩნევთ მას (ჩვენს თავს) მიზნად თავისთავად. ადამიანს ასეთ ღილ პრივილეგიას ვანიჭებთ ყოველივე სხვა არსებულთან (ქვასთან, ცხოველთან) მიმართებაში არა მარტო ჩვენი მიყვარების გამო მიხდაში, როგორც ფიზიკურად ჩვენი მსგავსისადაში, არამედ სწორედ მისი ზემოაღნიშნული ბუნების გამო (გვ. 73-74). ავტორი აღნიშნავს, რომ ზნეობის მითითელი კანონი (პრინციპი) და, მაშასადამე, თვითი ზნეობა, გამომდინარეობს ადამიანის იმ თვისებებიდან, რომ მას აქვს თავისუფალი ნება, რომ იგი სამყაროზე პასუხისმგებელი არსება და მისი მიზანსწრაფვა უსასრულოა“ (გვ. 53). ადამიანის ამ თვისებებისა თუ უნარის საფუძველზე გაიცემა საბოლოო პასუხი ავტორივე კითხვას იმის შესახებ, თუ „რა აზრი აქვს ადამიანურ არსებობას“, „რისთვის ცხოვრობს ადამიანი“, „რა ადგილი უჭირავს ადამიანს სამყაროში“. ადამიანი არის სამყაროზე პასუხისმგებელი არსება, „ადამიანს სამყაროს „მართვის ეალი აქვს“, ადამიანური ცხოვრების საზრისი სამყაროზე პასუხისმგებლობაში, სამყაროს „მართვაში“ მდგომარეობს. — ასეთი იქნება პასუხი. ამრიგად, ამ გზით ადამიანი მალდება თავის ვიტალურ-სასიცოცხლო ინტერესებზე და სამყაროს კუშმარტი კენტრი ხდება. ადამიანი უარყოფს რა ღმერთის, როგორც სამყაროს პატრონისა და მმართველის ცნებას, მის ადგილს იჭერს თვითონ; იგი თვით იტვირთავს სამყაროზე პასუხისმგებლობას... მყაროს „მართვის“ ვალს (გვ. 105-106) და, ამ

გზით, საბოლოოდ მიღდება თავის ეგოიზმზე, თავისუფლდება მხოლოდ თავის „ექვსა და ტყავზე“ ზრუნვა-ფიქრისაგან და ხდება ადამიანი ან სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ სარევეწიო შრომა ერთ-ერთი იბითად ღირსებად მიგვაჩნია ზნეობრივი ცნობიერების უშუალო დაკავშირება ადამიანის პასუხისმგებლობასთან სამყაროზე, ადამიანის ადგილთან სამყაროში, როგორც მივღწი (ანუ ადამიანური ცხოვრების საზარისთან). ნაშრომში ზნეობის ძირითადი კატეგორიები (სიღმისი, მივალეობა, სიკეთე და ბორიკება — „კარგი“ და „აგი“ და თვით ზნეობის ძირითადი კანონი) განხილულია არა მხოლოდ ადამიანის ადამიანთან მიმართებას ასექტით, არამედ ავრთვე ნაჭენიანა მათი ე. წ. ონტოლოგიური ბუნება — მათი მიმართება სამყაროსთან, როგორც მივლთან. ეს ონტოლოგიური ბუნება კი გამომდინარეობს ადამიანის სამყაროს განდევნილად, ორგანულ ნაწილად (და ცენტრად) წარმოდგენილად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასობრივ თავდაპირველად დასმულ კითხვებზე, თუ „რატომ ვიქცევით ზნეობაზე“? ასეთია: იმბოტმ, რომ ადამიანი არის გონიერი, თავისუფალი, სამყაროზე პასუხისმგებელი და უსასრულო მიზანსწრაფვის მქონე არსება. აქედან გამომდინარეობს: ავრთვე მასობრივ მეთოდ კითხვაზე: „როგორ უნდა მოვიქცეთ?“ — ჩვენს ქვეყანას უნდა დავუწესოთ სავოყველათა, ყველგან და ყოველთვის გამოსადეგი კანონი: უნდა მოვიქცეთ იმე, რომ ადამიანი მიგვაჩნდეს ყოველთვის მიზნად და არასოდეს მხოლოდ საშუალებად. ამით კი უფვე ჩაყრილია ეთიკის ფუნდამენტი, იეროდულიადაა გამართლებული ზნეობის არსებობის ფაქტი. ამის შემდეგ უნდა ვამალოს ეთიკის კონკრეტული შინაარსი, უნდა ვაირკვეს ჩვენი მორალური ცნობიერების აქტიური ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებასთან, რაც განხორციელებულია შესაშვ თავში („ზნეობრივი იდეები“). აქ ავტორი მსჯელობს ადამიანის ღირსებაზე... ადამიანთა თანაშრომობაზე, სამართლიანობაზე, სამშობლის სიყვარულსა და შრომის პატივისცემაზე.

ზნეობრივი იდეები ავტორის უშუალოდ გამოყვანს ადამიანის ზემოაღნიშნული ბუნებიდან. ადამიანს უნდა ვდებოხილდებოდეთ, მისთვის უნდა ვზრუნავდეთ. იგი ყველა სხვა არსებულზე უნდა დაეყვანოთ იმბოტმ, რომ იგი გონიერია, თავისუფალი, სამყაროზე პასუხისმგებელი და უსასრულო მიზანსწრაფვის მქონე არსება და ამაში მდგომარეობს სწორედ მისი **ძირსება** (გვ. 73-74). მაგრამ ამ თვისებებიდან ამოსვლის საფუძველზე ღირსების მქონედ უნდა ვცნობო და მიზნად თავისთავად უნდა ვაღიქვოდ ადამიანთან ერთად ყველა სხვა გონიერი არსება. აქედან კარგ სხედლათა შესაძლო ვითარებად, ანგვაზად, შენიშნავს ავტორი,

საფუძველი ვერება „კოსმოსურ თანაშრომობაზე“ ვე მივითვობს ადამიანისა და სხვა არსებების გონიერი არსებების ერთიანობასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ სიმბოლოებზე (გვ. 80-81).

თანაშრომობის ზნეობრივ იდეასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ **ადამიანება თანაშრომობა არაა ადამიანობის** (ანუ თავისუფლად და სამყაროზე პასუხისმგებელ არსებად ყოფნის) **შესაძლებლობით**, მაგრამ ეს შესაძლებლობა ყველა ადამიანში როდია გამოვლენილი, **ყველა ჩველურად არსებული ადამიანი ადამიანი როდია**, ამის საილუსტრაციოდ ავტორი მიმართავს შემდეგ მსჯელობას: „წარმოვადგინოთ ასეთი ვითარება: სახელმწიფო ოკუპაციის ქვეშ იყოფება, ბუნებრივია, რომ ოკუპანტი ევილოზს დაპყრობილ ქვეყანაში მაქსიმალურად გააბაროს კოლაბორაციონისტები, ანუ ასინი, ვინც მისთან თანაშრომლობს და მაქსიმალურად დააბეჯაოს ისინი, ვისაც პატრიოტული გრძნობა ფიზიკურ ან შეფარებით ფიზიკურ აქვს... ბუნებრივია, გამოჩნდებიან ადამიანები, რომელნიც ამ ვითარების გამოყენებაში „დასპეკილისტდებიან“ — ითანაშრომლებენ ოკუპანტებთან, ხელს შეუწყობენ თავისი ქვეყნის ინტერესების შელახვას. ზოგი მათგანი პატრიოტებს დასახურტადიც გაისტუმრებს პირდაპირ ან არაპირდაპირ გზით... ყოველივე ამის შედეგად ეს ადამიანები თანდათან გამოიმუშავენ შეხედულებას, რომ მათი კარგი მდგომარეობა გამოიწვევლობის შედეგი კი არაა, არამედ გამოწვეულია ქვეყანებისა და მტკიცე ხასიათისა, რომელმაც ასეთი ხელსაყრელი გზა აარჩევინათ... მათ სრულებით არა აქვთ იმის განცდა, რომ **არსებულ ზნეობრივ ნორმებს** გადაუხვევს თავისი ვიწრო ინტერესების დატვის მიზნი. მათ შემეშავებელი აქვთ **ღირსებულებათა საქითარი** სკადა და ამ სკადის მიხედვით ისევე არხენიან ცხოვრობენ, როგორც მორალური ადამიანები — საქეთარის მიხედვით... ასეთი ადამიანებისათვის არ არსებობს არც **თავისუფლება**, არც **სამყაროზე პასუხისმგებლობა** (არაღენიანაც არაფერი, რაც მათ ეგოისტური ინტერესის სერლდება, ან ცნალებათ)... ისინი, ფაფტდლად რომ ვთქვათ, თავისი არაადამიანობით ცხოვრობენ“ (გვ. 83-84). ავტორი შენიშნავს, რომ ასეთი ადამიანების სხვებია გამოყვეთილი ფრანგი ანტიფაშისტები წერლის ანდრე შამსონის რომანში „სასწიფლთა სიღეწე“.

ანალოგიურია ავტორის თვალსაზრისი სამართლიანობის იდეის თაობაზეც. სამართლიანობა ადამიანის პირველადი, თანდაყოლილი თვისებაა, ოღონდ ადამიანში, როგორც სამყაროზე პასუხისმგებელ არსებაში, მას უნივერსალური ხასიათი აქვს: „ის ვინც საღმე სამართლიანობას არღვევს (ან ბორიკებას სწადის) ამით იმავე სამყაროს სასურველ წესრიგს არღვევს,

რომლის მოწესრიგებასაც მე ჩემს თავზე ვღებულობ, როგორც აღმზანა იგი, ასე ვთქვათ, ჩემს მამულში ძივს. ამიტომ მე მის დსკაში ირგანულად ვარ დანტერისებელი ის ვინც საკმარის სწავლას, ამავე სამყაროს ჩემებრად მოყვარულს უწყობს ხელს. იგი, ასე ვთქვათ, ჩემს ყანაში ღვრის ოგლს და ამაყნად, მე დანტერისებელი ვარ. მას სამყარო ჩაღლი მიყვარს" (გვ. 108).

სამშობლოს საყვარელი ავტორის გაკებულ აქვს როგორც აღმზანის პირადღერა ცნობიერების ერთ-ერთი ელემენტი და არა როგორც მხოლოდ ინტენტი. ასეთი სამშობლოსადმი აღმზანს მხოლოდ ეტილიტარული დამოკიდებულება ქვს არა აქვს, არამედ პირადღერა... აღმზანს აქვს თავის სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნება, როგორც მისი უპირველესი მამობრივებული ძალა მის პრაქტიკულ საქმიანობაში, ეს უკნობა და შეგნება აღმზანს გონებრივ ზრდასთან ერთად ქვს არ სტრუქტურა არამედ ძლიერდება" (გვ. 112). ავტორი იქვე მიუთითებს პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმს ორგანულ კავშირზე: კრტურაციონალიზმი აღმზანის ზეგობრივ მოვალეობათა ოცივში შედის. იგი მდგომარეობს არა სკეტიკური გრის, ერთგულ ინტერესთა დავიწყებაში, არამედ იმას, რომ განხორციელდა არა მარტო საკეთარი გრის ზემოხსენებული ეფლდებვის დაკეთისათვის, არამედ გველა ერთს საერთოდ, რასაც ერთა შორის სამართლიანობა გულისხმობს".

შრომის პატრიუსტის ზეგობრივ იდეასთან დაკავშირებით ავტორი მივლითებს შრომის პროცესის ანტიანთივი ბუნებაზე: — "შრომს თავისთავად როგორც პროცესს, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სიმონების წყარო (მშინ იგი თამაში ან ვასართობი აქვდება და შრომის ძალდამ აღმზანს ხამოცნება მოგვარა". ამ ანტიანთის გადამწყვეტა ავტორის მიხედვით, იმასში მდგომარეობს, რომ აღმზანის მოთხოვნილებს პრამოდერნს არა შრომის პროცესს, არამედ შედეგს მას. სიმონების ანკეპს არა რადიკს ავტორს თავისთავად, არამედ იმის შეგნება, რა მიიღება ამ კეთებით, და იმის შეგნება, რომ ეს მთავი დამსახურება" (გვ. 112-113).

მეოთხე თვეში ავტორი განიხილავს ზეგობის იარაღს" ანუ ზეგობრივი ქვეყის განხორციელების სემულდებებს [ლასარკია ნებისყოფაზე, გნერგისა და თავანწირვის უნარზე]. ავტორის აზრით, "ზეგობის დაედა რომ ძველიც არ იყოს, არამედ მხოლოდ საჭირო, მშინ მას იცევე არ წავთვლივით აღმზანს დამსახურებელ, როგორც არ ვთვლით სტრუქტურას, ნივთიერებათა ცვლას და არსებობისათვის ადგილდებულ სხვა მოქმედებებსა და თვისებებს" (გვ. 121). იგი საყვარებოდ ამბობს: "ეგრადიდან თავგანწირვის უნარზე, მიუთითებს, რომ სკეტიკ-

ლ აღმზანის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა, მაგრამ არსებობს ლტენდები, რომლებიც სკეტიკულზე უფრო მაღალია. ამ მაღლი ლტენდებუბებისათვის აღმზანი საჭირო შემადგევაში მზად უნდა იყოს თავგანწირვისათვის. აღმზანად უიფნა გულისხმობს სკეტიკელის განწირვის უნარს — გულისხმობს ამას არა როგორც ნების ნაყის ზედმეტ ვალდებულებას, იმასთან შედარებით, რაც ბუნებრივ გემირთებს, არამედ როგორც რაგორც საშეიღო აღმზანის მიეტკლებულსა და გარდაეულ ვალს". აღმზანი ვალდებულა ქმინდეს ეს უნარი. ეხაც ეს უნარი არა აქვს, იგი არცაა ადამანი ამ სიტყვის სამველი მნიშვნელობით (გვ. 127-128).

მეხუთე თვეში (სკირდება თუ არა ზეგობის რელიგიური საფედეელი) ავტორი კვლავ უბრუნდება ზეგობის და რელიგიის ერთიანობაშიარობის პრობლემას და მიუთითებს, რომ 1. ზეგობრივ მოთხოვნილებათა აბსოლუტური შეევალი საფედეელი თვით აღმზანშია: კეთილის და ბოროტების აბსოლუტური საზომი აღმზანშია და 2. აღმზანის ზეგობრივი მოთხოვნილების დაემთხვევალობა რეალურ ვითარებასთან (ანუ სინამდევალში "სკეტიკის" პატრიოტიზმის არ არსებობა) ზეგობის შეედმებად ქვს არ ხდის, არამედ, პირაქით, ზეგობის საფედეელს წარმოადგენს... თუ საშყაროს სახიერი ღმერთი მართავს და მასში სიყვთ ბატონობს, მაშინ აღმზანი მასში ზედმეტია" (გვ. 131-132). ამ არგუმენტებით ავტორი ტარყოფს ზეგობისათვის რელიგიური საფედელის საჭიროებას.

ბოლო თვეში ავტორი ეხება ზეგობრივი კონფლიქტის, ამ შეტად რთული და ნაკლებად დამუშავებული პრობლემის ანალიზს. იგი გამოყოფს ზეგობრივი კონფლიქტის რამდენიმე სახეს (რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი წარმოშობის მიზეზებით) და არჩევს მათ ყარგად შეიჩვეული მაგალიტების საფედეულზე. "ზეგობრივი მოვალეობის უკნობა, — აღნიშნავს ავტორი, — კატეგორიულია და შეუცალი: იგი ანგარიშს არ უწყევს იმას, იოლია თუ ძველი მოთაღერი ვალის მობდა. მაგრამ რეალური სინამდევლზე წინააღმდეგობის უწყევს ზემს ყოველ მოქმედებას. აღმზანის მიერ სხვა აღმზანისათვის სკეტიკის ქმნის შესაძლებლობა, მიუხედედად სათანადო მოჩალური მოვალეობის კატეგორიულობისა, შეზღუდულია. აღმზანს თავის მოჩალური მოვალეობათა შორის ერთთა არჩევა და მეორეთა უგუღვებულყოფა უნდება. მაგალითად, შეიძლება ორი კაცი იხრობოდეს და არაივს ვადარება მინდოდეს და შეეძლებოდს, მაგრამ მხოლოდ ერთისას ვასრებს" (გვ. 133). ამ მაგალითში ზეგობრივი კონფლიქტის წარმოშობის წყარო აღმზანის გარეთ, ფიზიკურ სამყაროში ძვეს.

ავტორი მიუთითებს, რომ ზეგობრივი იდეე-

საქართველო
საქართველო

ბის შემთხვევებამდე აღამიანი მხოლოდ გონებით კი არ მიდის, არამედ თავისი პირველადი, გაუანალიზებელი სწრაფებებისა და მიღრგობელების საფუძველზე; „გონების ლოგიკის გარდა არსებობს არა ნაკლებ მყარი გულის ლოგიკაც რომელსაც იმავე ზოგად აღამიანური ღირებულებების აღიარებამდე მივყავართ“. და თუ ამ ერთგუებას გავითვალისწინებთ, ვასაგები იქნება ამ შეუსატყვისობის მნიშვნელობა აღამიანისთვის (გვ. 141).

ზნეობრივი კონფლიქტის — ტრაგედიის წყარო შეიძლება გახდეს აგრეთვე შესატყვისობა ერთი მხრივ ზნეობრივ მოთხოვნებთან და მეორე მხრივ აღამიანის აუცილებელ პრაქტიკულ მოთხოვნებთან და საჭიროებებს შორის. ამის ნიმუშად ავტორი ასახელებს და არჩევს ვეა-ფშაველას პოემებს („აღუღა ქვეთლაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მკამელი“). ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს არსებით განსხვავებებზე „გველის მკამელსა“ და ხსენებულ ორ პოემაში გატარებულ თვალსაზრისს შორის: „მოტივი, რომლითაც აღუღა და ქოყლა მოქმედებენ, არა მარტო ამაღლებული მოტივია, არამედ ისეთიც, რომელიც შეიძლება მომავალში, სხვა პირობებში, გაზიარებული იქნეს აღამიანთა მიერ საერთოდ. მინდას ამოძრავებელი მოტივი კი ისეთია, რომლის მიღებაც კაცობრიობისთვის საფუძველშივე შეუძლებელია, რადგან, როგორც თვით ვეა-ფშაველა მიუთითებდა, თუ მას გავყევით, მაშინ პურსაც ვეღარ შევძამთ და წყალსაც ვეღარ დავლევთ. მიზეზდავად ამისა, ყოველი ცოცხალი არსების სიბრძნისთვის გრძობა არცერთი თვალსაზრისით არ არის დასავსებით. და ეს არის სწორედ ამ პოემაში წამოჭრილი ზნეობრივი კონფლიქტის — ტრაგედიის წყარო (გვ. 142).

ნ. ნათაძე მიუთითებს, რომ აღამიანმა არ უნდა დაეშალოს თავის თავს თავისი ზნეობრივი ცნობიერების გარდევადი კონფლიქტება ხასიათი. მან შეუსვენებლად უნდა ამოწმოს, სრულყოფილი თავისი ღირებულებათა სისტემა, „რათა, ვეგბ-სადმე, მის რომელიმე პუნქტში, იპოვოს ამა თუ იმ დამორისპირებულ ღირებულებათა უფრო მაღალ სინთეზში შერიგების გზა; ან, შესაძლოა, ზოგჯერ საშუაროს ორივე ამ დამორისპირებულ ღირებულებებს ერთდროული განხორციელება გამოვლიყოს“ (გვ. 144-145). ვფიქრობთ, ზნეობრივი კონფლიქტის პრობლემის დასმა და მისი ასეთი ღრმა ანალიზი სარეცენზო წიგნის კიდევ ერთი ძირითადი ღირებულებათაგანია.

ნაშრომის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ აღამიანს სხვა აღამიანისთვის ანგარიშის გაწევასა და დახმარებას აიძულებს არა მარტო და არა იმდენად თავისი აღამიანური დანიშნულების შესრულების სურვილი, კაცობრიობის, როგორც მთელის, ინტერესები და სხვა, არამედ

მარტივი და უშუალო სოცეტო-ეკონომიკური თანაგრძობა, აღამიანი ხშირად სწირავს არა მარტო თავის ენერჯიასა და სოციალურ, არამედ თავის დიდ მოვალეობასაც კი კაცობრიობის, როგორც მთელის, წინაშე იმისათვის, რომ ინდივიდუალურ აღამიანს დაეხმაროს, ან ტანჯვა შეუძსტუქოს. „მგვარა აღამიანი თავისი ზნეობრივი სახით კაცობრიობის მსახურ გმირსა და გენიოსზე წინ არ დგას, მაგრამ არც მის უკანაა... იგი, ფიგურატიულად რომ ვთქვათ, მათთან ერთად ინაწილებს ადგილებს პირველიდან მეომდენამდე, რამდენიც არიან ამგვარი სრულფასოვანი მორალური სახის მქონე აღამიანები“ (გვ. 147-148).

ნ. ნათაძის შრომის შინაარსის გადმოცემიდან, ვფიქრობთ, ნათელი ხდება, რომ წიგნი წარმოადგენს ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას ზნეობის რაობისა და შესაძლებლობის შესახებ. თუმცა ნაშრომი მეცნიერულ-პოპულარული ტიპისია, მაგრამ ნათელი სტილი; კარგი ქართული, უხვი სალიტერატურო მასალა ავტორის მხოლოდ ხელს უწყობს დასმულ პრობლემათა ღრმა და მაკრებულ ანალიზში; მკითხველს კი იგივე ნიშნები წიგნის ინტერესით კითხვასა და მისი შინაარსის ნათლად გააზრებაში ეხმარება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სარეცენზო შრომის ღირებულება ზნეობრივი შესაძლებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის, თავისუფლების პრობლემის ახალი კუთხით გამოკვლევით; თავისუფლების, საშუალოზე პასუხისმგებლობისა და უსასრულო მიზანსწრაფვის აღამიანთათვის მიუცოდებულ თვისებებად, მის შინაგან ბუნებად გაგება და ძირითადი ზნეობრივი პრინციპების გამოყვანა-დაფუძნება მათზე; ზნეობრივი იდეებისა და ზნეობის იარაღის ანალიზი და, საერთოდ, ნაშრომში დასმული თითქმის ყველა საკითხის საჭირო სიღრმითა და სინათლით გარჩევა.

ნაშრომის მიზანი გვაქვს რამდენიმე შენიშვნა. 1. ვერ დავთვინებებით ავტორის აზრს იმის შესახებ, რომ თითქმის მეცნიერება მიგვითითებდეს საშუაროს სასრულობაზე სივრცეში (გვ. 45). მეცნიერებას არ ძალუძს ასეთი რამის შტაკევა. ცალკეული მეცნიერის თეორია თუ პირობებზე აქ ახაფერს ნიშნავს. 2. ნაშრომში გატარებული თვალსაზრისი, რომ აღამიანის ნაშეღილი, სრული თავისუფლება მხოლოდ ზნეობრივი ქცევის უნარში მდებარეობს (გვ. 34, 52). ვფიქრობთ, რომ აღამიანის ნაშეღილი, სრული თავისუფლება შემოქმედების პროცესში მდებარეობს. 3. ანდრე შამსონის „სასწილთა საუნჯისა“, და მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტრაძიდან“ მოტანილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ოკეპანტებთან თანაშრომელურის გამოუდევლებსა და კვაჭი კვაჭანტრაძეებს აქვთ ღირებულებათა საყუთარი სკალა, პატიოსან აღამიანთაგან განსხვავებული (გვ.

84, 95). შესაძლოა ისინი მართლაც ცდილობდნენ ღირებულებათა საკუთარი სკალის შექმნას (ფფრო მეტიდ სხვების თვალში გამაზიანებლობისათვის), მაგრამ მათ არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ თავს იტყუებენ. ასეთი (ინტელექტუალურად სრულფასოვანი) ადამიანები შეიძლება არ განიცდიდნენ სინდისის კენჭვას, მაგრამ მათ კარგად უწყვიან, რომ არამზადები არიან. ამგვარ ადამიანებს ღირებულებათა საკუთარი სკალა რომ მართლა ჰქონდეთ, მაშინ ზნეობას ზოგანსაკაცობრიო ბუნება არ ექნებოდა.

ცხადია, ეს შენიშვნები იღნავ ჩრდილსაც ვერ აუენებენ სარეკენზიო წიგნის ღირსებებს. ნ. ნათაძის ეს წიგნი წარმოადგენს მკითხველთან გამართულ დიალოგს, საუბარს კაცური კა-

კობის, ნამდვილი ადამიანობის რაობის საძლებლობაზე ცხოვრების ყოველგვარი მოთხოვნისა და განსაუდღლის მიუხედავად. ეს არის საუბარი, მსჯელობა არა მხოლოდ ადამიანთა შორის ადამიანის ადგილზე, არა მხოლოდ ადამიანის მოვალეობაზე ადამიანთა (საზოგადოების) მიმართ, არამედ აგრეთვე ადამიანის ადგილზე და როლზე სამყაროში, როგორც მოელში. ეს წიგნი ზნეობაზე, როგორც ადამიანში არსებულ უღრეკ „ხერხემალზე“, ეთიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენამენია და მოემსახურება ჩვენი ახალგაზრდობის (და არა მხოლოდ ახალგაზრდობის) ზნეობრივი აღზრდის საქმეს.

პეტანდელ კოსია ზვილი

„დამიჯარა“

ზღვიდან მონაბერი სიო მოპულია ამ ფრთამსუბუქ ლექსებს.

წუნარი ზღვის ფერი წიგნი ხელისგულზეა დასატევი. ძალდაუტანელი სითბოთი გვესაუბრება პოეტი ქალი, ჯანსაღი ინტონაციით გვხიბლავს, მოზღვენილი ხისადვით:

„მასი, ვარდები, სინამდვილე, დროშები ზეცაში აწვდილან! დიმილი — ჩვენიც და იმითიც, ვინც თავი ამ დღისთვის გასწირა. ვინც იღვა ბრძოლებში აღამდრად, იღვა სიკვდილის აზრდილთან, ვისთვისაც ცა უცებ დაღამდა მოსკოვთან, კიევთან, ნალჩიკთან. და დარჩათ ნატრად და ოცენამ მზიანი ქორილი და ოდში, ვინც ტყვიამ ბერლინში მოკვლა ნეტარი მშვიდობის ღოდინში...“ („მინწოუსვლელებს“).

ქსენია მგავიას ეკუთვნის ეს სტრაქონები. გადუშალოთ კიდეც და კიდეც მისი კრებული: „განახლებული ტყბულ ბურანში დედამზუნება, ურჩი ქარები აღარ შევითავდენენ, მხოლოდ სინათლიე აციონდა დაუსრულებლად ჰორიონტიდან ჰორიონტამდე. იმ სინათლისთვის თვალის ჩინი რამდენს ჩაუქრა, რამდენი დღეა ჩაღამქს ტყვიის ნისლებმა! ჰეი, არწივნო, შევარდენო, ჰეი, ჩაუქნო, წამომართულნო ობეღისკებად“.

თანადროლობის მაქისცემა, საკუთრივ, უშუალოდ აღქმული და სულის სიღრმეზე განცდილი ერთ მთლიან მონოლოთად კრავს არა მარტო თვითველ ლექსს, საიდანაც ძნელდება საწამუშო ტაქის ამოკვლევა, არამედ მთელს მის წრფელ პოეზიას, — ერთი ამოხუნთქვის და-

რად რომ მიურთმევია პოეტ ქალს ჰეიოხველამდე, მოკრძალებულ აღზარებად:

„გაფრენილ დღეებს თვალს გავადევნებ, როგორც შორს წასულ მოძმეს, გულითადს. ეს მერამდენედ დაძრულხარ, გემო, ჩემი ფიქრების ნავსადგურიდან. ეს მერამდენედ, ეს შეჩამდენედ გვიხმეს გზებმა და ველარ მოვეშვიო. ბეგრქერ ოცნების ფერად ფანტელებს ჩასძინებიათ შუა მორქვეში“.

ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობს და შრომობს საკუთარი პოეტური ხმის მქონე ქალი, ვისო ლექსებშიც ავტორის ნათელ და ფართო თვალსაწიერზე მტკვევლებს: ვის მზნეობაშიც უხვი სინათლის ანარქულია, ვის შთაგონებაშიც გულთბილი ტემბრის უსაზღვრო სიღბო იგრძნობა: ლექსთა კრებული „დამიჯარე“ მისი მეშუადე წიგნია. პოეტი ქალის ადრე გამოსული კრებულებას დარად, — როგორცაა: „ლექსები“, „სიციცხლე მღერის“, „მარად შენთან“, „ციინიან ვარსკვლავები“, „თეთრი აპრილი“, „არჩეული“ — ეს წლებანდელი ღირიყული კრებულები მოიცავს მრავალხმოვან რეგისტრს, ჩუმი კლდეამაოსილი ინტიმიდან — გაბედული შემართებით შეძახილამდე: „ჰეი არწივნო, შევარდენო, ჰეი, ჩაუქნო, წამომართულნო ობეღისკებად!“ ანდა: „შენ მიდიოდი ცეცხლის წვიმაში წყველით, მუქარით, დიმილით, ღოცვით, არ ჩავიშუხლავს ბედის წინაშე, არ დაცეზულხარ სულით და ხორციო“, („ჩემს დას, ღოდას“); და იქაც: „თმებს კი, კვლავ თოვლი შემორჩენია ორმოცდაერთის მკაცრი ზამთარის“, მშვენიერია ლექსი: დავლაციოთ საზლი“.

* ქსენია მგავია, „დამიჯარე“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1981 წ.

„— უაწი ასწის, — მას შრომის მაღლი სა-
 უფქვლად უდევს — და შემებრაჲა ქობი ჰაწია,
 ჩემი ფერადი სიჭმრების ბუდე.“ ახალ აგებულ
 მშვენიერ ბინას ლოცავდნ ავტორის კეთილმო-
 სურნენი, ზედ ამ ალაგას, სადაც ედგა პატარა,
 შეუბღალავი სახელის მქონე ოქანს ძველი კობი;
 გარდასული მშობლების სხოვნი აღსავსე კირი-
 ის დანგრევაზე გული დასწვდა ადამიანს: „ჩემი
 ფურების თავშესაფარი, ჩემი სიმღერის სიგარძე
 და სიერცე, ისე გამჭრალა როგორც ზღაპარი,
 და ვაცქერ მისგან დარჩენილ ფაცრებს“; და,
 ბედს შერიგებული, დასძინს პოეტს: „ჭუჭრუ-
 ტანებში ბზინავდა ვერცხლი, — გაუშვდილი
 ნატვრის ფანტელი, პირველი ზღვა, პირველი
 ლექსი, პირველი გზენება და ერთანტელი“. ზო-
 მიერებით, ბედოვანის ოსტატობით მოკეთებრობს
 პოეტი ქალი დედა-შვილობის სურათს: „ბავშვი
 წაიქცა მოვარდა დედა და აიტაცა ზღუში პა-
 წია, ცრემლიან თვალში შიშით ჩახებდა, მერე
 მკლავებზე გადააწვია. და ტრჩებს მოწყდა ამ-
 ბორი თბალი, ღოუაზე ცრემლი გაქრა უცა-
 ლოდ. დედა და შვილი, დედაც და შვილიც შენ
 დაიცავი მზეო, უფალო!“... ღაკონიურია, ბუ-
 ნებრივია, ფაქიზა!

ახლოვე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს
 ლექსი „თამაზა“, „დიდება მოთმინებასა“ —
 დავით გურამიშვილზე, „გამთენიისას“, „სამშობ-
 ლოსათვის“, „სამაისოდ და კვლავ ბევრი სხვა,
 რაც ეწერებოდა გრძობაზმორეთულს, და რაზე-
 დაც წერდა ასეტურა სიმართლით.

სწორედ ასედაც მიმართავს მკითხველს თავი-
 სი ახალი წიგნის წინასიტყვაობაში პოეტი:

„ჩემი ღამაზო, მდიდარი და იმედით სავსე
 ქვეყანა, მისი ფართად გაშლილი თიბები და
 ლაფარდოვანი ზეცა, გაზრტე, მარჭენადლო-
 ცვილი კაცის გასაოცარი გმირობა, თუ გარდა-
 სული მრისხანე ომის დაუვიწყარი ტრაუდები,
 წინაპრის ამაღლებული შთავგონება, თუ მშობ-
 ლიური კარ-შიდამოს გაუბუნარი ფერები და
 სურნელი — აი, ჩემი თვალსაწიერი, ფაქრი
 და სიხარული უკანასკნელი წლებიან, რაც გუ-
 ლის სითბოდ მიტარებდა და ჩემთვის სიცოცხ-
 ლის აზრად დაქანონებული გულბაძლილობით
 მომიტანია შენამდე, ძვირფასო მკითხველო!“

ბევრი კარგი კეთილშობილი ვანცდა არის
 ჩაქსოვილი ამ მომცრო კამერტონივით უტაუ-
 არსა და უშუალო ლირიკურ კრებულში. ვან-

საკუთრებით კი იქაა მაღალი დონის, შეგარბნა
 და პოეტი ქალის მდიდარი მხატვრული სიტყვა,
 სადაც იგი მერცხალავით თავს ევლება და აღ-
 ფროვანებით უმღერის დედაშვილობას. უსა-
 ზღვრო სიუვარულით მაღლებდა იგი იქ, სადაც
 ბავშვთან თუ ბავშვობასთან უბდება გულის
 გადახსნა რა დიადი ბუნებრიობით გამოირჩე-
 ვიან ეს ლექსები, რა სინაზეა და რა სათუთი
 მღელვარება მათში. მაგალითად: „ჩემია“, „თა-
 მაზა“, „გამთენიისას გამომცხადა“ — იგი ნა-
 მღვრი ცრემლის ზოლივით, უნებლიედ გამო-
 ბრწყინებული ლექსის სრულყოფილი ნიმუ-
 შია: ასევე ითქმის აგრეთვე სხვა ლექსებზე:
 „მოგაქვთ ათასი ვულგების ფიქქვა“, „პატარა
 გოგო ქუჩაში მიდის“, „გაგონა და ვაწაფხუ-
 ლი“, „ღურგი აჩრდილ მიმბადა...“, „ბაშმი და-
 ბადებულ პირველ ქართულს“ და სხვ.

უცებ მთავრდება გადაფურცლა სამოციოდ
 ლექსიანი, სამოცვერდიანი მომცრო წიგნისა,
 „დამიჭრე“ რომ ეწოდება! „დამიჭრე, ზოგ-
 ქერ ცვარი ზღვას ედრება“, წერს ერთგან პოე-
 ტი ქალი. მართლაც, მოცულობის სიმცირე არ
 ზღუდავს მისი წიგნის ღირსებას. ზნობრივი
 სიწმინდის საწყისები, ადამიანური ღირსება,
 სრულფასოვანი მოქალაქეობრივი მუშაინაზნი
 უოველგვარი მანერტულობის გარეშე ემარჭება
 დაოსტატებულ მის კალამს.

თავშეაბლობით, სიღიწით გამოირჩევა ქსე-
 ნის მტვიას ქართული მუღამ. ამავე წიგნდობ-
 ლიობით არის მომადლებული მისი წლებიანდე-
 ლი ზღვისპირულიც: ვუსურვოთ მის მზედდა-
 დელებულ ლექსებს ახალ-ახალი კრებულთა
 შეიდგულება.

დასასრულ, პატარა ლექსის მოყვანას დავჭერ-
 დებით, რითაც ავტორი ამთავრებს თავის წიგნს,
 და რითაც — ეციოთ რომ არასოდეს არ დას-
 რულდება მისი უსაზღვრო სიუვარული მშობი-
 ლი კუთხის:

„მიწა, შოგ სულში მიაღებს კაცონს, ვერ
 შევედევით ეცი ერთმანეთს. მე უნდა შენი ფე-
 რები ეკაცნო, არ მიწატარია ფრთები, ღმერთ-
 მანის შენს ხუნთქვას ჩემი გულბინაც ერთობს,
 შენს სიმღერაში ჩემი ხმაც არი... შენთვის ვან-
 თივარ, ჩაჭკრები შენთვის, — შენი ფერფლი
 და შენი ნაცარი“.

მანუშალა მრამველიწვილი

ფუაური დატირება

„საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა პატარა
 თერთლდანი წიგნი „ხშით ნატირლები“. წიგნი
 შეადგინა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაუ-
 რთო პოეტმა და ზეპირსიტყვიერების მკვლევა-

რმა ირაკლი გოგლაურმა. როდესაც ამ წიგნს
 ჩააოთხავთ (ღიან, ერთხანად ჩააოთხავ, რად-
 განაც, ჭერ ერთი, იგი მცირე მოცულობისაა და
 მეორედ, პირველი სტატიკონებიდანვე ამ კრე-

საქართველო
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საინფორმაციო

ბუღალტერის თვალის მოწვევა ძნელია) — იმის შეგნება გუფულება, რომ პოეზია ადამიანს მუდამ თან ახლავს: აქნის ხიმღერებიდან მოყოლებული, სამართის კარამდის. ის კი არა და, „ხმით ნატირლებს“ წაითხვის შემდეგ სიამაყე კი გუფულება ადამიანთა მოდგმის ვაგონი, რომ მის, შენს თანამოდებ, ადამიანს, თავისი არსებობის უკვლავ შიშვე წუთებშიც კი ახარებით ფუჭი გრძნობა კი არ ეუფლება, არამედ პოეზიის ძლიერი ფრთხვის წყალობით ცდილობს გასცდეს წარმავალსა და მიწიერს; თითქოს რაღაც იდუმალი ხმა ამიერდღეს მას და სულის უკვდავების დაუსხავადეს.

შინც რა არის „ხმით ნატირალი“? ამ კითხვაზე პასუხისათვის მივმართოთ კრებულის წინასიტყვაობას: „ფეხური ხმით ტირილი დატირების სხვა ფორმებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მისი შესრულების დროს მოტირალის მიერ იქმნება მეტრულად მოწესრიგებული პოეტური ტექსტი — ცხრამარცვლიანი ურთიომ ლექსი. რითმის მაგვირობას ასრულებს კვითინი, რომელიც უკვლა ტაქტის ბოლოს მეორდება, როგორც რეტორნი... დაქვითინებით ხმით მოტირალი და თანამონაწილენი ქმნიან ტაქტთა კეთილშეკრებებს. ხმით მოტირალის დაქვითინებისას დანარჩენი მოტირალებიც აქვითინდებიან და იქმნება „ზარი“, ვერა რომ იტყვოდ: „ზარი გამართეს დედათაო“, ხმით მოტირლება მონაცვლეობით ტირიან. თითოეული მათგანი ქმნის ახალ ორიგინალურ ტექსტს.

ტრადიციული ტექსტის გამეორება-გამოყენება არ შეიძლება.

თემური ადამ-წესებით უფლებჩაყვად შეზღუდული ფეხვილი ქალი სრულ თავისუფლებას მიცვალებულის დატირებისას აღწევდა და ბუნებრივ ნიჭს წყალობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე. მიცვალებულის ღირსებათა სწაროდ გამოტანას აღმწრდელითი ფრწყივოა მქონდა: იგი უკვლა ვეკაცს მოასტრეებდა, მოტირალთაგან ღირსეულად დატირების ღირსი გამბედაყოფი, ისეთი სათემო საქმე გაეცთებინა, რომ მისი სიკვდილი მართო ოჯახისა კი არა, მთელი თემის დანაკლისად მიჩნეულიყო. კარგ ვაყვაცებს ხმით მოტირლები ახალ მიცვალებულს „ნატირებდნენ“, რითაც უკვდაყოფდნენ მათ ხსოვნას ხალხში“.

ნატირლების ავტორები ძირითადად ქალები არიან. ირაკლი გოგოლაური მათ შესახებ წერს: — თემური ადამ-წესებით შეზღუდული ფეხვილი ქალი სრულ თავისუფლებას მიცვალებულის დატირების დროს აღწევდა. ჩვენ კატეგორიულად ვერ დავიკავთ აზრს თემური ადამ-წესების შემანარკობასა და ქალისადმი მის ღოიადურ დამოკიდებულებაზე, მაგრამ, უბრალოდ, ვერც იმას დავეთანხმებით, რომ ფეხური თემური ტიპის დემოკრატიულობისა და კაცთ-

მოყვარობის გარეშე შესაძლებელი უნდა იყოს მსგავსი გარდასახვა, უცებ, დროის რაღაც მონაკვეთში თავახსნილი ქალი ვერ შესძლებდა ისეთი იმპროვიზაციის შექმნას, რომელიც, როგორც თვითონ, ირაკლი გოგოლაური ამბობს — „მართო მახლობელ ადამიანთა დეკარავი ვაწარვეული მწუხარება არ ახსახება, მისში ვლიანდება აგრეთვე ხალხის სულიერი მოძრაობა, დამოკიდებულება მოვლენებთან, სიკვდილსიციოცხლებთან, შაბადიული სიციოცხლის წუთრვილთან“, თვით ის ფაქტიც, რომ ფეხვილი ქალს შეეძლო ტირილი უკვლა, ვის დატირებასაც გული მოსთხოვდა, იგუფე თემური ადამის მუშანურობის საზღვრებზე შეტყუალებს.

ხმით ნატირლებს დღესაც შოისმენს ყვეო ფეხვი, კარგ მოტირალს დღესაც ისე ხულოშეგუბებულნი უსმენენ და ისე იმასხოვრებენ... მაგრამ როგორ მიმდინარეობდა ოდითგან თვის დატირების პროცესი? „დატირება ასე ხდებოდა: ხმით მოტირალი აიღებდა მიცვალებულის რაიმე ნივთს — ხმაღს ან ხანჯალს და ზედ დაურდნიობლი, ზოტზე დამდგარა ან ფეხზე მდგომარ ირგვლივ უვლიდა მიცვალებულს, ან მის ტანისამოსს და იწყებდა მოქმნას: სახალხოდ აღნიშნავდა მიცვალებულის ღირსებას, მოიხსენიებდა მის საგვარეულოსა და სოფლის სახელეოვან ვაყვაცებს, ახარებდა თავის მყვადრებთან, ემუდარებოდა რომ ვადეცა მათი ახხავი, ამხვეებდა კირისუფათა და ა. შ. ხმით მოტირალი იმასაც კი ახერხებს, რამ წუველითაც კი ადარას მწუხარება და თანაგრძნობა. მიცვალებულის დაწვევლით იხატება გულისწყრომა იმის გამო, რომ მიცვალებულმა უპატრონოდ შიატოვა ისინი, მაგრამ წუნა საწუნეი აღარაა, რადგანაც წუველის შინაარსი მოხდენილია“.

ეს წიგნი რომ უფრო დიდ მოცულობის უყოფილყო, მაშინ, ალბათ, შენდგენდეს საშუალება ექნებოდა ნატირლებისათვის კომენტარებიც დაერთო, რითაც მკითხველს არა მართო გაუადვილებდა ტექსტების გაგებას. არამედ დიდ სამოყვებლასაც მომგვრიდა, რადგანაც, ჩვეულებრივ, მსგავს კომენტარებში უამრავი ეთნიკური და შინაარსობრივი დეტალი ხოლომე გაშოფრული, მაგრამ კრებულში ბევრია ისეთი ნატირალიც, რომელსაც არავითარი განმარტება არ სჭირდება, უფრო სწორად — უკვლეფერი ისედაც ნათელია:

შაქვედია, ბეჩავ იეოემო,
დასდევა სიღარიბის ქობი?
მიწინამც დაილოცებინა,
შეშველნი დავიგაღლა ხორცნი...

კრებულში ნატირლები ქვესათაურებათაა გაერთიანებული: „დღლის ნატირალი“, „ღის ნატირალი“, „ნადობის ნატირალი“, „ნანდაურის ნატირალი“, „დანიშნულის ნატირალი“, „მამა-

კაცის ნატირალი", „სხვადასხვა“. ნიშანდობლივია, რომ იერემოს დატირება „სხვადასხვაშია“ გაერთიანებული.

მედი ბერძენი პოეტის, საფოს ლექსებში დატირების სიმღერებს შობსენიებენ.

როდესაც ფშაველი ქალების ნატირლებს ეთხოვლობ, აღტაცებულს აღარც კი გგონია, თუ კიდევ ვინმე შეთხზავდა მსგავს გულისღამურელ სტიქონებს, ასეთია პოეტისი ქადო. ზოლო კარგი წიგნის ბედი ისეთია, რომ, როგორც ვინდა მარგალიტებით იყოს სავსე, მაინც მათშია ცქობნის-შქობნის ეძებ, პოეტური სიხარბით და აღუვსებლობით შექობობლი.

აი რამდენიმე სტიროფი დედის ნატირალიდან:

ღაწვიმე, შენმა ოხრობამა,
არ ჩამოგიგდავ ქრაც ნამი,
იქ რა ჩემ წიგოს დასველებს
ცხვარშიით მისვლა-მოსვლაშია...!
დედა ენაცვალოს ჩემს ღვანასა:
შვიდ კვირას იყო დაჯარგული,
თოვლი ჰვებოდა ღვიბადა,
ზევითაც საბნად ჰხტრებოყო,
დიდ ბეთად შეაფარა თავი,
ბეთაც დედურად შეენახვა...

აი დანიშნულის ნატირალი:

მოიდა მზე და მოვევე მენცა,
დედაო, განა დედაშთილო,
ურჩული რჩული გავარჩულე,
უნეტოდ მუედ ბატარძალი
კარგი გამოჩნდი, დედისერთავ,
თორო შავარცხვენ, შავალ შინა,
ანად მეზობლებს მივეცემი,
მაულოს თვალი დედაშენმა

ნემო შამო, შამაშთილო,
ნემი აქ მოსვლა ზვარ გვეყინა?
შენს შვილს მიქებდნენ სანეტოდა,
შენად წაშველ საცნობლადა,
კარჩიაც აღარ შამეგება,
ხმის გაეცმაც კი არ იყადრა,
დაესწყო — დედისერთია
არა და, მყოლებ გამიწიბლა!
ჩონა მოვართვი ორშიანი,
წინდა-ბაჰივი უაჰისები.

არ იღებს, გაჯარებულა...

ნუ შამაყრის ძიან გულსა
შვედ და ებლავ სახლში წავალ,
უკო უკოლავ გავბრუნდები,
ნეტავი ჩემი წასვლისასა
სახლსამც მოშლია დერეფანი.
დაბნევი ჩანლი სოფელსაცა,
დამინახავა ვეროთ ვინა
ამ დამწვარ-აბრიალებულსა!

ხალხურ პოეზიაში ნატირლებს იშთიკ უჭირავთ განსაკუთრებული ადგილი, რომ აქ წინა პლანზე ადამიანის პარადი, უშუალო განცდები. დგას სულშერული ადამიანი ძვირფასი ცხედრის წინაშე და სამუაროს შეღაღადებს თავის სატიკვარს, აქედან იწუება ბიბლიური იობის გაკვალული ბილიკიც და ამ ბილიკზე შემდგარ ფშაველ ქალსაც, როგორც უამარავს — მასზე უწინ და მის შემდეგაც, ერთმანეთისათვის ვერ შეუთავსებია სიკვდილის აშაოება და მშვენიერება სიცოცხლისა, დღევანდელი ჩასვენება შინა და ზვალინდელი ამობრდვიალება.

მ. ქადაბიძე

0 7/89



№ 80 333.

060360
7 0 1 2 6

„М И А Т О В Ы“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ